N47 (546) 25/XI-1/XII-2010 ფასი 1 ლარი

„გზა“

1168
2010

თემა

ანა მდივნიშვილი მოდელის კარიერაზე უარს ამბობს

რა კრიტერიუმებით აფასებენ ტელეწამყვანებს საქართველოში

„ვანო კარგ ხასიათზე გვაყენებს“

„ნანკას დამაინტრიგებელი მზერა აქვს“...

ქართული პრობის საგანძური

ტომი №39 ლეო ქიაჩელი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი ვაჟა გიგაშვილი



სამების ტაძრის მშენებლობისას მომხდარი სასწაული

ტრაგედია, რომელიც ხალხმა ჯვრის აღმართვას დაუკავშირა

„გზა“ – ყველაზე მაღალტირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!



რატომ დაუპირისპირდნენ რუსები მამლუქებს

„გზის“ დარტყმა“ ანუ ვის რა თანამდებობისთვის ამზადებენ

„ქალიან მინდა ვიცოცხლო“...

დაჭრილ ჯარისკაცებზე მზრუნველი ექთანის ტკივილი

ISSN 1987-3029

franco fontana

italy

ოქროსა და ვერცხლის სამკაულების დიდი არჩევანი

franco fontana -ში

20%

ფასდაკლება ვერცხლზე

რუსთაველის 26
18-10-47

ჰეკინის 7
30-65-56

ჭავჭავაძის 21
18-10-46

მარტ - ივნისში!

ხველა: მტერი თუ მეგობარი?

ხველა სიმპტომი თუ დაავადება?

ხველა სიმპტომია და არა დაავადება. მწვავე რესპირატორული ინფექციები არის მწვავე პროდუქტიული ხველის (ხველა ნახველით, 3-4 კვირაზე ნაკლები ხანგრძლივობის) ყველაზე ხშირი და ბანალური მიზეზი. ხველა დამცველობითი რეფლექსია, რომლის საშუალებით სასუნთქი გზები თავისუფლდება მათში მოხვედრილი უცხო სხეულისაგან, მტვრისგან და დაგროვილი ნახველისგან. ხველა იცავს ორგანიზმს მთელი რიგი გართულებებისგან. რომ არა ხველა, ნებისმიერი ბანალური ვირუსული ინფექცია (ე.წ გაციება) გართულდებოდა ფილტვების ანთებით.

ხველას უნდა ვებრძოლოთ თუ...

ხველა დამცველობითი და აუცილებელი რეფლექსია, თუმცა მწვავე რესპირატორული ინფექციის დროს განვითარებული ანთებითი ცვლილებების გამო, ნახველის სიბლანტე და რაოდენობა იმდენად იზრდება, რომ ხველა ველარ ასრულებს დამცველობით ფუნქციას. ამის გამო ნახველი გროვდება ფილტვებსა და ბრონქებში, რაც სასუნთქ გზებში ბაქტერიების გამრავლებისთვის საუკეთესო არეა. სასუნთქი სისტემიდან ნახველის დროული დრენირების არარსებობის შემთხვევაში იზრდება სერიოზული გართულების - პნევმონიის (ფილტვების ანთების) განვითარების რისკი. სწორედ ამიტომ, ხველას კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ ის უნდა გავხადოთ ეფექტური. პროდუქტიული ხველის (ხველა ნახველით) მკურნალობის მთავარი მიზანი უნდა იყოს არა ხველის სწრაფი გაქრობა, არამედ ნახველის სიბლანტის შემცირება და მისგან ფილტვის სწრაფი და სრული გათავისუფლება. სწორედ ამიტომ აუცილებელია მკურნალობაში ამოსახველებელი პრეპარატების - ნახველის გამათხელებლების ანუ ე.წ მუკოლიტიკების ჩართვა.

რას გვთავაზობს შვეიცარული კომპანია „ნოვარტისი“?

ამოსახველებელ პრეპარატებს შორის არჩევანი დიდია, მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია შვეიცარიული ფარმაცევტული კომპანია “ნოვარტისის“ მედიკამენტს **აცც (აცეტილცისტეინისა და C ვიტამინის კომბინაცია).**

აცც ათხელებს ნახველს და აუმჯობესებს მის დრენირებას, რის გამოც ხველის ეფექტურობა იზრდება.

ამით აცც უზრუნველყოფს ბრონქებისა და ფილტვების სწრაფ გათავისუფლებას ნახველისაგან. ნახველის ეფექტურ გამოყოფას თან ახლავს მისი რაოდენობის შემცირება, რასაც საბოლოო ჯამში ხველის გაქრობამდე მივყავართ.

აცც-ს აქვს დადასტურებული ანტიოქსიდანტური აქტივობა.

ამის გამო მინიმუმამდე მცირდება ვირუსული თუ ბაქტერიული ინფექციის დროს უხვად წარმოქმნილი ტოქსიური ნივთიერებების დამაზიანებელი ზემოქმედება ფილტვის ქსოვილზე და ბრონქებზე. ეს თავის მხრივ უზრუნველყოფს ანთებითი პროცესის დროს ფილტვებსა და ბრონქებში განვითარებული ცვლილებების სრულ და სწრაფ აღდგენას და გართულებების თავიდან აცილებას

აცც-ს ანტიოქსიდანტური აქტივობა უზრუნველყოფს ორგანიზმის დაცვას თამბაქოს კვამლში შემავალი ტოქსიური ნივთიერებების მავნე ზემოქმედებისგან. სწორედ ამიტომ, აცც არის პირველი არჩევის მუკოლიტიკი (ამოსახველებელი პრეპარატი) მწეველებისთვის.

აცც არის დადასტურებული ანტიდოტი პარაცეტამოლით ინტოქსიკაციის დროს.

რესპირატორული ინფექციების უმეტესი ნაწილი მაღალი ცხელებით მიმდინარეობს და აუცილებელი ხდება სიცხის დამწევი პრეპარატების გამოყენება, მათ შორის უპირატესობა ხშირად პარაცეტამოლს ენიჭება. აცც-ს ანტიდოტური ეფექტი უზრუნველყოფს პარაცეტამოლის ღვიძლზე მავნე ზემოქმედების მნიშვნელოვან შემცირებას.

გახსოვდეთ,

გაციებას ხშირად თან ერთვის ხველა ნახველით და მაღალი ტემპერატურა. მიიღეთ აცც სიცხის დამწევ საშუალებებთან ერთად.

აცც სწრაფად და ეფექტურად გაასუფთავებს ბრონქებს ნახველისგან და მინიმუმამდე შეამცირებს პარაცეტამოლის უარყოფით ზემოქმედებას ღვიძლზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით შვეიცარული კომპანია ნოვარტისის წარმომადგენლობას საქართველოში ტელ: 982730; 982750

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

„ორიფლეიმი“ 10 წლისაა

2010 წელს „ორიფლეიმი“ 10 წლის გახდა. კომპანიამ ამ თარიღს არაერთი საზეიმო ღონისძიება მიუძღვნა. დასასრულს „ტრიუმფში“ გაიმართა საზეიმო მიღება. გაშლილი იყო წითელი ხალიჩა „ორიფლეიმის“ სტუმრებისა და წარმატებული თანამშრომლებისათვის. წითელ ხალიჩასთან ისინი თეთრი ლიმუზინით მოიყვანეს. უკრავდა რეტრო ბენდი სერგო ტყაბლაძის ხელმძღვანელობით. ყველაფერი ისე იყო, როგორც 10 წლის სოლიდურ და წარმატებულ კომპანიას შეეფერება. დარბაზში სტუმრებს საინტერესო საღამო ელოდა. მღეროდნენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები, „ორიფლეიმის“ წარმატებული კონსულტანტები გამოცდილებას უზიარებდნენ მსმენელებს. „ორიფლეიმი“ ჩვენი მეგობარია, მისი პროდუქცია ყველა ჩვენგანისათვის ახლობელი და სასურველია, ალბათ ამიტომაც იქცა კომპანიის საიუბილეო თარიღი ზეიმად საზოგადოების დიდი ნაწილისათვის.

ლევან ბოკუჩავა — *„ორიფლეიმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი:*

— მთელი წლის განმავლობაში ვზეიმობთ კომპანია „ორიფლეიმი ჯორჯიას“ ათი წლის თავს საქართველოში. დღეს ამ ღონისძიებების კულმინაციური წერტილია. მოწვეული გვყავს საპატიო სტუმრები: ჩვენი კომპანიის დსთ-სა და ბალტიისპირეთის და დსთ-ს უფროსი ვიცე-პრეზიდენტი მაც პალმკვისტი, კავკასიისა და მონღოლეთის რეგიონული დირექტორი ქალბატონი ნატაშა პაპოვა და ამავე რეგიონის გაყიდვების მენეჯერი ქალბატონი ელენა კრავჩენკო.

— საერთოდ რამდენი წლის გამოცდილება აქვს კომპანია „ორიფლეიმს“?

— კომპანია არსებობს 1967 წლიდან, მისი დამაარსებლები არიან შვეიცარიელი ძმები იონას და რობერტ აფიოტნიკები. დღესდღეობით ეს არის საჯარო კომპანია, რადგან მისი აქციები იყიდება სტოკჰოლმის საფონდო ბირჟაზე, არის ძალიან გამჭვირვალე კომპანია. საქართველოში მოღვაწეობს 2000 წლიდან. ამ 10 წლის განმავლობაში მივაღწიეთ დიდ შედეგებს. ჩვენ ვართ ქსელური მარკეტინგის კომპანია, ჩვენთან თანამშრომლობს ათეული ათასი ჩვენი ქვეყნის მოქალაქე. ეს უმნიშვნელოვანესი რამ გახლავთ — საქართველოს ჰყავს ამდენი დასაქმებული ადამიანი, მათ აქვთ შემოსავალი, რომელსაც ახმარენ ოჯახებს...

კომპანია „ორიფლეიმი“ არის ყველაზე დიდი კოსმეტიკური კომპანია საქართველოში. 2008 წლის ევრომონიტორის მონაცემებით ჩვენ გვიკავია საქართველოს ბაზრის ყველაზე დიდი წილი კოსმეტიკურ კომპანიებს შორის — 13 %.

— თქვენი აზრით, რამ განაპირობა „ორიფლეიმის“ ასეთი პოპულარობა?

— ალბათ იმან, რომ ჩვენთვის პრიორიტეტულია ნატურალური კოსმეტიკა, რომელიც ძალიან ხარისხიანი და ეფექტურია. თვითონ კომპანიის პრიორიტეტებზე რომ მკითხოთ, გიპასუხებთ, რომ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი პროდუქციის ნატურალურობას და იმ ფაქტორსაც, რომ ქსელური მარკეტინგი საშუალებას გვაძლევს მრავალ ათას ადამიანს გავუჩინოთ შემოსავალი.

დღეს თვითონაც დარწმუნდებით, რა არის მთავარი ჩვენთვის... თითოეული სტუმარი შეაჯამებს „ორიფლეიმში“ მუშაობის წლებს, წარმატებული კონსულტანტები მიულოცავენ ყველას 10 წლის იუბილეს და გვიამბობენ, როგორ გაიარეს გზა წარმატებისაკენ.

— როგორ გაიარა „ორიფლეიმ ჯორჯიამ“ გზა წარმატებისაკენ?

— ჩვენ მართლაც მოკრძალებული ოფისიდან დავიწყეთ. ახლა უკვე სერიოზული ინფრასტრუქტურა გვაქვს შექმნილი. ვფიქრობ, ეს წარმატება დავიმსახურეთ. ჩვენ კოსმეტიკურ კომპანიებს შორის გვაქვს უზარმაზარი სასაწყობე მეურნეობა, სათავო ოფისი თავისი სერვისცენტრით, აქ ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ჩვენ შესახებ. ყველაფერი ვიტრინებში გვაქვს გამოფენილი და შვედურ სტილში წარმოდგენილი. ეს არის ჩვენი სახე, რომელსაც უკვე მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში იცნობენ და აღიარებენ.

— „ორიფლეიმ ჯორჯია“ როგორც მახსოვს ლიდერი იყო მთელ ამიერკავკასიაში...

— მართალია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამიერკავკასიაში ლიდერები ვართ.

— წარმატებას გისურვებთ.

№47 (546)
25 ნოემბერი -
1 დეკემბერი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
ბიძიებო, დეიდებო...
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ პოლიტიკა 7
■ საზოგადოება 10
■ კარიერა 16
■ „გზის“ დარტყმა“ 19
ნინო ჩხეიძის მზადება ობამასთან შესახვედრად
■ პირადი ცხოვრება 21
დათო როსტომაშვილის 19-წლიანი,
გაუხუნებელი სიყვარულის ამბავი
■ გემოვნება 23
ერთ დღეში მოვარდნილი სიყვარული, ამოჩემებული
სამოსი და კულინარიული ექსპერიმენტები
■ თემა 26
რა არის საჭირო იმისთვის,
რომ ტელეწამყვანი გახდე
■ გასაჭირი 30
აფხაზეთში დაჭრილ ჯარისკაცებზე
მზრუნველი ქალბატონის ტრაგედია
■ ბედის ბორბალი 33
პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან
■ ისტორიის ლაბირინთები 36
რუსულ-ოსმალური შეთქმულება ქართველ
მამლუქთა წინააღმდეგ
■ ასპარეზი 39
მათე ღვინიანიძე — „ლომი“,
რომელიც ძნელად თვინიერდება
■ დიზაინერი 40
„პროტესტის ნიშნად, „განგსტერებად“ ვიქეცით“
■ ანტიდეპრესანტი 42

ქვეყანა



დალი ლამა 6 თვეში პენსიაზე გავა

„ახლა მას პენსიაზე გასვლა და სამშობლოში დაბრუნება, როგორც კერძო პირს, ისე სურს, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რამდენად მისცემენ ჩინელები პროტესტის ცოცხალ სიმბოლოს ქუჩებში თავისუფლად სიარულის უფლებას“...

7

სახე

„სად მე და სად „ნაციონალები“?

„ ყველამ იცოდეს, რომ ტელევიზიიდან ტელევიზიაში „მოგზაურობის“ მსგავსად, პარტიიდან პარტიაში გადასვლას არ ვაპირებ, ეს ჩემთვის მიუღებელია!“

16

ცხოვრება

პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან

75 წლის რუსუდან ფრუიძეს ბედმა უმძიმესი ცხოვრება არგუნა. მან ბავშვობაშივე იწვნია უსამართლობა, როცა ციმბირისკენ მიმავალ გზას გაუყენეს. იმ წლებმა მის სულს მოუშუშებელი ტკივილი და ტრავმა მიაყენა...

26

გზაკვანძები

„მეგობრების შესაძენად ინტერნეტი გამოიყენე“

„მეც 14 წლის ვარ და მეგობრებთან პრობლემებიც ბევრჯერ მქონია, მაგრამ მათ გარეშე ნამდვილად არ დავრჩენილვარ. შემიძლია, შენთანაც ვიმეგობრო. დამეკონტაქტე“.

76

27400
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ ავტო 42
■ ტაძარი 44
რა არის უფლის მთავარი სათქმელი იგავში
■ საკითხავი ქალებისათვის 46
■ ჩემი სახლი 48
ბავშვის ოთახში რაც მეტი ფერია, უფრო ხალისიანია
■ ეს სამყაროა 50
■ ჯანმრთელობა 52
■ მეომარი 55
სვანების იმედად დარჩენილი სამხედროები და არყით გაყუჩებული ტკივილი
■ ემიგრანტი 57
უმუშევრობის პრობლემა და სამშობლოს ნოსტალგია
■ კონკურსი 59
„ჯეოსტარელი“ ანა მდივნიშვილის მუსიკალური და ჟურნალისტური გეგმები
■ თინეიჯერული პონტები 60
■ წვეთი პოეზია 62
■ სახსოვარი 63
■ პროზა 64
რომანი, რომელიც საგანძურის ნაწილად რჩება...
■ ფანტასტიკური დეტექტივი 68
რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)
■ რომანი 72
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (გაგრძელება)
■ გზავნილები 76
■ ყველა ერთისათვის 80
■ მობილი-ზაცია 82
■ მოზაიკა 88
■ აქცია 90
■ სპორტული მოზაიკა 91
■ ერუდიტი 92
ბიბლიოთეკიდან მოპარული წიგნები და ავტორები, რომლებმაც გოჩა კაპანაძე აატირეს
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



რუსულ-ოსმალური შეთქმულება ქართველ მამლუქთა წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, იბრაჰიმ ბეის ქართული გვარი შინჯიკაშვილი იყო. ის 1735 წელს, სოფ. მარტყოფში დაიბადა. 15 წლისა მშობლიური სოფლიდან ლეკმა ყაჩაღებმა გაიტაცეს და სტამბოლში, ოსმალო მონათვაჭრებს მიჰყიდეს; მათ კი ჯან-ღონით სავსე ქართველი ჭაბუკი ეგვიპტის მამლუქ გამგებელს აჩუქეს.

36

ადამიანი



„ჯეოსტარელი“ ანა მდივნიშვილის მუსიკალური და ჟურნალისტური გეგმები

„ჯეოსტარში“ ყოფნისას, რეპეტიციების, გადაღებების გამო, სკოლაში გაკვეთილების გაცდენა მიხდებოდა. მოგეხსენებათ, გაკვეთილების გაცდენასთან დაკავშირებით ახლა სკოლებში „დიდი ამბებია“...

54

ბიბლუსი

— მაინც რატომ ხართ ჩემთან ასე გულახდილი?
— დავიჯერო, ვერ ხვდებით?
— ვერა.
— იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ აქედან ველარსად წახვალთ.
— ვერ გავიგე?!
— მე თქვენ აქ არ მომიწვევიხართ...

62

ტაიმ-აუტი

ბაჯო დაჯილდოეს

იტალიური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ, რობერტო ბაჯომ ყოველწლიური ჯილდო **Peace Summit Award**-ი მიიღო, რომელსაც რჩეულებს ნობელის პრემიის ლაურეატების სპეციალური კომიტეტი გადასცემს.

88

ბიძიებო, დეიდებო...

შესავლის ნაცვლად რედაქციაში „პროვოკაციის“ გადაგზავნა ისევ დავაგვიანე... არადა, დღეს 23 ნოემბერია, გიორგობა გიორგობად და, საქართველოს ისტორიის დაწყების 7 წლის იუბილეა, ამიტომ წინადღესაც კი შემეძლო დამეწერა და იმის წინადღესაც — ჩამოვთვლიდი „მსოფლიოს დემოკრატიის შუქურის“ მიღწევებს: ბათუმი, ანაკლია, შაშკინი, „რეალ-ტივი“, ასფალტი (ჰმ, „ასფალტი ვეჭამოთ?!“), 2008 წლის აგვისტოში მოგებული ომი, სოფო მანდატური სკოლის დირექტორად, ტონირებულ შუშებზე „პლიონკების“ აძრობა... მოკლედ, ბევრი მიღწევა გვაქვს ჩვენი ქვეყნის შვიდწლიანი ისტორიის მანძილზე და როგორც საზეიმო თარიღს შეეფერება, ჩამოვთვლიდი ამ მიღწევებს, მაგრამ დღეს ჩვენი პრეზიდენტი ევროკავშირში უნდა გამოსულიყო სიტყვით და არ შემეძლო, არ დავლოდებოდი...

ევროკავშირი ევროკავშირად და, მკითხველი რომ ჟურნალის ამ ნომერს მიიღებს, უკვე 25 ნოემბერი იქნება და თუკი ოპოზიციის ლიდერებს რაიმე დაეჯერებათ, „სააკაშვილი დამთავრებული იქნება“! ამიტომ, ძალიან გთხოვთ, თუ ამ სტრიქონების კითხვისას უკვე იცით, რომ საქართველო „ნინოსია“, კითხვა შეწყვიტეთ და შემდეგ ხუთშაბათს დაელოდეთ.

მე კი ისევ ისე გესაუბრებით, თითქოს არ ვიცოდე, რომ 25-ში ჩვენი ოპოზიციის ყველასათვის საყვარელი, უმწიკვლო ლიდერების მოწოდებით, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი შეიკრიბა პარლამენტის წინ, ისიც წინასწარ ვიცი, რომ მიშამ ევროპიდან შემოთვალა: ამდენ ხალხს თუ არ ვუნდივარ, მაშინ უარს ვამბობ პრეზიდენტობაზე, რიგგარეშე არჩევნებს ვნიშნავ და ევროპიდან აღარ ჩამოვდივარო... ვიცი, ეს ყველაფერი ასე იქნება, მაგრამ ამაზე, როგორც გითხარით, მომავალ ხუთშაბათს ვიბაასოთ, ახლა კი ვითომ არაფერიც არ ვიცი...

იაკობაშვილი რომ არის, თავისი რაღაც სამინისტროს მინისტრი, ეგ კაცი ამერიკაში ჩვენი ელჩობის კანდიდატადაა წარდგენილი; წარდგენილი რა, ალბათ, დაამტკიცებს პარლამენტი. გაგიჟებული იყო სიხარულით და მთავრობის კრებაზე კოლეგებს რომ დაემშვიდობა, უთხრა: — ყველას გეპატიჟებით ამერიკაში, ოღონდ რიგრიგობით ჩამოდითო! აბა, ჩადექით რიგში და იაკობაშვილისკენენ, სირბილ�eee

სიკვდილის მოლოდინში მთელი დანაზოგი დახარჯა



65 წლის ინგლისელ კომიკოსს დეივ ისმეის ექიმებმა ციროზის დიაგნოზი დაუსვეს და უთხრეს, რომ 3 თვის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. კომიკოსი ახალი ამბით შოკირებული იყო: მოწევისთვის თავი 40 წლის ასაკში ჰქონდა დანებებული, ალკოჰოლურ სასმელს კი ჭარბი რაოდენობით არასდროს სვამდა. ისმეიმ იმ ნაბიჯების სია შეადგინა, რომელთა გადადგმაც სიკვდილამდე სურდა. 10 კვირის განმავლობაში, ვიდრე ექიმები თავიანთ შეცდომას აღიარებდნენ, მსახიობმა წიგნი დაწერა, ახალი „მერსედესი“ იყიდა და ძველ ირლანდიურ გოლფ-კლუბში სათამაშოდ გაემგზავრა. სინამდვილეში კი ისმეი ავად არც ყოფილა, მას უბრალოდ სისხლში რკინის შემცველობა ჰქონდა მომატებული. „თქვენ ჩემს დაკრძალვაზე არ ყოფილხართ მიწვეული, ასე რომ, არც ჩემს წვეულებაზე დაგპატიჟებთ“, — განუცხადა ისმეიმ ექიმებს.

სასიკვდილო განაჩენის შეცვლამ ისმეის გეგმებზე უარი ვერ ათქმევინა, ცოტა ხანში ის მეუღლესთან ერთად, ავსტრალიაში სამოგზაუროდ წასვლას აპირებს. ერთადერთი, რაც ამაში ხელს უშლის, ფულის დეფიციტია — ბოლო თვეების განმავლობაში დახარჯული დანაზოგი კომიკოსმა მთლიანად ამოწურა. ■

დალაი ლამა 6 თვეში პენსიაზე გავა

ბუდისტების სულიერი ლიდერი დალაი ლამა 6 თვეში შესაძლოა, პენსიაზე გავიდეს. ინფორმაციას იტალიური გაზეთი „ლა სტამპა“ ავრცელებს. განცხადება ამის შესახებ 76 წლის დალაი ლამამ ერთ-ერთი ინდური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. მან განაცხადა, რომ პენსიაზე გასვლის საკითხს საბოლოოდ, ტიბეტის პარლამენტი გადაწყვეტს. პარლამენტიც, დალაი ლამას მსგავსად, დევნილობაშია. „ახლა მას პენსიაზე გასვლა და სამშობლოში დაბრუნება, როგორც კერძო პირს, ისე სურს, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რამდენად მისცემენ ჩინელები პროტესტის ცოცხალ სიმბოლოს ქუჩებში თავისუფლად სიარულის უფლებას“, — წერს „ლა სტამპა“.

ბუდისტების სულიერი ლიდერი ჩინელების მიერ ოკუპირებული ტიბეტიდან 1959 წელს გაიქცა. ■

ირანის ბირთვული პროგრამა შეჩერებულია

ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელების დროს სერიოზული ტექნიკური პრობლემები წარმოიქმნა. ამან ათასი ცენტრიფუგის გათიშვა გამოიწვია, რომელიც ურანის გამდიდრებაზე მუშაობდა. ამის შესახებ სააგენტო Associated Press, დიპლომატიური წრიდან ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება. ცენტრიფუგების მუშაობის გათიშვის მიზეზებს არ ასახელებენ. მაგრამ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პრობლემები კომპიუტერული ვირუსის Stuxnet-ის გამო დაიწყო. ვირუსი იმ სისტემის მუშაობის შეფერხებისთვის შეიქმნა, რომელიც ირანის ბირთვული პროგრამის რეალიზებას უზრუნველყოფს. იგი ცენტრიფუგებს მაღალი სისწრაფით ამუშავებს, რასაც საბოლოოდ, ისინი მწყობრიდან გამოჰყავს. ■

ამერიკელი სენატორი მაუწყებლობის შეწყვეტას ითხოვს

დასავლეთ ვირჯინიის შტატის სენატორი ჯეი როკფელერი აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდებს, ტელეარხებს — Fox News-სა და MSNBC-ს მაუწყებლობა შეაწყვეტინოს. სენატორს ამ საინფორმაციო საშუალებების სარედაქციო პოლიტიკა არ მოსწონს. კრიტიკოსები Fox News-ს — რესპუბლიკელების, ხოლო MSNBC-ს — დემოკრატების მხარდაჭერაში ადანაშაულებენ. მემარჯვენეებისა და მემარცხენეებისგან უკვე დავიღალეთ. მინდა, ტელეკომუნიკაციის ფედერალური კომისია ვაიძულო, Fox News-სა და MSNBC-ს უთხრას — „მორჩა, საკმარისია, ყველაფერი დასრულდა და კარგად ბრძანდებოდეთ“, — აცხადებს სენატორი. ■

კურნიკოვა საიდუმლოდ გათხოვდა?

ანა კურნიკოვა და ენრიკე იგლესიასი უკვე 9 წელია, ერთად არიან. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი კატეგორიულად უარყოფენ, რომ დანიშნულები არიან და დაქორწინებას აპირებენ. ამ დღეებში კი პაპარაცებმა სპორტსმენის ხელზე ბეჭედი შენიშნეს, რომელიც ნიშნობის რგოლს ძალიან ჰგავს. კურნიკოვა და იგლესიასი ბევერლი-ჰილზის ერთ-ერთი რესტორნიდან გამოდიოდნენ, როდესაც მათ ფოტოგრაფები გადაეყარნენ. ენრიკემ საცოლეს თავაზიანად გაუღო კარი და წინ გაატარა. პაპარაცებმა კურნიკოვას თითზე ბრილიანტებით მოოჭვილი ბეჭედი სწორედ ამ დროს შენიშნეს, წერს Daily Mail.

ჩოგბურთელის ნიშნობის შესახებ ხმა ჯერ კიდევ ზაფხულში გავრცელდა, როდესაც ის საზოგადოების წინაშე ყვითელი ბრილიანტისთვლიანი ბეჭდით პირველად გამოჩნდა. მაშინ ენრიკემ ამის გამო თქვა: „იმისთვის, რომ წყვილი ერთად ბედნიერი იყოს, ქორწინება აუცილებელი არ არის“. მომღერლის მოსაზრებას ანაც დაეთანხმა: „რა საჭიროა დაქორწინება? ჩვენ უკვე ცხრა წელია, ერთად ვართ, ეს კი საკმაოდ ბევრი დროა“. ბოროტი ენები კი ამბობენ, რომ წყვილმა უკვე დიდი ხანია იქორწინა და ამას საგულდაგულოდ მალავს, რადგან კურნიკოვაც და იგლესიასიც სექსსიმბოლოს იმიჯის წყალობით ფულს შოულობენ, ხოლო თუ მათი ქორწინების ამბავი საყოველთაოდ ცნობილი გახდება, შესაძლოა, „ყველაზე სასურველის“ სტატუსი დაკარგონ. ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიძემ

ქვეყანა

ლისაბონის სამიტის მყიფე შედეგები და ახალი პოლიტიკის მომასწავებელი საკადრო ცვლილებები

ლისაბონში გამართული ნატოს სამიტის შედეგებით საქართველოს ხელისუფლება კმაყოფილი და სასიამოვნოდ გაოცებულია, ოპოზიცია კი — დაეჭვებული და ჩაფიქრებული. სამიტის მიერ მიღებულ კომუნიკეში ჩვენს ქვეყანას ეთმობა 3 პუნქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ალიანსი ითვალისწინებს საქართველოს სურვილს, გაწევრდეს ნატოში, აგრძელებს ამ ქვეყანასთან თანამშრომლობას და ძალაში ტოვებს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, საქართველო ნატოს წევრი გახდება.

ნათუნა გახტურიძე

კომუნიკეში ლაპარაკია საქართველოს მნიშვნელოვან როლზე ავღანეთის მისიაში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნატო მხარდაჭერას გამოხატავს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და რუსეთს მოუწოდებს, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებები. ხელისუფლება ასევე აღფრთოვანებულია ნატოს მიერ მიღებული რეზოლუციით, რომელშიც არაორაზროვნადაა აღნიშნული, რომ საქართველოს ნაწილი ოკუპირებულია და რუსეთის ხელშეწყობით, აქ ქართველების ეთნოწმენდა განხორციელდა.

ოპოზიციონერი ლიდერები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლების კმაყოფილება გადაჭარბებულია, საბოლოო გამარჯვებამდე კი ჯერ კიდევ შორია. არის თუ არა სააკაშვილის ხელისუფლების კმაყოფილება გადაჭარბებული, რა როლს ითამაშებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ნატოს ახალი რეზოლუცია — ამის გარკვევას პოლიტოლოგ ***რამაზ საყვარელიძესთან*** *საუბრისას შევეცადე.*

— ბატონო რამაზ, თქვენ როგორ შეაფასებთ ნატოს სამიტის შედეგებს?

— ვერ გავიზიარებ ვერც ხელისუფლების უზომო აღფრთოვანებას და ვერც ოპოზიციონერების პესიმისტურ განწყობილებას. ფაქტია, ნატოს სამიტზე საქართველოს საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განხილვის საგანი გახლდათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ევროპა არ იცვლის თავის პოზიციას საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით და არასდროს აღიარებს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას. მეორე მხრივ, ამაში ახალი არაფერია — ჩვენი დასავლელი პარტნიორები ძველებურად ინარჩუნებენ ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესს და მხარდაჭერას აგრძელებენ. ერთი სიტყვით, ქართულმა მხარემ სტატუს კვო შეინარჩუნა, რაც გარკვეულწილად, გამარჯვებაა, თუმცა ეს არცთუ ისეთი დიდი აღფრთოვანების საფუძველს გვაძლევს.

— „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტებს შორისაც „ძალიან გულითადი“ შეხვედრა გაიმართა, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა საქართველოსთან დაკავშირებული „არასასიამოვნო“ საკითხებიც განიხილეს. ჩვენ რას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ამერიკა მხოლოდ განცხადებებით გამოხატავს უკმაყოფილებას რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებით და ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ ამ განცხადებებმა ქრონიკული ხასიათი მიიღოს?

— ეს ამბავი იმ პერიოდს მახსენებს, როდესაც ამერიკა და საბჭოთა კავშირი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან დაკავშირებით ვერ თანხდებოდნენ, თუმცა ურთიერთთანამშრომლობას მაინც არ წყვეტდნენ. მართლაც, არ არის გამორიცხული, რომ ამერიკის განცხადებებმა ქრონიკული ხასიათი მიიღოს.

— ეს ამბავი საქართველოში კონფლიქტების გაყინვასა და ჩვენთვის ახალი პრობლემების წარმოქმნას ხომ არ გამოიწვევს?

— არა მგონია, სიტუაცია ასე გართულდეს, თუმცა ცხადია — ამერიკას გარკვეულწილად, ხელს აძლევს კიდეც ის გარემოება, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის მოუგვარებელი პრობლემები არსებობდეს.

— რისთვის?

— თუნდაც იმისთვის, რომ რუსეთისთვის „გადატვირთვის“ პოლიტიკამ კაპიტულაციის სახე არ მიიღოს. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ დროთა განმავლობაში, საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მოგვარება თვით რუსეთის ინტერესებშიც შევიდეს.

— რუსეთისთვის ამის წინა პირობა რა შეიძლება გახდეს?

— წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ რა შეიძლება გახდეს ამის წინა პირობა, თუმცა ფაქტია, რომ რუსეთი ამ რეგიონებში დახარჯული ფულით საჯარო სურველ შედეგს ვერ აღწევს და ამით უკმაყოფილოა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით თანხები ცხინვალის რეგიონში იხარჯება...

— ეი. ფიქრობთ, რომ შესაძლებელია, რუსეთმა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ჩადებულ ინვესტიციებზე უარი თქვას?

— არა, რატომ?! ინვესტიციებს შეინარჩუნებს.

— მე იმ ინვესტიციას ვგულისხმობ, რომელიც მოსკოვმა სამხედრო ბაზების მშენებლობაში ჩადო.

— რატომ გამორიცხავთ, რომ სამხედრო ბაზები შეინარჩუნოს და მოსახლეობის მატერიალური პრობლემების მოგვარებაზე უარი თქვას?

— თუ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდება, ამ ტერიტორიებზე რუსეთი სამხედრო ბაზებს როგორლა შეინარჩუნებს?!

— რუსეთში კონფედერაციის გეგმას უკვე საკმაოდ აქტიურად განიხილავენ. როგორც მოგეხსენებათ, კონფედერაცია ისეთი კავშირია, რომელში შემავალი სახელმწიფოებიც საკუთარ სუვერენიტეტს სრული სახით ინარჩუნებენ. ასეთ შემთხვევაში, რუსეთი სეპარატისტულ რეგიონებში სამხედრო ბაზების შენარჩუნებას მოახერხებს.

— თუ ქართული მხარე კონფედერაციის იდეას არ მიიღებს?

— მაშინ იტყვიან, რომ თბილისი მოლაპარაკებაზე არ მოდის და სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას სხვა ქვეყნებსაც აღიარებინებენ.

— ქართველი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ კონფედერაციის იდეა საქართველოსთვის სახიფათოა — სწორედ იმის გამო, რომ კავშირში შემავალი სუბიექტები სუვერენიტეტს სრულად ინარჩუნებენ და როცა მოინდომებენ, მაშინ გამოაცხადებენ დამოუკიდებლობას.

— კონფედერაცია არც მე მიმაჩნია საქართველოსთვის იდეალურ ვარიანტად, მაგრამ მისი ალტერნატივა ჯერჯერობით არ ჩანს.

— რა შეიძლება შეიცვალოს კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით, თუ რუსეთი-ნატოს საბჭოს აღდგენის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა ან სულაც, როგორც ზოგიერთი რუსი ექსპერტი მიიჩნევს, რუსეთი ნატოს წევრი გახდება?

— არა მგონია, რაიმე არსებითად შეიცვალოს. ევროპა და ამერიკა ჩვენ გამუდმებით მოგვიწოდებენ, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე ვიფიქროთ და ამ საკითხთან დაკავშირებით დიალოგები წარვმართოთ. მაგრამ დიალოგი ვერ შედგება, თუ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს გარკვეულწილად მაინც არ გავითვალისწინებთ.

— როგორ გგონიათ — საქართველოს ხელისუფლებაში სულ ახლახან განხორციელებული საკადრო ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში რაიმე ცვლილებას უკავშირდება?

— ჩემი აზრით, ბოლო დროს განხორციელებული საკადრო ცვლილებებით ხელისუფლებამ, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის მიმართულებები გააძლიერა: აშშ-ში საქართველოს ელჩად თემურ იაკობაშვილის დანიშვნით, ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკის ამერიკული ხაზი გააძლიერა. იაკობაშვილს დიპლომატიაში საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ის ნამდვილად საინტერესო

გაგრძელება იხ. გვ. 15

წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ!

წიგნი 2
ჯეკ ლონდონი
„მარტინ იდენი“

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერით და სპეციალური სანიშნით

22-დან - 29 ნოემბრამდე!

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი

შოთა ჩუსთაველი



ალექსანდრე დიუმა ტომი I



ალექსანდრე დიუმა ტომი II

მალე!

და ასევე დიდი წიგნები...

„ყვავის ბანი“ ყოველ მეორე ნოემბერში ფასად!

ყურადღება ! თუ თქვენ ვერ მოასწარით პირველი წიგნის - „შაგრენის ტყავის“ შეძენა 7ლარად, „პალიტრა მედია“ ამ სერიის მესამე წიგნთან ერთად ისევ შემოგთავაზებთ ბალზაკის „შაგრენის ტყავს“ სპეციალურ ფასად!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერებო წიგნის შესაძენად დაგვიკავშირდით: **ტელ: 38 26 73; 38 26 74**

კურიერი ყოველ წიგნს ადგილზე მოგართმევთ. **„ელვა.ჯი“**

„ჩვენი შვილები“ — „საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის“ ფილმის პრემიერა

ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე ორგანიზაციამ — „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ ფილმის — „ჩვენი შვილები“ პრემიერით აღნიშნა. ფილმში მნიშვნელოვანი პრობლემაა განხილული — მზრუნველობის სისტემიდან მოზარდების გასვლის შემდგომი ცხოვრება. „ჩვენი შვილები“ ორგანიზაციის დაკვეთითაა გადაღებული. რეჟისორი ზურაბ ინაშვილი გახლავთ. „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ ახალგაზრდებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე დამოუკიდებლობისთვის ამზადებს. ორგანიზაციის ფარგლებში, თბილისსა და ქუთაისში 12 სახლია, სადაც „ბავშვთა სოფლის“ აღსაზრდელები ოჯახებად ცხოვრობენ — ჰყავთ „დედა“, „და-ძმები“...

ფილმის პრემიერაზე „ჩვენი შვილების“ პერსონაჟები (ფილმი დოკუმენტური გახლავთ) იმყოფებოდნენ. ისინი „ბავშვთა სოფელში“ აღიზარდნენ, დღეს კი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზად არიან...

ეთო ყორღანაშვილი

კოტე გახარია, *25 წლის:*

— ბავშვთა სოფელში“ 8 წლის ასაკში მივედი. იქ 11 წელი გავატარე. დღეს უკვე დამოუკიდებლად ვცხოვრობ. საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ვარ. ამჟამად, „ბინის შეძენის პროგრამის“ ეტაპზე ვიმყოფები. ფილმშიც აღვნიშნე, რომ ჩემს მომავალზე ვფიქრობ — მინდა, ოჯახი შევქმნა.

— **„ბავშვთა სოფელში“ ვინ მიგიყვანა?**

— ბიძამ. მშობლები ცოცხლები არ მყავს. წლინახევრის ვიყავი, როცა დედა სიმსივნით გარდაიცვალა. 7-8 წლის ასაკში, მამაც დამეღუპა და მარტო დავრჩი. ჩემმა ნათესავებმა ჩემი აღზრდა ვერ შეძლეს. ამიტომ „ბავშვთა სოფელში“ მოვხვდი. მის შესახებ ბევრმა ადამიანმა იცის, საზოგადოების ნაწილი კი მას ბავშვთა სახლთან აიგივებს. სინამდვილეში, ბავშვთა სახლი და „ბავშვთა სოფელი“ ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულია — ფაქტობრივად, ოჯახში გავიზარდე!

— **„ბავშვთა სოფელში“ რამდენი „და-ძმა“ გყავდა?**

— 7 ბავშვი ვიყავით. მათთან და „დედასთან“ დღესაც ვურთიერთობ. მართალია, ჩემი ბიოლოგიური დედა არ არის, მაგრამ დღეს თუ რამეს წარმოვადგენ, „დედის“ დამსახურებაა. „და-ძმებთან“ ისეთი ურთიერთობა მქონდა, როგორიც ჩვეულებრივ დედმამიშვილებს აქვთ ხოლმე. დღეს ერთმანეთთან შესახვედრად დროს იშვიათად ვპოულობთ — ზოგმა ოჯახი შექმნა, ზოგი მუშაობს, მაგრამ როცა ვხვდებით, ჩვენს ბავშვობას სიამოვნებით ვიხსენებთ.

— **„საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის“ პროგრამის ეტაპიდან ეტაპზე გადასვლა არ გიჭირდა? ალბათ ყველაზე მტკივნეული, „ბავშვთა სოფლიდან“ „ახალგაზრდულ ცენტრში“ გადასვლა იყო, არა?**

— ეს მართლაც ძალიან რთული იყო, რადგან „დედას“, „ოჯახს“ მომწყვიტეს. „ახალგაზრდულ ცენტრში“ პედაგოგი, ფსიქოლოგი ქალაქის გარემოსთან ადაპტაციაში გვეხმარებოდნენ. ყველაფერმა კარგად ჩაიარა — ცხოვრების ასპარეზზე გავედი.

— **„ახალგაზრდულ ცენტრში“ რამდენი ხანი დაყავი?**

— 4 წელი. თან ინსტიტუტში ვსწავლობდი. სპორტითაც ვიყავი დაკავებული... ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე. ამჟამად მარტო ვცხოვრობ. 3 წელი ბინის ქირას ორგანიზაცია მიხდიდა, 23 წლის ასაკიდან კი დამოუკიდებლად ვცხოვრობ.

— **არ გიჭირს?**

— რთულია, მაგრამ „ვებღაუჭები“ ცხოვრებას (*იღიმის*)...

— **ნათესავებთან ურთიერთობა თუ გაქვს?**

— არ მინდა, ჩემი წარსული დავივიწყო. ბიძაშვილები, ბიძები, ბიცოლები მყავს. მათ ვხვდები ხოლმე.

— **ახლა ბინის შეძენას აპირებ?**

— კი. მინდა, ჩემს საკუთარ ბინაში ვიცხოვრო. თანხას წლების განმავლობაში ვაგროვებდი. მიზერული თანხა შეგროვდა. ჩემს დახმარებას ორგანიზაცია ცდილობს.

— **იმის გამო, რომ „ბავშვთა სოფელში“ გაიზარდე, საზოგადოებისაგან „სხვანაირი“ დამოკიდებულება ხომ არ გიგრძნია?**

— ასეთი შემთხვევები ყოფილა, მაგრამ ბუნებრივად მიმიღია, რადგან მზად ვიყავი: ჩემ გარშემო მყოფები ყველანაირად ცდილობდნენ, სხვადასხვაგვარი პრობლემისათვის მოვემზადებინე. დღესაც არის შემთხვევები, როცა ახალგაცნობილი ადამიანი „სხვა თვალით“ მიყურებს...

— **დოკუმენტურ ფილმში შენს პირად ცხოვრებაზე საუბარი არ გაგიჭირდა?**

— არა, დასამალი რა მაქვს?!

უბრალოდ, ტელეკამერის წინ „მუშაობა“ გამიძნელდა (*იცინის*)...

თეიმურაზ ნარიმანიძე, *23 წლის:*

— თავდაპირველად, მე და ჩემს ძმას დედა გვზრდიდა, მაგრამ რომ გაუჭირდა, მისთვის საუკეთესო გამოსავალი „ბავშვთა სოფელში“ ჩვენი მიყვანა იყო. ეს ძალიან წარმატებული ნაბიჯი აღმოჩნდა — ცხოვრებაში წინ წაგვწია, განათლება მოგვცა... „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ არის ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია უზარმაზარ სიკეთეზე და ამ სიკეთისაგან არაფერს ელის. ეს „გენიალური“ ორგანიზაცია ჰერმან მაინერმა შექმნა. დღეს ეს ადამიანი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მის საქმეს ჰელმუტ კუტინი აგრძელებს. ორგანიზაცია 130-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს და მისი წარმომადგენლები ქველმოქმედებას ეწევიან: იბრძვიან იმისთვის, რათა გაჭირვება არც ერთმა ბავშვმა არ ნახოს...

— შენს ბიოლოგიურ ოჯახზე რას მეტყვი?

— ტყუპისცალი ძმა და დედა მყავს. ამჟამად, დედა საბერძნეთში არის. მე და ჩემი ძმა ერთად ვცხოვრობთ, ვმუშაობთ — ჩვენი შემოსავალი გვაქვს. ჩემი ძმა ისევ ორგანიზაციაშია, მე — არა. შესაბამისად, ძმა ორგანიზაციისგან დახმარებას იღებს. ჩემს „დედასთან“, პედაგოგებთან დღემდე ვურთიერთობ.

— შენ და შენი ძმა ერთ „ოჯახში“ ცხოვრობდით?

— ორგანიზაციაში, ბიოლოგიურ დაძმას ერთმანეთს არ აშორებენ. ერთ „ოჯახში“ ვიცხოვრეთ, „ახალგაზრდულ სახლშიც“ ერთად ვიყავით და ახლაც ერთად ვართ. მალე ალბათ ჩვენ-ჩვენს ოჯახს შევქმნით და დაშორება მოგვიწევს, თუმცა „დაშორება“ პირობითად ნათქვამია...

— ორგანიზაციაში შენ რატომ აღარ ხარ?

— ორგანიზაციას აქვს პირობები, რომლის საფუძველზეც ბავშვები სხვადასხვა ეტაპზე გადადიან. სამწუხაროდ, მესამე ეტაპზე რომ გადავედი, პირობები ვერ დავაკმაყოფილე ანუ უნივერსიტეტში ჩაბარება არ მიცდია. ამიტომ ორგანიზაციასთან ფორმალური ურთიერთობა შევწყვიტე.

— სწავლის გაგრძელება რატომ არ სცადე?

— კარგი სამსახური მქონდა, ჩემი შესაძლებლობების გაფართოება არ მიცდია... მაგრამ არც ახლაა გვიან — შეიძლება, უმაღლესი განათლების მიღებაზე ვიფიქრო, ოღონდ — საკუთარი ხარჯით. ამის საშუალებას ჩემი ამჟამინდელი სამსახური მაძლევს: ერთ-ერთ რესტორანში მიმტანად ვმუშაობ. ჩემი ძმა „ჯავახიშვილში“, რეჟისურის ფაკულტეტზე სწავლობს.

— ბიოლოგიურ და აღმზრდელ დედებზე რას გვეტყვი?

— ბიოლოგიური დედა და „ბავშვთა სოფელში“ ჩემი აღმზრდელი „დედაც“ არაჩვეულებრივი ადამიანები არიან: ბიოლოგიურმა დედამ გაუძლო იმას, რომ მისგან შორს ვიყავით. „მეორე დედა“ მასზე ნაკლებად არ მიყვარს. მასა და მის მსგავს ადამიანებს უმაღლესი პრემიები ეკუთვნით, რადგან შეუძლიათ, სხვისი შვილი საკუთარი შვილივით აღზარდონ! ეს ძალიან დიდი ადამიანურობის მაჩვენებელია.

— მამასთან ურთიერთობა არ გაქვს?

— მამას არ ვიცნობ... მე და ჩემი ძმა ძალიან პატარები ვიყავით, როცა ჩვენი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. რომ არ მოგატყუოთ, მამის ნაკლებობას ვერ ვგრძნობ, რადგან სხვებისაგან ბევრ სითბოს ვიღებ, თუმცა გარკვეულ ეტაპზე უმამობას მაინც განვიცდიდი...

— მამა თქვენ ბედით არასოდეს დაინტერესებულა?

— არ ვიცი, მაგრამ მისი მოძებნით მე არასოდეს დავინტერესებულვარ...

— ბავშვობაში, როცა ყველაფერს ალბათ კარგად ვერ აცნობიერებდით, ბიოლოგიური დედის მიმართ წყენა არასოდეს გაგჩენია იმის გამო, რომ მასთან არ იზრდებოდით?

გიორგი ნარიმანიძე *(თეიმურაზის ტყუპისცალი):*

— ერთადერთი გულისტკივილი მქონდა — რომ 9 წლის ასაკში ბიოლოგიური ოჯახის გარეშე ცხოვრება მიწევდა, თორემ

დედა არასოდეს გამიმტყუნებია: თავიდანვე ვაცნობიერებდი, რომ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის, „ბავშვთა სოფელში“ ცხოვრება ჩემთვის უკეთესი იყო. წელან „ბავშვთა სოფლის“ სადღეგრძელოს ვამბობდი... საქართველოში ამ ორგანიზაციის გახსნას ბატონმა ზვიად ბერძენიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. „ბავშვთა სოფელი“ იქ მყოფ ბავშვს ყველაფერს აძლევს, რისი მიცემაც დღევანდელ საქართველოში შესაძლებელია. ძალიან მინდა, ეს საქმე მხოლოდ ერთეულებზე დამოკიდებული არ იყოს. ვისურვებდი, „ბავშვთა სოფელს“ სხვებიც მიხმარებოდნენ და სხვა ქვეყნებზე დამოკიდებული აღარ ვყოფილიყავით. იმედია, ასე იქნება. თუ არა და, ჩვენ გავიზრდებით, წარმატებებს მივაღწევთ და „ბავშვთა სოფელს“ დავეხმარებით — ვეცდებით, მისი ყოფა უკეთესი გავხადოთ!.. ■

სოსო ფირცხალაიშვილი

ცნობილი ექიმი – მანუალური თერაპევტი

ლამაზი მოხდენილი ტანადობა
გოგონებში!
ხერხემლის გამრუდება (სქოლიოზი, ყიფოზი) ,
რადიკულიტი, ბრტყელ-ტერფიანობა,
ოსტეოქონდროზი
გულმკერდის დეფორმაცია, სიმაღლეში ზრდა

მის: ჯრწანისის ქ. 7 ა

ტელ: 75 06 14; 45 34 45; 890 75 06 14
მობ: 899 26 51 08; 899 53 49 07

როგორ შენდებოდა სამების საკათედრო ტაძარი

საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში ბევრი მშვენიერი ტაძარი აშენდა, მაგრამ წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, თავისი არქიტექტურით, მასშტაბითა და სიმბოლური დატვირთვით, მართლაც განსაკუთრებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი 8 საუკუნის განმავლობაში საქართველოში სხვა საკათედრო ტაძარი არ აშენებულა. ქრისტესშობის 2000 და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავთან დაკავშირებით, გრანდიოზული ტაძრის აშენების იდეა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს ეკუთვნის.

თეა ხურცილავა

1995 წლის 23 ნოემბერს, გიორგობას, ელიას მთაზე წმინდა სამების ტაძრის საძირკვლის გაჭრა დაიწყო — მას შემდეგ ზუსტად 15 წელი გავიდა. მშენებლობის ფონდის პრესსამსახურში გასაოცარი სიზუსტითა და გულმოდგინებით არის შემონახული მშენებლობის მიმდინარეობის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა, აღწერილია მშენებლობის ყველა ეტაპი და ის სირთულეები, რომლებიც თავად მშენებლებს გადახდათ თავს.

ენძელა მაჭავარიანი, *სამების ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:*

— 1988 წელს, როცა საკათედრო ტაძრის მშენებლობის პროექტზე კონკურსი გამოცხადდა, სტუდენტი ვიყავი და გაზეთ „თბილისის“ რედაქციაში გავდიოდი სტაჟირებას.

„როგორ ტაძარს ველით“ — ამ რუბრიკით, გაზეთში ტაძრის პროექტები განიხილებოდა. ამ თემამ დამაინტერესა და როცა 1995 წელს, მშენებლობაზე მივედი, აღმოვაჩინე, რომ ყველა სტატია შენახული მქონდა. როგორც იცით, კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდა. მეორე ტური 1990 წლის 29 სექტემბერს დასრულდა. კომისიამ, რომელშიც გადამწყვეტი ხმა კათოლიკოს-პატრიარქს ეკუთვნოდა, უპირატესობა არჩილ მინდიაშვილის პროექტს მიანიჭა. კარგად მახსოვს მისი გაბრწყინებული სახე. ის მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო. მუხლებზე დადგა და პატრიარქს, მადლობის სათქმელად, ისე მიუახლოვდა... თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ 1991-93 წლის მოვლენებმა ეს კარგი წამოწყებაც შეაფერხა, შემდეგ კი, როცა ქვეყანაში ვითარება შეიცვალა, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებითა და კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვაკურთხევით, მშენებლობის ფონდი შეიქმნა. ფონდის საპატიო თავმჯდომარეები — თავად უწმინდესი და საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე იყვნენ.

1995 წლის ზაფხულში ფონდის თავმჯდომარედ ირაკლი ანდრიაძე აირჩიეს. ამ დროისთვის გაზეთ „ქართველი ერის“ მთავარი რედაქტორი ვიყავი და როცა მსოფლიოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა ბართოლომეოსი საქართველოში ჩამობრძანდა, ქუთაისში მოსალოცად წასულ დელეგაციას მეც ვახლდი. იქ კიდევ უფრო კარგად გავაცნობიერე ამ ტაძრის მშენებლობის მნიშვნელობა და როცა შემომთავაზეს, საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით მემუშავა, ამ წინადადებას სიხარულით დავთანხმდი. 1995 წლის 29 ოქტომბერს, თბილისობის დღესასწაულზე, მისმა უწმინდესობამ ადგილი აკურთხა, ხოლო გიორგობას — 23 ნოემბერს საძირკვლის გაჭრა დაიწყო; 1996 წლის 3 მარტი გახლავთ დღე, როცა საძირკველში პირველად ჩაისხა ბეტონი. სხვათა შორის, საძირკველში მრავალი სიწმინდე და ძვირფასი ნივთი, მათ შორის — ქეთევან ბაგრატიონის საგვარეულო ბეჭედი, ქვებზე დაწერილი მორწმუნეთა გვარსახელები და სავედრებლები იქნა ჩატანებული.

ამ დიდებული მშენებლობის დაწყებას ბევრი სკეპტიკურად შეხვდა და ბევრი ცნობილი ადამიანი მშენებლობის მესვეურებს საყვედურობდა, — რა დროს ამოდენა ტაძრის მშენებლობაა, როცა ხალხს ლუკმაპური ენატრებაო?!. ანდა — რა საჭიროა ამხელა ტაძარი, ის ხომ მრევლით არასოდეს გაივსებაო... ჩვენი მიზანი, ტაძრის მშენებლობის მატიანის შექმნასთან ერთად ისიც იყო, რომ საზოგადოების ცნობიერება ამ დიდებული იდეის განხორციელებისთვის მოგვემზადებინა. გვჯეროდა, რომ პატრიარქის ლოცვას უფალი შეისმენდა. გვახსოვს და ასახულიც გვაქვს ტაძრის საძირკველში, ღია ცის ქვეშ გადახდილი წირვა-ლოცვები და პარაკლისები. საბედნიეროდ, ამ განწყობილებას ბატონი ედუარდ შევარდნაძეც იზიარებდა. სწორედ მან უწოდა სამებას საუკუნის მშენებლობა და

მისი უშუალო თხოვნით ჩაება მშენებლობის პროცესში უდიდესი ქველმოქმედი — ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც სამების ტაძრის ასაგებად დიდი თანხა გაიღო. მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, მშენებლებს სახელმწიფოც მხარში ედგა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის თანადგომის წყალობით მოგვარდა ტერიტორიიდან საშუალო სკოლის გადატანის, რადიოანძის დაშლის საკითხები და კიდევ სხვა პრობლემები, რომლებიც წლების განმავლობაში ტვირთად აწვა მშენებლობის ფონდს... საქმე ცარიელი ხელებითა და ენთუზიაზმით დავიწყეთ, ბევრი ადამიანი რამდენიმე წელი ისე ვშრომობდით, გასამრჯელოზე არც გვიფიქრია.

1998 წელს საკათედრო ტაძრის სამხრეთით, წმინდა ილია თეზბიტელის სახელობის ხის პატარა ეკლესია აიგო, სადაც დიდი ტაძრისთვის ლოცულობდნენ, მაგრამ 1999 წლის 2 მარტს, გამთენიისას, ხის ეკლესია გაურკვეველ ვითარებაში დაიწვა. მოგვიანებით იმ ადგილას ახალი ქვის ეკლესია აშენდა. როგორც ამბობენ, აქ ადრეც ყოფილა პატარა სალოცავი. მშენებლობა უბრალო შემოწირულობებით დაიწყო, მაგრამ 5 წლის განმავლობაში მუშაობა ფაქტობრივად, შეჩერებული გახლდათ. ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი ტაძრის მშენებლობის საქმეში 2000 წლიდან ჩაერთო და მისი ფინანსური მხარდაჭერით, გრანდიოზული ტაძარი აიგო. დღეს წმინდა სამების კომპლექსში 9 ტაძარი ფუნქციონირებს: ხარების, მთავარანგელოზის, წმინდა იოანე ნათლისმცემლის, წმინდა ნინოს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის, წმინდა ნიკოლოზის, ყოველთა წმინდანთა სახელობის, თორმეტი მოციქულის და წმინდა გიორგის სახელობის. სამების ეზოში აღმართულია წმინდა ილია თეზბიტელის სახელობის ტაძარიც და იქვეა წყალკურთხევის აუზი. 2003 წლის 6 დეკემბერს წმინდა სამების საკათედრო ტაძარზე ჯვარი აღიმართა.



ენძელა მაჭავარიანი:

— უმშვენიერესი ჯვარი, რომლის სიმაღლე 7 მეტრს აღემატება, რუსთავში დამზადდა. ღვთის მადლით მოსილი, მოოქრული ჯვარი სპეციალურად დამზადებული ურიკით შემოაბრძანეს. პატრიარქმა პარაკლისი გადაიხადა და ათასობით მსურველი ჯვარს ემთხვია. მორწმუნეები ჯვრის აღმართვას თვალს ადევნებდნენ. ამ დროს ქარმა დაუბერა და, — სანამ ხალხი არ დაიშლება, ჯვარს ვერ აღვმართავთო, — თქვა მშენებლობის ხელმძღვანელმა ირაკლი ანდრიაძემ. უწმინდესმა მრევლი ტაძარში იხმო და ბრძანა, — გულით ვილოცოთ, რათა ქარი ჩადგესო. ტაძარი ხალხით გაივსო. მალე მართლაც, ჩვენ თვალწინ სასწაული მოხდა — ძლიერი ქარი ჩადგა, უფალმა ხალხის ლოცვა შეისმინა, ჯვარი თითქოს ანგელოზებმა ააფრინესო, ისეთი სიზუსტით ჩაჯდა ნიშნულში, ტაძრის გუმბათზე... მოკლედ, საოცარი სანახაობა იყო. ამ დროს მრევლი გალობდა. ის წუთები არასდროს დამავიწყდება. ყველა ადამიანის შემოწირულობა სპეციალურ წიგნებშია ასახული. ვისაც საშუალება არ ჰქონდა, მოდიოდა და ითხოვდა — დაესაქმებინათ, რათა ამ გზით მაინც შეეტანა თავისი წვლილი. ბევრმა ოქროს ნივთი შესწირა ტაძარს, მაგრამ ყველაზე ამაღელვებელი იყო ის ფაქტი, რომ შესაწირავის ყულაბაში ქალის ქორწინების ბეჭედი აღმოვაჩინეთ. მან არც კი თქვა, ვინ იყო, მშენებლობას ისე შესწირა საქორწინო ბეჭედი.

2004 წლის 23 ნოემბერს ანუ გიორგობას ტაძარი ეკურთხა. 21 ნოემბერს, დილის 7 საათიდან, სამების ტაძარში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მორწმუნეები ჩამოვიდნენ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 9 ეპარქიის წინამძღვარმა სამების კომპლექსში განთავსებული 9 ტაძარი აკურთხა და ამის შემდეგ მღვდელმთავრებმა საზეიმო წირვა აღავლინეს.

ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან წმინდა სამების საკათედრო ტაძარი ყველაზე მასშტაბურია. იგი ძირითადად, ორი — მიწისზედა და მიწისქვეშა — ნაწილისგან შედგება.

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

ტაძრის საერთო სიმაღლე 101 მ, სიგრძე — 70,450 მ, სიგანე კი 64,68 მ გახლავთ. ჯვარი 7,5 მეტრის სიმაღლისაა. ლავრის მიწისქვეშა ნაწილში ორი სართულია. წმინდა სამების საკათედრო ტაძარს X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ნორმები უდევს საფუძვლად. ტაძარი ჯვრულ მოხაზულობაში ჩასმული ტრიკონქია, რვა ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით. ტაძარში მოხვედრა შესაძლებელია სამი მხრიდან — დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. მთავარი კარიბჭე დასავლეთ მკლავშია, რომელსაც გარედან ვრცელი გალერეა აკრავს. იქვეა სამრეკლო — წმინდა სამების საკათედრო ტაძრის სამრეკლო 3-სართულიან შენობას წარმოადგენს. მისი სიგრძე 20 მ, სიგანე — 8 მ, ხოლო

მთავარანგელოზის ტაძრის ფრესკა

ენძელა მაჭავარიანი

სიმაღლე 29,5 მ გახლავთ. 2001 წელს სამრეკლოს მესამე, ღია სართულზე 9 მომცრო ზარი დამონტაჟდა, ხოლო 8-ტონიანი „დედოზარი“ გუმბათში ჩამოიკიდა. ზარზე ერთ-ერთმა გერმანულმა ფირმამ იმუშავა, მისი გარე მხარე კი არჩილ მინდიაშვილისა და გია ჯაფარიძის მიერაა შესრულებული. ქართველებმა გერმანელებს ზარების ესკიზები და ყველა საჭირო პარამეტრი მიაწოდეს, მათ შორის — მისი ხმოვანების სპეციალური სანოტო ჩანაწერი, რომელიც კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა შექმნა. 2002 წლიდან სამრეკლოში წმინდა სამების ლავრის მამებმა დაიდეს ბინა.

ენძელა მაჭავარიანი:

— ტაძრის მშენებლობის დროს ყველა დეტალი პატრიარქთან თანხმდებოდა, თუნდაც — ჯვრის ფორმა, სიმაღლე. მისი უწმინდესობა დღეში რამდენჯერმე ამოდიოდა, ხშირად მუშებისთვის სადილი მოჰქონდა. პატრიარქის ნათელი თვალი და კეთილი გული სულ თან ახლდა მშენებლობას, ყველაფერს ხელით ეხებოდა. სხვათა შორის, სწორედ პატრიარქის ხელითაა შესრულებული სამების მთავარი ხატი და მის მიერ დაწერილი კიდევ რამდენიმე ხატი ამშვენებს ჩვენს ტაძარს. აქვე ფუნქციონირებს მამათა მონასტერი. სამონასტრო კომპლექსის ტერიტორია 13 ჰექტარზეა გაშლილი. ეზოში უნიკალური ჯიშის დეკორატიული ხეებია დარგული, რომლებიც პატრიარქის შერჩევითა და ბიძინა ივანიშვილის შეკვეთით, უცხოეთიდან ჩამოიტანეს. საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობაც იგეგმება. კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ამჟამად მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის მოხატვა მიმდინარეობს. მთავარი მხატვარი, კათოლიკოს-პატრიარქის ხელდასხმით, ბატონი ამირან გოგლიძეა. შეუძლებელია, ამ ფრესკებმა ადამიანი აღტაცებაში არ მოიყვანოს.

წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ცენტრში ახალგაზრდა სტუდენტების ნამუშევარი დგას — კათოლიკოს-პატრიარქის ტახტი-სავარძელი, რომელიც ეროვნული ორნამენტებითაა მოჩუქურთმებული. ქართული ორნამენტები და შტრიხები უდიდესი სიფაქიზით ამოუკვეთავთ ახალგაზრდა ოსტატებს. ტახტის წინ ფიანდაზად გაშლილი გობელენი კი მხატვრული ქსოვილების კათედრის ასპირანტების ხელითაა მოქსოვილი.

სამწუხაროდ, ტაძრის მშენებლობის პერიოდში 2 ადამიანი დაიღუპა, ხოლო მას შემდეგ, რაც გუმბათზე ჯვარი აღმართეს, თბილისში, გოლეთიანების სახლში საშინელი ტრაგედია დატრიალდა: დავით გოლეთიანმა ოჯახის წევრები ამოხოცა. ამ უბედურების შესახებ თავის დროზე ბევრი რამ დაიწერა. ხალხმა ეს ტრაგედია ჯვრის აღმართვას დაუკავშირა და ითქვა, რომ ამ პროცესში დავით გოლეთიანიც მონაწილეობდა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

ენძელა მაჭავარიანი:

— ეს უბედურება უმართებულოდ დაუკავშირეს სამების ტაძარში ჯვრის აღმართვას. ამ პიროვნების ვინაობა ტრაგედიის შემდეგ გახდა ჩვენთვის ცნობილი. როგორც გავარკვიეთ, მას ჯვართან შეხებაც არ ჰქონია. ჯვარი რუსთავში ს/ს „სარინში“ დამზადდა. ათასჯერ მაინც განვაცხადეთ, რომ ამ პიროვნებას იმ ტერიტორიაზეც კი არ გაუვლია. ჯვარი საპატრიარქოს გალვანურ საამქროში მოოქროვდა და რამდენადაც გამოვიკვლიე, იმ საამქროში დავით გოლეთიანს მხოლოდ ელექტროჩამრთველი შეუკეთებია... რაც ითქვა, სიცრუეა. არ ვიცი, ვის რაში დასჭირდა ამ ტყუილის გავრცელება. ჯვრის აღმართვაში მონაწილე ყველა ადამიანის ვინაობა აღწერილია ჩვენს არქივში. წიგნი გამოვეცით. ბევრი რამ ვერ მოხვდა ამ წიგნში, მაგრამ აქ უამრავი შრომაა ჩადებული. პირველი ეტაპი დასრულდა და იმდენი მასალა გვაქვს, რომ რამდენიმე ტომი შეიძლება გაკეთდეს. კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, უფლის სასწაულის იმედი გვაქვს და გვჯერა, ყველა სურვილი ასრულდება.

■

დასაწყისი იხ. გვ. 7

ფიგურა იყო როგორც საზოგადოებისთვის, ისე უცხოელი პარტნიორებისთვის. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით მის მიერ შემუშავებული კონცეფცია იმ დონეზეა შესრულებული, რომ მსგავსი დოკუმენტით არც ერთი სფერო არ გამოირჩევა. უშიშროების საბჭოს მდივნად გიგა ბოკერიას დანიშვნა კი იმაზე მეტყველებს, რომ საშინაო საქმეებში გადასაწყვეტი საკითხები მწიფდება და მათი განხორციელება სწორედ ბოკერიას უშუალო მონაწილეობით მოხდება. ისეთი აქტიური ფიგურის, როგორიც გიგა ბოკერიაა, უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელად დაწინაურება გასაკვირი ნამდვილად არ არის. რაც შეეხება ეკა ტყეშელაშვილს — მას რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად მუშაობა არ გაუჭირდება, რადგან იაკობაშვილმა კონცეფცია უკვე შექმნა და მისგან შემოქმედებითი ნაბიჯების გადადგმა პრაქტიკულად, საჭირო აღარ იქნება; ახლა მისი ფუნქცია — მხოლოდ დაწყებული საქმის გაძლიერება იქნება.

— საშინაო პოლიტიკაში რა ცვლილებებს შეიძლება ველოდოთ? როგორ გგონიათ — „სახალხო კრება“ შეძლებს, ოპოზიციაზე არაერთგზის იმედგაცრუებული ელექტორატის გულის მოგებას?

— ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო დროს ხელისუფლების მიერ საშინაო პოლიტიკაში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, უკმაყოფილების მუხტი ხელახლა იზრდება.

— კი, მაგრამ რამდენად შესაძლებელია, ხალხი იმ პოლიტიკურ ლიდერს გაჰყვეს, რომელიც ცოტა ხნის წინ პუტინს ხვდებოდა და ამას არც მომავალში გამორიცხავს?

— სულ ცოტა ხნის წინ სააკაშვილმაც გააკეთა განცხადება, რომ რუსეთთან დიალოგისთვის მზად არის. დღეს რუსეთის აგენტობაში ოპოზიციის დადანაშაულება ხელისუფლებას ხელს აღარ მისცემს, იმიტომ, რომ ხალხს ამის აღარ სჯერა. ისე, კარგი იქნება, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები მიხვდებიან, რომ ხალხი ქუჩაში რუსული ფულის კი არა, მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამო გამოდიან. ■

სახე

როგორია ჰოლივუდური ცხოვრება
და „ჯეკპოტის მოხსნის“ გულაშვილისეული ამბიცია

ძმები გულაშვილები მაია ბარათაშვილთან ერთად ჩაწერილი სიმღერითა და ამ სიმღერაზე გადაღებული კლიპით გახდნენ ცნობილები. მოგვიანებით მათ კიდევ ერთი კლიპი გადაიღეს, სადაც საკუთარი ნიჭი სტეპის ცეკვითაც გამოავლინეს. მას შემდეგ, საზოგადოებამ ძმების კარიერული წინსვლის შესახებ არაფერი იცოდა. ახლა ისინი კვლავ გამოჩნდნენ მუსიკალურ ასპარეზზე, კიდევ ერთი ვიდეორგოლი გადაიღეს და ისიც გვაცნობეს, რომ თურმე ახალგაზრდა მომღერლებს, უკვე ამერიკელი პროდიუსერი ჰყავთ.

ინტერვიუს ჩასაწერად, ირაკლი და თორნიკე გულაშვილები კლიპის რეჟისორთან, დაჩი დარჩიასთან ერთად რედაქციაში გვესტუმრნენ.

ნათია ჭივიძე

— როგორც ვიცი, თქვენი ბოლო კლიპი, რომელშიც სტეპს ცეკვავთ, დაჩი დარჩიამ გადაიღო. მას შემდეგ 6 წელი გავიდა და თქვენი ახალი კლიპის ავტორიც დაჩია. რატომ შეაჩერეთ არჩევანი მასზე?

თორნიკე:

— სწორედ იმ კლიპის გადაღებისას გავიცანით დაჩი და მას შემდეგ დავმეგობრდით კიდეც. მის ნიჭიერებაში ეჭვი არ გვეპარება და მას ყველანაირად ვენდობით, რადგან მიგვაჩნია, რომ ის პროფესიონალი და ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორია საქართველოში. მგონი, არ შევცდით, რადგან ჩვენი ახალი კლიპი მართლაც საინტერესო გამოდის...

ირაკლი:

— დაჩის მიერ გადაღებული პირველი კლიპი მართლაც ძალიან კარგი გამოვიდა და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, შემდეგი ვიდეორგოლის გადაღებაც მისთვის მიგვენდო. დაჩიმ როგორც კი მოისმინა ეს სიმღერა, მაშინვე წარმოიდგინა, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ახალი კლიპი; იცოდა, რომ ის მასაზე უნდა გაეთვალა.

თორნიკე:

— გარდა ამისა, უკვე კარგა ხანია, გვიცნობს, ჩვენი ხასიათი იცის და მისთვის უფრო ადვილი იყო სცენარის დაწერა. იცის, როგორ უნდა მოგვექცეს და როგორ აგვიხსნას, თუ რა უნდა გავაკეთოთ.

ირაკლი:

— ერთობლივი მუშაობის გამოცდილება გვაქვს და შესაბამისად, უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის.

დაჩი დარჩია:

— აბსოლუტურად გეთანხმებით. 6 წლის წინანდელსა და დღევანდელ პროექტს შორის ის სხვაობაა, რომ ესენი უკვე საკმაოდ დახვეწილები და გაზრდილები არიან. იმ ირაკლისა და თორნიკესგან საკმაოდ განსხვავდებიან. მათში უკვე საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება და პროფესიონალიზმი იგრძნობა.

— როგორ დაიწერა ახალი კლიპის სცენარი?

— როცა ნებისმიერ სიმღერას ვუსმენ, თუნდაც მასზე უკვე არსებობდეს ვიდეორგოლი, მაინც ჩემებური ვარიანტი წარმომიდგება თვალწინ. წიგნს რომ ვკითხულობ, იმ სიუჟეტსაც კადრებით ვხედავ. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. როცა მათი სიმღერა მოვისმინე, მაშინვე წარმომიდგა თვალწინ სცენარი, რომელიც აბსოლუტურად იგივე დარჩა გადაღების შემდეგაც. რაც ბიჭებს სიმღერის პირველი მოსმენისთანავე შევთავაზე, ის მოეწონათ და მათაც არაფერი შეუცვლიათ.

— ორიოდე სიტყვით, კლიპის შინაარსს ხომ არ გვიამბობ?

— კლიპი გადატვირთული შინაარსით არ გამოირჩევა. აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ ახალგაზრდული ვიდეორგოლი გამოვიდეს. შესაბამისად, მასში რამდენიმე ახალგაზრდა ადამიანი მონაწილეობს. თორნიკე და ირაკლი გზაზე მოდიან და მათ სხვადასხვა სიტუაციაში მყოფი მეგობრები უერთდებიან, რომლებიც მათ მოძრაობას იმეორებენ. კლიპში ქორეოგრაფიული დეტალებია, რომლებიც „ვერნისაჟის“ მოცეკვავემ, გიორგი ტორიაშვილმა დადგა. მასალა უკვე „შევყარე“ კომპიუტერში, ახლა მონტაჟის პროცესი მიმდინარეობს. მის პრემიერას კი ნოემბრის ბოლოს შემოგთავაზებთ. კლიპთან ერთად, ბიჭების ახალი ალბომის პრეზენტაციაც შედგება. ამ ალბომში, ამერიკულ სიმღერებთან ერთად, ქართული სიმღერებიც შევა, რომლებიც „სანო სტუდიაში“ იწერება.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, სიმღერა ინგლისურენოვანია. ვინ არის მისი ავტორი?

თორნიკე:

— ეს არის ჩვენი ამერიკელი პროდიუსერის, შელი ტომ ჰეიმის სიმღერა. ეს ადამიანი პროფესიონალი მუსიკოსი, გიტარისტი, კომპოზიტორი და პროდიუსერია — მოკლედ, ძალზე ნიჭიერი ადამიანია. მან რამდენიმე სიმღერა დაგვიწერა, რომელიც შვეიცარიაში, თილ კოლინზის სტუდიაში ჩავწერეთ.

ირაკლი:

— ამ კლიპის შემდეგ არ გავჩერდებით. რეპერტუარში კიდევ ბევრი სიმღერა გვაქვს და მომავალში ერთ-ერთ მათგანზე კიდევ გადავიღებთ მუსიკალურ რგოლს, რომლის ავტორიც კვლავ დაჩი იქნება.

— ახლა საქართველოში მოდა-შია, ახალი კლიპის პრემიერის პოპულარულ ტელეგადაცემაში გამართვა. თქვენ რომელზე შეაჩერეთ არჩევანი?

ᲓᲐᲩᲘ:

— პირველი სიუჟეტი „იმედის“ არხზე მომზადდა და ალბათ ექსკლუზივი მას ეკუთვნის. მაგრამ რომელი გადაცემის ფორმატში ჯდება ამ კლიპის ჩვენება, ალბათ თვითონ გადაცემის ავტორებმა უნდა გადაწყვიტონ. ამიტომ, ამ შეკითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არა გვაქვს.

— ალბომში შესატან ქართულ სიმღერებს ვინ გიწერთ?

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ:

— ადრე ზაზა წურწუმიასთან ვთანამშრომლობდით, რომელმაც რამდენიმე სიმღერა დაგვიწერა. ვაპირებთ, რომ სწორედ ის სიმღერები განვაახლოთ და მათი ახლებური ვარიანტი ჩავწეროთ. გარდა ამისა, ალბომში ჩვენი ნამუშევრებიც შევა, რომლებიც ჩვენს მეგობართან, ირაკლი მარუაშვილთან ერთად დავწერეთ. მოკლედ, საკმაოდ მრავალფეროვანი ალბომი გამოვა.

— საქართველოში რამდენ ხანს დარჩებით?

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ:

— ზუსტად არ ვიცით. ჯერჯერობით აქ ვაგრძელებთ ჩვენს კარიერას.

— ახლა წარსულში გადავიანაცვლოთ და ის მიამბეთ, როგორ მოხვდით ამერიკაში?

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ:

— 2004 წელს ამერიკაში, კერძოდ კი ჰოლივუდში, ხელოვნებაში მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა. ჩვენ, რასაკვირველია, სიმღერის განხრით წარვდექით მაყურებლის წინაშე. 3 მუსიკალურ ჟანრში მივიღეთ მონაწილეობა, ეს იყო: ჯაზი, პოპი და „მსოფლიო მუსიკა“. ამ უკანასკნელში ქართული სიმღერების პოპური წარმოვადგინეთ. ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი ავიღეთ. ჩემპიონებად დაგვასახელეს. ამ ჩემპიონატის მთავარი თავისებურება ის იყო, რომ ჟიურიში სხვადასხვა პროდიუსერი, ხმის ჩამწერი სტუდიის წარმომადგენლები ისხდნენ...

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ:

— სხვათა შორის, ჯაზის კატეგორიაში, რომელშიც ოქროს მედალი მოვიპოვეთ, სწორედ ის სიმღერა წარმოვადგინეთ, რომელზეც დაჩიმ პირველი კლიპი გადაგვიღო.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ:

— ჩვენი ამჟამინდელი პროდიუსერი სწორედ იმ ჟიურიში იჯდა. ერთი დღე გვქონდა, როცა მონაწილეები ამ ხალხს შეეხვდით და პირადად გავიცანით. ამ ჩემპიონატზეევ უამრავი მიწვევა მივიღეთ: ჩიკაგოდან, ნიუ-იორკიდან, ლოს-ანჯელესიდან. საქართველოში ჩვენი პროდიუსერი მაშინაც იყო და ახლაც არის ჩვენი მამა — დავით გულაშვილი. ერთობლივი მოლაპარაკების შედეგად გადავწყვიტეთ, რომ ხელშეკრულება საპროდიუსერო კომპანიასთან „ი-ეს-ემ ვორლს ზე მიუზიქ“ გაგვფორმებინა, სწორედ ამ კომპანიაში მუშაობს ჩვენი ამჟამინდელი პროდიუსერი. 2005 წელს ამერიკაში პირველი სიმღერების ჩასაწერად გავემგზავრეთ...

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ:

— დემოპაკეტი დავამზადეთ, რომელიც მერე სხვადასხვა სიმპოზიუმზე გავა. სწორედ ამ სიმპოზიუმებზე იყრიან თავს ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიცაა: „სონი ბი-ემ-ბი“, „უნივერსალი“ და ა.შ.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ:

— ეს ის ადგილია, სადაც შესაძლოა, ჯასტინ ტიმბერლეიკმა ან რიანამ ჩაგიარონ გვერდით და ხელი დაგიქნიონ...

— თქვენ გქონდათ მსგავსი შემოხვევა?

— ჯერჯერობით — არა, რადგან იქ არ ვყოფილვართ. იქ ჩვენი პროდიუსერი დადის და ჩვენთვის საინტერესო მოლაპარაკებებს აწარმოებს.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ:

— გვაქვს უამრავი შემოთავაზება, მაგრამ ჩვენ „ჯეკპოტს ვეძებთ“ — გვინდა, ისეთ კომპანიასთან ვითანამშრომლოთ, რომელიც შეძლებს, პირველივე ეტაპზე, საერთაშორისო მასშტაბით პოპულარულებად გვაქციოს. მოკლედ, დიდი ნახტომისთვის ვემზადებით. ამას რასაკვირველია, გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომ ვიდრე ჩვენი პროდიუსერი იქ მუშაობს, ჩვენ შემოქმედებით წინსვლას აქ განვაგრძობთ.

— ამერიკაში არ გიცხოვრიათ?

— არა. იქ მხოლოდ სიმღერების ჩასაწერად მივემგზავრებით. ორივე აქაურ უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობთ. უფრო სწორად, თორნიკემ უკვე დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტი, მე კი თეატრალურ უნივერსიტეტში, ბიზნესსამართლის ფაკულტეტზე ვსწავლობ.

— სრულიად არ გეტყობათ ასაკობრივი სხვაობა. რომელს გეკუთვნით ეს კომპლიმენტი, არ ვიცი.

— ალბათ მე.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ:

— მგონია, რომ მე მეკუთვნის: დიდი

შეხედულება ნამდვილად, არა მაქვს.

ირაკლი:

— ისე, ერთნაირი ტიპები ვართ, მაგრამ ხასიათით რადიკალურად განვსხვავდებით. ჩვენი გემოვნებაც არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ საქმის კეთებისას მართლა კარგად ვეწყობით და ერთმანეთს იდეებსაც ვაწვდით. მუსიკალური თვალსაზრისით, რაც მე მაკლია, ის თორნიკეს ნამდვილად აქვს და — პირიქით. ამის გამო, ჩვენგან ერთი კარგი, შეკრული „მუჭი“ გამოდის.

— არ ჩხუბობთ ხოლმე?

— ბავშვობაში უფრო ვჩხუბობდით, ახლა მხოლოდ ვკამათობთ, ისიც — საქმესთან დაკავშირებით.

თორნიკე:

— უცნაური იქნება, რომ ვთქვათ, საერთოდ არ ვჩხუბობთ-თქო. თითქმის თანატოლები ვართ, ერთ სახლში ვცხოვრობთ და რასაკვირველია, ხან ვჩხუბობთ, ხან — ვკამათობთ.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ამერიკაში, ერთ-ერთ კლუბში კონცერტიც გამართეთ...

ირაკლი:

— გვაინტერესებდა, იქაური მსმენელისთვის რამდენად მისაღები და საინტერესო

იქნებოდა ჩვენი სიმღერა და სტილი. როცა იქაურები ჩვენით დაინტერესდნენ, მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სიმღერას უნდა გავყვეთ, ბოლომდე ვიბრძოლოთ და ოცნება ავიხდინოთ.

თორნიკე:

— იქ ძალიან კარგი პუბლიკაა, კარგი მაყურებლები და მსმენელები არიან. სიმღერის დროს ხმასაც გვაყოლებდნენ. ერთი კონცერტის შემდეგ, ავტოგრაფი რომ გვთხოვეს და ჩვენთან ერთად ფოტოს გადაღების სურვილი გამოთქვეს, მგონი, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ამით აჟიტირებულები ვიყავით. გარდა ამისა, იქაურ ტალანტშოუებშიც მივიღეთ მონაწილეობა, სადაც ე.წ. „ნიუ ფეისები“ გამოდიოდნენ.

— ამერიკელებთან კონტაქტი იოლად დაამყარეთ?

— საკმაოდ. ლიფტში აბსოლუტურად უცნობ ადამიანთან ერთად რომ მოხვდე, ძალიან შინაურულად თავისუფლად გამოგელაპარაკება...

ირაკლი:

— იქ ყველამ თავისი საქმე იცის. საქართველოში ნათესაური კავშირები წინა პლანზე რომ არის წამოწეული, იქ ასე არ არის. ყველა საქმეშია ჩართული და პროფესიონალურად უდგება. აქედან გამომდინარე, საქმიანი შეხვედრები და ურთიერთობები საკმაოდ წარმატებულია და ვფიქრობ, რომ მუშაობის ასეთი სტილი მისაღებია ჩვენთვისაც და ჩვენი მომავლისთვისაც.

თორნიკე:

— ჩვენი პროდიუსერის ცოლი „უორნერ ბრაზერსის“ ფილმების დიზაინერია. ისინი ხშირად ერთობლივ პროექტს აკეთებენ და ჩვეულებრივად უხდიან ერთმანეთს ხელფასს. ისე არ ხდება, — მოიცა, რა, ქალო, ჩემი და შენი რამ გაყოო?!. ასეთი მიდგომა ნამდვილად არა აქვთ. ისინი ცოლ-ქმარი მხოლოდ სახლში არიან.

ირაკლი:

— ყველაზე მეტად იცი, რამ აღმაფრთოვანა? ხმის ჩამწერ სტუდიაში შევედით, სადაც უშველებელ დარბაზში ერთი დიდი როიალი იდგა. მივუსხედით ამ როიალს და დაკვრა დავიწყეთ. სტუდიის ხელმძღვანელის თანაშემწემ გვითხრა, — იცით, რომ ამ როიალზე ალიშა ქეის, კრის მარტინს და ფინქს დაუკრავთო?! ამ ინფორმაციამ გადაგვრია...

თორნიკე:

— კრის მარტინსა და ფინქზე ისე ლაპარაკობდნენ, მათ თავს გადახდენილ ამბებს ისე ჰყვებოდნენ, თითქოს მათთან ხშირი კონტაქტი ჩვეულებრივი ამბავი იყოს.

ირაკლი:

— ამ დროს, ხომ წარმოგიდგენია, ამ ამბების მოსმენა ჩვენთვის რას ნიშნავდა?! იმედი გვაქვს, მოვა ის დრო, როცა ჩვენზეც იტყვიან, — ამ როიალზე ძმებ გულაშვილებს დაუკრავთო...

თორნიკე:

— ადამიანს მიზანი უნდა ჰქონდეს დასახული და მის მისაღწევად იბრძოლოს. შესაძლოა, ამბიციურად ჟღერს, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამ მიზნის მისაღწევად.

— თქვენს პროდიუსერს რომელიმე ცნობილ მომღერალთან თუ უმუშავია?

— არა. მას ახალბედა მომღერლები აჰყავს. ამჟამად მთლიანად ჩვენზეა გადმორთული. რომელ კომპანიაშიც უნდა მივიდეს, ყველას ჩვენს ჩანაწერებს უჩვენებს და ცდილობს, კარგი კონტრაქტი გვიშოვოს.

— ამერიკაში სასცენოდ, სახელები ხომ არ შეგიცვალეს?

— პროდიუსერმა პირველივე შეხვედრაზე გვითხრა, სახელი გაქვთ შესაცვლელიო. ამ საკითხზე იმიჯმეიკერებმა იმუშავეს და „2KUEL“ შეგვარქვეს.

— თქვენს ჩაცმულობაზეც მათ ხომ არ იზრუნეს?

— რამდენიმე ფირმასთან აქვთ კონტრაქტი, რომლებიც იქ ყოფნის დროს ჩვენს ჩაცმულობაზე ზრუნავენ.

— ირაკლი, ცალი ყური გახვრეტილი გაქვს და სხეულზეც რამდენიმე ტატუ ამოგიტვიფრავს. ეს დეტალიც მათი შერჩეულია?

— არა. მათ ნებართვა ვთხოვე და ტატუ ისე გავიკეთე. უბრალოდ, მომწონდა და იმიტომ. მაგალითად, თორნიკეს არ მოსწონს ეს ყველაფერი და არც აქვს. მას უფრო სოლიდური სტილი აქვს.

— თქვენი პროდიუსერის მეშვეობით, რომელიმე ცნობილ მომღერალს ხომ არ შეხვედრიხართ?

— არა. ერთ-ერთ ცნობილ დრამერს შევხვდით. ჰოლივუდის ერთ-ერთ ჯაზკლუბში ვიყავით, ის დრამერიც იქ იყო და ჩვენმა პროდიუსერმა გაგვაცნო. ამ დრამერს ბევრ ცნობილ მომღერალთან, მათ შორის სტივ უანდერთანაც კი დაუკრავს. გაცნობის შემდეგ, თავისი „უდარნიკის“ ჯოხები მაჩუქა.

— ისევ თქვენს ახალ კლიპს მინდა დავუბრუნდე. თუ ძირითადად საქართველოში ცხოვრობთ, კარგად გეცოდინებათ ქართული შოუბიზნესის დღევანდელი მდგომარეობა. როგორ ფიქრობთ — თქვენი ახალი სიმღერები და კლიპი მომგებიანი იქნება?

თორნიკე:

— მიმაჩნია, რომ ასეთ სიტუაციაშიც კი ყველაფრის გაკეთებაა შესაძლებელი. მართალია, სხვა მომღერლები კლიპებსაც აღარ იღებენ, რადგან საჭიროდ არ მიაჩნიათ, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ...

ირაკლი:

— ახლა საქართველოში ძირითადი აქცენტი პოლიტიკაზე კეთდება... ჩვენი კლიპის შინაარსიც ხომ ასეთია — გზას სიმღერით მივუყვებით, ხალხი თავის საქმეს ივიწყებს და ჩვენ მოგვყვება. ამ ვიდეორგოლით ხალხს გვინდა დავანახვოთ, რომ კვლავაც შესაძლებელია კლიპების გადაღება და სიმღერა. არ მომკვდარა ქართული შოუბიზნესი!.. ვუჩვენებთ, რომ ახალ, საინტერესო და თინეიჯერულ პროექტებს ვაკეთებთ. თუ საქართველოში უცხოელ თინეიჯერ მომღერლებს მხარს უჭერენ, რატომ არ შეიძლება, ასეთივე თანამედროვე აქაური ჯგუფი არსებობდეს, რომელსაც ხალხი მოუსმენს, ხოლო მის კონცერტზე დარბაზი გაივსება?!.

— თაყვანისმცემლებზეც მითხარით რამე...

— ნამდვილად ბევრი თაყვანისმცემელი გვყავს და ხშირად გვაწუხებენ კიდეც.

თორნიკე:

— უკვე ორი წელია, შეყვარებული მყავს, მაგრამ დაქორწინებას ჯერჯერობით არ ვჩქარობ, რადგან პირველ რიგში, მინდა, კარიერას მივხედო. ჩემი შეყვარებული ჩვენს ახალ კლიპშიც მონაწილეობს და ალბათ ყველა მაყურებელი მიხვდება, თუ გოგონებს შორის რომელია ჩემი შეყვარებული.

ირაკლი:

— კარგად დავაფიქსიროთ, რა: ჩემი გული თავისუფალია, არავინ მიყვარს; თუ ვინმეს მოვწონვარ, არ არის პრობლემა... ყოველთვის ვაფასებ იმ გოგონას, რომელიც ჩვენში მხოლოდ მუსიკალურ მხარეს კი არა, ადამიანურ თვისებებს აფასებს... შეყვარებულები მყოლია, მაგრამ როგორც ჩანს, ეს სერიოზული გრძნობა არ ყოფილა. ისე, ერთფეროვნება არ მიყვარს, მრავალფეროვნების მომხრე ვარ...

■

ნინო ჩხეიძის მზადება ობამასთან შესახვედრად და ალუფოთებული ინგა გრიგოლია

„სად მე და სად „ნაციონალები“?

ნინო ჩხეიძე, ინგა გრიგოლია, ნიკა არაბიძე, ანანო მჟავია — ეს ის რესპონდენტები არიან, რომლებიც „გზის“ დარტყმისთვის“ შევარჩიეთ. მათზე ამბები მოვიგონეთ (როგორც ინგა გრიგოლიამ თქვა, — ისეთი, თავში აზრად რომ არავის მოუვა), სრული სერიოზულობით ვაცნობეთ და კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ. ჩვენი პირველი „მსხვერპლი“ მომღერალი ნინო ჩხეიძე იყო. მასთან დაკავშირება რამდენჯერმე ვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ — ზარი გადიოდა და არ გვპასუხობდა. ბოლოს, მესიჯი მივწერე: შენზე კარგი ამბავი გავიგე, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გითხრა-მეთქი. 5 წუთიც არ იყო გასული, რომ დამირეკა.

თამუნა კვინიკაძე

პარტიიდან პარტიაში გადასვლას არ ვაპირებ, ეს ჩემთვის მიუღებელია!

ნინო ჩხეიძე:

— თამუნა, მაპატიე, მეძინა და ვერ გიპასუხე.

— **არა უშავს. ისეთი რაღაც უნდა გითხრა, რაც ნამდვილად გამოგაფხიზლებს.**

— რა ახალი ამბავი გაიგე?

— **დღეს კულტურის სამინისტროდან არავინ დაგკავშირებია?**

— არა, რა ხდება?

— **საინფორმაციო გადაცემებს თუ უყურებ?..**

— (*მაწყვეტინებს*) მითხარი, რა, ნუ მაწვალებ!

— **ალბათ იცი, რომ რამდენიმე დღის წინ სააკაშვილი ამერიკის პრეზიდენტს შეხვდა. დაახლოებით ერთ თვეში ობამა საქართველოში გვესტუმრება.**

— მერე, მე რა შუაში ვარ?

— **შეხვედრის ოფიციალურ და არაოფიციალურ ნაწილზე მზადებას უკვე იწყებენ. ხომ გახსოვს, ბუშს როგორი გრანდიოზული შეხვედრა მოვუწყვეთ?!**

— მახსოვს, როგორ არა!

ბევრი ახალი სიმღერა მაქვს

— **ამ შემთხვევაში, მომღერლებიდან მხოლოდ შენ გიწვევენ — პრეზიდენტებს ვახშამზე ქალაქური სიმღერები უნდა უმღერო.**

— ვაიმე!.. ძალიან მაგარია (*ცინინის*). ვინ თქვა, რომ მე უნდა ვიმღერო?

— **მიხეილ სააკაშვილმა შეგარჩია.**

— აღარ ვიცი, რა გითხრა. ძალიან, ძალიან გამახარე.

— **ეი. თანახმა ხარ, მონაწილეობა მიიღო?**

— „იასნია“!..

— **დრო გაქვს და შეგიძლია, 1-2 ახალი სიმღერაც მოამზადო.**

— რა ვიცი... როდის ჩამოდის?

— **წინასაახალწლო დღეებში გვესტუმრება.**

— ბევრი ახალი სიმღერა მაქვს და...

— **ისე, ობამასთვის შენ ნებისმიერი სიმღერა ახალი არ იქნება?**

— აბა, რა!

— **ნინო, უნდა დაგემშვიდობო, მაგრამ ჩემი ზარით ისე გაგახარე, აღარ ვიცი, სიმართლე როგორ გითხრა.**

— რა სიმართლე?

— **ეს „გზის“ დარტყმა“ იყო.**

— მომატყუე?.. არადა, კარგი ტყუილი იყო. გული დამწყდა, რომ სიმართლე არ არის.

— **ინგა, გუშინ „ნაციონალებს“ პარტიის ოფისში დიდი თავყრილობა ჰქონდათ. მართალია, შეხვედრა დახურული იყო, მაგრამ ხომ იცი, ასეთი მოლაპარაკებიდან ხმები მაინც გამოდის ხოლმე.**

ინგა გრიგოლია:

— რა თქმა უნდა, გეთანხმები! და რა გაიგე?

— **შენთან შეხვედრას და მოლაპარაკებას აპირებენ.**

— ჩემთან შეხვედრას? რატომ?

— **მათ რიგებში გადასვლას გთხოვენ და სანაცვლოდ, სიის პირველ ნომრად დასახელებას გთავაზობენ.**

— არა, ჩემო კარგო, ეტყობა, ამ ხმებს სპეციალურად ავრცელებენ. მერწმუნე, „ნაციონალი“ მაღალჩინოსნები იმდენად ვერ მიტანენ, რომ მსგავსი რამ თავში აზრადაც არ მოუვათ. მათ იმდენჯერ დამიხურეს გადაცემა, რომ იძულებული გამხადეს, პოლიტიკაში წავსულიყავი.

— **პარტიებიდან მაშინაც ხომ გქონდა შემოთავაზებები?**

— ნამდვილად მქონდა, მაგრამ „ნაციონალებისგან“ — არასდროს. ყველამ იცოდეს, რომ ტელევიზიიდან ტელევიზიაში „მოგზაურობის“ მსგავსად, პარტიიდან პარტიაში გადასვლას არ ვაპირებ, ეს ჩემთვის მიუღებელია!

— **მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობას გთავაზობენ...**

— „ქრისტიან-დემოკრატებს“ საპარლამენტო არჩევნებში ისეთი შედეგი გვექნება, რომ პირველ და მეორე ადგილს „ნაციონალებს“ იქით შევთავაზებთ.

— **ვინმე ხომ არ გყავთ შეგულებული?**

— არა, რა თქმა უნდა, ვხუმრობ.

— **ჩვენც გეხუმრეთ.**

— მართლა (*ცინინის*)? პასუხი ხომ ძალიან სერიოზული იყო?!.

— **ნამდვილად.**

— ტყუილი რომ იყო, მივხვდი, მაგრამ... აბა, სად მე და სად — „ნაციონალები“? ისინი დასანახავად ვერ მიტანენ.

— **ნიკა, როგორ ხარ?**

ნიკა არაბიძე:

— კარგად. ჟურნალ „გზას“ მივესალმები.

— იცი თუ არა, რომ სამუშაო ადგილის შეცვლას გიპირებენ?

— რაა? ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს...

— ძალიან მალე გეტყვიან, მაგრამ მათ დავასწარი და დაგირეკე.

— ხომ არაფერს მატყუებ?

— არ ვხუმრობ, სერიოზულად გეუბნები. როგორც მითხრეს, ქუთაისის თეატრის მმართველის მოადგილის ვაკანსიაზე შენი კანდიდატურა განიხილება.

— არ არსებობს, ეს ინფორმაცია ტყუილი იქნება.

— რა ვიცი, სანდო წყაროსგან გავიგე... ოლონდ, მათი პრობის თანახმად, თურმე ამჟამინდელი სამუშაო უნდა მიატოვო.

— შემოთავაზებას დაველოდები (*იცინის*).

— ანუ მათ წინადადებას დათანხმდები?

— მე ეგ ყველაფერი ჭორი მგონია... მართალიც რომ იყოს, ვერ წავალ, მშვენიერი სამსახური მაქვს.

— გასაგებია, მაგრამ ეს წინადადება უფრო სერიოზული არ არის?

— შეიძლება არის, მაგრამ მაგ თანამდებობაზე საკუთარი თავი ვერ წარმომიდგენია.

— გასაგებია... ისე, ეს „გზის“ დარტყმა“ იყო.

— რაღაცას კი მიგიხვდი, მაგრამ ისე სერიოზულად მელაპარაკე, ცოტაც რომ გაგეგრძელებინა, ბარგის შეკვრას დავიწყებდი (*იცინის*).

— ანანო, „ჯეოსელთან“ რამე კონტრაქტი თუ გაქვს გაფორმებული?

ანანო მუჯავია:

— კონტრაქტი? რატომ მეკითხები?

მშვენიერი სამსახური მაქვს

თქვენს მახეში რამდენჯერ უნდა გამაბათ?!

— მაქვს ინფორმაცია, რომ ამ კომპანიის ხელმძღვანელობა შენით, როგორც წამყვანით, უკმაყოფილია. მომავალი წლის „ჯეოსტარში“ შენს შეცვლას აპირებენ.

— არა მგონია, ასე იყოს.

— ასეთი თავდაჯერებული რატომ ხარ?

— ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ გავრცელდებოდა. ვფიქრობ, სიცრუეა.

— დუტამ ყველაფერი იცის. ნუთუ, მას მაინც არ უთქვამს რამე?

— არა... ისე, გამორიცხული არაფერია. ჩემს ადგილას ვის ვიხილავთ?

— რამდენიმე კანდიდატურა განიხილება; მგონი, ანი მდივნიშვილიც დაასახელეს.

— ამ სიახლეს მივესალმები, რადგან თავის დროზე მეც სხვა შევცვალე.

— გული არ დაგწყდება?

— რა თქმა უნდა, დამწყდება, რადგან ეს კონკურსი ძალიან მიყვარს.

— მგონი, აგანერვიულე, არა?

— არა უშავს.

— დამშვიდდი. მართალია, „ჯეოსტარის“ წამყვანად ვეღარ გიხილავთ, მაგრამ მარინა ბერიძე კულტურის სამინისტროში აპირებს შენს გადაყვანას.

— მართლა? ასეთ ამბებს საიდან იგებთ?

— ასეთი ამბები ჩვენთან ჩიტს მოაქვს.

— და სამინისტროში რა უნდა გავაკეთო?

— რა თანამდებობას შემოგთავაზებენ, არ ვიცი.

— რატომ იცინი, მატყუებ?

— გამოიცანი.

— თქვენს მახეში რამდენჯერ უნდა გამაბათ?! ჯერ მანერვიულე, მერე გამახარე.

— ხომ არ გეწყინა?

— არა (*იცინის*). საკუთარ თავზე ვბრაზობ — როგორ ვერ მიგიხვდი?!. ■

ეთო ყორღანაშვილი

პირად ცხოვრებაზე სასაუბროდ დათოს თავის „გრძელსათაურიან“ სამსახურში (ის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, იუსტიციის პოლკოვნიკი გახლავთ) ვეწვიეთ.

— საერთოდ, შეყვარებული ადამიანი მიმტევებლობით გამოირჩევა. მას ბევრი რამის სხვანაირად დანახვა შეუძლია. უფრო თბილია და ყოველთვის ცდილობს, ის სიყვარული შეინარჩუნოს, რომელსაც ვერ იყიდი. სიყვარული უფლისგან ნაბოძები ნიჭია, რომელიც ყველა ადამიანმა უნდა გამოიყენოს, სანამ ცოცხალია. მთელი ცხოვრება შეყვარებული უნდა იყო, რომ ამ წუთისოფლიდან წასვლა არ დაგენანოს — უკან რომ მიიხედავ, უნდა თქვა: ჩემი ცხოვრების გზა რა სიყვარულით გამივლიაო!

— ეს გრძნობა პირველად როდის გეწვიათ?

— საბავშვო ბაღში. ჩემი მასწავლებელი მიყვარდა. სამწუხაროდ, მისი სახელი და გვარი აღარ მახსოვს, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ გათხოვდა და გავებუტე — არ ველაპარაკებოდი. მაშინ დაახლოებით 3-4 წლის ვიყავი. ერთხელ ბაღში მასწავლებელი მეუღლემ მოაცილა, რომელმაც კანფეტები მომიტანა, მომეფერა (მაშინ ხუჭუჭა ვიყავი და ოქროსფერი თმა მქონდა)... შემომთავაზა: ნუ გაიბუტები, დავმეგობრდეთო. ამიხსნა, — მასწავლებელი შენზე უფროსია, რად გინდა?! მას მე შევირთავ და ჩვენ რომ გოგონა გვეყოლება, იმას გაგატან ცოლადო (*იცინის*).

— ვიდრე ბედს შეურიგდებოდით, „შეყვარებულის“ მიმართ სიყვარულს როგორ გამოხატავდით?

— ეგ არ მახსოვს, მაგრამ ბაღში ერთი გოგონა — მანანა დადიოდა. მას ვუყვარდი. თურმე ძალიან ეჭვიანობდა, მასწავლებელი რომ მიყვარდა... ჩემი სასიყვარულო ამბავი მთელი სერიალია! მანანა შავტუხა ბავშვი იყო და არ მომწონდა. ერთხელ, სკამზე ვიდექი და საბავშვო ბაღის ფანჯრიდან ვიყურებოდი. მანანამ „მოფერებით“ სკამი გამომიწია და ფანჯრიდან გადავვარდი. გადაკრეჭილ ბუჩქებში ჩავვარდი. ბეწვზე გადავურჩი სიკვდილს, ცხვირ-პირი „ჩამოხეული“ მქონდა. კინაღამ სიყვარულის მსხვერპლი გავხდი!

— სიყვარულის ამბავი როგორ განვითარდა? მანანას გრძნობა თქვენგან საპასუხო გრძნობით არ დაგვირგვინდა?

— არა, კაცო, რა ძალა მადგა?! ბავშვობაში არ მომწონდა და „დიდობაში“ მომეწონებოდა (*იცინის*)?..

— ცოტა უფრო სერიოზული გრძნობა როდის გეწვიათ?

— ალბათ, სკოლაში. ჩემი კლასელი გოგონა მიყვარდა (მის სახელსა და გვარს შეგნებულად არ დავასახელებ, ახლა თავისი ოჯახი აქვს). მერე ჩვენი კლასიდან გადავიდა. მართალია, შემდეგ უკან დაბრუნდა, მაგრამ მერე მე გადავედი სხვა კლასში. ამიტომ ჩვენი სიყვარულის ამბავი დამთავრდა.

დათო როსტომაშვილის 19-წლიანი, გაუხუნებელი სიყვარულის ამბავი

მსახიობსა და პაროდისტს — დათო როსტომაშვილს ოცნება აუხდა: ოცდამეერთე საუკუნის ქართულ კომედიურ ფილმში — „გარიგება“ გადაიღეს. ახალ „გარიგებაში“ დათო კახელი ჯენტლ-მენის, კლუბის გამგის — ჯიმის როლს ასრულებს. ზოგადად, გარიგების „ტრადიციასთან“ დათოს ოჯახის შექმნის ამბავს საერთო არაფერი აქვს, თუმცა ოქროსფერკულულებიანი ბიჭუნა (გაგიკვირდებათ და, ასეთი ყოფილა) წლების წინ კინაღამ სიყვარულის მსხვერპლი გამხდარა...

— მანძილი, დრო სიყვარულს ხომ ვერაფერს აკლებს!..

— მაშინ მეორე თუ მესამე კლასის მოსწავლე ვიყავი. შემდეგ, დაახლოებით, 12-13 წლის ასაკში, ჩემი მეზობელი გოგონა შემიყვარდა. მოგვიანებით მოვისმინე სიმღერა — „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურია“ — და სიყვარული „შევწყვიტე“! თავისუფალი გულით ვიყავი. სწორედ იმ დროს ჩემი გულის სწორი, თანამეინახე, ცხოვრების მეგობარი — ქალბატონი მაკა ტაბატაძე გამოჩნდა. მე 18 წლის ვიყავი, მაკა — ჩვიდმეტის. მოვკიდე ხელი და ცოლად მოვიყვანე!

— როგორ გაიცანით?

— მაკას ბავშვობიდან ვიცნობ. ის წარმოშობით სართიჭალიდანაა. ჩემი ნათესავები სართიჭალაში ცხოვრობდნენ და მათთან ჩავდიოდი ხოლმე. ყოველთვის მომწონდა, მაგრამ წინათ მის მიმართ სერიოზული გრძნობა არ მქონია. როცა სიყვარული მეწვია, ვუთხარი კიდეც და, როგორც ნორმალურ ოჯახებს შეჰფერით, ცოლად შევირთე. „ცოტათი“ მოვიტაცე.

— ეს რას ნიშნავს?

— მისმა ოჯახმა იცოდა, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. როცა ქალიშვილის ხელი ვთხოვე, შემპირდნენ, — პასუხს გაგაგებინებთო. 1991 წლის 4 აგვისტოს პასუხი უნდა ეთქვათ, მაგრამ არ შემატყობინეს. ამიტომ სართიჭალაში ჩავედი და მოვიტაცე!

— საავარაუდო პასუხის ხომ არ შეგეშინდათ?

— არა, უბრალოდ, უფროსი ცოლისდა უმაღლეს სასწავლებელში აბარებდა და ოჯახის წევრები ამ საკითხზე იყვნენ გადართულები. ამიტომ სართიჭალაში ჩავედი და მაკა „გამოვაქანე“!

— მანამდე შეყვარებულობის პერიოდი გაიარეთ, ხომ?

— კი, ოღონდ დიდი ხნის განმავლობაში — არა. იმ შეყვარებულების არ მესმის, 3-4 წელი „ბოდიალი“ რომ იციან: თუ საცოლეა, ადე, და მოიყვანე, კაცო!

— საკუთარ გრძნობაში გარკვევის შემდეგ რამდენ ხანში შექმენით ოჯახი?

— დაახლოებით, 2 თვეში.

— მეუღლესთან პირველი პაემანი გახსოვთ?

— ჩვენ პაემნებზე არ დავდიოდით. მაშინ მობილური ტელეფონი სად იყო, რომ დაგერეკა და გეთქვა, — შემხვდიო! მაკას მეზობელი ნათესავად მეკუთვნოდა, შეყვარებულთან თუ რამე მინდოდა, მას ვაბარებდი. ასე რომ, ჩვენი სიყვარულის „ხანუმა“ ქალბატონი ციცო იყო.

— ქალბატონ ციცო თქვენს შეხვედრებსაც ესწრებოდა?

— არა, გენაცვალე, იმას მხოლოდ ამბავი მიჰქონდა.

— ჰოდა, ქალბატონ ციცოს მიერ მიტანილი ამბის შედეგად დანიშნული პაემანი გაიხსენეთ.

— შეყვარებულთან შეხვედრას მღელვარება ყოველთვის თან ახლავს. მინდა გითხრა, რომ ბავშვობიდან „დიდი ბიჭი“ ვიყავი, დამოუკიდებლად ცხოვრებას მივეჩვიე. თეატრის გამო, ქალაქგარეთ გასვლა მიწევდა ხოლმე. 18 წლის ასაკში „დიდ ბიჭად“ მიმაჩნდა თავი. შეყვარებულს ვუთხარი: სიყვარულის ახსნას დიდხანს არ დაგიწყებ, მიყვარხარ და ცოლად უნდა მოგიყვანო-მეთქი! მერე მის ოჯახში ხელის სათხოვნელად მივედი. მართალია, ასაკს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენთვის ოჯახის შექმნა ნაადრევი იყო, მაგრამ ნაადრევი არაფერია, თუ ყველაფერი კარგად გვირგვინდება.

— თქვენ რჩეულის გული როგორ მოიგეთ? მის მიმართ სიყვარულს როგორ გამოხატავდით?

— სიყვარულზე წარსულ დროში ვერ ვილაპარაკებ, რადგან რაც წლები გადის, განელების ნაცვლად, ჩემი სიყვარული უფრო მძაფრდება. ჩვენი სიყვარულის ნაყოფს (3 შვილი გვყავს: უფროსი 18 წლისაა, შუათანა — თექვსმეტის, უმცროსი — 15 ნოემბერს თხუთმეტის ხდება, „ოქროს“ დაბადების დღე აქვს) რომ ვუყურებთ, როგორ შეიძლება, სიყვარული გახუნდეს?! როგორც აღვნიშნე, სიყვარული უფლის მიერ ნაბოძები გრძნობაა. რომ გეწვევა, უნდა ჩაებღაუჭო და არ უნდა გაუშვა! თავს უფლება არ უნდა მისცე, რომ გრძნობა გახუნდეს, გაფერმკრთალდეს.

— ამას როგორ ახერხებთ?

— მაქსიმალურად ვცდილობ, მეუღლეს სიურპრიზები მოვუწყო. როცა კოლმეურნეობის მოედანზე მოვხვდები ხოლმე, ყვავილებს ვყიდულობ (ყვავილები უყვარს) და გვიან ღამით მივართმევ — მაშინ, როცა ამას არ ელოდება.

— ამ მხრივ, შეყვარებულობის პერიოდში როგორ იქცეოდით?

— მაშინ კოლმეურნეობის მოედანზე ყვავილები არ იყიდებოდა...

— შეყვარებულს საჩუქრებით არ ანებივრებდით?

— ეს ურთიერთობა ისე ცოტა ხანს გვქონდა, რომ ვერ მოვასწარი. როცა ცოლი გახდა, მერე — კი. საერთოდ, საბანი სადამდეც გაგწვდება, იქამდე უნდა დაიფარო. თავი რომ გაიგიჟო და მერე 3 თვე ვალები ისტუმრო, ასეთი რაღაცები არ მიყვარს. სიურპრიზი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გააკეთო. სხვაგვარ საქციელს „უკუდო ამპარტავნება“ ჰქვია.

— 18 წლის ასაკში, როცა ოჯახი შექმენით, შემოსავლის წყარო გქონდათ?

— თეატრალური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. მუშაობა იმ სისტემაში დავიწყე, სადაც ახლა ვმუშაობ, მაგრამ მაშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი არ ერქვა, სხვა „სათაური“ ჰქონდა — საგამოძიებო იზოლატორი. იქიდან მოყოლებული, 18 წლის მანძილზე, ჩემი ოჯახი დამოუკიდებელი შრომით „მომყავს“. ოჯახის შექმნის შემდეგ, გარკვეული პერიოდი (დაახლოებით 6-7 თვე), მატერიალურად დამოუკიდებელი არ ვიყავი. მშობლები რისთვის არიან?! ცოტა ხანს „შეგინახავენ“. მაშინ სწავლაზე აქცენტი ნაკლებად კეთდებოდა. არეულობა იყო — სამაჩაბლოს, სამოქალაქო, სოხუმის ომები... იმ პერიოდში პოლიციაში დავიწყე მუშაობა. ჩემი მოკლე ჭკუა იყო, თუ ბრძნული აზრი, არ ვიცი, მაგრამ ვიფიქრე, რომ იმ პერიოდში თეატრს არანაირი პერსპექტივა არ ჰქონდა — თეატრში მუშაობით ოჯახს ვერ შევინახავდი. ამიტომ თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. თან ვმუშაობდი. 22 წლის ვიყავი, 3 შვილი რომ მყავდა. მაშინ არ მიკვირდა, მაგრამ ახლა რომ ვფიქრობ, ეს გმირობის ტოლფასია, მით უმეტეს — იმ დროს, როცა გაგანია ომი და უბედურება იყო!..

— თქვენ ოჯახის წევრების რეაქცია როგორი იყო, როცა 18 წლისამ ცოლის შერთვა გადაწყვიტეთ?

— ჩემი მეუღლის ოჯახს იცნობდნენ.

არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ — ჩემი სჯეროდათ. რადგან ვთქვი, ე.ი. ასე იყო საჭირო. საერთოდ, არა აქვს მნიშვნელობა, 20 წლის იქნები თუ 25-ის. ქართველი კაცის მენტალიტეტი ასეთია: ფიქრობს, — ჯერ შევქმნი ყველაფერს, ცხოვრებას ავიწყობ და ცოლს მერე შევირთავო; ასეთ ფიქრში 35 წლამდე „ადის“, ამ ასაკში ცოლის შერთვას კი ვეღარ რისკავს (ის მაინც ვერ შექმნა, რაც უნდოდა...). ამასობაში, ის ქალიც ბერდება, ვინც უყვარდა. მერე დანანებით ფიქრობს: ნეტავ, თავის დროზე მომეყვანა, ახლა ხომ შვილები გვეყოლებოდაო... ბედი კარზე როცა მოგადგება, ხელიდან არ უნდა გაუშვა — მორწმუნე კაცი ვარ და მჯერა, უნდა დაოჯახდე! სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ოჯახები ხშირად ინგრევა, განსაკუთრებით — ახალგაზრდებს შორის. წყვილები ამბობენ, — მომბეზრდაო! „მომბეზრდა“ რას ჰქვია, ფაფაა?! ახალგაზრდა თაობის ზოგ წარმომადგენელს გაჭაცება სიყვარული ჰგონია: გოგონა მოეწონება, „გააქანებს“ და ცოლად მოიყვანს, ცოტა ხანს ერთად იქნებიან, მერე ოჯახური ცხოვრება ან გოგოს ჰბეზრდება, ან — ბიჭს და არის ერთი უბედურება!

— როგორ ფიქრობთ — ოჯახურმა წყვილმა ცალკე, მშობლებისაგან დამოუკიდებლად უნდა იცხოვროს?

— ჩემი აზრით, თუ ამის საშუალებაა, როცა წყვილი უღლდება, მათ აუცილებლად ცალკე კუთხე უნდა ჰქონდეთ. უფროსებთან ერთად ცხოვრება ცუდი არაა — მათგან ბევრ რამეს ისწავლი, მაგრამ მაინც ცალკე ცხოვრება სჯობია.

— თქვენს შემთხვევაში როგორ იყო?

— თავდაპირველად, ჩემს მშობლებთან ერთად ვცხოვრობდით. უმცროსი დები მყავს (ახლა მათ საკუთარი ოჯახები აქვთ). ყველანი ერთად ვიყავით — 4-ოთახიანი ბინა გვქონდა და ვეტეოდით. ჩვენ შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა — სრული ჰარმონიით ვცხოვრობდით. მერე დები გათხოვდნენ. ჩვენ ახალ სახლში გადავედით. მე და ჩემი ოჯახი ახლა დედაჩემთან ერთად ვცხოვრობთ. ჩემი აზრით, ადამიანი 60 წელს რომ მიაღწევს, მას ცალკე სახლი უნდა ჰქონდეს. ამ თემაზე ვფიქრობ. უფლის შეწევნით, რაღაცას ვიზამთ.

— იქნებ, დედას თქვენთან ყოფნა ურჩევნია?

— თუ ცალკე გადავა, მისი ბინა აუცილებლად ჩემს სახლთან ახლოს უნდა იყოს.

— შვილების აღზრდაში აქტიურად მონაწილეობთ?

— ჩემი პროფესიის გამო, ძირითადად, გარეთ ვიყავი და ვარ, მაგრამ შვილების აღზრდაში მაქსიმალურად ვერთვები. ტრადიციების მიმდევარი, ცოტათი „აზიატი“ ვარ. ვცდილობ, შვილების აღზრდაში ჩემი როლი გამოკვეთილი იყოს — ეს აუცილებელიცაა.

— ე.წ. გარდატეხის ასაკში მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა რთულდება. თქვენს შვილებთან ეს პერიოდი როგორ დაძლიეთ?

— ნორმალურად. ჩემთან ურთიერთობა რთული არაა, მაგრამ ვაღიარებ, რომ მკაცრიც ვარ. შვილებთან ვმეგობრობ, მაგრამ გარკვეული დოზით სიმკაცრეც აუცილებელია.

— თქვენმა შვილმაც ადრეულ ასაკში დაოჯახება რომ გადაწყვიტოს, როგორ მოიქცევით?

— სიყვარულს გემო, ფერი, წონა, ასაკი და ზღვარი არა აქვს. თუ სიყვარული ეწვევა და შეყვარებული მისი შესაფერისი იქნება, პრეტენზიას არ გამოვთქვამ, მაგრამ ჩემი და დედამისის გამოცდილებიდან ვეტყვი, — თუ ეს სიყვარული შენი ბედია, არსად წავა, ოჯახის შექმნა არ უნდა იჩქარო-მეთქი. სტუდენტობა ისე უნდა გამოიყენო, რომ ის წლები შენი ცხოვრების ისტორიაში ოქროს ფურცლებად ჩაიწეროს! მთავარი მაინც მყარი სიყვარულია. ამას ვერ შევეწინააღმდეგები. როცა ოჯახში ეს საკითხი დგება, ამ სიტუაციაში მშობლის როლი ძალიან რთულია: შეიძლება, დაუშალო და მერე თავში ხელი შემოირტყა — ეს რატომ გავაკეთეო?! ამას წინასწარ ვერ განსაზღვრავ, ყველაფერი უფლის ნებით ხდება.

— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?

— სამშობიაროში, მთავარი ექიმის თანაშემწედ მუშაობს. მუშაობა ახლახან დაიწყო. მანამდე სახლში იყო და შვილებს ზრდიდა.

— მანამდე მუშაობის სურვილი არ ჰქონია?

— ბავშვებს დიდი ყურადღება სჭირდებათ. უბრალოდ, ახლა სამსახურში ყოფნა 4 დღეში ერთხელ უწევს, თუმცა მირჩევნია, ის 1 დღეც შინ იყოს და ბავშვებს მიხედოს.

— წელან ახსენეთ, — შეყვარებული თუ ჩემი შვილის შესაფერისი იქნებაო... ეს იმას ნიშნავს, რომ შვილის არჩევანში ჩაერევით?

— რა თქმა უნდა, ჩავერევი, — აბა, მკვდარი ხომ არა ვარ! ვისაც შვილები ჰყავს, იცის, შვილის აღზრდა რას ნიშნავს... ჩავერევი, თან — სერიოზული დოზით!

— შვილის აზრს ანგარიშს არ გაუწევთ?

— ანგარიში მაშინ უნდა გაუწიო, როცა სწორ ნაბიჯს დგამს. ბავშვი ცოცია: როგორც მოზელ, ისე გაფუვდება. სწორი მიმართულება თუ არ მიეცი, დაღუპულია!

— ზრდასრულმა, ჩამოყალიბებულმა რომ გადაწყვიტოს?

— ის ჩემთვის ყოველთვის პატარაა, ყოველთვის ჩემი შვილია, რა ასაკისაც უნდა იყოს! მის ცხოვრებაში ჩარევის უფლება ყოველთვის მაქვს...

— მყარი ოჯახის გარანტია რა არის?

— უპირველეს ყოვლისა, პიროვნებები — ცოლიც და ქმარიც. თუ გიყვარს, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, ყველაფერს შექმნი. როცა მარნეულში ვმუშაობდი, ქირითაც ვცხოვრობდით, სართიჭალაში მუშაობისას სიმამრთან ცხოვრება მომიხდა, მერე, სახლს რომ ვაშენებდით, ისევ ქირით ვცხოვრობდით... ეს საგანგაშო არაა — თუ მოსიყვარულე ცოლ-ქმარია (ძველი ანდაზისა არ იყოს), ცხოვრებას სიპ ქვაზეც მოიწყობს. ცხოვრება თითქმის ნულიდან ბევრჯერ დაგვიწყია, მაგრამ ღმერთის წყალობით, ყველაფერს თავი გავართვით — მშივრები და შიშვლები არა ვართ. სტაბილური საქმიანობა აუცილებლად უნდა გქონდეს. ოჯახში ყველაზე დიდი პრობლემა — უფულობაა. შეიძლება, ვიღაცამ სხვა მიზეზი დაასახელოს, მაგრამ უთანხმოება უფულობიდან იწყება. რა თქმა უნდა, ზედმეტი განებივრებაც არ შეიძლება. გადაჭარბებული არაფერი ვარგა — ყველაფერს თავისი ჩარჩო აქვს...

— დასაოჯახებელ წყვილებს რას უსურვებთ და რას ურჩევთ?

— კარგ ბედ-იღბალს, გაუხუნებელ, ორმხრივ, მართალ, შარავანდედიან, ჭეშმარიტ, წმინდა სიყვარულს ვუსურვებ! ვურჩევ — როცა სიყვარული ეწვევათ, საკუთარი თავი გამოსცადონ — ნამდვილი გრძნობაა თუ გატაცება? ნამდვილი სიყვარული ნიშანს თვითონ იძლევა... როცა გრძნობაში გაერკვევიან, არც მაშინ იჩქარონ — ცოტა ხანს რჩეულსაც დააკვირდნენ, მისი გრძნობაც ნამდვილია? თუ ნამდვილი სიყვარულია, ისეთი მჭიდრო ოჯახი შეიქმნება, რომელიც არასოდეს დაიშლება. ქართველ ერს მჭიდრო, ურღვევი ოჯახები დღეს განსაკუთრებით სჭირდება! ■

ერთ დღეში მოვარდნილი სიყვარული, ამოჩემებული სამოსი და კულინარიული ექსპერიმენტები

მერი კობიაშვილი

„ჯეოსტარის“ ჟიურის წევრები ბოლო დროს სულ უკმაყოფილონი არიან „ესემესების“ შედეგებით. არ მოსწონთ მაყურებლის გადაწყვეტილება. ამბობენ, რომ მათი კონცერტებზე ჯდომა და კონკურსანტების შეფასება აზრს კარგავს. მიუხედავად ამისა, პროექტის ორგანიზატორებს არ შეუძლიათ შეცვალონ კონკურსის წესები: „ჯეოსტარი“ ნაყიდი პროექტია და მასში ცვლილებების შეტანის უფლება არა აქვთ.

ლანა ჟუთაოელაძეს **გემოვნებაზე სასაუბროდ ვეწვიე. მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ „ჯეოსტარის“ ისტორიაში პირველად ხდება, როცა მაყურებლის და ჟიურის წევრების აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა.**

— ლანა, ალბათ „ჯეოსტარის“ კასტინგებზე ხშირად კამათობთ გემოვნებაზე.

— მე მგონი, ყველა ისედაც ყოველთვის გემოვნებაზე დაობს. „ჯეოსტარის“ კასტინგებზეც გვიწევს ხოლმე გემოვნების გამო კამათი. ამ შემთხვევაში უფრო მომღერლის პერსპექტიულობის გამო ვდაობთ. ვიღაც კონკურსანტში ვხედავთ საინტერესო მომღერალს, ვიღაცაში — ვერ ვხედავთ. მუსიკალური გემოვნება ჟიურის წევრებს ხშირ შემთხვევაში ერთნაირი გვაქვს.

— წელს „ჯეოსტარის“ 12 მონაწილეს შორის თუ იყო ისეთი კონკურსანტი, რომელიც თქვენს მუსიკალურ გემოვნებას არ აკმაყოფილებდა?

— მონაწილეს არ დავასახელებ, მაგრამ გეტყვით, რომ წელს იყო ასეთი კონკურსანტი. კასტინგებიდანვე მე ერთი კონკურსანტი არ მომწონდა. წინააღმდეგი ვიყავი, რომ ის 12 მონაწილეს შორის ყოფილიყო, მაგრამ ბოლოს დავთანხმდი. ვერ გეტყვით, ჭოლამ და მარინა ბერიძემ დამარწმუნეს-მეთქი, მე ჩემს აზრზე დავრჩი, მაგრამ ჟიურის ორი წევრის მოსაზრებამ გადაწონა და ის მაინც აღმოჩნდა „ჯეოსტარის“ ძირითად შემადგენლობაში.

— თქვენი შეხედულება გამართლდა?

— გამართლდა.

— მგონია, რომ ანი სირაძეზეა საუბარი...

— არ მინდა, დავასახელო. ძალიან ძნელია, წინასწარ რამის პროგნოზირება. ყოფილა შემთხვევა, რომ მე მომწონებია და კონკურსანტს არ გაუმართლებია იმედი. ძნელია ცოცხალ ბენდთან ერთად სიმღერა. შეიძლება, შენ მიერ მოწონებულმა ბავშვმა კონცერტებზე ვერ გამოიჩინოს თავი, ან პირიქით, კასტინგზე არ იყოს კარგი, მაგრამ მერე ბრწყინვალედ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. ეს ძალიან რთული და ხშირად არაპროგნოზირებადი პროცესია.

— როდესაც დაღლილი ხართ, როგორ მუსიკას უსმენთ?

— ხშირად მეკითხებიან, როგორი მუსიკა ან რომელი მწერალი მოგწონსო? „ფართო“ გემოვნება მაქვს. ვალდებული ვარ, ყველანაირ მუსიკას ვუსმინო, რომ საქმის კურსში ვიყო, მსოფლიო მუსიკალურ ინდუსტრიაში რა ხდება. მარტო რომ ვარ, არასდროს ვუსმენ პოპს. მაგრამ იმასაც ვერ გეტყვით, ჩემთვის მუსიკალურ ნაკრებს ვაკეთებ და ვუსმენ-მეთქი. სამსახურში ისე ბევრ სიმღერას ვუსმენ, რომ მართალი გითხრათ, სახლში მისულს არაფრის მოსმენის სურვილი აღარ მაქვს. ყველაზე მეტს მანქანაში ვუსმენ. ვუსმენ რადიო „სინდიკატს“ და ყოველთვის დავდივარ ჯაზფესტივალზე. ასეთია ჩემი არასამსახურებრივი მუსიკალური ცხოვრება.

— თქვით, რომ ძალიან იღლებით და სახლში სიმღერის მოსმენა აღარ გსურთ. განტვირთვის საუკეთესო საშუალება თქვენთვის რა არის?

— ყოველდღიური რეჟიმიდან გამომდინარე, თუ სამსახურში არა ვარ, ორი რამით ვარ დაკავებული: ჩემი შვილის სურვილების დაკმაყოფილებით და წიგნის კითხვით. უქმეებს სულ ჩემს შვილთან ერთად ვატარებ. როდესაც მას სძინავს, წიგნის კითხვას ვიწყებ.

— ახლა რას კითხულობთ? თუ, „ჯეოსტარის“ გამო, ამ სიამოვნებას მოკლებული ხართ?

— არა, სულ ვკითხულობ. სხვაგვარად არ შემიძლია. რაღაც პერიოდი ჩამოვრჩი ქართულ ლიტერატურას და თვალს ვერ ვადევნებდი. ამ დანაკლისს ახლა ვინაზღაურებ. ამჟამად დათო ტურაშვილის „ჩაძირულ გემს“ ვკითხულობ.

— საყვარელი მწერალი გყავთ?

— ამ კითხვაზე არასდროს მაქვს პასუხი. ყველა ასაკში სხვადასხვა ფავორიტი მყავდა. მთელი ცხოვრება რაღაც ან ვიღაც ვერ გეყვარება.

— როგორც ვიცი, არ მღერით.

— ახლა უკვე ვეღარ ვმღერი. ბავშვობაში კარგად ვმღეროდი და ვოკალისტის კარიერასაც კი მიწინასწარმეტყველებდნენ. უფრო სწორად, მეხვეწებოდნენ, რომ ამ გზას გავყოლოდი: როგორც ამბობდნენ, კარგი მეცოსოპრანო მქონდა, მაგრამ ეს შორეულ ბავშვობაში იყო. ერთი პერიოდი მასწავლებელთან მეცადინეობაც კი დავიწყე, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. დღეში 8-9 საათი სიმღერა არ შემეძლო. თუ ჩემს ცხოვრებაში სიახლე არ ხდება, ძალიან მწყინდება ხოლმე. ეს ცუდი თვისებაა. ამას სიამაყით არ ვამბობ. ბევრად სჯობია, ადამიანი ერთი რამით იყოს დაკავებული. მე ეს არ შემიძლია. ჰოროსკოპით ტყუპი ვარ და ალბათ იმიტომ. თუ სიმღერას ბევრ დროს არ დაუთმობ, კარგი ხელოვანი ვერ გახდები. საშუალო დონის მომღერლობა კი საშინელებაა. საშუალო დონის მომღერლობას სჯობია, საერთოდ არ იყო ამ სფეროში.

— ჩაცმულობასთან დაკავშირებით როგორი გემოვნება გაქვთ?

— ამ მხრივ, არაფრით გამოვირჩევი. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია. არ მიყვარს ძალიან მყვირალა სამოსი — ჩემზე არ მომწონს, მაგრამ როცა ადამიანი იხდენს ამ ყველაფერს, ძალიან კარგია. პირადად მე ვცდილობ, სადად გამოვიყურებოდე. მაცვია ის, რაშიც კომფორტულად ვგრძნობ თავს. არასდროს მივყვები მოდას. ჩემთვის მოდის ტენდენციები არ არსებობს. მუდმივად სადად მაცვია. ჩემი და და მარინა ბერიძე სულ მეჩხუბებიან ჩაცმის გამო — მეუბნებიან, რომ უნდა ვიყიდო ძვირად ღირებული ტანსაცმელი. მე კი ყველაზე მეტად, ტანსაცმელში ფულის გადახდა მენანება, რადგან ვფიქრობ, რომ ეს გადაყრილი ფულია. მარინა სულ მეუბნება, — არა გაქვს უფლება, სამსახურში იარო კედებით და დაგლეჯილი ჯინსითო!.. სულ ვამბობ, ძალიან ცოტა დრო დამრჩა, როცა კიდევ შემიძლია, ასე ვიარო და დამაცადეთ-მეთქი: მერე უკვე ასაკიც ისეთი მექნება, რომ დახეული ჯინსით ვეღარ ვივლი... ყველაზე კარგად ჯინსში, კედებსა და მაისურებში ვგრძნობ თავს. მეუბნებიან, — თინეიჯერი აღარა ხარ, ასე ნუ გაცვია, ხალხი გცნობს და არ შეიძლება ასე სიარულიო... შემიძლია, დილით თმაც არ დავივარცხნო, „კეპკა“ დავიხურო, სპორტულები ჩავიცვა და ისე გავიდე გარეთ. ჩაცმულობა ჩემთვის იმდენად უმნიშვნელო თემაა, რომ მწყინდება ამ თემაზე ლაპარაკიც, დროისა და ფულის დახარჯვაც.

— ფულის დახარჯვა რაში არ გენანებათ?

— ძალიან ბევრ რამეში. იმაში, რაც ჩემს შვილს სიამოვნებას მიანიჭებს, შემიძლია, ბოლო „კაპიკამდე“ გადავიხადო. ისე არ გაიგოთ, რომ მარტო მის კაპრიზებს ვაკმაყოფილებ. საერთოდ, ვგიჟდები საჩუქრების მირთმევაზე. მეგობრების და ახლობლების საჩუქრებში არასდროს მენანება ფული. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ არ მენანება ფულის დახარჯვა კვების პუნქტებში — ძალიან მიყვარს გემრიელი საჭმელი. მიყვარს მეგობრებთან ერთად, კაფეში ან რესტორანში შესვლა. ფულს მოგზაურობაშიც არ ვზოგავ. მოკლედ, სიამოვნებით დავხარჯავ ფულს ყველაფერში, ტანსაცმლის გარდა.

— გურმანი ყოფილხართ...

— გარკვეულწილად, ვარ გურმანი.

— არ გეტყობათ.

— არ მივეკუთვნები იმ კატეგორიას, რომლებიც ბევრს ჭამენ და წონაში არ იმატებენ. პერიოდულად ვიმატებ. მაგრამ მაქვს კარგი ნებისყოფა: შემიძლია, ორი კვირის განმავლობაში თავი ხელში ავიყვანო და სწრაფად ვთავისუფლდები ზედმეტი კილოგრამებისგან. იმ მდგომარეობამდე არ მიმყავს თავი, რომ მთელი წელი დიეტაზე ჯდომა დამჭირდეს.

— თქვენი საყვარელი საჭმელი რომელია?

— თითქმის ყველაფერი მიყვარს. ვგიჟდები მეგრულ სამზარეულოზე, მწარესა და მჟავეზე. ტკბილეული არ მიყვარს, იოლად შემიძლია, ჟარი ვთქვა ტორტზე, ნამცხვარსა და შოკოლადზე. შეიძლება, ესეც არის იმის მიზეზი, რომ წონაში ძალიან არ ვიმატებ. ვერასდროს ვიტყვი უარს მწვადზე, ხინკალზე, კუჭმაჭზე. მიყვარს ჩინური სამზარეულო. არანაირ საჭმელზე არ ვამბობ უარს — როგორ შეიძლება, ამხელა სიამოვნებაზე უარი თქვა?!.

— საჭმელების მომზადებაც გიყვართ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, მიყვარს, უბრალოდ, იშვიათად მიწევს საჭმლის მომზადება. იყო ჩემს ცხოვრებაში პერიოდი, როცა ბავშვი ახალი გაჩენილი მყავდა და სახლში ყოფნა მიწევდა, მაშინ ვამზადებდი საჭმელებს. ეს ჩემთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. მიყვარს ექსპერიმენტები. მე თვითონ ვიგონებდი რაღაც კერძებს და ისიც ძალიან გემრიელი გამომდიოდა. ჩემს ოჯახში სწორი, კარგი და გემრიელი კვება ნამდვილი ტრადიციაა.

— როგორი მამაკაცები მოგწონთ?

— ამ თემაზე საუბრისას ყოველთვის მეცინება. შეიძლება, ერთი ტიპის მამაკაცი მოგწონდეს და სულ სხვა შეგიყვარდეს. ახლა შემიძლია გითხრათ, რომ მომწონს სერიოზული და საქმიანი მამაკაცები (ვინმეს სხვანაირი მოსწონს?..), მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, შეიძლება, აბსოლუტურად საწინააღმდეგო თვისებების მქონე ადამიანი შემიყვარდეს. მაგალითს მოვიტან: ამ თვისებებისგან სრულიად განსხვავებული იყო ჩემი მეუღლე, რომელიც ერთ დღეში შემიყვარდა. მეორე დღეს ერთად დავდიოდით და ერთ თვეში დავქორწინდით.

— თქვენი ყოფილი მეუღლე სერიოზული და საქმიანი არ იყო?

— (*იცინის*) არა. ერთადერთი თვისება, რომლის გარეშეც მამაკაცი ჩემთვის არ არსებობს, ეს არის გონიერება. შტერ ადამიანს ვერ შევეგუები. სხვებსაც ვეუბნები ხოლმე, — წინასწარ ნუ დაახასიათებთ მამაკაცს, რომელიც შეგიყვარდებათ-მეთქი: როცა სიყვარული მოდის, იქ ბევრ რამეს ვეღარ ამჩნევ.

— გარეგნობას არ ანიჭებთ მნიშვნელობას?

— არც ამ საკითხში მაქვს კონკრეტული აზრი ჩამოყალიბებული. თეორიულად, მსუქანი მამაკაცები არ მიყვარს, ასეთი მამაკაცისკენ ალბათ არასდროს გამექცევა თვალი. მაგრამ ურთიერთობისას შეიძლება, ისეთი საინტერესო ადამიანი აღმოჩნდეს, რომ კაცმა არ იცის, რა მოხდება. გარეგნობა ადამიანისთვის პირობითი მახასიათებელია. ძალიან ლამაზი მამაკაცები არ მიზიდავს, იმიტომ, რომ მგონია — სილამაზის მიღმა სიცარიელეა, მაგრამ ესეც არ არის დოგმა...

— თქვენ ხართ გადაცემების — „ბრავო“, „ჯეოსტარი“, „ანა-ბანა“ — მუსიკალური ხელმძღვანელი. ყველაზე მეტად რომელი მოგწონთ?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან მიჭირს. შემიძლია გითხრათ, რომელი მათგანი უფრო მიყვარს — ესაა „ანა-ბანა“. ვფიქრობ, რომ ეს არის ყველაზე კეთილი და ყველაზე კარგი პროექტი. პირველ რიგში, იმიტომ მომწონს, რომ ბავშვებთან ვურთიერთობთ. მიმაჩნია, რომ ყველაზე საჭირო პროექტია, რადგან მან უნდა გაზარდოს მომავალი „ჯეოსტარელები“ და „ბრავოს“ მონაწილეები. ყველა დანარჩენი პროექტიც მომწონს და ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჩავდო თითოეულ მათგანში. ■

დაიწყო! არ გამოგრჩეთ!

ჩვენ გჩუქნით წიგნებს!

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა" და მედია "პალიტრის" კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის წიგნი-ბესტსელერი:

„ვიზუალური ლექსიკონი"

ან

„ცხოველების ენციკლოპედია"

ან

„დედამიწის ენციკლოპედია"

მედია „პალიტრის" გამოცემები

დასახელება	1 ეგზ. ფასი	ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე	ფასი 1 წლით
ქვირის პალიტრა	1.00	52	52.00
სიტყვა და საქმე	1.00	260	260.00
სიტყვა და საქმე (კატალოგი)	2.00	52	104.00
ყველა სიახლე	1.00	52	52.00
გზა	1.00	52	52.00
რეიტინგი	1.00	52	52.00
არსენალი	1.50	26	39.00
კარიბჭე	1.00	26	26.00
ოჯახის მეურნალი	1.00	26	26.00
კარუსელი	0.60	52	31.20
საბავშვო კარუსელი	1.00	52	52.00
ბომონდი	5.00	12	60.00
ლელო	0.60	312	187.20
ამბიანში	5.00	12	60.00
ლიტერატურული პალიტრა	2.00	12	24.00
Georgian Journal	2.00	52	104.00



შეიცვნით ჩვენი სამყარო
უნივერსალური, ვიზუალური
ლექსიკონის დახმარებით!

2500 ფერადი ილუსტრაცია,
12 დეტალურად განხილული კატეგორია,
608 გვერდი

www.elva.ge

38-26-73; 38-26-74;

მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

* ეს წიგნები მაღაზიებში 33 ლარი ღირს

დაგვიკავშირდით პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"

რა არის საჭირო იმისთვის, რომ ტელეწამყვანი გახდე

„ტელესახეს შარმი, კარგი აურა და ქარიზმა უნდა ჰქონდეს“

ქართულ ტელესივრცეში უამრავი გადაცემაა და შესაბამისად, ბევრი ტელეწამყვანიც გვყავს. მათი უმეტესობა პროფესიით ჟურნალისტი სულაც არ არის, მაგრამ დაკისრებულ მოვალეობას ასე თუ ისე, თავს მაინც ართმევს. ვიდრე ცნობილ ტელესახეებს დავუკავშირდებოდი, ქუჩაში გამოკითხვა ჩავატარე. ვინაიდან გამოკითხულთა უმეტესობამ საყვარელ ტელეწამყვანებად ნანუკა ჟორჟოლიანი და მაია ასათიანი დაასახელა, პირველ რიგში მათთან დაკავშირება ვცადე, მაგრამ უშედეგოდ — „ტელევარსკვლავებმა“ ჩვენს სატელეფონო ზარს (მათთან დაკავშირებას რამდენიმე დღის მანძილზე ვცდილობდით) არა და არ უპასუხეს...

ნათია ჭივიძე

მაია მარგიშვილი, *43 წლის, ექიმი:*

— ყველაზე მეტად ნანუკა ჟორჟოლიანისა და მაია ასათიანის გადაცემები მომწონს. მართალია, ზოგჯერ მათ მიერ დასმული შეკითხვა და მეტყველების მანერა მაღიზიანებს, მაგრამ ფაქტია, ყოველთვის საინტერესო გადაცემა გამოსდით. ჩემ გარშემო აბსოლუტურად ყველა უყურებს „პროფილს“ და „ნანუკას შოუს“... კიდევ, ვანო ჯავახიშვილი მიყვარს. იმდენად საყვარელი ტიპია, რომ მის გადაცემას სიამოვნებით ვუყურებ და კარგადაც ვხალისობ...

ნიკოლოზ ხომასურიძე, *48 წლის, იურისტი:*

— საერთოდ, ტელევიზიასთან ცოტა მწყრალად ვარ. თავისუფალ დროს ან ფილმს ვუყურებ, ან წიგნს ვკითხულობ, ტელევიზორს კი მხოლოდ დილით თუ ჩავრთავ, რათა სახლიდან გასვლის წინ ახალი ინფორმაციები მოვისმინო... ისე, გვანცა დარასელია მომწონს, საკმაოდ სიმპათიური გოგონაა და არც ჭკუაგონებას უნდა უჩიოდეს. იმდენად კარგი აურა აქვს და ისე კარგად გამოიყურება, რომ მისი დანახვა დილიდანვე კარგ განწყობილებაზე მაყენებს... ჰო, ნანკა კალატოზიშვილი გამომრჩა. ისიც ისეთი ლამაზია, რომ ყველა გადაცემას უხდება. ყველა სიკეთესთან ერთად, მას დამაინტრიგებელი მზერა და ლაპარაკი აქვს.

ნანუკა ჟორჟოლიანი და მაია ასათიანი ჩემი საყვარელი ტელეწამყვანები არიან

ნანა ელიზბარაშვილი, *სტუდენტი, 21 წლის:*

— ნანუკა ჟორჟოლიანი და მაია ასათიანი ჩემი საყვარელი ტელეწამყვანები არიან. თუ მათ გადაცემებს რაღაც მიზეზების გამო ვერ ვუყურებ, მოგვიანებით ინტერნეტში აუცილებლად ვნახავ... ვანო ჯავახიშვილიც ძალიან მიყვარს. ნანკა კალატოზიშვილი ისე მომწონს, რომ მისი ხათრით ნებისმიერ გადაცემას ვუყურებ. ვფიქრობ, „ინტუიციასაც“ მოუხდა...

ტელეწამყვანის შერჩევისას აქცენტი ადამიანის ენერგიასა და კომუნიკაციის უნარზე კეთდება

ანზორ მაჭავარიანი, *ეკონომისტი 53 წლის:*

— სიმართლე გითხრათ, ძირითადად, რუსულ არხებს ვუყურებ, მაგრამ თუ საინტერესო თემა აქვთ, მაია ასათიანსა და ნანუკა ჟორჟოლიანსაც შევხედავ ხოლმე. ცუდი გოგონები ნამდვილად არ არიან, მაგრამ ხშირად, მათი თემები ჩემთვის უინტერესოა. მაგალითად, წინა კვირას ნანუკას ნაფიც მსაჯულებზე სპექტაკლი ჰქონდა დადგმული. ცხადია, ამის შესახებ ანონსიდან გავიგე და ეს ყველაფერი იმდენად უინტერესოდ მომეჩვენა, რომ გადაცემის ყურებაზე არც მიფიქრია...

გიორგი ლვალი, *მხატვარი, 23 წლის:*

— ძალიან მომწონს დიმა ობოლაძე. ასეთი მაგარი არც კომენტატორი გვყავს და არც სპორტული გადაცემების წამყვანი... რაც შეეხება ქალბატონებს, „დაამარცხე ვარსკვლავის“ წამყვანი, ანი ქორქია და „ინტუიციის“ — ნანკა კალატოზიშვილი მომწონს. საყვარელი და ლამაზი გოგონები არიან...

ეკა სამხარაძე, *ფილოლოგი, 29 წლის:*

— გვანცა დარასელია საოცრად ლამაზი გოგონაა და ეკრანს უხდება. საინფორმაციო გამოშვებების წამყვანებიდან კი თამთა სანიკიძეს გამოვარჩევ. თიკო სადუნიშვილი ჩემთვის აუხსნელი მიზეზის გამო, ისე მაღიზიანებს, რომ სურვილიც არ მაქვს, მის შოუს ვუყურო... ხშირად ვუყურებ ვანო ჯავახიშვილის, მაია ასათიანისა და ნანუკა ჟორჟოლიანის გადაცემებს.

მიშიკო ნათაძე, *ეკონომისტი, 34 წლის:*

— ნანუკა ჟორჟოლიანი და მაია ასათიანი დღევანდელ ტელესივრცეში ყველაზე პოპულარული ტელეწამყვანები არიან და მიმაჩნია, რომ ეს სტატუსი დამსახურებულად აქვთ. კიდევ, ვანო ჯავახიშვილი და მთელი მისი გუნდი მომწონს. როცა ადამიანი შინ დაღლილი მიხვალ და ვანოს იუმორს მოუსმენ, აუცილებლად კარგ ხასიათზე დადგები...

როგორც უკვე აღვნიშნე, ყველაზე პოპულარულ ტელეწამყვანებთან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა, დანარჩენ ფავორიტ ტელესახეებს კი უპრობლემოდ დავუკავშირდი. მათთან საუბრისას გავარკვიე, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ ტელესახე გახდე და იმითაც დავინტერესდი, თუ როგორ მიაღწიეს წარმატებას...

ნანკა კალატოზიშვილი:

— შენ როგორ გახდი ტელეწამყვანი?

— ძალიან უცნაურად: „იმედში“ ფილმის კასტინგზე მივედი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჯერ გადაცემა „არტ-ბულვარის“, მოგვიანებით კი „ექსკლუზივის“ წამყვანად დამამტკიცეს. ეს ამბავი არაერთხელ მომიყოლია და ალბათ, ამის შესახებ ყველამ იცის.

— ნანკა, როგორ ფიქრობ, როცა ადამიანს ტელეწამყვანობა სურს, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს?

— როცა ასეთ შეკითხვას მისვამენ, ძალიან ვიძაბები. ეს მგონი, ინგა გრიგოლიას უნდა ჰკითხოთ.

— ინგა ტელეწამყვანი აღარ არის...

— ალბათ, ტელეწამყვანის შერჩევისას აქცენტი ადამიანის ენერგიასა და კომუნიკაციის უნარზე კეთდება.

— გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვს?

— ვფიქრობ, გარეგნობასაც აქცევენ ყურადღებას, მაგრამ დიდ იმ-

ედს ვიტოვებ, რომ პირადად მე, ეთერში გარეგნობის გამო არ ვზივარ. ალბათ, ცოტა სხვა კრიტერიუმებითაც შემაფასეს.

— თავად რომელი ტელეწამყვანი მოგწონს?

— ჩემთვის ყველაზე საყვარელი ტელეწამყვანები ინგა გრიგოლია და გიორგი თარგამაძე იყვნენ. სამწუხაროდ, ახლა ამ სფეროში არც ერთი აღარ მუშაობს. დღევანდელი ტელესახეებიდან თიკო სადუნიშვილი მომწონს. ის ნამდვილად უხდება იმ გადაცემას, რომლის წამყვანიც გახლავთ...

როცა გარეგნულად ძალზე მომხიბვლელი ხარ, ხალხი ნაკლებად გისმენს

ვანო ჯავახიშვილი:

— ტელეწამყვანი აბსოლუტურად ჩვეულებრივად გავხდი. ჯერ „კავეენში“ ვთამაშობდი, მერე „რუსთავი 2“-ში მოვედი, სადაც მეგობრებთან ერთად იუმორისტულ შოუს ვაკეთებდი, მერე კი წამყვანიც გავხდი. სიმართლე გითხრა, პირადად ჩემთვის, ეს ძალზე მოულოდნელი იყო, ტელეწამყვანობაზე ნამდვილად არ ვოცნებობდი.

— რას ურჩევ ადამიანს, რომელიც ტელეწამყვანობაზე ოცნებობს?

— ბევრი უნდა იშრომოს და ნაკლები იოცნებოს...

— როგორ ფიქრობ, როგორც ტელეწამყვანი, რა კრიტერიუმებით შეგარჩიეს?

— ალბათ, ნორმალურად ვხუმრობდი ხოლმე (*იღიმის*). ისე, მგონია, რომ სერიოზული გადაცემის წამყვანს კარგი მეტყველება უნდა ჰქონდეს.

— და გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვს?

— არა! როცა გარეგნულად ძალზე მომხიბვლელი ხარ, ხალხი ნაკლებად გისმენს. ჩემი აზრით, ჯობია, ხალხმა მოგისმინოს, ვიდრე სახეზე მოგაშტერდეს და შენ მიერ მიწოდებული ინფორმაციიდან ვერაფერი გაიგოს.

— თავად შენ რომელი ტელეწამყვანი მოგწონს?

— ზალიკო უდუმაშვილი ძალიან მაგარია. მას ინფორმაციის კარგად მოწოდების უნარი და საინტერესო მიმიკები აქვს. როცა ხალხს რაღაც ახალს ეუბნები, მიმიკასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ისე, ქეთი კვაჭანტირაძეც კარგი გოგოა...

ანი ქორქია:

— 17 წლის ვიყავი, როცა ტელეკომპანია „202“-ში ამოვყავი თავი. ამ არხზე ჩემს დას, ლიკას მუსიკალური გადაცემა მიჰყავდა. ერთ დღეს მან ტელევიზიაში მისვლა ვერ შეძლო. გადაცემის რეჟისორმა, გიორგი კიკალიშვილმა მითხრა, — იქნებ შენ შეცვალოო. დავთანხმდი და ამ მოვალეობას თავი კარგადაც გავართვი. ჰოდა, იმ დღის შემდეგ, ეს გადაცემა ხშირად მიმყავდა. სულ ნახევარსაათიანი გადაცემა იყო და ყოველი ორი სიმღერის შემდეგ, ეთერში ვერთვებოდი... რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს, პირველად ამ არხზეც ლიკამ მოსინჯა ძალები, მერე მას ალეკო მალხაზიშვილმა დაურეკა და უთხრა, — იქნებ შენი და კასტინგზე მოვიდესო. წავედი, მაგრამ იმის იმედი ნამდვილად არ მქონდა, რომ წამყვანად მაინცდამაინც მე დამამტკიცებდნენ, რადგან კასტინგზე ბევრი ლამაზი და კარგად მომზადებული გოგონა მოვიდა...

— როგორ ფიქრობ, რაზე გააკეთეს აქცენტი, როცა გადაცემის წამყვანად შენ დაგამტკიცეს?

— მგონი, ასეთი ტიპის გადაცემისთვის წამყვანის გარეგნობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, წამყვანი სწორად უნდა მეტყველებდეს. ჰოდა, ალბათ, ორივე ეს კრიტერიუმი დავაკმაყოფილე...

ნინო ზაუტაშვილი:

— ჯერ მსახიობი ვიყავი, მერე რადიოში ვმუშაობდი, მოგვიანებით კი ლერი სახაროვის მიწვევით გადაცემა „ტელე-სინე-ვიდეოს“ წამყვანი გავხდი. მოკლედ, ჩემს შემთხვევაში, ყველაფერი ძალზე მარტივად მოხდა.

— როგორ ფიქრობთ, გადაცემის წაყვანა რა მონაცემების გამო შემოგთავაზეს?

— კარგი მეტყველების, იუმორის გრძნობისა და რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივი გარეგნობის გამო (*იღიმის*)...

— ადამიანი ტელეწამყვანი რომ გახდეს, საქმის ჩაწყობა არ უშველის?

— ჩაწყობა ყოველთვის ხდებოდა, ეს ჩვეულებრივი ამბავია... თუ ადამიანი გონებაგახსნილია და მას გარეგნობაც უწყობს ხელს, ტელეწამყვანი ადვილად გახდება.

— თქვენ რომელი გადაცემის წამყვანი მოგწონთ?

— მიმაჩნია, რომ ახლა ყველა ტელევიზიას ძალიან კარგი წამყვანები ჰყავს. თუმცა, ერთ-ერთ მათგანს მაინც გამოვარჩევდი — „სამოთხის ვაშლების“ ტელეწამყვანს, ნინო ზაუტაშვილს ვგულისხმობ, ის არაჩვეულებრივია (*იცინის*)...

დაბოლოს, ყოფილ ტელესახესა და ამჟამად რადიოწამყვანს, **შალვა რამიშვილსაც** *შევხვდი:*

— შალვა, როგორ გახდი ტელეწამყვანი?

— 1990 წელს პირველი დამოუკიდებელი ტელევიზია — „იბერვიზია“ არსებობდა, სადაც გადაცემის — „პარანოიას“ ავტორიცა და წამყვანიც გახლდით. ამ გადაცემაზე ჩემთან ერთად, ზურა გაჩეჩილაძე და გოგა ხაჩიძე მუშაობდნენ. როგორც იცით, იმ დროს უნივერსიტეტის „კავეენის“ ნაკრების კაპიტანი გახლდით. ერთ-ერთ თამაშს ორი გოგონა ესწრებოდა, რომლებსაც მსგავსი გადაცემის გაკეთების იდეა ჰქონდათ. ჰოდა, მათ შემომთავაზეს, რომ ეს გადაცემა მე გამეკეთებინა.

— აბსოლუტურად გამოუცდელი და თანაც, არაპროფესიონალისთვის რამდენად მარტივი აღმოჩნდა კამერის წინ მუშაობა?

ჯერ მსახიობი ვიყავი, მერე რადიოში ვმუშაობდი

— როცა ადამიანი თავხედი ახალგაზრდაა და თან, ქვეყანა თავზე ექცევა, მისთვის ყველაფერი მარტივი გასაკეთებელია...

— **ანუ საქმეში თავხედობა გშველოდა?**

— წამყვანისთვის თავხედობა მნიშვნელოვანია... არა, სწორად ვერ გამოვთქვი, თავხედობას კი არა, სითამამეს ვგულისხმობ... როცა ამ სფეროში გამოცდილება მივიღე, რადიო „105“ გავაკეთეთ, მოგვიანებით კი ტელევიზია „202“-იც დავაფუძნეთ. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ მე პოლიტიკური ტოქშოუს გავაკეთებდი და ასეც მოხდა. მერე მოგეხსენებათ, ციხეში ვიჯექი და ვერანაირ გადაცემას ვეღარ წარვუძღვებოდი...

— **ციხიდან გამოსვლისთანავე კვლავ ეთერში მოხვედრა არ გაგჭირვებია...**

— „იმედის“ მაშინდელი დირექტორი ჩემი მეგობარი იყო, რომელმაც „სიმართლის დროს“ წამყვანობა შემომთავაზა. მაშინ ჩავთვალე, რომ ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო წინადადება იყო და დავთანხმდი, მოგვიანებით კი ამ გადაცემამ აღარ დამაინტერესა და წამოვედი...

— **ეი. ტელევიზიაში მეგობრის მეშვეობით მოხვდი. გამოდის, რომ ნაცნობი თუ არ გყავს, ტელევიზიის ზღურბლს ვერ გასცდები...**

— მთლად ასეც არ არის საქმე. ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ნებისმიერ შოუს რაღაც ისეთს შევძენ, რაც მას რეიტინგს მოუტანს. მერწმუნე, ეს ტრაბახი არ არის. 40 წლის კაცი ვარ და 21 წელი ტელევიზიაში გავატარე. მიმაჩნია, რომ „იმედში“ მეგობრობის კი არა, ჩემი შესაძლებლობების გამო მიმიწვიეს... თუ ტელევიზიები ხელისუფლების დიქტატისგან გათავისუფლდება და მათ შორის ჯანსაღი კონკურენცია იქნება, მაშინ ნაცნობებსა და ნათესავებს აღარავინ დაასაქმებს, რადგან რეიტინგს მეტი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე დღეს აქვს. ახლა თითქმის ყველა ტელევიზიას ერთი მფლობელი ჰყავს.

— **როგორ ფიქრობ, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანი, რომელსაც ტელეწამყვანობა სურს?**

— შეიძლება ვთქვათ, რომ წამყვანს კარგი გარეგნობა უნდა ჰქონდეს...

— **მეეჭვება, შენს შემთხვევაში გარეგნობას ეთამაშა გადამწყვეტი როლი...**

— მართალი ხარ, გარეგნობა მართლაც არაფერ შუაშია. სხვათა შორის, დახვეწილი საუბრის მანერაც მნიშვნელოვანია, თუმცაღა ეს საკმარისი არ არის. მთავარი ისაა, რომ წამყვანი მაყურებელს იზიდავდეს, მას შარმი, კარგი აურა და ქარიზმა უნდა ჰქონდეს. ტელეწამყვანის, პოლიტიკოსისა და მსახიობის პროფესიები ერთმანეთს ჰგავს. მოკლედ, მთავარია, წამყვანმა მაყურებელი მიიზიდოს. ხომ არის შემთხვევა, როცა მამაკაცს ისეთი ქალი მოსწონს, რომელიც არც გარეგნული თვისებებით გამოირჩევა, არც ჭკვიანია, მაგრამ რაღაცით იზიდავს?! თუ ტელეწამყვანს არ აქვს უნარი, სხვების ყურადღება მიიპყროს, როგორი განათლებული, ნიჭიერი და ჭკვიანიც არ უნდა იყოს, მისგან კარგი წამყვანი არ დადგება. ისე, ამ პროფესიის ადამიანისთვის გონებამახვილობაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ნებისმიერ შოუს რაღაც ისეთს შევძენ, რაც მას რეიტინგს მოუტანს

— **ქართული ტელეკომპანიების ხელმძღვანელობასთან ნაცნობის გარეშე მისვლა გამორიცხულია. თუ ადამიანს ტელეწამყვანობა სურს, მაგრამ ნაცნობი არ ჰყავს, დასახული მიზნის მისაღწევად რა უნდა მოიმოქმედოს? როგორ უნდა გამოავლინოს თავისი ქარიზმატულობა?**

— არ ვიცი... საქართველოში ტელეკომპანიების ხელმძღვანელები, გასართობი გადაცემების წამყვანებსაც კი ხელისუფლებისადმი ერთგულებისა და პოლიტიკური ლოიალობის მიხედვით არჩევენ.

— **პირადად შენ, რომელი ტელეწამყვანი მოგწონს?**

— როგორც წამყვანი, დუტა სხირტლაძე ნამდვილად არ მომწონს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მან მთელი ეპოქა შექმნა. მას უდაოდ აქვს ის შარმი, რომლითაც მაყურებელს იზიდავს. შეიძლება ვთქვათ, რომ დუტამ დააფუძნა ქართული სტანდარტი გასართობი გადაცემების წაყვანისა, რის გამოც, ის აუცილებლად უნდა შევიდეს თანამედროვე ტელევიზიის ისტორიაში... აი, ნინო ზაუტაშვილი კი მართლა ძალიან მომწონს, ცოცხალი ადამიანია.

— **თუმცა მაინცდამაინც პოპულარული ტელესახე არ არის...**

— ეგ ისეთ არხზე მუშაობს და ისეთი გადაცემა მიჰყავს, რომ არც უნდა გამოჩნდეს.

— **თუ ასეთი კარგი წამყვანია, სხვა ტელეკომპანიები რატომ არ იწვევენ?**

— არ ვიცი. ალბათ, მიაჩნიათ, რომ ნინო უკვე „განვლილი ეტაპია“, რადგან საკმაოდ დიდი ხანია, რაც ეთერიდან გვესალმება. პირადად მე, მიმაჩნია, რომ ნინო „ვადაგასული პროდუქტი“ სულაც არ არის; ტელევიზიაში სწორედ ამ ასაკიდან იწყებენ ფესვების გადგმას და საკუთარი სტილის შექმნას... კიდევ, დათო გოგიჩაიშვილი მომწონდა ძალიან. ის საინტერესო წამყვანი და ჩემი გუნდის წევრი იყო. სამწუხაროდ, ახლა ტელეწამყვანობის ეშინია (*იცინის*)...

— **რატომ?**

— არ ვიცი, დაბერდა ალბათ...

■

აფხაზეთში დაჭრილ ჯარისკაცებზე მზრუნველი ქალბატონის ტრაგედია

„ძალიან მინდა, ვიცოცხლო...“

საოცრად ლამაზი, კეთილი, ჭკვიანი გოგონა იყო. მას ყველა ებრალებოდა, ხალხის დახმარებას ცდილობდა და ამიტომაც უყვარდათ ასე ძალიან... მარტოხელა დედას, რომელმაც თავისი ერთადერთი იმედი წვალებით გაზარდა, სიბერის აღარ ეშინოდა; იცოდა, რომ შვილის სახით საიმედო პატრონი ეყოლებოდა... თუმცა, ყველაფერი პირიქით მოხდა — დღეს მოხუცი დედა თავადაა სნეული შვილის ერთადერთი პატრონი და ნუგეში.

გაუსაძლისი ტკივილი 3 საათში ერთხელ მეწყება და დაახლოებით ნახევარი საათი გრძელდება

ელენე ხირსელი

ნანა გოგუამ სოხუმის სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა და მრავალი წლის განმავლობაში გულრიფშის ფსიქიატრიული საავადმყოფოს უფროს ექთნად მუშაობდა. 6 წლის წინ მიღებული ტრავმის შედეგად, მას პარკინსონის დაავადება განუვითარდა, უსახსრობის გამო მკურნალობა ვერ ჩაიტარა და მისი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა.

ინტერვიუზე რომ მივედი, ავადმყოფს ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა, უნებლიე ნერვულ მოძრაობებს აკეთებდა. წამლის მიღების შემდეგ ასე მოსდისო, — მომიბოდიშა დედამისმა, 75 წლის ანეტა კოპალიანმა.

ნანა გაგუა:

— აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობდი, სულ მოძრაობაში ვიყავი. ალბათ, წინასწარ ვგრძნობდი რაღაცას და ვცდილობდი, ყველაფერი მომესწრო. სიცოცხლე მიყვარდა, მაგრამ ერთმა თითქოსდა, უმნიშვნელო შემთხვევამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. 6 წლის წინ, როცა შინ ვიჯექი, თითქოს რაღაცამ მიბიძგა, რატომღაც წამოვდექი და გარეთ გასვლა დავაპირე; როგორც კი კარი გამოვაღე და ნაბიჯი გადავდგი, ფეხი რაღაცას წამოვკარი და თავი დერეფანში მდგარ მაგიდას დავარტყი. გონება დავკარგე. მეზობლებმა ხელით შემომიყვანეს, ლოგინზე დამაწვინეს. გონს მალე მოვედი და ვითომც არაფერი მომხდარა, ცხოვრება ჩვეულებრივად გავაგრძელე, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ თავბრუსხვევა დამეწყო, ერთი თვის მერე კი მარცხენა ფეხს მივათრევდი, კიდურები მიკანკალებდა. დროთა განმავლობაში მოვიკუნტე, გორგალივით მოიღუნა ჩემი ხერხემალი. როცა ძალიან ცუდად გავხდი, მხოლოდ მას მერე მივეცი თავს უფლება, ექიმთან წავსულიყავი (მანამდე მატერიალური პრობლემის გამო ვიკავებდი თავს), რომელმაც პარკინსონის დიაგნოზი დამისვა და ანტიპარკინი დამინიშნა.

მენაგრება ადამიანური ურთიერთობები, საუბრები და ძალიან მინდა, ვიცოცხლო, ეკლესიაში ვიარო...

— საავადმყოფოში არ დაგაწვინეს?

— ეს დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამას ვერ შევწვდებოდით... მოკლედ, ამ აბის შემდეგ ჩემი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა. გაუსაძლისი ტკივილი 3 საათში ერთხელ მეწყება და დაახლოებით ნახევარი საათი გრძელდება. ეს რაღაც საშინელი, ენით აუწერელი ტკივილია, რომელიც ტვინამდე აღწევს. ფეხზე ძარღვები ისე „მექაჩება“, რომ ლამის, სიმწრისგან ენა მოვიკვნიტო. კრუნჩხვებში ვვარდები, ხელებს ვერ ვშლი და მოხუცი დედა მბანს ისე, როგორც პატარაობისას, ლოგინს მისწორებს. დამოუკიდებლად საწოლშიც ვერ ვტრიალდები, კიდურებს ვერ ვღუნავ... იმ პერიოდში, როცა ტკივილი არ მაწუხებს, ვცდილობ, ოთახში ჯოხის დახმარებით გავიარო. ლამის 2 წელია, შინიდან არ გავსულვარ — მეშინია, შეტევა გარეთ არ დამეწყოს.

ქალბატონი ანეტა:

— დღე-ღამეში 8 აბ ანტიპარკინს სვამს; რომ არ დალიოს, კრუნჩხვებში ჩავარდება და ტკივილისგან მოკვდება. ნარკომანივით, წამალზე დამოკიდებული გახდა. ამ სიბერეში ექთნობა დავიწყე — გამაყუჩებელს ვუკეთებ. ნანემსრები საშინელ დღეში აქვს — ჩალურჯებული და გამაგრებული. აბა, რა იქნება, მე ხომ ამ საქმის არაფერი გამეგება... დაღამების მეშინია. ყოველი ღამე ტანჯვაწამებაა ჩვენთვის. გამაყუჩებლის ხშირად გაკეთება არ შეიძლება, თან ყოველთვის არ მოქმედებს და როცა ტკივილი შემოუტევს, ფეხზე მასაჟს ვუკეთებ, ეს ცოტა შვებას გვრის. ამდენი მასაჟით ხელის ძარღვები დამისივდა, მაგრამ შემცვლელიც არავინ მყავს. ტკივილი რომ გაუყუჩდება, ვწვები, მაგრამ ახალჩაძინებულს შვილის კრუსუნი და ტირილი მაღვიძებს. ვერ წარმოიდგენთ, რა მძიმეა დედისთვის, როცა შვილი სასოწარკვეთილი ხმით გევედრება, — მიშველეო, შენ კი უძლური ხარ... მისი ცოდვით ვიწვი, მეტის ატანა აღარ შემიძლია.

— წამლების შეძენას როგორ ახერხებთ?

— თვეში 4 შეკვრა ანტიპარკინი გვჭირდება, 1 შეკვრა კი 22 ლარი ღირს. გარდა ამისა, გამაყუჩებელი, ერთჯერადი ნემსები, სპირტი, ბამბაც ხომ გვინდა... ნანას წამლებისთვის

თვეში 120 ლარი გვჭირდება. ეს პრეპარატები რომ არ დალიოს, მოკვდება. 6 წლის წინ ექიმმა რომ დაუნიშნა, ვკითხე, — რამდენი ხანი უნდა სვას-მეთქი? მიპასუხა, — მთელი ცხოვრებაო. ახლა გავიგე, რომ თურმე, ამ წამლის ხანგრძლივი მიღება არ შეიძლება, ის სხვა პრეპარატით უნდა შეცვლილიყო, რადგან მიჩვევა იცის და თანაც — ძალიან ცუდი გვერდითი ეფექტები ჰქონია. მართალია, წამალდამოკიდებულების მოხსნა შესაძლებელია, მაგრამ ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ჩვენი შემოსავალია პენსია და სოციალური დახმარება — 54 ლარი. დევნილობის თანხა მოგვიხსნეს, რადგან თურმე, კანონის მიხედვით, სოციალური დახმარებისა და დევნილებისთვის განკუთვნილი თანხის ერთდროულად მიღება არ შეიძლება... ანტიპარკინის მიღების პერიოდში კარგი კვებაა საჭირო, ჩვენ კი ხშირად, პურიც არა გვაქვს, პურსა და შაქარს მაღაზიაში ნისიად მაძლევენ. ვცდილობ, ნანა გამოვკვებო, მე კი ხშირად, მშიერი ვარ.

— **ვინმე თუ გეხმარებათ?**

— ჩემ ირგვლივ ყველა გაჭირვებულია. ძალიან კარგი მეზობლები მყავს, მაგრამ მათ თავისი პრობლემები აქვთ. და და შესანიშნავი დისშვილიშვილები მყავს, მაგრამ მათაც უჭირთ. ნანას მარტო დატოვება წუთითაც არ შეიძლება. როცა მაღაზიაში მივდივარ, მასთან ჩემს 85 წლის დას ვტოვებ, რომელიც ჩვენს საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. ტელევიზორი მაინც გვქონდეს, ავადმყოფი გულს გადააყოლებდა; სულ სამედიცინო ლიტერატურას კითხულობს და ცდილობს, თავისი ავადმყოფობის შესახებ რაც შეიძლება მეტი შეიტყოს. ამბობს, კომპიუტერი მაინც რომ მქონდეს, ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციას მოვიძიებდი და საკუთარი თავის დასახმარებლად რამე გზას გამოვნახავდიო.

— **როგორი ბავშვი იყო?**

— ნანა უზომოდ თბილი, მოსიყვარულეა. საოცრად მორწმუნეა და ვიდრე შეეძლო, ეკლესიაში ხშირად დადიოდა... ავად რომ გახდა, ნათესავმა წყნეთის ეკლესიაში, მანქანით წაგვიყვანა. ნანამ ეკლესიას 5 ლარი შესწირა. იქვე ხანდაზმული მონაზონი იდგა, რომელმაც ეს დაინახა, ფული აიღო და ნანას ჯიბეში ჩაუდო: აიღე, შენ უფრო გჭირდებაო. ამ დედაომ, რომელსაც პირველად ვხედავდით, ჩემს შვილს ასეთი რამ უთხრა: თავი რომ დაარტყი, ამისკენ შავმა ძალამ გიბიძგაო; მერე მე მომიბრუნდა: შენ კი ავადმყოფის დედა ხარ და რატომ არ მარხულობო?!

იმედი მქონდა, რომ მალე სამუშაოს დაუბრუნდებოდი

ნანა ჩემი ერთადერთი შვილია, მარტომ გავზარდე. როცა ქმარს გავშორდი, არც სახლი მქონდა, არც — კარი. ბავშვი ხედავდა, როგორ ვწვალობდი და ძალიან ვებრალებოდი. სულ პატარა იყო, როცა მითხრა: ნასწავლი გოგო გამოვალ და არ გავთხოვდები. იცოდე, სულ შენ გვერდით ვიქნები, სახლს გიყიდი, არაფერს მოგაკლებო და სიტყვა შეასრულა. სანამ შეეძლო, ცივ ნიავს არ მაკარებდა, მივლიდა, ჩემზე ზრუნავდა; ორი სახლი იყიდა: ერთი სოხუმში, მეორე — ახალსოფელში. ყველაფერი გვქონდა, ძალიან კარგად ვცხოვრობდით... ამბობენ, რომ ეს საერთო საცხოვრებელი, სადაც ახლა ვართ, დევნილებს პირად საკუთრებაში გადმოგვეცემა. ნანამ მითხრა: ახლა მშვიდად მოვკვდები, საკუთარი სახლი გექნებაო. ვუპასუხე, — ამ ყველაფერს რა თავში ვიხლი? შენ თუ არ მეყოლები, თავს აღარ ვიცოცხლებ-მეთქი.

— **აფხაზეთი თქვენი კიდევ ერთი დიდი ტკივილია. ნანა, შენ მედიცინის მუშაკი იყავი და სოხუმის დაცემამდე საკუთარ საქმეს ემსახურებოდი.**

— როცა სოხუმს ცეცხლი ეკიდა და ინტენსიურად იბომბებოდა, ჩვენს საავადმყოფოს წუთითაც არ შეუწყვეტია მუშაობა. მაშინ, როდესაც რუსები და აფხაზები ქართველებს უმოწყალოდ ჟლეტდნენ, ჩვენ, ქართველი ექიმები და ექთნები, ყველა დაჭრილს, განურჩევლად მათი ეროვნებისა, სათუთად ვუვლიდით. ქალაქში შიმშილი იყო და სიმინდს ვხეხავდით, უმად ვჭამდით. სოხუმი ქართველებისგან იცლებოდა. მახსოვს, სოხუმის დაცემისას, სისხლისფერი ფეიერვერკისგან ცა საშინლად წითელი იყო. აფხაზები გამარჯვებას ზეიმობდნენ, ისმოდა შეძახილები: „Ура! Грузинов прогнали!“... მაშინ დედა ახალსოფელში იყო. სოფლისკენ ფეხით წამოვედი, იქიდან გვიან კი ღამით გამოვიპარეთ და შევუერთდით ადამიანების უზარმაზარ ნაკადს, რომელიც უღელტეხილზე ფეხით გადადიოდა... ადამიანები გზადაგზა იხოცებოდნენ შიმშილისგან, სიცივისგან, ნერვიულობისგან. მოკლედ, იქაურობა გვამებით იყო სავსე. ჩვენთან ერთად ახალგაზრდა ქალიც მოდიოდა, რომელსაც ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა. საცოდავი დედა ხედავდა, როგორ უკვდებოდა შიმშილისგან და სიცივისგან შვილები. ჰოდა, ამას ვეღარ გაუძლო — 3 წლის ბავშვი ერთ ქალს ჩააბარა, მეორე — ჩვილი სხვას გადასცა, ცოტა ხანს დამიჭირეთო, თავად კი კლდიდან გადახტა... ხშირად, ოჯახის წევრები ერთმანეთს კარგავდნენ. ერთხელ, 3 წლის გოგონა მომიყვანეს, — დედამისი თუ არ

ნანა გოგუამ სოხუმის სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა

გამოჩნდა, შენი იყოს, შვილი მაინც არ გყავსო. ბავშვს მივუალერსე, დავაწყნარე. საბედნიეროდ, დედამისი მალევე გამოჩნდა.

— ამბობენ, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს.

— მე იქ სულ სხვა რამ დავინახე. მერწმუნეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო ეგოისტები და დაუნდობლები ვართ. უღელტეხილზე გადმოსვლისას ვიწამე, რომ ადამიანი თავისი არსით კეთილია, ღმერთმა ასეთად შექმნა. ისინი სრულიად უცხოებს ეხმარებოდნენ, განსაკუთრებით კი ბავშვებზე ზრუნავდნენ. ერთხელ ვერტმფრენიდან პური ჩამოგვიყარეს, მაგრამ ისეთ ადგილას ჩამოცვივდა, რომ ვერ მივწვდით. ერთმა მოხუცმა ქალმა როგორღაც, ორი პურის აღება მოახერხა, მაგრამ იქვე ორი ბავშვი დაინახა და თქვა, — ეს მე როგორ უნდა შევჭამოო და ორივე პური პატარებს მიაწოდა.

— ჯარისკაცებიც თუ იყვნენ თქვენთან ერთად?

— როგორ არა! მახსოვს, მდინარე უნდა გადაგველახა. ძალიან სწრაფი დინება იყო. ჯარისკაცები წყალში შევიდნენ, ხელები გადაეჯვარედინეს და „ხიდი“ გააკეთეს, რომლის დახმარებითაც ბავშვებმა და ქალებმა მეორე ნაპირზე გავაღწიეთ... ახლაც თვალწინ მიდგას დაჭრილი, ნაცემი და ნაწამები ბიჭები; ზოგი მათგანი ფეხშიშველი იყო. ერთხელ მათი მეთაური შიმშილისგან ღონემიხდილი ჩაიკეცა. მივედი და ყველის ნაჭერი მივაწოდე. ლაპარაკის თავი არ ჰქონდა და ხელით მანიშნა — ჯარისკაცებს აჭამეო. ცოტ-ცოტა ყველას ვუწილადე. მითხრეს, — თუ შეგიძლია, ჩვენს ექიმს უშველეო. სამედიცინო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება მაქვს, მაგრამ ასეთი რამ არ მინახავს: ზორბა ტანის კაცს უწყლობისგან და შიმშილისგან პირი სულ გამშრალი ჰქონდა, ენას ვერ ატრიალებდა, ისე ჰქონდა გასიებული. კვდებოდა, უბედური. ჯიბიდან ვაშლი ამოვიღე, რომელიც განსაკუთრებული შემთხვევისთვის, საგულდაგულოდ მქონდა შენახული. დავკეპე და როცა ფაფისებურ მასად იქცა, ცოტაოდენ თაფლში ავურიე. საცოდავმა კაცმა დიდი წვალებით გადაყლაპა, ამან გადაარჩინა... როგორც იქნა, სვანეთამდე მივაღწიეთ. მოსახლეობა შეგვეგება. მოჰქონდათ პური, ღვინო, ტკბილეული... პირველად ბერები ამოვიდნენ. ისინი გვაფრთხილებდნენ, — ცოტ-ცოტა ჭამეთ, ბევრი არ შეიძლებაო. არასდროს დამავიწყდება იმ პურის გემო... ბოლოს, ქუთაისში ჩაგვიყვანეს. მოედანზე დევნილებისთვის ავტობუსები იდგა. ჩვენ გორის ავტობუსში ავედით. გორში ჩასულებს, სრულიად უცხო ოჯახმა (გელაშვილები იყვნენ) დიდი პატივი გვცა, საკუთარი ოთხოთახიანი ბინა დაგვითმო. იმ საყოველთაო გაჭირვების დროს უამრავი ადამიანი მოდიოდა ჩვენთან და მოჰქონდათ პროდუქტები, საჭირო ნივთები. მოკლედ, საჭმელ-სასმელი თავზესაყრელად გვქონდა. სხვათა შორის, მაშინ ერთ რამეს მივხვდი: გაჭირვებულს გაჭირვებული ადამიანი უფრო ეხმარება, მხარში უდგას. იმ ბინაში ორი თვე ვიცხოვრეთ, მერე საერთო საცხოვრებელში გადმოგვიყვანეს.

ვერ წარმოიდგენთ, რა მძიმეა დედისთვის, როცა შვილი სასოწარკვეთილი ხმით გეეჯერება, — მიშველეო, შენ კი უძლური ხარ...

— თავს რით ირჩენდით?

— როგორც უკვე გითხარით, უსაქმურობას და მუქთახორობას არ ვარ მიჩვეული, ყოველთვის ვცდილობდი, რაღაც მეკეთებინა. ახალი ჩამოსული ვიყავი, როცა სრულიად უცხო ადამიანმა დახმარება შემომთავაზა. ერთხელ ვთქვი, — საავადმყოფოში ვმუშაობდი და წამლებში კარგად ვერკვევიმეთქი. ჰოდა, იმ კაცმა მითხრა: წამლებს მე მოგიტან, შენ გაყიდე და ნავაჭრი თანაბრად გავიყოთო. გამიკვირდა, როგორ მენდო, ის ხომ საერთოდ არ მიცნობდა?! ასე დავიწყე ბაზარში წამლების გაყიდვა. სხვათა შორის, კოლეგები „წითელ ჯვარს“ მეძახდნენ, რადგან ვცდილობდი, გაჭირვებულებს დავხმარებოდი, ზოგს წამალს თავის ფასში ან საერთოდ, უსასყიდლოდ ვაძლევდი. მოკლედ, იმ წლებში მივხვდი, რომ ჩემგან ბიზნესმენი არ გამოვიდოდა.

ერთხელ ბაზარში ვიღაც კაცი მოვიდა, რომელსაც საკმაოდ ძვირად ღირებული წამლების შეძენა სურდა. — შვილი ძალიან ცუდად მყავს. გთხოვთ, წამალი მომეცით, ფულს კი მოგვიანებით გადაგიხდითო. ყველამ უარი უთხრა. მერე ვიღაცამ ანიშნა, — აი, ის გოგო „წითელი ჯვარია“, იმასთან მიდიო. კაცმა ხელიდან საათი მოიხსნა, — ამას დაგიტოვებ, ოღონდ ხელცარიელი არ გამიშვაო. — არ მინდა, გენდობი-მეთქი, — ვუპასუხე. გავიდა დღე, ორი დღე, ერთ კვირა, მაგრამ ის კაცი არ გამოჩნდა და წამლით მოვაჭრეებმა დაცინვა დამიწყეს. რამდენიმე ხნის შემდეგ იმ კაცმა სიტყვა შეასრულა — მეუღლესთან ერთად მოვიდა, ფულიც მომიტანა და უმშვენიერესი ვარდების თაიგულიც...

ვიდრე ავად გავხდებოდი, რაღაც პერიოდი თბილისში, ბაგების საერთო საცხოვრებელში მედდად ვმუშაობდი. როცა ეს საშინელება შემემთხვა, პირველი ხარისხის ინვალიდობა უნდა მოენიჭებინათ, მაგრამ ექიმს ვთხოვე, მეორე ხარისხი ჩაეწერა — იმედი მქონდა, რომ მალე სამუშაოს დავუბრუნდებოდი და პირველი ხარისხის ინვალიდის სტატუსით არ მიმიღებდნენ.

— შენ აღნიშნე, რომ ადამიანი თავისი არსით კეთილია ანუ მათგან გულისხმიერებას, თანადგომას მოელი, არა?

— ადამიანი ამქვეყნად სიკეთის საკეთებლად, სიყვარულისთვის მოდის... ვცდილობ, იმედი არ დავკარგო და საკუთარ თავს ვებრძვი. მეორე წელია, გარეთ არ გავსულვარ, მთელ დღეებს მარტო ვატარებ, ოთხ კედელში გამომწყვდეული და ვაწვალებ მოხუც დედას. იშვიათად თუ ვინმე გვესტუმრება, მაგრამ მე მესმის მათი — ჩემნაირი ავადმყოფის ყურება ძალიან ძნელია... სიმართლე გითხრათ, მენატრება ადამიანური ურთიერთობები, საუბრები და ძალიან მინდა, ვიცოცხლო, ეკლესიაში ვიარო...

რაც არ გამოგიცდია — იმას ვერ განიცდი; მდიდარი ღარიბს, ჯანმრთელი — სნეულს, ბედნიერი უბედურს ვერასდროს გაუგებს... თუ ვახშმად მხოლოდ წყალში დამბალი პური არ გქონია, აზრადაც არ მოგივა, რომ ვიღაცას შეიძლება შიოდეს; თუ ტკივილისგან არ გიწამია, არც ეცდები, სხვას ტკივილი დაუამო... ცხოვრებისეულ სიკეთეებს უფალი გვიგზავნის, მერე კი გვართმევს მხოლოდ იმიტომ, რომ დაგვანახოს ის, რასაც ვერ ვხედავდით.

P.S. თუ ნანა გოგუას დახმარების სურვილი გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ დაგვირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8(95)14.81.40 ან 8(99) 47.18.34. ■

პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან

წერილი მეოთხე (დასაწყისი იხ. „გზა“, №44)

გაციმბირებული ქალის ტკივილიანი ცხოვრება

75 წლის რუსუდან ფრუიძეს ბედმა უმძიმესი ცხოვრება არგუნა. მან ბავშვობაშივე იწვნია უსამართლობა, როცა ციმბირისკენ მიმავალ გზას გაუყენეს. იმ წლებმა მის სულს მოუშუშებელი ტკივილი და ტრავმა მიაყენა, ამას კი ახალი ტრაგედიები — საყვარელი ადამიანების დაღუპვაც დაემატა. არ შეიძლება, ამ ქალბატონის მონათხრობს ემოციისა და ცრემლის გარეშე მოუსმინო. „ვინმემ დიდხანს სიცოცხლე რომ მისურვოს, ეს ჩემთვის დაწყევლის ტოლფასია. აბა, რა აზრი აქვს სიცოცხლეს, როცა აღარავინ მყავს?“ — მითხრა დანანებით მოხუცმა.

თეა ხურცილავა

რუსუდან ფრუიძე:

— მამაჩემი ინჟინერი იყო. თურმე, როცა ომში მიდიოდა, დედას დაუბარა, — ანიკო, ბავშვებს მიხედე და სამსახურში არ გახვიდე, იმდენ პროდუქტს გიტოვებ, 5 წელიც გეყოფათო. 1943 წელს მამა შეთქმულებაში დაადანაშაულეს და პოლიტიკური ბრალდებით დახვრიტეს; ჩვენი ოჯახიც სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს და ციმბირში გადასახლება მოგვისაჯეს. გადასახლების დროს დედამ მამის დახვრეტის ამბავიც გაგვიმხილა — მაშინ 6 წლის ვიყავი და მახსოვს, ერთადერთი შეღავათი მოგვცეს, — სახლიდან რაც გინდათ, ყველაფერი წაიღეთო; შემდეგ სატვირთო ვაგონებში შეგვყარეს და დავადექით იმ გრძელ, საშინელ გზას. გაგანია ომი იყო, მატარებელი გზადაგზა ჩერდებოდა. დიდხანს ვიარეთ, შემდეგ ტომსკის ოლქში, სოფელ ასინოვოში ამოვყავით თავი. თურმე, ჩვენამდე იმ სოფელში 1937 წელს გადასახლებული პატიმრები ცხოვრობდნენ და უამრავი ბარაკი დაგვხვდა. სხვებისგან განსხვავებით, იმაშიც გაგვიმართლა, რომ მორებისგან აშენებული ერთი ოთახი მოგვცეს. ჩვენთან ერთად, გადასახლებაში ახალგათხოვილი, ულამაზესი თამარ ბაკურაძეც მოყვა. ის დედას ძალიან შეეცოდა და ჩვენს საცხოვრებელში შემოიყვანა. მახსოვს, 300 გრამი პურისთვის დედა მთელი დღე აფთიაქში მუშაობდა. ჩემი და — ნუნუ და თამარი კი ძალიან რთულ სამუშაოზე გაამწესეს: ეს სიფრიფანა გოგონები ვაგონებს მორებით ტვირთავდნენ. როცა გენიალურ ფილმს, „მონანიებას“ ვუყურებ და მდინარის ჩამოტანილ ვეებერთელა, წარწერებიან ხის მორებს ვხედავ, მაშინვე ჩემი წარსული მახსენდება... ხალხი 40-50 გრადუს ყინვაში, გაუსაძლის პირობებში მუშაობდა. დღესაც თვალწინ მიდგას, თუ როგორ იხოცებოდნენ ადამიანები აუტანელი პირობების გამო. გადასახლებაში ძირითადად, ის ქალები იყვნენ, რომლებსაც ქმრები დაუხვრიტეს. სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ თბილი ტანსაცმელი და მამის დანატოვარი სანოვაგე მაინც გვქონდა, ბევრს კი არათუ იმ კლიმატის შესაფერისი ტანისამოსი, არამედ საჭმელიც არ ჰქონდა. ასეთ ჯოჯოხეთში 5 წელი გავატარეთ, იმ წლების დავიწყება შეუძლებელია.

— სკოლაში არ გივლიათ?

— სკოლა ბარაკებიდან მოშორებით იყო და რამდენიმე კილომეტრს ზაფხულში ფეხით, ზამთარში კი თხილამურებით გავდიოდი. ისიც მახსოვს, რას გვამღერებდნენ და გვასწავლიდნენ... ომის შემდეგ გადასახლებიდან დაგვაბრუნეს და მშობლიურ რაჭაში, კერძოდ კი ჭრებალოში ჩაგვიყვანეს. ვიდრე ჩვენ გადასახლებაში ვიყავით, სოფელში სკოლა დამწვარა და სასწავლებელი ჩვენს სახლში გაუხსნიათ. ჰოდა, ვინაიდან მშობლიურ სოფელში ჩასულებს ჭერი არ გვქონდა, ბიძამ შეგვიფარა. სკოლის დირექტორი — აკაკი ფრუიძე სახლის დაბრუნებაში გვეხმარებოდა. მეზობლებისა და ნათესავების დახმარებით, სკოლისთვის სამშენებლო მასალა ვიყიდეთ და სახლიც დაგვიცალეს. მოკლედ, ცხოვრება თავიდან დავიწყეთ. იმ წლებში, როცა გადაგვასახლეს, ჩემი და, ნუნუ ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლობდა, გადასახლებიდან დაბრუნებულს კი თავიდან მოუხდა სასწავლებელში გამოცდების ჩაბარება, ამჯერად — პედაგოგიური ფაკულტეტი აირჩია. დედას მატერიალურად ძალიან უჭირდა და ამიტომაც, ციმბირიდან ჩამოსვლის შემდეგ მე ბიძასთან ვცხოვრობდი. საშუალო სკოლა სოხუმში დავამთავრე, შემდეგ კი სწავლა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე განვაგრძე. დღეს ჩვენი ოჯახი რეაბილიტირებულია — სასამართლოს გადაწყვეტილებით, რეპრესიის მსხვერპლად გვაღიარეს.

— მომავალი მეუღლე სად გაიცანით?

— დედამთილი — წერეთლის ქალი და მამამთილი — გიორგი ხიმშიაშვილი საოცრად კარგი ადამიანები იყვნენ, თბილისში ცხოვრობდნენ. ჩემი მეუღლე დედისერთა, განებივრებული ბიჭი იყო. ერთმანეთი სოხუმში გავიცანით — ის დასასვენებლად გახლდათ ჩამოსული. მოგეხსენებათ, მაშინ მოტაცება იყო მოდაში და მომიტაცა. მის გვერდით ბედნიერად ვცხოვრობდი, თავს უბედნიერეს ადამიანად მივიჩნევდი, მაგრამ თურმე, წინ დიდი უბედურება მელოდა.

— რა მოხდა შემდეგ?

— ქალ-ვაჟი მყავდა. ჩემი ოჯახის ტრაგედია რძლის ანუ ვაჟის ცოლის გარდაცვალებით დაიწყო, მერე ძმაც დამეღუპა. ვაჟი, ლევან ხიმშიაშვილი აფხაზეთის ომში იბრძოდა, იქ დაიჭრა და 47 წლის ასაკში გარდამეცვალა, ამას კი ჩემი შვილიშვილის — ქალიშვილის 20 წლის ვაჟის ავტოკატასტროფაში დაღუპვა მოჰყვა; ჩემმა ქალიშვილმა ამდენ ტკივილს ვეღარ გაუძლო და

რუსუდან ფრუიძე

მალე ისიც ინფარქტით, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა... მყავს შვილიშვილი (ვაჟის ქალიშვილი), რომელიც ექიმია, ირლანდიაში გათხოვდა და იქ ცხოვრობს; ასევე მყავს 11 წლის შვილთაშვილიც — ჩემს შვილიშვილს, რომელიც ავტოავარიაში მოყვა, ფეხმძიმე ცოლი დარჩა... იმ ტკივილის გადმოცემა, რაც ჩემს სულში ტრიალებს და რაც გადავიტანე, შეუძლებელია... რამდენიმე წლის წინ ბინაც დავკარგე და დავრჩი ბედის ანაბარად.

— ბინა როგორ დაკარგეთ?

— დიდუბეში, სამოთახიან ბინაში ვცხოვრობდით. მერე ის ბინა ჩავაბარეთ, სამაგიეროდ კი ორი ბინა უნდა მოეცათ, მაგრამ კორპუსი არ აშენდა. ამის დამადასტურებელი საბუთები მაქვს, მაგრამ რად გინდა?.. თავშესაფარში სამი წლის წინ მოვედი. ძმისშვილები მეხვეწებოდნენ, — ჩვენთან იცხოვრეო. მართალია, შვილიშვილის ცოლი გათხოვდა, მაგრამ ისიც მემუდარებოდა, საცხოვრებლად ჩემთან გადმოდიო; შვილიშვილის ამხანაგები მთავაზობდნენ, — ბინას ჩვენ დაგიქირავებთო, მაგრამ სხვების შეწუხებას, აქ ყოფნა ვარჩიე.

— შვილთაშვილი გაკითხავთ?

— ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილი ვერის სასაფლაოზეა დაკრძალული. შვილთაშვილი იქვე ახლოს ცხოვრობს და ვინაიდან ძალიან დატვირთული რეჟიმი აქვს, ამიტომაც, ბავშვს იქით ვაკითხავ ხოლმე...

— აქ როგორ გადის დრო?

— ნათელა ხვიტიასთან ვმეგობრობ, ძალიან საინტერესო ადამიანია. აქ ხშირად ვსაუბრობთ წარსულზე და ერთმანეთს ვანუგეშებთ. სხვათა შორის, თავშესაფრის თანამშრომლები დიდ ყურადღებას გვაქცევენ და კარგადაც ვიკვებებით. პენსიას ვიღებთ და იმ თანხით დამატებით, ტკბილეულს ვყიდულობთ ან რაც გვინდა, იმას ჩვენივე ხელით ვამზადებთ. ფულს გართობასა და ტანსაცმელებში ნამდვილად არ ვხარჯავთ... ღმერთმა ნურავის განაცდევინოს ის ტკივილი და ტანჯვა, რაც მე გადავიტანე.

„დამ ბინა გამაყიდვინა და ქუჩაში აღმოვჩნდი“

ქალბატონ რუსუდანთან ვწერდი ინტერვიუს, როცა ოთახში მისი მეგობარი, ნათელა ხვიტია შემოვიდა. პატარა ტანის, სათნო, კოპწია მოხუცი იქვე, სავარძელში მოკალათდა. როცა ქალბატონმა რუსუდანმა მითხრა, — ნათელა ექიმია და ძალიან საინტერესო ცხოვრება აქვს გამოვლილიო, მოხუცმა მორცხვად გაიღიმა... აღმოჩნდა, რომ მის სულსაც დიდი, მოუშუშებელი, 7 წლის შვილის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი სტანჯავს... მასთან საუბრისას ისიც გაირკვა, რომ 87 წლის კეთილი ქალბატონი უბინაოდ დისშვილის უპასუხისმგებლობის გამო დარჩა.

ნათელა ხვიტია:

— ექიმობა ძალიან მინდოდა, თან — იმ პერიოდში ეს პროფესია მოდაშიც იყო. მე და ჩემი მომავალი მეუღლე, გიორგი სამედიცინოზე ერთად ვსწავლობდით, ერთმანეთი შეგვიყვარდა და მეოთხე კურსის სტუდენტები ვიყავით, როცა დავქორწინდით... ჩემი მეუღლე „მიხაილოვის“ საავადმყოფოდან სამხედრო სამედიცინო სამსახურში გადაიყვანეს, მერე კი სომხეთში გაგვანაწილეს — მე ლაბორატორიის ექიმად, მეუღლე კი ოკულისტი იყო. სომხეთში 5 წელი ვიცხოვრეთ და იქვე შეგვეძინა ქალიშვილი; შემდეგ ბუდაპეშტის სამხედრო ჰოსპიტალში გადაგვიყვანეს, მოგვიანებით კი ალჟირში, სადაც 3 წელი ვიცხოვრეთ... თბილისში 1970 წელს დავბრუნდით. ბოლო წლები უშიშროების პოლიკლინიკაში, ლაბორატორიის გამგე ვიყავი. ჩემი ყველაზე დიდი ტკივილი ქალიშვილის გარდაცვალებაა — 7 წლის იყო, დიფტერია რომ დაემართა და უფალმა თავისთან წაიყვანა... სამსახურის გადამკიდე, მე და ჩემს მეუღლეს სხვადასხვა ქვეყანაში გვიწევდა ცხოვრება, ჩვენს ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ კი ერთმანეთს მალევე გავეყარეთ.

— რატომ?

— დაშორების მიზეზი ჩემი ეჭვიანობა გახდა. ის მექალთანე იყო და გაყრა ამიტომაც გადავწყვიტე. თან, სიმართლე გითხრათ, შვილის სიკვდილის შემდეგ ჩვენს ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა... ის სამუშაოდ სოჭში გააგზავნეს, მე თბილისში ვიყავი. ჰოდა, როცა დაბრუნდა, ვუთხარი, — ერთმანეთს უნდა გავეყაროთ, სასამართლოში განცხადება შეიტანე-მეთქი. მპირდებოდა, განცხადებას დავწერო, მაგრამ არ წერდა. მივხვდი, ამას არასდროს გააკეთებდა და ერთ დღეს სასამართლოში თავად მივედი.

— ამაზე როგორი რეაქცია ჰქონდა?

— განცხადება შევიტანე და დასასვენებლად გაგრაში წავედი. თბილისში დაბრუნებულს დედამ მითხრა, — სასამართლოში გიბარებენო. დედაჩემი ჩვენი დაშორების წინააღმდეგი იყო. მას სიძე ძალიან უყვარდა და ისიც დიდ პატივს სცემდა. სასამართლოში წასასვლელად ვემზადებოდი, როცა გიორგი სახლში მოვიდა და გაკვირვებულმა მკითხა: შენ რა, სასამართლოში მართლა მიდიხარო?.. მერე სხვა გზა არ ჰქონდა და პროცესზე ერთად წავედით. მოკლედ, მშვიდად, ყოველგვარი აყალმაყალისა და ჩხუბის გარეშე დავცილდით ერთმანეთს... მოგვიანებით მან მეორე ოჯახი შექმნა და ახლა 3 შვილი ჰყავს. მეც მყავდა თაყვანისმცემლები, მაგრამ ოჯახის შექმნაზე აღარ მიფიქრია. მართალია, ოფიციალურად გაყრილები ვიყავით, მაგრამ ხშირად მსტუმრობდა და ერთად გატარებულ დღეებზე ვსაუბრობდით.

— ყოფილ მეუღლეს ახლაც სიყვარულით იხსენებთ. ხომ არ ნანობთ, რომ ოდესღაც გაეყარეთ?

— ნამდვილად ვნანობ! მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ეს ნაბიჯი ეჭვიანობამ გადამადგმევინა. ის სულ ამბობდა, — 60 წლის რომ გავხდები, მაღალი პენსია მექნება და მუშაობას თავს დავანებებო. სამწუხაროდ, სწორედ 60 წლის ასაკში, სიმსივნით გარდაიცვალა. სამკურნალოდ მოსკოვში რომ წაიყვანეს, იქაც ჩავაკითხე; მინდოდა, ოპერაციის დროს მის გვერდით ვყოფილიყავი, გამემხნევებინა. სხვათა შორის, მოსკოვში რომ ჩავდიოდი, ეს მისმა მეუღლემაც იცოდა: მასთან ჩემს მეგობარს დავარეკვინე და ვაკითხვინე, თუ სად უკეთებდნენ ოპერაციას. იმ ქალმა შემომითვალა, — მეც მივდივარ და თუ ერთ დღეს დაიცდის, ერთად წავალთო. რატომღაც, მარტო წასვლა ვარჩიე.

ნათელა ხვიტია

— როგორი იყო თქვენი შეხვედრა?

— ნეტავ, სულ არ მენახა, საოცრად იყო შეცვლილი... ბუნებრივია, ჩემი დანახვა გაუხარდა და მითხრა, — ალბათ, მოსკოვში საყიდლებზე ჩამოხვედიო. — შენს სანახავად ჩამოვედი. მინდა, ოპერაციამდე გაგამხნევო-მეთქი. როცა დარწმუნდა, რომ მართლა მასთან ვიყავი ჩასული, მითხრა: ღმერთმა გადამახდევინოსო. სამწუხაროდ, სიმსივნე ვერ ამოაჭრეს, ოპერაცია უშედეგო აღმოჩნდა. მერე თბილისში დაბრუნდა და მალევე გარდაიცვალა. სხვათა შორის, მის დაკრძალვაზეც ვიყავი... ყოფილ ქმარს სიცოცხლის ბოლომდე ვუყვარდი, მე კი ის ახლაც მიყვარს. ყოველთვის ვუკეთებ საკურთხს და ლოცვებშიც ვიხსენიებ; არ მინდა, მის სულს რაიმე მოაკლდეს.

— ქალბატონო ნათელა, როგორც ვიცი, ბინა თქვენც დაკარგეთ...

— 9 წელია, თავშესაფარში ვცხოვრობ. უშიშროების ლაბორატორიის გამგე ვიყავი, როცა დისშვილის გამო ბინა გავყიდე და ქუჩაში დავრჩი. თავიდან ნაქირავებში ვცხოვრობდი, მაგრამ მერე პენსიაზე გამიშვეს ანუ სამსახურის გარეშე დავრჩი და ცხადია, ქირის გადახდა გამიჭირდა...

— დისშვილი არ ზრუნავდა თქვენზე?

— ის არ ზრუნავდა, მაგრამ მეორე დისშვილი მეხმარებოდა... სამუშაოს დაკარგვის შემდეგ, მუდამ მოწყენილი დავდიოდი, გამოსავალს ვერ ვპოულობდი. ახლობლები ჩემს გულისტკენას ერიდებოდნენ და არ მეუბნებოდნენ, თავშესაფარში მიდიო, მაგრამ ბოლოს, როცა ნახეს, რომ სხვა გამოსავალი არ მქონდა, გაბედეს და მკითხეს: — პანსიონატში ხომ არ წახვალო? მართალია, ამ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა, მაგრამ სხვა გზა მართლა აღარ მქონდა... მაშინ პანსიონატის დირექტორი მერი გოგოლი იყო. მას უშიშროებიდან დაურეკეს და სთხოვეს, ჩემთვის ოთახი გამოეყო. ქალბატონმა მერიმ ძალიან კარგად მიმიღო და თანამშრომელს უთხრა, ყველაზე კარგ ოთახში შეიყვანეთო. რატომღაც მეგონა, სველი წერტილები საერთო იქნებოდა და ეს ძალიან მაშინებდა, მაგრამ იზოლირებული ოთახი რომ ვნახე, ცოტათი ამოვისუნთქე... აქ მყუდრო გარემოა და კმაყოფილი ვარ, თავშესაფარი რომ მაქვს.

— ვინმე გაკითხავთ?

— დისშვილი მაკითხავდა, მაგრამ ახლა აღარ დადის. ჩემი დაც ცოცხალია, მაგრამ ჩემს სანახავად არ მოსულა. სხვათა შორის, სწორედ მისი ბრალია, უბინაოდ რომ დავრჩი: მის შვილს პრობლემები რომ შეექმნა, შემომიჩნდა, — დამეხმარე, ბინა გაყიდეო. სამსახურშიც მოდიოდა, მოსვენებას არ მაძლევდა და სხვებსაც ეუბნებოდა, — ყველამ ურჩიეთ, ბინა გაყიდოს. მარტო რატომ უნდა იცხოვროს, ჩემთან გადმოვიდესო. მას 5-ოთახიანი ბინა აქვს. თანამშრომლები მაფრთხილებდნენ, — არ შეცდე, ბინა არ გაყიდოო, მაგრამ საბოლოოდ, ჩემმა დამ მიზანს მაინც მიაღწია და იძულებული გავხდი, საცხოვრებლად მასთან გადავსულიყავი, ჩემი ავეჯი და ნივთებიც იქ გადავიტანე, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ჯობდა, იქიდან წამოვსულიყავი. შემდეგ გარკვეული პერიოდი მეგობრებთან ვცხოვრობდი. სხვათა შორის, კარგი მეგობრები მყავდა, მაგრამ გარდაიცვალნენ. ისინი ცოცხლები რომ იყვნენ, მერწმუნეთ, ბინის პრობლემა არ მექნებოდა... მას შემდეგ, რაც აქ გადმოვედი, დის სახლში რამდენჯერმე მივედი და ჩემი ნივთების ნაწილი წამოვიღე. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი სისხლი და ხორცი დის ბედით არ დაინტერესებულა... დროთა განმავლობაში აქ ბევრი მეგობარი შევიძინე. იუმორი მიყვარს, ჰოდა, სწორედ ეს მეხმარება სევდისა და ნაღველის გაქარწყლებაში. ■



სამყარო

რუსულ-ოსმალური შეთქმულება ქართველ მამლუქთა წინააღმდეგ

XIX საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთის იმპერიამ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსირება მოახდინა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც გააუქმა, შორეულ ეგვიპტეში, რომელიც იმხანად ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოდ მიიჩნეოდა, ხელისუფლების სათავეში ქართველი მამლუქები იდგნენ. მათ ქართველ მეფეებთან და მთავრებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ და, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ინტერესების ლობირებას ახდენდნენ. მამლუქები ქართლ-კახეთის რუსთაგან დაპყრობასაც აქტიურად გამოეხმაურნენ და რა თქმა უნდა, რუსეთის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს — მხარი დაუჭირეს იმერეთის მეფეს, სოლომონ II-ეს, რომელიც საქართველოდან რუსების განსადევნად ყოველ ღონეს ხმარობდა.

ეგვიპტის ხედივი (გამგებელი) მუჰამედ ალი ფაშა

მიხეილ ლაბაძე

აღსანიშნავია, რომ იმხანად ეგვიპტე ძალზე ფართო ავტონომიური უფლებებით სარგებლობდა. მას მამლუქთა საბჭო და ოსმალეთის სულთნის მიერ დანიშნული გამგებელი მართავდა, რომელსაც ხედივს უწოდებდნენ. მამლუქთა საბჭოს წევრების დიდი ნაწილი წარმოშობით ქართველი იყო, ხედივის პოსტი კი ალბანელ მუჰამედ ალი ფაშას ეკავა. ეს უკანასკნელი ეგვიპტეში 1798 წელს, ფრანგების განსადევნად ჩასულ ოსმალურ არმიას სარდლობდა და შემდგომში, მანიპულაციების წყალობით, ხედივობაც გაინაღდა, თუმცა ქვეყანაში ძალაუფლება რეალურად, მაინც ქართველ მამლუქთა ლიდერებს — მურად ბეის, იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილსა და მუჰამედ ბეი ლაზოღლის ეპყრათ. ნაპოლეონის ეგვიპტური ლაშქრობის დროს მამლუქთა ჯარებს სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ, ხოლო უფრო ადრე კი ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ. ამ მიზეზის გამო ქართველი მამლუქების სამეფული ადგილობრივ ეგვიპტელ მოსახლეობაში უფრო დიდი პოპულარობითა და გავლენით სარგებლობდა, ვიდრე სტამბოლის ხელქვეითი, მუჰამედ ალი ფაშა.

XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსეთი იმერეთის ანექსიისთვის საბაბს ეძებდა, სოლომონ II-ის მსტოვრები იბრაჰიმ ბეის წარგზავნილ ხალხს სტამბოლში საიდუმლოდ შეხვდნენ. მამლუქთა ლიდერი იმერლებს აღუთქვამდა, რომ იარაღისა და აღჭურვილობის შესაძენად, ასევე ჩრდილოკავკასიელთა დასაქირავებლად, სოლომონს სოლიდურ ფინანსურ დახმარებას გაუწევდა. ამავდროულად, იმერელმა მსტოვრებმა მსგავსი დაპირებები სულთნის კარზეც მიიღეს — ოსმალეთის მესვეურებმა სოლომონ II-ეს აღუთქვეს, რომ თუკი რუსეთი იმერეთში შეიჭრებოდა, სტამბოლი მას სამხედრო ძალით დაუპირისპირდებოდა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი რუსულმა დაზვერვამაც შეიტყო და ქართველი გვირგვინოსნის წინააღმდეგ აგენტურა აამუშავა.

„იმერეთის მეფეს დიდი მხარდაჭერა აქვს ოტომანთა იმპერიისა და სახელდობრ კი მისი ვასალის — ეგვიპტის მხრიდან. მამლუქთა არმიის სარდალი იბრაჰიმ ბეი მისი უპირველესი მეგობარია, რომელიც ხსენებულ ქვეყანაში უდიდეს გავლენას ფლობს და ხელთ გვაქვს ცნობები, რომ მას ანგარიშს თავად სულთანიც კი უწევს; თუმცა, თავად ეგვიპტის ხედივს — მუჰამედ ალი ფაშას იბრაჰიმ ბეი გულზე არ ეხატება“, — ასე იწყებოდა საიდუმლო წერილი, რომელიც სანქტ-პეტერბურგში ალექსანდრე I-ის კარზე, 1809 წლის დასაწყისში მიიღეს, როცა ანექსირებულ ქართლ-კახეთში ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით მძლავრი ანტირუსული გამოსვლები მიმდინარეობდა, რასაც იმერეთიდან მხარს სოლომონ II უჭერდა, ეგვიპტიდან კი — იბრაჰიმ ბეი.

როგორც ცნობილია, იბრაჰიმ ბეის ქართული გვარი შინჯიკაშვილი იყო. ის 1735 წელს, სოფ. მარტყოფში დაიბადა. 15 წლისა მშობლიური სოფლიდან ლეკმა ყაჩაღებმა გაიტაცეს და სტამბოლში, ოსმალო მონათვაჭრებს მიჰყიდეს; მათ კი ჯანღონით სავსე ქართველი ჭაბუკი ეგვიპტის მამლუქ გამგებელს აჩუქეს. იბრაჰიმმა (ასე უწოდეს მას ისლამის მიღების შემდგომ) მალე შეითვისა სამხედრო ხელოვნება, მამლუქთა ქცევის კოდექსი „ალ-ფურუსია“ და სწორუპოვა-

მამლუქები ბრძოლის ველზე; XIX საუკუნის დასაწყისის ინგლისური გრავიურა

რი მებრძოლის სახელიც მოიხვეჭა. მალე მან „ბეის“ ტიტულიც მიიღო და არმიის სარდალი გახდა.

გამუსლიმანების მიუხედავად, იბრაჰიმ ბეის ქართველობა და საქართველო არ დავიწყებია. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე II-სთან და სოლომონ I-თან, მფარველობდა სინას მთის ქართულ მონასტრებსაც. XVIII საუკუნის ბოლოს, ერეკლე II-ეს სოლიდური თანხა გაუგზავნა — დედაჩემი უკვე ღრმად მოხუცი იქნება, სოფლიდან მოშორებით მდებარე ტაძარში სიარულს ვეღარ შეძლებს და მარტყოფის ცენტრში, ჩვენი სახლის სიახლოვეს, დიდი ეკლესია ააგეთო. ერეკლე II-მ ეგვიპტის ჯარების სარდლის თხოვნა პირნათლად შეასრულა. იბრაჰიმ ბეის შემოწირულობით აგებული ეს ტაძარი მარტყოფის ცენტრში დღესაც დგას.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არც იყო, რომ რუსთა წინააღმდეგ მებრძოლ მეფე სოლომონ II-ეს, ალექსანდრე და იულონ ბატონიშვილებს იბრაჰიმ ბეიმ მაშინვე უყოყმანოდ დაუჭირა მხარი. თანაც, იმხანად მამლუქთა ლიდერი არა მარტო ეგვიპტეში, არამედ მთლიანად ოსმალეთის იმპერიაშიც, უდიდესი გავლენით სარგებლობდა, მიუხედავად იმისა, რომ სულთნის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო. იბრაჰიმ ბეის სტამბოლში ანგარიშს იმიტომ უწევდნენ, რომ მისმა მამლუქებმა თვით ნაპოლეონ ბონაპარტე დაამარცხეს და ცხადია, საჭიროების შემთხვევაში, ოსმალური არმიის გამკლავებაც თავისუფლად შეეძლოთ.

XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ნაპოლეონის არმიამ ეგვიპტე დატოვა, იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილი, მის თანამებრძოლებთან — მურად ბეისა და მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლისთან ერთად, სტამბოლის მესვეურებმა ეგვიპტის მმართველებად ოფიციალურად აღიარეს; ამავდროულად, როგორც უკვე ითქვა, მთავარ გამგებლად ანუ ხედივად მაინც თავიანთი პროტეჟე — ალბანელი მუჰამედ ალი ფაშა დანიშნეს. ეს უკანასკნელი თავიდან ქართველებთან კარგად იყო, რადგანაც სხვანაირად ძალაუფლებას ვეღარ შეინარჩუნებდა. 1809 წლიდან კი მან ქართველთა მიმართ დამოკიდებულება ნელ-ნელა შეცვალა — უფლებები მნიშვნელოვანწილად შეუზღუდა და ქონებაც ჩამოართვა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ 1806 წლიდან ოსმალეთი ნაპოლეონის საფრანგეთს დაუახლოვდა, მამლუქები კი ამ დაახლოებას არ იწონებდნენ.

საინტერესოა, რომ სწორედ ამ პერიოდში, რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი მიმდინარეობდა. მთავარი საბრძოლო მოქმედებები, როგორც წესი, შავ და ეგეოსის ზღვაში იყო გაჩაღებული. რუსული საიდუმლო სამსახურები კი ოსმალეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე აქტიურად მუშაობდნენ. ეგვიპტე საომარ ასპარეზთან ძლიერ ახლოს იყო და გარდა ამისა, მას ქართველი მამლუქები მართავდნენ. სხვათა შორის, მაშინ რუსეთში ისევე, როგორც ახლა, მიიჩნევდნენ, რომ როგორც ქართული სახელმწიფოს, ისე გავლენიანი ქართული ლობის არსებობა მათთვის საზიანო იყო და, რაღა თქმა უნდა, რუსული საიდუმლო სამსახურების უპირველესი ამოცანა სწორედ ხსენებული ორი კომპონენტის განადგურება გახლდათ.

მამლუქთა ხოცვა-ჟლეტა; ინგლისელი მხატვრის, ჰორაციო ვერნეტის ნახატი

რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე (1809 წლის მარტი), იმერეთის მეფემ, სოლომონ II-მ სამეფოდან რუსების განდევნის მიზნით, აჯანყების წამოწყება სცადა. ამავდროულად, მღელვარება ქართლ-კახეთშიც დაიწყო, სადაც იმხანად საიდუმლოდ ჩავიდნენ მეფე ერეკლეს ძე ალექსანდრე და გიორგი XII-ის ძე თეიმურაზი. როგორც სოლომონ II-ეს, ისევე მათაც, ეგვიპტელ ქართველ მამლუქებთან კავშირი ჰქონდათ და იბრაჰიმ ბეისაგან დღე-დღეზე აჯანყების წარმართვისათვის საჭირო ფინანსებსაც კი ელოდნენ; დახმარებამ დაიგვიანა და ბოლოს, სოლომონ II იძულებული გახდა, რომ საკუთარ სამეფოში ოსმალური არმია შემოეშვა. 1809 წლის ოქტომბერში ოსმალო ჯარისკაცები ტრაპიზონის სერასქერის, შერიფ-ფაშას სარდლობით, გრიგოლეთსა და მალთაყვას შორის დაბანაკდნენ. 2 ნოემბერს მათ გურიის მთავარმა, მამია გურიელმა ზურგიდან შეუტია, რის გამოც რუსეთმა გურია იმერეთისგან დამოუკიდებლად ცნო და მფარველობაში აიყვანა. ამდენად, სოლომონ II განწირული აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ არასაბჭოთა რუსულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, 1809-1812 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში იმერეთი სტამბოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოკავშირე იყო (ნაპოლეონის საფრანგეთთან ერთად) და აქედან გამომდინარე, 1809-1810 წლებში რუსეთის მიერ მისი დაპყრობა სწორედაც რომ ომის წარმოების გენერალურ გეგმასთან სრულ შესაბამისობაში განხორციელდა. რაც შეეხება იმერეთის მთავარ საზღვარგარეთულ „ლობის“ — ეგვიპტის ქართველ მამლუქებს, მათი განადგურებით დაინტერესებული იყო არა მარტო რუსეთი, არამედ ოსმალეთიც, რომელსაც საკუთარ სამფლობელოში პოტენციური სეპარატისტული დაჯგუფების არსებობა, ცხადია, არ აძლევდა ხელს.

იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილის სავარაუდო პორტრეტი; XIX საუკუნის დასაწყისის გრავიურა

1809 წლის სექტემბერში, მუჰამედ ალი ფაშასთან რუსების ემისარი, წარმოშობით სტამბოლელი ბერძენი, თავადი კონსტანტინოს იფსილანტისი (იგივე კონსტანტინ იფსილანტი), საიდუმლოდ ჩავიდა. მან ბრწყინვალედ იცოდა, რაოდენ ამბიციურიც იყო ალბანელი ხედივი და ამიტომ წარმატებაში ეჭვიც არ ეპარებოდა. იფსილანტისმა მუჰამედ ალი ფაშა მართლაც ადვილად დაარწმუნა იმაში, რომ თუ მიმდინარე ომში რუსების ინტერესებს გაითვალისწინებდა, ეგვიპტის ერთპიროვნულ მმართველად იქცეოდა და სანქტ-პეტერბურგიც მხარს დაუჭერდა. „მამლუქები ეგვიპტეში გავლენით იმიტომ სარგებლობენ, რომ ოსმალეთთან დაპირისპირებულნი არიან და აქაურების პატრიოტულ გრძნობებზე კარგად თამაშობენ. თუ თქვენც მათ მიბაძავთ, მოსახლეობა თქვენც დაგიჭერთ მხარს...“ — უთხრა ბერძენმა თავადმა მუჰამედ ალი ფაშას. „ეგ კი მესმის, მაგრამ რა ვუყო მამლუქებს?“ — იჭვნეულად ჰკითხა ხედივმა. „საკმარისია, თქვენ ანტიოსმალური პოზიცია დაიკავოთ, რომ მამლუქებმა აქაურების მხარდაჭერა დაკარგონ... მერე კი, მათთან გამკლავება აღარ გაგიჭირდებათ“, — ეშმაკურად ჩაეცინა იფსილანტისს — შეატყო, რომ მუჰამედ ალი ფაშას მისი წინადადება ჭკუაში დაუჯდა.

მეორე დღესვე, მუჰამედ ალი ფაშამ სპეციალური ბრძანება გამოსცა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ეგვიპტიდან ოსმალურ არმიაში აღარავის გაიწვევდნენ: „ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, დღეიდან წყდება ეგვიპტელ ჭაბუკთა ოსმალურ ჯარში გაწვევა. ბრწყინვალე პორტას და მის უდიდებულესობა სულთანს კი ჩვენ გავუგზავნით ხარკს, რომელიც მამლუქი ბეებისაგან მოიკრიბება“, — ბრძანებდა ხედივი. მართლაც,

რუსების ემისარი, თავადი კონსტანტინოს იფსილანტისი

ხსენებული ბრძანების აღსრულების მიზნით, ეგვიპტეში თითქმის ყველა მამლუქ წარჩინებულს ქონება ჩამოართვეს; თუმცა, მუჰამედ ალი ფაშას სულთნისთვის ხარკის გაგზავნა არც უფიქრია. მან მოკრებილი ფინანსები ქვეყნის განვითარებას მოახმარა: შექმნა საკუთარი რეგულარული არმია, დააარსა სტამბები, საავადმყოფოები, გაზეთი და ეგვიპტეში რიგი უმნიშვნელოვანესი რეფორმები გაატარა.

რასაკვირველია, სხვა მამლუქებთან ერთად, ქონება იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილს, მურად ბეის და მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლისაც ჩამოართვეს, სანაცვლოდ კი შავკანიანი ტომებით დასახლებული, ზემო ეგვიპტისა და ნუბიის (თანამედროვე სუდანი) ოლქები ჩააბარეს, სადაც ვითარება უკიდურესად დაძაბული იყო. შავკანიანები ეგვიპტის ხედივის ძალაუფლებას არ ცნობდნენ და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. აი, სწორედ ამ მიზეზის გამო ვეღარ დაეხმარნენ ქართველი მამლუქები სოლომონ II-ესა და ქართლ-კახეთის ბატონიშვილებს. მუჰამედ ალი ფაშა იმედოვნებდა, რომ მამლუქი ბეები შავკანიანებთან ბრძოლას თუ არ შეეწირებოდნენ, დასუსტდებოდნენ მაინც და მათი განადგურება პრობლემა აღარ იქნებოდა.

მამლუქმა ბეებმა ზემო ეგვიპტესა და ნუბიაში თან ათასამდე რიგითი მამლუქი წაიყვანეს, რის შედეგადაც მუჰამედ ალი ფაშას საშუალება მიეცა, ქვეყნის უდიდესი ნაწილი თავისი ერთგული ჯარით გაეკონტროლებინა. ამავე დროს, ის მამლუქები, ვინც ბეებს არ გაჰყოლიან, ხედივმა ან გადმოიბირა, ან თანდათანობით გაანადგურა. ასე გახდა მუჰამედ ალი ფაშა ეგვიპტის ერთპიროვნული მმართველი და ხალხშიც მალე მოიპოვა მხარდაჭერა. გარკვეულ საკვანძო საკითხებში ოსმალეთის საწინააღმდეგო პოზიციების დაკავებამ თავისი ქნა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხედივი სტამბოლთან აშკარად დაპირისპირებას ერიდებოდა: „დიდია ძალა და გულმოწყალება ჩვენი სულთნისა, ალაჰის ნაცვალისა დედამიწაზე! მოგახსენებთ, რომ ბონაპარტის მოწინააღმდეგე მამლუქები მე დავიმორჩილე და ქვეყნის სამსახურში ჩავაყენე. ახლა სულთანი მხნედ დაელაპარაკება ფრანგების ფაშას, რადგანაც ზურგიდან დარტყმის შიში აღარ ექნება“, — წერდა მუჰამედ ალი ფაშა ოსმალეთის იმდროინდელ პირველ ვეზირს, ქორ იუსუფ ზიაუდდინ ფაშას.

ამავდროულად, მუჰამედ ალი ფაშა რუს ემისრებს აღუთქვამდა, რომ თუ სანქტ-პეტერბურგი ეგვიპტეში დესანტის გადასხმას გადაწყვეტდა, თვითონაც ოსმალეთისგან დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, მაგრამ რუსები არ ჩქარობდნენ. მათ პირველ რიგში, დარდანელ-ბოსფორის სრუტეები და დასავლეთ საქართველო აინტერესებდათ და ეგვიპტესაც სწორედ ხსენებულ რეგიონებთან დაკავშირებით განიხილავდნენ. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სანქტ-პეტერბურგში მუჰამედ ალი ფაშასა და სულთნის კარის ურთიერთობის თაობაზე ყველაფერი კარგად იცოდნენ; ამიტომაც, როდესაც ხედივმა ქართველ მამლუქებს ქონებაც ჩამოართვა და ზემო ეგვიპტეშიც გადაკარგა, რუსეთის სამეფო კარმა მასთან კავშირი მნიშვნელოვანწილად შეასუსტა. „ეგვიპტეში მამლუქებს აღსასრული დაუდგათ. ამდენად, ჩვენი მისიაც შესრულებულია; ხედივთან ჯერჯერობით საქმე არა გვაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის არ უნდა დავკარგოთ“, — წერდა კონსტანტინოს იფსილანტისი პეტერბურგელ უფროსებს.

სანამ იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროში ასეთი ამბები ხდებოდა, ველურ და მიკარგულ ზემო ეგვიპტესა და ნუბიაში იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილი ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად შავკანიანებს ებრძოდა. მამლუქები მდ. ნილოსს ზემოთ მიუყვებოდნენ და გზად ყველას და ყველაფერს ანადგურებდნენ. ჩვენს დღეებამდე მოატანა იბრაჰიმ-ბეის ერთ-ერთი მამლუქის — ზულფიყარ-ალის მიერ არაბულ ენაზე დაწერილმა დღიურებმა, სადაც ნათქვამია, რომ მათ „მთვარის მთებამდე“ მიაღწიეს და შავკანიანთა ყველა ტომი დაიმორჩილეს, რომელიც კი ზემო ეგვიპტის ჩრდილო საზღვრიდან მოყოლებული, ვიდრე იქამდე სახლობდა. ცხადია, მამლუქებმა თავადაც ზარალი განიცადეს — 1000 კაციდან 600-ღა დარჩნენ; ამიტომაც იბრაჰიმ ბეიმ და მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლიმ მხედრობა „მთვარის მთებიდან“ უკან გამოაბრუნეს და კაიროსკენ გაუდგნენ გზას. სამივე წინამძღოლი კმაყოფილი იყო — შავკანიანები აჯანყებას კიდევ დიდხანს ვერ გაბედავდნენ. მათ მუჰამედ ალი ფაშასთან (რომლის გულწრფელობაშიც ეჭვი, რატომღაც, არ ეპარებოდათ) მალემსრბოლიც გაგზავნეს, რომელსაც ზემო ეგვიპტის და ნუბიის სრული დამორჩილება უნდა ეცნობებინა ვერაგი ხედივისთვის. მამლუქებმა ამჟამინდელი ასუანის კაშხლის სიახლოვეს შეისვენეს და გზა მეორე დღეს, დილით ადრე განაგრძეს; კაიროში მოსაღამოებულზე შევიდნენ. მუჰამედ ალი ფაშამ, ცხადია, უკვე იცოდა ყველაფერი და მათ შესაფერისი პატივით მიეგება. ექვსასივე მამლუქი ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრა და საკუთარ სასახლეში მიიწვია.

1811 წლის 1-ელ მარტს, საღამოს, ზემო ეგვიპტიდან დაბრუნებულმა ექვსასმა მამლუქმა, მათ შორის იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილმა და მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლიმაც, თავი მუჰამედ ალი ფაშას სასახლეში მოიყარეს. ჩვეულებისამებრ, მათ ხედივთან იარაღით შესვლა შეეძლოთ, მაგრამ ამჯერად სასახლის დაცვამ იარაღი ყოველ მათგანს ჩამოართვა და კარიბჭეში მხოლოდ ამის შემდეგ შეუშვა. როდესაც ბოლო მამლუქმაც იარაღი მცველებს ჩააბარა და შევიდა, კარიბჭე მძიმედ მიიხურა და საგულდაგულოდ ჩაირაზა. მამლუქებმა მხოლოდ ახლაღა შენიშნეს, რომ თვით სასახლის კარიც ჩარაზული იყო. ისინი უკმაყოფილოდ ახმაურდნენ და სწორედ ამ დროს, თავს ისრების წვიმა დაატყდათ. მუჰამედ ალი ფაშას მშვილდოსნები მათ გალავნის ქონგურებიდან და სასახლის სათოფურებიდან ესროდნენ. ისრებს მოჰყვა ზარბაზნების ზალპიც და განიარაღებულ გმირთა უმეტესობა მოცელილი ბალახივით დაეცა მიწაზე. ამ ყველაფერს მუჰამედ ალი ფაშა სასახლის ერთ-ერთი ფანჯრიდან, მალულად ადევნებდა თვალყურს...

P.S. მამლუქთა ხოცვა-ჟლეტას მხოლოდ და მხოლოდ სამი კაცი გადაურჩა — იბრაჰიმ ბეი შინჯიკაშვილი, მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი და ვინმე ჰასანი, რომელიც წარმოშობით ასევე ქართველი იყო. მათ გალავანზე ასვლა და იქიდან გადახტომა მოახერხეს, გარეთ დატოვებულ ცხენებს მოახტნენ და ზემო ეგვიპტეში გაიქცნენ. აქ იბრაჰიმ ბეი მალევე გარდაიცვალა, ხოლო მუჰამედ ბეი ლაზ-ოღლი და ჰასანი კი მუჰამედ ალი ფაშას წინააღმდეგ პარტიზანულ ომს რამდენიმე წლის განმავლობაში ეწეოდნენ, თუმცა მათი აღსასრულის დეტალები ჯერაც უცნობია. ■

რუსი ემისრები მუჰამედ ალი ფაშას კარზე; უცნობი რუსი მხატვრის ტილო

მათე ღვინიანიძე — „ლომი“, რომელიც ძნელად თვინიერდება

„ველური მათეს მოთვინიერება“ — ასე დაასათაურა თავისი სტატია გერმანელმა ჟურნალისტმა, ული კელნერმა, რომელიც მეორე ბუნდესლიგის კლუბ „მიუნხენ 1860“-ში (მეტსახელად „ლომები“) მოასპარეზე ქართველ ფეხბურთელს, მათე ღვინიანიძეს ეხება.

ავტორის აზრით, ღვინიანიძეს ბევრი მიიჩნევს მოთამაშედ, რომელიც არასაფეხბურთო ცხოვრებით ცხოვრობს, ხოლო სხვები მასში მეორე ბუნდესლიგის გამორჩეულ მცველს ხედავენ. რაინერ მაურერს, რომელიც მიუნხენელთა მთავარ მწვრთნელად მიმდინარე სეზონის დაწყებამდე დაინიშნა, ქართველი კარგად ჰყავს შესწავლილი და ამიტომ მას გამუდმებით, მკაცრად აკონტროლებს.

ლიასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს

ლაშა თაბაგარი

ღვინიანიძე „მიუნხენ 1860“-ში 2006 წლის ივლისში, მოსკოვის „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობიდან გადავიდა და მას მერე, თუ სასურველ სათამაშო ფორმაშია, ძირითადში მოხვედრის პრობლემა არა აქვს. გასულ სეზონში მან 28 შეხვედრა ჩაატარა, ხოლო წლეულს, ტრავმების გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა: ჯერ კუჭი აწუხებდა, ხოლო შემდეგ — მუცლის კუნთი. სხვათა შორის, კუნთის დაზიანების გამო, საქართველოს ეროვნულ ნაკრებსაც ვერ დაეხმარა, არადა, თემურ ქეცბაიას გამოძახებული ჰყავდა შეკრებაზე. აღსანიშნავია, რომ საფეხბურთო პრობლემებზე მეტად, 23 წლის ქართველ მცველს პრობლემები დისციპლინის მხრივ უფრო აქვს და მიუნხენელთა ყოფილი მთავარი მწვრთნელების „თავის ტკივილად“ მიიჩნეოდა. ერთ-ერთი მატჩის წინ ღვინიანიძემ, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში იყო გამწესებული, გუნდთან ერთად მოთელვა ჩაატარა, მაგრამ მოულოდნელად ლინენმა შეცვალა, რაც მწვრთნელმა ფეხბურთელის უდისციპლინობით ახსნა. გასულ ზამთარს, გუნდის ექსთავკაცი, ევალდ ლინენი ფეხბურთელის უდისციპლინობამ ისე გააღიზიანა, რომ მისი გუნდიდან გაშვება სურდა — ღვინიანიძეს იჯარით აყვანა ინგლისის ჩემპიონლიგის ერთ-ერთ კლუბს უნდოდა. ყველაფრის „გვირგვინი“ აღმოჩნდა, როდესაც ქართველ მცველს „ობერჰაუზენთან“ გასვლით შეხვედრაზე ბუცების წაღება დაავიწყდა. შედეგად, ის კლუბმა სოლიდური თანხით დაავჯარიმა და მომავალ შეხვედრაში 18-კაციან განაცხადშიც არ შეიყვანა... თუმცა ღვინიანიძე დაბრუნდა და კვლავ სასტარტოში დაიწყო თამაში. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მიუნხენელებს დაცვაში დიდი არჩევანი არა აქვთ და ამასთანავე, სტატისტიკა მათეს სასარგებლოდ მეტყველებს — მოედანზე მოწინააღმდეგე ფეხბურთელებთან მოგებული ორთაბრძოლების მხრივ, მეორე ბუნდესლიგაში ქართველს ბადალი არ ჰყავს და ეს რამდენიმე სეზონია, გრძელდება.

ახალმა მწვრთნელმა მათე „მოათვინიერა“

გუნდის ახალი თავკაცი მაურერი თავიდანვე მიხვდა, რომ „მხიარული“ მათეს „მორჯულების“ მხოლოდ ორი გზა ჰქონდა — ის ან გუნდიდან უნდა გაეშვა, ან დისციპლინის მარწუხებში მოექცია. მაურერმა მეორე აირჩია და ეს გუნდში მისვლის პირველი დღიდანვე გააკეთა. სტატიის ავტორის აზრით, ახალმა მწვრთნელმა მათე „მოათვინიერა“, თუმცა მან ჩაცმის სტილი (რომელიც „განგსტერულს“ წააგავს) შეინარჩუნა და არც სწრაფი ავტომანქანების სიყვარული განელებია. სხვათა შორის, შარშან მოსკოვის „ლოკომოტივი“ მიუნხენში იყო ჩასული და ღვინიანიძემ, როდესაც ქუჩაში მალხაზ ასათიანი და დავით მუჯირი დაინახა, „პორშეს“ ჯიპი შუა გზაში ისე გააჩერა, რომ მოძრაობა გადაკეტა. ბუნებრივია, წესრიგის მოყვარული გერმანელებისთვის მსგავსი რამ უცხოა. მათემ კი ავტომანქანა მხოლოდ ქართველ ფეხბურთელებთან საუბრის შემდეგ დაძრა...

მიუხედავად ყველაფრისა, ღვინიანიძე მიუნხენელ გულშემატკივრებში პოპულარობით სარგებლობს და მას კლუბში დარჩენა მომავალშიც სურს: „თუ „მიუნხენ 1860“ უკეთეს პირობებს შემომთავაზებს, დავრჩები. აქაურობას შევეჩვიე, გერმანია მიყვარს. ვხედავ, რომ გულშემატკივრებს ძალიან ვუყვარვარ და მეც ამ გრძნობით ვპასუხობ მათ. რა დასამალია, ბუნდესლიგაში თამაში მინდა და კარგი იქნება, თუ ამას „მიუნხენ 1860“-ის მაისურით შევძლებ“.

სხვათა შორის, მათეს ოთხი და ჰყავს, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, განსაკუთრებული ურთიერთობა ერთ-ერთ მათგანთან — 25 წლის ლიასთან აქვს, რომელიც მიუნხენში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. „მიუხედავად იმისა, ვთამაშობ თუ არა, ის ჩვენი გუნდის ყოველ საშინაო მატჩზე სტადიონზე მოდის. ლია ბედნიერია, როდესაც „მიუნხენ 1860“ თამაშობს და კიდევ უფრო მეტად სიამოვნებს, როცა ვიმარჯვებთ. იგი ძალიან მიყვარს და მიხარია, რომ მიუნხენშია. მასაც ძალიან ვუყვარვარ, რაც კიდევ უფრო მგრძნობიარეს მხდის. ზოგჯერ ლიასგან ასეთ სატელეფონო შეტყობინებას ვიღებ: „მადლობა ღმერთს, რომ ასეთი კარგი ძმა მყავს!“ ოთხივე და მიყვარს, მაგრამ ლიასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს“, — ამბობს ღვინიანიძე.

დასთან დაკავშირებით, ქართველმა ფეხბურთელმა გერმანელ ჟურნალისტებს პატარა ამბავიც მოუთხრო: „ბავშვობაში, ღამე დედაჩემი ჩემს საძინებელ ოთახში შემოვიდა, მაგრამ საწოლი ცარიელი დახვდა. ის შოკში ჩავარდა. ცოტა ხნის მერე სიმღერის ხმა შემოესმა და ლიას ოთახში შევიდა. ლია, რომელიც თვითონაც ბავშვი იყო, ჩემთან ერთად საწოლზე იჯდა. მახსოვს, მან დედას უთხრა: „ის ჩემი ძმაა და უბრალოდ მინდა, ჩემთან ერთად იყოს“. პატარა რომ ვიყავი, ყველას უნდოდა, ხელში ავეყვანე და მომფერებოდა, მაგრამ ლია არ ეჭვიანობდა, პირიქით — უხაროდა, რომ ასე მექცეოდნენ“.

■

„პროტესტის ნიშნად, „განგსტერებად“ ვიქეცით“

მხატვარ-დიზაინერი ეკა ბალანჩივაძე მოდელებისა და მათი სამოსის ხატვით ბავშვობიდანვეა დაინტერესებული. 5 წელია, აქტიურადაა ჩაბმული მოდის სფეროში, ერთ-ერთი სამკერვალო სალონის მფლობელია და ქართულ Fashion კვირეულებშიც მონაწილეობდა.

თამთა დადეშელი

— სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი, მოდელირების ფაკულტეტზე, მაგრამ შემდეგ თავი დავანებე, სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე ჩავაბარე, რეზიდენტურაც დავამთავრე, თემებსაც ვწერდი საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად, მაგრამ საბოლოოდ მივხვდი, რომ ეს ყველაფერი „ჩემი არ იყო“ და შესაფერის ამპლუაში არ ვიყავი. სამკერვალო საქმეს მივუბრუნდი. ვცდილობ, ხალხმა უფრო მეტად გამიცნოს. მართალია, ჩემი მუდმივი მომხმარებელი უკვე მყავს, მაგრამ უფრო მეტად მინდა გაფართოება. Tbilisi fashion week-ში მონაწილეობის შემდეგ ყველაფერი უფრო კარგად აეწყო.

— როდის დაიწყეთ დიზაინერობა?

— ბავშვობიდან მოდელების ხატვა მომწონდა და მათ ვაცმევდი, ოღონდ — ფურცელზე. ძალიან ლამაზი ოთახი მქონდა, კედლებზე — ნახატებით. მშობლები ყველანაირად მიწყობდნენ ხელს და მათი დამსახურებაა, რომ აქამდე მოვედი. ჩემს ყველა იდეას მხარს უბამდნენ და ხორცს ასხამდნენ. პატარა რომ ვიყავი, დაახლოებით 11 წლის, თბილისში მოდის ფესტივალების ჩატარება მაშინ დაიწყო. დიზაინერ ირინა თევზაძესთან დავდიოდი, რომელიც ახლა საქართველოში აღარ ცხოვრობს, მაგრამ ძალიან ნიჭიერი, კრეატიული ადამიანია და ბევრი რამ მასწავლა.

— რა სტილის იყო თქვენი პირველი ნამუშევრები?

— ურბანული სტილი იყო — ყოველდღიური და მარტივად მოსახმარი ტანსაცმელი, „არაგაპრანჭული“. შემდეგ, მახსოვს, ხავერდის ქსოვილისგან „დუტი“ ჟილეტები შევკერეთ, ბეწვით, ფერადი სარჩულით, თან ლამაზად გავაფორმეთ და ძალიან კარგად გაიყიდა. მომხმარებელს ახლაც არ ვუჩივი, მაგრამ საზღვარგარეთ წასვლის დიდი სურვილი მაქვს, რომ მეტად დავიხვეწო.

— პირველი ჩვენება სად და როდის გქონდათ?

— სხვათა შორის, ჩემი პირველი ჩვენება ძალიან ორიგინალური იყო და კარგად ჩაიარა. თუმანიშვილის სახელობის თეატრში ჩავატარეთ. მოდელები — ნინელი ჭანკვეტაძე, სხვა ახალგაზრდა მსახიობები და ჟურნალისტები იყვნენ. დეკორატიული დეტალებით გაფორმებულ, ყოველდღიურ სამოსს წარმოვადგენდი. მოკლედ, ჩვენებამ სრული ანშლაგით ჩაიარა. ქეთი დოლიძე გაცებული იყო, როცა თეატრში ხალხი ფანჯრებიდანაც კი ძვრებოდა (*იცინის*). იმ პერიოდში ჩვენებას საკმაოდ კარგი გამოხმაურება ჰქონდა და ბევრგანაც გაშუქდა. იმდენი შეკვეთა გვქონდა, კოლექციის შეგროვებას ვერ ვასწრებდით, რომ ახალი ჩვენება მოგვეწყო. პერსონალურ ჩვენებას ხარჯიც დიდი აქვს, სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული. როცა მოდის კვირეულში მონაწილეობ, მხოლოდ კოსტიუმების შექმნა გევალება, საორგანიზაციო საკითხებს სხვები აგვარებენ.

— რა მოგცათ Tbilisi fashion week-მა?

— „ახალ რელსზე“ დამსვა (*იღიმის*). უფრო ცნობილები გავხდით.

— Georgian fashion week-ზიც მონაწილეობდით, მაგრამ უკმაყოფილო დარჩით. რატომ?

— Georgian fashion week „საოცრება“ იყო. ამდენი უპასუხისმგებლო ადამიანი ერთად, ასეთი მოუწესრიგებელი რამ, ცხოვრებაში არ მინახავს. „ბექსთეიჯი“ საშინელება იყო, ყველა ერთად შეგვყარეს... რატომღაც აღმოჩნდა, რომ New Generation-ში მოვხვდი. არადა, მე ამ კატეგორიას ნამდვილად არ მივეკუთვნები. თანაც, წინა კვირეულში უკვე ვმონაწილეობდი. ჩემს ჩვენებას არც ერთი უცხოელი არ დასწრებია. როცა ერთ-ერთ ორგანიზატორს დავურეკე და მიზეზი ვკითხე, ბოდიში მომიხადა, თბილისობაა და რესტორანში გვყავს წაყვანილიო... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, არ მომეწონა.

— „შოუ-რუმში“ რატომ არ გამოიტანეთ თქვენი კოლექცია?

— პროტესტის ნიშნად, განგებ წამოვიღე. მათი მხრიდან არანაირი ყურადღება არ მიგრძნია. თუ უცხოელებს კოლექცია „შოუ-რუმში“ უნდა ენახათ, მაშინ ჩვენება რისთვის გაკეთდა? არსებობს ისეთი სამოსი, რომელსაც დამთვალიერებელი საკიდზე ჩამოკიდებულს ვერ აღიქვამს, ხოლო როდესაც მოდელს აცვია, სულ სხვანაირად ჩანს. კოსტიუმები გოგონებზე მქონდა აწყობილი, თავის ფეხსაცმლიან-ტანსაცმლიანად და მათ

საკიდზე ჩამოკიდებას აზრი არ ჰქონდა.

— როგორი კოსტიუმები წარმოადგინეთ?

— შიფონის ქსოვილის, უცნაურად აჭრილ-დაჭრილი, კონსტრუირებული კაბები იყო. თავიდან 30 კოსტიუმის გატანას ვაპირებდით და რადგან New Generation აღმოჩნდით, ნაკლები მოგვიწია. რაც უცხოელებისთვის გავთვალეთ, მხოლოდ ჩემმა მეგობრებმა ნახეს, რადგან საკმაო რაოდენობის მო-

საწვევებიც კი არ მომცეს.

— გაიყიდა რამე ამ კოლექციიდან?

— თითქმის მთლიანად გაიყიდა და ისინი ძველმა კლიენტებმა და მეგობრებმა შეიძინეს.

— ამ ბოლო დროს, შიფონის კაბებია მოდური. ადვილი შესაკერია თუ მათზე მომხმარებელს აქვს დიდი მოთხოვნა?

— შიფონი და აბრეშუმი ყოველთვის აქტუალური იყო. მოდაში ნატურალური ქსოვილებია, ხარისხიც უკეთესია. სხვათა შორის, არ არის იოლი გამოსაჭრელი, ძნელი შესაკერიცაა, მაგრამ საკერავი მანქანები კარგი გვაქვს და ამ ქსოვილზე მუშაობა არ გვიჭირს.

— ზამთრის სამოსს — მანტოებს, პალტოებს როგორი ქსოვილით კერავთ?

— ძირითადად, ფულეთი, ქაშმირით, ხავერდით. ძალიან თხელი, აბრეშუმის ქსოვილებისგან სქელ ქსოვილებს ვამზადებ და ლამაზი პალტოები იკერება.

— დაახლოებით რა ფასები აქვს თქვენს პროდუქციას?

— თბილისის ბაზარს თუ გადავხედავთ, საშუალო ფასები გვაქვს. არც ძალიან იაფი, მაგრამ — არც ძვირი. მაგალითად, მუხლამდე სიგრძის წითელი პალტო, რომელიც შარშანდელი კოლექციიდანაა და არც ბევრნაირი გაფორმება აქვს, 250 ლარი ღირს. ამ ბოლო დროს, პალტოებს ტყავით, ზამშით და სხვადასხვა ქსოვილით ვაფორმებ, ორნამენტებს ვუკეთებ და ფასიც შესაბამისად, ემატება. ახლა გადავწყვიტე, პერსონალური, გრანდიოზული ჩვენება გავაკეთო. ისეთი, როგორიც თბილისში ჯერ არ ჩატარებულა. ჩემი მეგობრები მეხმარებიან. ჩვენებას განგსტერულ თემაზე ვაკეთებ, რომლის სახელწოდება „ტყუპი“ იქნება. დანარჩენს საიდუმლოდ დავტოვებ. ადგილიც საინტერესო და ულამაზესი შევარჩიეთ, რომელიც ბევრმა ჯერ არ იცის.

— დაახლოებით როდისთვის გეგმავთ ამ ჩვენების მოწყობას?

— კოლექციაზე უკვე ვმუშაობთ და მზად გვექნება, ჩვენებასაც მაშინ დავგეგმავთ. ჩემი ტყუპი მეგობრები — ფოტოგრაფები ლაშა და ირაკლი ღუღუნიშვილები მეხმარებიან. ეს ყველაფერი კინოფილმივით გაკეთდება, ოღონდ ფოტოებზე. პროტესტის ნიშნად, განგსტერებად გადავიქეცით (*იცინის*).

— როგორ იქმნება თქვენი კოსტიუმები? რით იწყებთ მუშაობას?

— ზოგიერთ ადამიანს უცებ მოსდის მუზა, რაღაც „დაარტყამს“ თავში და აკეთებს. მე ასე არ ვარ. ახალ ადამიანს რომ გავიცნობ, თუ მომეწონა, მის შინაგან სამყაროში ვიწყებ „ტრიალს“, ძიებას, რაღაცებს ვიგონებ და ვიწყებ კეთებას. მაგალითად, თეატრში მოწყობილი ჩვენების კოლექცია მთლიანად ერთ ჩემს მეგობარზე, მსახიობ თამრი ბზიავაზე აეწყო. საინტერესო სახე აქვს, ჟღალი თმა, მრავალფეროვანი შინაგანი ბუნება. ახალი კოლექცია კი ჩემი შინაგანი ემოციის გამომხატველია.

— რა არის ყველაზე რთული შესაკერი?

— საერთოდ, შარვალი ყველაზე რთული შესაკერია, მამაკაცის პიჯაკებიც, რომელსაც ჩვენთან მხოლოდ ერთი გოგონა კერავს.

— ქალის ძვირფას ქურქებს თუ კერავთ? არის მოთხოვნა ასეთ ტანსაცმელზე?

— ადრე ვკერავდით. რთული სამუშაოა, ყველაფერი ხელით იკერება, მასალაც ძვირი ჯდება და მომხმარებელიც თითქმის არ ჰყავს. ძირითადად, ასეთი დეტალებით ვაფორმებთ და ეს უფრო აქტუალურია.

— ყველაზე ძვირი რა შეგიკერავთ? მაგალითად, ერთ-ერთმა დიზაინერმა მითხრა, რომ მის 10.000-დოლარიან საქორწილო კაბებს ბლომად მომხმარებელი ჰყავს...

— ჩვენ ასეთ ძვირ პროდუქციას არ ვკერავთ... ზოგს გამოსდის და უმართლებს. მე ვერ დავაფასებ ასე ძვირს, მგონია, არ გამეყიდება. იდენტური კაბა ბევრად იაფად შეგვიძლია შევკეროთ. საკმაოდ შეძლებული მომხმარებლებიც გვყავს, მაგრამ მათთვის განსხვავებული ფასები არ გვაქვს იმის გამო, რომ სხვაზე მეტი ფული აქვთ. ამიტომაც გვყავს ერთგული კლიენტები, რომლებიც კი არ უნდა დავკარგოთ, არამედ, ახლები უნდა შევმატოთ.

— ქსოვილი საიდან ჩამოგაქვთ?

— თურქეთიდან. სეზონურად მივდივართ და ვყიდულობთ. ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, ჯერჯერობით, იტალიაში ან სხვა ქვეყანაში წასვლას ვერ ვრისკავ. არ ვიცი, იქ რა ხდება. ჩემი ბაბუა მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე იყო და ტექსტილში ძალიან კარგად ვერკვევი. იტალიური ქსოვილებიც თურქეთის ქარხნებში მზადდება. დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ქსოვილს სად შეიძენ. მთავარია, გემოვნება გქონდეს. ■

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეთევანი თემურ ივანიძე

1. ფილიპინებზე განქორწინება აკრძალულია.

2. დედამიწაზე 400 მილიონი ძაღლი ცხოვრობს.

3. მოსკოვში მემილიონე მაცხოვრებელი 1897 წელს დაიბადა.

4. ბარბრა სტრეიზანდს დღესაც ტანჯავს მაყურებლის შიში.

5. კანადაში უფრო მეტი ტბაა, ვიდრე ყველა სხვა ქვეყანაში ერთად აღებული.

6. არსებობენ მუნჯები, რომლებიც ძილში ლაპარაკობენ, ოღონდ, ჟესტების ენით.

7. ედგარ დეგა სიცოცხლის ბოლოს მოქანდაკეობითა და ფოტოგრაფიით იყო გატაცებული.

8. XVIII საუკუნეში მოდის მიმდევარი პარიზელი ქალები მეხამრიდიან შლაპებს ატარებდნენ.

9. კოლიზეუმის მშენებლობა რომის იმპერატორმა, ვესპასიანემ დაიწყო და მისმა შვილმა, ტიტუსმა დაასრულა.

10. 1557 წელს, ევროპელი ექიმები პაციენტებს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნის გასაქრობად თამბაქოს მოწევას ურჩევდნენ.

11. საბჭოთა ტანკი „ტ-34“ 37 ტონას იწონიდა. გერმანული „პანტერა“ საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა მას გავლადობითა და სისწრაფით.

12. სიცოცხლის ბოლო წელს სეზანმა სამი უზარმაზარი ტილო დახატა. ეს სურათები იმდენად დიდი ზომის იყო, რომ მხატვარს კედლის განგრევა მოუწია, რათა ისინი სახლიდან გაეტანა.

13. ჰორაციო ნელსონი, ერთი შეხედვით, სულაც არ ჰგავდა მეზღვაურს. მომავალ ადმირალს ერთმა მოხუცმა კაპიტანმა ისიც კი ჰკითხა, რა სასჯელისთვის გაგამწესეს ფლოტში სამუშაოდო?

14. არგენტინის მოქალაქემ, ერნესტო ჩე გევარამ კუბის მოქალაქეობა მხოლოდ რევოლუციის შემდეგ, კონსტიტუციის იმ პარაგრაფის მიხედვით მიიღო, რომელიც სპეციალურად მისთვის იქნა შემოღებული.

15. პიანისტი სვიატოსლავ რიხტერი, თბილისში სტუმრად ყოფნისას ელენე ახვლედიანთან ჩერდებოდა. ქუჩაში მოსიარულენი მხატვრის სახელოსნოს ფანჯრებთან ჩერდებოდნენ, რომ რიხტერის დაკვრა მოესმინათ.

16. მიტროფანე ლაღიძე რეცეპტის ზუსტი დაცვით დამზადებულ სიროფსაც არ გაუშვებდა გასაყიდად, თუ დეგუსტაციას თავად არ გაუკეთებდა. ამის გამო ამბობდნენ, მიტროფანეს თავისი წყლების რეცეპტურა ენით დააქვსო.

ჰიბრიდული „კია ოპტიმა“

აშშ-ში სედან „კია ოპტიმას“ (სხვა ბაზრებზე მანქანა Magentis-ის სახელით იყიდება) ჰიბრიდული მოდიფიკაციის პრემიერა შედგა. ავტომობილი ლოს-ანჯელესის მოტორშოუზე წარადგინეს, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაიხსნა. სამხრეთკორეული ბრენდის წარმომადგენელთა თქმით, „ოპტიმა“, „კიას“ ხაზში პირველ ჰიბრიდად იქცევა და ჩრდილოამერიკელი მყიდველებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. სიახლე ჰიბრიდული აგრეგატითაა აღჭურვილი, რომლის ჯამური სიმძლავრე 206 ცხძ-ა. მის შემადგენლობაშია Theta-ს 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავაა. ეს 2,4-ლიტრიანი მოტორი ატკინსონის ციკლში მუშაობის მიზნით, სპეციალურად განაახლეს. შეკუმშვის დონემ 20%-ს მიაღწია, რამაც საწვავის ეკონომიურობა ჩვეულებრივ Theta-სთან შედარებით 10%-ით გაზარდა. ასეთი ავტომობილის მიერ ქალაქგარეთ მოძრაობისას საწვავის მოხმარება 100 კმ-ზე 5,8 ლიტრს შეადგენს. ჰიბრიდულ „ოპტიმაზე“ აგრეთვე, 40 ცხძ-ის სიმძლავრის ელექტრომოტორი, 6-საფეხურიანი „ავტომატი“ და ლითიუმ-პოლიმერული აკუმულატორების კომპლექტიცაა გამოყენებული, რომელსაც ანალოგებთან შედარებით, მცირე მასა და დიდი ტევადობა აქვს. ბატარეების მთელი ბლოკი ჯამში, 43 კგ-ს იწონის. ჰიბრიდულ სედან „კია ოპტიმას“ მხოლოდ ელექტროგაწევით, 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია, თუმცა ავტომობილის სვლის თადარიგის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. აშშ-ში ბენზინის 2,4-ლიტრიანი მოტორით აღჭურვილი „კია ოპტიმა“ 18.995 დოლარი ღირს. ამ მომენტისთვის უცნობია, რამდენად გაძვირდება ამ მანქანის ჰიბრიდული ვერსია.

■

14/65 BOAT TAIL TOURER აუქციონზე გაიყიდება

Talbot-ის მარკის უნიკალური ავტომობილი 14/65 Boat Tail Tourer, რომელსაც ხელით დამზადებული ხის ძარა აქვს, ბრიტანულ აუქციონ „ბრუკლენდსზე“ გაიყიდება. ლოტის საორიენტაციო ფასი 20-30 ათასი გირვანქა სტერლინგს შეადგენს, რაც ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამგვარი ხის კორპუსის აღდგენაზე საჭირო დანახარჯის ტოლფასია. მანქანის წინასწარი ჩვენება წლეულს 3 დეკემბერს შედგება, ხოლო თვით ვაჭრობა მომდევნო დღეს გაიმართება. ავტომობილი ბრიტანულ ქარხანაში — Talbot — 1932 წელს, სტანდარტული ლითონის ძარაზე დაამზადეს. კონვეიერიდან მისი მოხსნის პერიოდიდან დაახლოებით 30 წლის შემდეგ, მისმა მფლობელმა ნავების დამამზადებელ კომპანიას აღნიშნული მოდელისთვის ახალი კორპუსის დამზადება შეუკვეთა. მის ასაგებად, ჰონდურასული წითელი ხე გამოიყენეს. თავდაპირველად მთლიანი ძარა დამზადდა, რომელზეც შემდეგ კარი, კაპოტი და უკან მსხდომი მგზავრებისთვის განკუთვნილი განყოფილება ამოჭრეს. მანქანა 1670 კუბური სმ მოცულობის 6-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი. ზოგიერთი მონაცემით, მოტორის სრული გადაწყობის შემდეგ, Talbot-ის გარბენი დაახლოებით 1,6 ათას კმ-ს შეადგენს. საგულისხმოა, რომ დეკემბერში „ბრუკლენდსის“ აუქციონზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის ავტომობილის გაყიდვაც იგეგმება. ესაა 1939 წელს გამოშვებული Daimler DB18 Drophead Coupe. ეს მანქანა საავარაუდოდ, 200-250 გირვანქა სტერლინგად მაინც გაიყიდება. ■



მცირელიტრაჟიანი „იტალიელი“ — ამერიკელებისთვის

კომპანია „ფიატმა“ მცირელიტრაჟიანი „ფიატ 500“ ამერიკულ ბაზარზე ოფიციალურად გაიყვანა. სიახლის დებიუტი ლოს-ანჯელესის ავტოსალონზე შედგება. ჩრდილო ამერიკისთვის განკუთვნილი, „ხუთასიანის“ ვერსია ევროპული მოდელისგან განსხვავდება. „ფიატ 500“-ს უფრო მყარი ძარა აქვს და ხმაურისა და ვიბრაციის დაქვეითებული მაჩვენებლით გამოირჩევა. მისი მოტორი ბენზინის 1,4-ლიტრიანი, MultiAir-ის 102 ცხძ-იანი აგრეგატია. ამერიკელ კლიენტებს, სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფით აღჭურვილი ავტომობილის გარდა, ტრადიციულ „ავტომატსაც“ შესთავაზებენ. სიახლე მომავალი წლის გაზაფხულიდან გაიყიდება და მისი ფასი 15,5 ათასი დოლარიდან დაიწყება. ეს 4.600 დოლარით ნაკლებია, ვიდრე საბაზო Mini Cooper-ის ღირებულება. აღსანიშნავია, რომ Prima Edizione-ს ვერსიის 500 ავტომობილისგან შემდგარი პირველი პარტია, რომელიც ამერიკულ ბაზარზე გასული სექტემბრის ბოლოს გამოჩნდა, სულ რაღაც საათ-ნახევრის განმავლობაში გასაღდა. მოგვიანებით, ამერიკაში Fiat 500-Abarth-ის განახლებული ვერსიის შეტანაც იგეგმება, რომელიც 160 ცხძ-ის სიმძლავრის ტურბომოტორითაა აღჭურვილი. ■

„პაგანის“ ახალი მოდელი

კომპანია Pagani-ს დამაარსებელმა და მფლობელმა, ჰორაციო პაგანიმ ოფიციალურად დაადასტურა ახალი მოდელის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც ჯერჯერობით კოდურ დასახელებას — C9 — ატარებს. მისი თქმით, ავტომობილის სახელწოდება მიმდინარე წლის ბოლოს გახდება ცნობილი, ხოლო მსოფლიო პრემიერა 2011 წლის მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგება. სიახლეს დაახლოებით 700 ცხძ-ის სიმძლავრის, ორი ტურბინით აღჭურვილი ბენზინის ძრავა დაუმონტაჟდება, რომელიც ექსკლუზიურად კომპანია „პაგანისთვის“, „მერსედეს-ბენცმა“ დაამზადა. როგორც ჰორაციო პაგანიმ აღნიშნა, ასეთი მოტორის მქონე სუპერავტოს საწვავის ხარჯი ნორმალური რეჟიმით, 100 კმ-ზე 12 ლიტრს შეადგენს, ხოლო ატმოსფეროში CO2-ის გამონაბოლქვი, V12-ის წინამორბედ აგრეგატებთან შედარებით, შესამჩნევადაა შემცირებული. გარდა ამისა, ფირმის დამაარსებელმა ისიც დასძინა, რომ ახალი მოდელი იოლად სამართავი იქნება, რადგან „პაგანის“ კლიენტები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებსაც სურთ, მანქანის საჭესთან ჯდომისას ზედმეტი პრობლემები არ შეექმნათ. ამჟამად ახალი მოდელის პროტოტიპები საბოლოო ტესტირებას გადის. ამ მანქანებმა უკვე 500 ათასზე მეტი კმ გაიარეს, თუმცა კომპანია „პაგანიში“ მიიჩნევენ, რომ ისინი სულ ცოტა, 750 ათას კმ-ს დაფარავენ. სარეალიზაციო ქსელში ეს ავტომობილები მხოლოდ 2012 წლიდან გამოჩნდება. ■

რუბრიკა მოამზადა
ალექსი რეხვიაშვილმა

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქემდეენელი თემურ ივანიძე

17. 1974 წელს, ფრანგმა ეგვიპტოლოგებმა შეამჩნიეს, რომ ფარაონ რამზეს II-ს მუმიამ გახრწნა დაიწყო. მეცნიერები იძულებული გახდნენ, მუმია გადაუდებელი ექსპერტიზისთვის საფრანგეთში თვითმფრინავით გაეგზავნათ. ამისათვის რამზეს II-ს თანამედროვე, ეგვიპტური პასპორტი გაუფორმეს. გრაფაში „საქმიანობა“, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ჩაწერეს: „მეფე (გარდაცვლილი)“. საფრანგეთში „ჩასულ“ რამზეს II-ს მონარქისათვის საკადრისი დახვედრა მოუწყვეს და საგანგებო სამხედრო პატივი მიაგეს.

18. 1795 წელს, საფრანგეთის არმიის მიერ ჩატარებული ოპერაცია, სამხედრო ხელოვნების ისტორიაში უნიკალური გახლდათ. ფრანგულმა კავალერიამ ჰოლანდიურ ფლოტზე იერიში მიიტანა. იმ დღეს ისე ძლიერად ყინავდა, რომ ფრანგი ჰუსარების ერთმა პოლკმა ყინულზე ცხენდაცხენ გადასვლა გაბედა და რეიდზე მდგარი, 14 სახაზო და რამდენიმე სავაჭრო გემი იარაღის გასროლის გარეშე ჩაიგდო ხელში.



19. ანატომიის პროფესორი გილიოტენი ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდიოდა და რადგან თავად არ შეეძლო ამგვარი სასჯელის გაუქმება, მოითხოვდა, სიკვდილმისჯილი უფრო ჰუმანური მეთოდით დაესაჯათ, ვიდრე ეს იმ დროს გავრცელებული ცეცხლზე დაწვა ან ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა იყო. ადამიანის შედარებით უმტკივნეულოდ მოკვდინებისთვის განკუთვნილი დანადგარი პროფესორს არ შეუქმნია. ეს დანადგარი სულ სხვა ადამიანმა შექმნა, მაგრამ სახელწოდება „გილიოტინა“ სწორედ პროფესორის პატივსაცემად ეწოდა. საყოველთაოდ გავრცელებული მითი, თითქოს გილიოტენმა თავადაც გილიოტინაზე დაასრულა სიცოცხლე, სიმართლეს არ შეესაბამება. გილიოტენი ღრმა მოხუცებულობაში, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, ხოლო მოგვიანებით, მისმა ოჯახმა მთავრობას სთხოვა, რომ გილიოტინისთვის სახელი შეეცვალათ. უარის მიღების შემდეგ ოჯახმა გვარი გადაიკეთა.

20. ბერძენი სოფისტი და რიტორი გორგია საკუთარი დედის კუბოში დაიბადა. უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალის ცხედარს დასაკრძალად მიასვენებდნენ, როცა ჭირისუფლებს თავახდილი კუბოდან ბავშვის ტირილი შემოესმათ და რაოდენ დიდი იყო გაოცება, როცა კუბოში ახალშობილი აღმოაჩინეს.

რა არის უფლის მთავარი სათქმელი იგავში „დაკარგული დრაქმა“?

შორენა მერკვილაძე

უფლის იგავები სახარების შემადგენელი ნაწილია. მაცხოვარი თავის მსმენელთ ხშირად ესაუბრებოდა იგავებით. სახარებაში უფლის ორმოცზე მეტი იგავია მოთხრობილი, რომელთა უმეტესობაც ლუკას სახარებაში გვხვდება. იგავებს ვხვდებით მათეს სახარებაშიც. ისინი ზოგადსაკაცობრიო ყოფას, ზოგადსაკაცობრიო ცხოვრებას ეხება და მათი შინაარსი უმეტესწილად აღებულია ყოველდღიური ცხოვრებიდან, საქმიანობიდან, ურთიერთობებიდან...

თვით იგავი მოკლე, ალეგორიული მოთხრობაა, რომელიც მკითხველს ზნეობრივ-დამრიგებლურ დასკვნას სთავაზობს. მისი მეშვეობით ნართაულად, ქარაგმულად, გადაკვრითაა ნათქვამი სათქმელი. როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს — „იგავი არს სიტყვით მაგალითი, გინა საჩუენებელი, გინა მისანიშნებელი“.

„გზის“ მომდევნო ნომრიდან მკითხველს საშუალება ექნება, უფლის იგავების განმარტებებს გაეცნოს. ამჯერად, იგავური თხრობის მნიშვნელობასა და სახარებისეულ იგავებთან დაკავშირებით, რამდენიმე საკითხს შევეხებით. გვესაუბრება წმინდა გიორგის სახელობის კარის ეკლესიის მღვდელი, **გიორგი წეროძე**.

— წმინდა წერილში, როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში, ძირითადად ისტორიულ, ზნეობრივი ხასიათის, ალეგორიული სახის ნათხრობებს ვხვდებით, რომლებშიც სათქმელი იგავური სახით არის წარმოჩენილი და გამოთქმული.

— რით არის იგავური ფორმა უპირატესი? რატომ არის გამოყენებული ამგვარი თხრობა მაცხოვრის ქადაგებებში, ზოგადად, წმინდა წერილში?

— ასეთი ფორმა საჭიროა, რომ შემოთავაზებული თემა ადამიანისთვის უფრო ხელმისაწვდომი, გასაგები გახდეს ანუ ამ გზით ადამიანის სულიერი სამყარო მთლიანად მოცემული საკითხის შემეცნებაში ექცევა. ადამიანს გაცილებით უადვილდება იგავის ფორმით გადმოცემული სათქმელის აღქმა და ამდენად, ეს ბევრად პროდუქტიული გზაა... ამის მაგალითად ძველი აღთქმის პერიოდში, მეფე-წინასწარმეტყველის, დავით ფსალმუნთმგალობლის ცხოვრებაში მომხდარი შეცოდება გამოგვადგება. ვიცით, რომ დავით მეფე (მეფსალმუნე) ღვთისმოსაობითა და მართალი ცხოვრებით გამოირჩეოდა, მაგრამ ერთხელ მასაც მოუხდა მძიმე ცოდვაში ჩავარდნა: დავით მეფემ ბანაობისას თავისი ქვეშევრდომის — ურია ხეთელის ცოლი, ბერსაბე იხილა. მეფე მისი მშვენიერებით მოიხიბლა. ქალი იმდენად მოეწონა, რომ მისი ცოლად შერთვა განიზრახა. დავითმა ასეთ ხერხს მიმართა: ბერსაბეს ქმარი ჯარში გაიწვია, მთავარსარდალს კი წერილი მისწერა, წინა ხაზზე გაუშვიო. ურია ხეთელი ბრძოლის ველზე

დაიღუპა... დავით მეფეს გონებით უნდა სცოდნოდა, თუ რას სჩადიოდა, მაგრამ არ მუშაობს გონებრივი ინსტრუმენტი, თუ ზნეობრივიც არ ამუშავდა. მისთვის უცხო არ არის ეს ყველაფერი, მაგრამ მასთან მიდის ნათან წინასწარმეტყველი და იგავს უყვება: „იყო ერთი მდიდარი კაცი, რომელსაც ცხვრების ფარა ჰყავდა. ერთხელ სტუმარი ეწვია, მან კი ერთი ცხვარიც ვერ გაიმეტა, დაეკლა და პატივი ეცა მისთვის. მის მეზობელს ერთადერთი ცხვარი ჰყავდა. ის წაართვა და სტუმარს დაუკლა. რას იმსახურებს ასეთი კაცი?“ დავით მეფემ მდიდარ კაცში საკუთარი თავი შეიცნო და ამგვარი მხილების შემდეგ ის უდიდესმა სინანულმა შეიპყრო... სწორედ ამ შეცოდების შემდეგ დაწერა დავითმა თავისი ცნობილი, 50-ე ფსალმუნი, სადაც განსაცვიფრებელი სინანულია გადმოცემული. მას სინანულის საგალობელსაც უწოდებენ.

ადამიანმა იგავის შინაარსს უნდა მისდიოს. შეიძლება სიტყვასიტყვით გაჰყვე იგავს და თქვა, ეს არაფერს მეუბნება, ეს იგავი ცხვრებზეა.

ადამიანი როდესაც იგავის შინაარსს გაიაზრებს, ცოცხლდება იგავით, მთლიანად ერთვება რაღაცის შემეცნებაში. მთავარია სურვილი — თუ ინტერესი არ არის, არ და ვერ გაიგებს იგავში გადმოცემულ სათქმელს.

— არის თუ არა უფლის იგავები თემატურად დაყოფილი?

— იგავები თემატურადაა დაყოფილი, ამის შესახებ არაჩვეულებრივი კვლევები არსებობს. ქალბატონმა მარიამ (დოდო) ღლონტმა შვიდწიგნეულად გამოსცა უფლის იგავების წმინდა მამათა და კომენტატორთა საღვთისმეტყველო განმარტებები, სადაც მაცხოვრის იგავები თემატურადაა დაყოფილი. თუ ადამიანი ამ ნაშრომებს გაეცნობა, უდიდეს სულიერ სარგებელს მიიღებს. მის კვლევებში კარგად ჩანს, თუ როგორი ღრმა და ყოვლისმომცველი, ასევე ადვილად საწვდომი და მისაღებია უფლის იგავები.

— რამდენად აუცილებელია უფლის იგავების გაცნობა წმინდა მამათა და კომენტატორთა განმარტებებითურთ? რაში გვეხმარება ამ განმარტებების შესწავლა?

— სასურველია, უფლის იგავებს წმინდა მამათა განმარტებების, მათი ნააზრევის მეშვეობით გავეცნოთ. ამ გზით გაგვიადვილდება მივაგნოთ და უფრო მივუახლოვდეთ იმ სულს, რომლის გამრავლებასაც მაცხოვარი იგავების მეშვეობით გვთავაზობს. წმინდანი, როგორც ღმერთთან მიახლოებული ადამიანი, წილნაყარია უფალთან და მისთვის ცნობილია ღვთაებრივი სულისკვეთება. იგავიც, წმინდა წერილიც, მარხვაც, ლოცვაც ერთ მიზანს ემსახურება — საშუალებებია იმისთვის, რომ ადამიანი ღვთის მარადიულ, სიცოცხლითა და სიბრძნით სავსე სულს თანაეზიაროს. შენეული გაგება, იგავის საკუთარი ძალით გააზრება საკმაო საყრდენს შეგიქმნის იმისათვის, რომ მის სულს, მის აზრსა და სათქმელს ჩაწვდე, მაგრამ გზამკვლევზე და სხვის მიერ დანახულის გაცნობაზე არასოდეს უთქვამს ადამიანს უარი, მით უმეტეს, როდესაც სულიწმიდით გაბრძმობილ მამებზეა საუბარი. მათი ნააზრევის გაცნობა, მათი განმარტებების გამოყენება ადამიანის სულიერ სამყაროს ამდიდრებს.

სახარებაში უფლის არაერთი იგავია მოთხრობილი. ერთ-ერთი მათგანია „დაკარგული დრაქმა“, რომელიც ლუკას სახარების მე-15 თავში გვხვდება. იგავი შემდეგი შინაარსისაა: დედაკაცს, რომელსაც ათი დრაქმა აქვს, ერთი რომ დაეკარგოს, განა არ აანთებს სანთელს, არ გამოგვის სახლს და გულმოდგინედ არ დაუწყებს ძებნას, ვიდრე არ იპოვის? როდესაც იპოვის, დაუძახებს მეგობრებს და მეზობლებს: ჩემთან ერთად იხარეთ, ვინაიდან ვიპოვე დაკარგული დრაქმაო. ასევე იქნება სიხარული, ანგელოზებთან ერთი მონანიე ცოდვილის გამო.

წმინდა მამათა და ბიბლიის კომენტატორთა განმარტებით, დედაკაცი და სახლი ქრისტეს მიერ დაფუძნებულ ეკლესიაზე მიანიშნებს, რომლის მეშვეობითაც უნდა ვიცხოვნოთ, სული გადა-

ვირჩინოთ. იგავში ნახსენები ათი დრაქმა ეკლესიის წიაღში მყოფ მორწმუნე საზოგადოებაზე, ეკლესიის მრევლზე მიანიშნებს, დაკარგული დრაქმა კი დედაეკლესიის წიაღს მოწყვეტილ, ცოდვილ ადამიანს განასახიერებს, რომელიც საეკლესიო ცხოვრების წესს განეშორა, შესაბამისად, უფლისკენ მიმავალ გზასაც ასცდა და უფალსაც დასცილდა.

— იგავში მოხსენიებული დრაქმა ბერძნული, წვრილი ფულის ერთეული იყო, რომელსაც არც წარწერა ჰქონდა და არც გამოსახულება. იმ პერიოდში, როდესაც განკაცებული უფალი დედამიწაზე მიმოდიოდა და იგავებსაც წარმოთქვამდა, მიმოქცევაში იყო კიდევ ერთი ფულის ერთეული — დინარი (ძველქართულად დრაჰკანი) — კეისრის გამოსახულებითა და შესაბამისი წარწერითურთ. საინტერესოა, რატომ გაამახვილა უფალმა ყურადღება ფულის ორი ერთეულიდან სწორედ დრაქმაზე?

— როგორც ვთქვით, იგავში დრაქმა ეკლესიის წიაღს მოშორებული ადამიანის განსახიერებაა, ეკლესიის წიაღს, ეკლესიურ ცხოვრებას მოწყვეტილი ადამიანი კი ღვთის ხატებას კარგავს და დრაქმასავით უსახური ხდება. იგავის თანახმად, დედაკაცი სანთელს ანთებს და დაკარგული დრაქმის ძებნას იწყებს. ანთებული სანთელი ეკლესიაში დამკვიდრებული სულიწმიდის მადლის გამომხატველია და ამავდროულად, მეორე იგავური მინიშნებაც აქვს — ღვთის სიტყვას, წმინდა სახარებას ნიშნავს, რომელიც ქრისტეს ეკლესიაში, მონანიე ცოდვილთა გადასარჩენად იქადაგება. ანთებული სანთელი სიმბოლურად ასევე უფალ იესო ქრისტესაც განასახიერებს. როგორც ანთებული სანთელი ანათებს უკუნ სიბნელეს, ასევე გაანათა და გააცისკროვნა ცოდვის მონობასა და სიბნელეში, ცოდვის ჯურღმულში მყოფი კაცობრიობა ამქვეყნად განხორციელებულმა ძემ ღვთისამ, იესო ქრისტემ.

სახლის დაგვა-დასუფთავებით კი მაცხოვარი რჯულისმიერ სიწმინდეზე მიგვანიშნებს. ამასთანავე, მიგვითითებს, რომ ცოდვილთა განწმენდა და გამართლება მხოლოდ ეკლესიის წიაღში, უფლისმიერი მადლითაა შესაძლებელი. ბოლოს, როგორც იგავის დასასრულიდან ჩანს, დედაკაცმა დაკარგული დრაქმა იპოვა, ხელში უჭირავს და ახლობლებს, მეგობრებსა და მოძმეებს უხმობს, რათა დაკარგული დრაქმის პოვნის ამბავი ახაროს. იგავში უფლის მთავარი სათქმელი სწორედ დაკარგულის პოვნა, ეკლესიის წიაღს მოშორებული ცოდვილის ეკლესიის წიაღში დაბრუნება და მისი სულის გადარჩენაა. უფალი თითოეულ ადამიანს ცხონებისთვის, სასუფევლისთვის ქმნის და ყველა ადამიანის სულის გადარჩენაზე ზრუნავს.

იგავს თან ერთვის უფლისმიერი შეგონება: „ესრეთ იყოს სიხარული წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა ერთსა ზედა ცოდვილისა, რომელმან შეინანიოს“. ამ სიტყვებით მაცხოვარი შეგვაგონებს, რომ ანგელოზები ერთი მონანიე ცოდვილის ღვთისკენ მობრუნების გამოც კი ხარობენო. ამასთანავე, უფალი გვაუწყებს, რომ გულწრფელი სინანულის სანაცვლოდ, ადამიანს საშუალება ეძლევა, ანგელოზთა მსგავს სიხარულს ეზიაროს. ანგელოზები ზეციურ სასუფეველში უფლის სიახლოვით ტკბებიან და სიხარულსა და ნეტარებას მარადიულად განიცდიან. ■

როგორი „ჩოლკა“ მოგიხდებათ...

„ჩოლკა“ საუკეთესო საშუალებაა მობეზრებული ვარცხნილობის გამოსაცოცხლებლად. საერთოდ, ძნელია შესაფერისი „ჩოლკის“ შერჩევა. მაგრამ თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ, ეს პროცესი ასე რთულად აღარ მოგეჩვენებათ. უპირველეს ყოვლისა, უნდა დაუკვირდეთ თქვენს პროპორციებს: სახის ოვალს, შუბლის სიმაღლეს, ცხვირის სიგრძეს, თმის სისქეს და წარბების ფორმას.



გრძელ სახეს უხდება წარბების ხაზის დამფარავი „ჩოლკა“. სასურველია, რომ ის იყოს რაც შეიძლება სქელი.

კვადრატული ფორმის სახეს კი გამოხშირული „ჩოლკა“ დაამშვენებს, რაც სახის ნაკვთებს დაარბილებს. ამ დროს თქვენი ერთგვარი კოზირია „მაღალი“ ვარცხნილობა — არ დაგავიწყდეთ რამდენიმე კულულის გვერდებზე ჩამოყრა.

მრგვალი სახის პატრონებმა აუცილებლად ირიბი, ბოლოებჩამოწეწილი „ჩოლკა“ ატარეთ; არამც და არამც არ მოგიხდებათ სწორი, სქელი „ჩოლკა“.

მაღალი შუბლის პატრონებისთვის – სქელი, სწორი „ჩოლკაა“ ზედგამოჭრილი, რომელიც წარბების დონეზე იქნება შეკრეჭილი. არასოდეს შეიჭრათ უფრო მოკლედ, რადგან ეს მაღალ შუბლს კიდევ უფრო გამოკვეთს.

ვისაც დაბალი შუბლი აქვს, მისთვის ზედგამოჭრილია ღრმა, თითქმის კეფიდან დაწყებული სწორი „ჩოლკა“.

განიერი ყბების მქონე მანდილოსნებმა უნდა ატარონ განიერი, გრძელი, თითქმის ყბებამდე ჩამოშვებული ჩოლკა და გვერდებზე — გრძელი კულულები.

წესები, რომელიც გამოგადგებათ „ჩოლკის“ შეჭრისას:

შეიჭერით „ჩოლკა“ აუცილებლად სველ თმაზე, ასე ხაზი უფრო სწორი გამოგივათ.

სიგრძის გაზომვისას გახსოვდეთ — თმა როცა გაშრება, ერთი-ორი სანტიმეტრით მაღლა აიწევს. ■

მოდა საქმიანი ქალებისთვის

მამაკაცების უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქმიანი ქალის სამოსი სექსუალური და გამომწვევი არ უნდა იყოს, მაგრამ არის ეს კი ასე?!

უმრავლეს შემთხვევაში, საქმიანი ქალის წარმატების საწინდარი ხომ სწორედ მისი მიმზიდველი ჩაცმულობაა.

საქმიან სფეროში, უპირატესობას მაღალი ინტელექტისა და მყარი პოზიციის მქონე ქალბატონებს ანიჭებენ.

ყურადღებას აქცევენ ხმას, გამოხედვას, საუბარს, გადაწყვეტილების მიღების სისხარტესა და დახვეწილ მანერებს. ყველა ეს კრიტერიუმი ნებისმიერი ჩვენგანის წარმატების საწინდარია.

ზოგ დაწესებულებაში ოფიციალური ჩაცმულობა აუცილებელია. თქვენს სერიოზულ იმიჯს ხაზს საქმიანი პიჯაკი, პერანგი და დახვეწილი ქვედაბოლოც გაუსვამს.

შეარჩიეთ ოფიციალური, მაგრამ კომფორტული პიჯაკი.

პერანგის მასალა სასურველია, იყოს ნატურალური და მსუბუქი, შანელის სტილში — შავ-თეთრი ტონალობისა და გამოყვანილი სილუეტის.

აქსესუარად შეგიძლიათ შესაბამისი ქამარი, ეფექტური ყელსაბამი ან ფერადი შარფიც გამოიყენოთ.

საქმიანი შეხვედრებისას მოერიდეთ მკვეთრ ფერებსა და ასიმეტრიულად შერჩეულ სამოსს.

თუ პიჯაკის ჟაკეტით ჩანაცვლებას გადაწყვეტთ, შეუხამეთ ბუნებრივი მასალისგან დამზადებული შესაბამისი ფერის პერანგი ან მაისური.

რაც შეეხება ფეხსაცმელს, დამეთანხმებით, სასურველი დიზაინისა და მაღალი ხარისხის ფეხსაცმლის ყიდვა არც ისე იოლია. თუმცა, თუ მაინც გაგიმართლათ, გახსოვდეთ, რომ საქმიანი ქალბატონის იმიჯი დღემდე მაღალ ქუსლებთან და თავდაჯერებულ სიარულის მანერასთან ასოცირდება.

ცუდ ტონად ითვლება შიშველი ფეხების გამოჩენა, ხმამაღალი, ემოციური საუბარი, უხეში მანერები... დაბალი ხარისხის, პლასტმასის, მყვირალა ფერის ბიჟუტერიის ტარება.

მნიშვნელოვანია სათვალის, ჩანთისა და საათის დიზაინიც.

ნებისმიერი აქსესუარის შერჩევისას, შეეცადეთ გაითვალისწინოთ, რომ ქალის გარეგნობის შემადგენელი თითოეული დეტალი ბევრს ამბობს მისი პიროვნების, მისწრაფებებისა და შესაძლებლობების შესახებ.

მოკლედ შეიძლება ვთქვათ, რომ საქმიანი ქალის წარმატებისთვის მთავარია: სტაბილური, მტკიცე ხასიათი, ეფექტური, კლასიკური სამოსი, მიზანდასახულობა და თავდაჯერებულობა.

ნუ გამოგრჩებათ ვარცხნილობა. ლამაზი და მოვლილი თმა საქმის მხოლოდ ნახევარია, სალონის სტუმრობა ნებისმიერ ქალს, შეძლებისდაგვარად, თვეში ერთხელ მაინც სჭირდება.

ასე რომ, იყავით ლამაზები, ელეგანტურები და წარმატებულები! ■

ერთკვირიანი დიეტა სხეულისა და კანის სილამაზისათვის

თუკი უკმაყოფილო ხართ თქვენი წონით, პრეტენზია გაქვთ კანისა და თმის მდგომარეობის მიმართ, პრობლემების გადაჭრა ორგანიზმის შინაგანი ფუნქციების მოწესრიგებით უნდა დაიწყოთ. ამისთვის კი შეგიძლიათ ერთკვირიანი განმტვირთავი დიეტა დაიცვათ. დიეტის ავტორები ირწმუნებიან, რომ უკვე მესამე დღეს კანი სასიამოვნო ვარდისფერს მიიღებს, თვალებს ბრწყინვალება დაუბრუნდება და რაც მთავარია, მთელ სხეულში უჩვეულო სიმსუბუქეს იგრძნობთ.

დიეტის დაწყებამდე რამდენიმე რჩევა გაითვალისწინეთ:

დიეტის დაცვისას ორგანიზმი დაგროვილი ტოქსინებისგან თავისუფლდება და მათ მესამედს ოფლის სახით გამოყოფს. ამიტომაც დღეში ორჯერ მიიღეთ შხაპი. რაც შეეხება 24-საათიანი მოქმედების დეზოდორატორებს, ისინი საოფლე ჯირკვლების ფუნქციონირებას ახშობს და უმჯობესია, თუ მათი გამოყენებისგან თავს შეიკავებთ.

ქვემოთ მოყვანილი მარტივი პროცედურები კი სტიმულს მისცემს სისხლის მიმოქცევას და დიეტას უფრო ეფექტიანს გახდის:

შხაპის მიღებისას სხეული უხეში ჯაგრისით დაიზილეთ.

კვირაში ორჯერ ზღვის მარილის აბაზანა მიიღეთ. პროცედურის ხანგრძლივობა 15 წუთია.

დილით საწოლიდან უცბად არ წამოდგეთ, ჯერ კარგად გაიზმორეთ, მიიხედ-მოიხედეთ და სასიამოვნო ამბავი გაიხსენეთ.

ახლა დიეტის შესახებ:

პირველი დღე

საუზმე: ხილი და ნიგოზი (ან თხილი);

სადილი: მოშუშული ბოსტნეული და ხაჭო;

ვახშამი: ხილის სალათა, იოგურტი და ორცხობილა;

შუალედებში — ვაშლი.

ყურადღება! დიეტის დაცვისას, ყოველდღიურად, მინიმუმ 2 ლ წყალი, ბალახის ან ხილის ჩაი დალიეთ.

მეორე-მეოთხე დღე

საუზმე: ბალახის ან ხილის ჩაი, ერთი ჩ/ჭ მწნილის წვენი;

სადილი: ბოსტნეულის ბულიონი (აიღეთ 100 გ ნიახურისა და ოხრახუშის ძირები, 50 გ კარტოფილი, 30 გ პრასი და ერთი სტაფილო. ყველაფერი მსხვილად დაჭერით, დაუმატეთ შავი პილპილი, დაფნის ფოთოლი და 1 ლ წყალში 30 წუთი ხარშეთ);

ვახშამი: ერთმანეთში გაზავებული ნახევარი ჭიქა ბოსტნეულის წვენი და ნახევარი ჭიქა წყალი.

მეხუთე დღე

საუზმე: 4-5 ცალი შავი ქლიავის ჩირი, ბალახის ან ხილის ჩაი;

სადილი: ბოსტნეულის ბულიონი კარტოფილით;

შუალედებში: ვაშლი.

ვახშამი: პომიდვრის წვნიანი ორცხობილასთან ერთად; ბალახეული ნაყენი.

მეექვსე-მეშვიდე დღე

საუზმე: 4-5 ცალი ლეღვი ან შავი ქლიავის ჩირი; ბალახის ან ხილის ჩაი;

სადილი: მოშუშული ბოსტნეული (უმარილოდ) და კარტოფილის პიურე (რძის გარეშე), ცოტაოდენი კარაქით და დაჭრილი ოხრახუშით;

შუალედებში: ნიგოზი, თხილი ან ნუში;

ვახშამი: ორცხობილა, ხაჭო, ასკილის ნაყენი.

ამ დიეტის შემდეგ, საკუთარ თავს სასიკეთო ცვლილებებს თვალნათლივ შეატყობთ. თუმცა კვებისას ზომიერების გამოჩენა არც დიეტის დამთავრების შემდეგაც გაწყენთ.

ფლავი კარტოფილითა და კვერცხით

მასალად საჭიროა:

500 გ ბრინჯი;
4 ცალი კარტოფილი;
3 სუფრის კოვზე ცხიმი;
4 ცალი კვერცხი.

მომზადების წესი:

ბრინჯი მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით, გადაიტანეთ თუშფალანგზე და გადაავლეთ წყალი. შეაზავეთ მარილითა და ცხიმით.

ქვაბის ძირზე დააწყვეთ გათლილი და რგოლებად დაჭრილი კარტოფილი, დააყარეთ მომზადებული ბრინჯი, დაახურეთ თავსახური და შედგით ცეცხლზე. თავსახური ხშირად მოხადეთ, მასზე წარმოქმნილი წვეთების გადასაწურად. როდესაც ზედმეტი სითხე აღარ წარმოიქმნება, თანაბარ ფენად დაასხით ათქვეფილი კვერცხი და ისევ დაახურეთ თავსახური. 3-5 წუთის შემდეგ კერძი მზად იქნება.

რუბრიკა მოამზადა **ეკა გუნთაიშვილმა**

ბავშვის ოთახში რაც მეტი ფერია, უფრო ხალისიანია

დღევანდელი თემა ბავშვის ოთახი გახლავთ. ამჯერად კონსულტაციას არქიტექტორ-დიზაინერი, ემა ომანაძე გაგვიწევს:

თამთა დადეშელი

— სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე. საკმაოდ დიდი ხანია, რაც ამ სფეროში ვმუშაობ — სტუდენტობის დროიდან. ამჟამად, საკუთარი ფირმა მაქვს, რომელიც ერთ წელზე მეტია, დავაარსე. ვმუშაობთ როგორც საცხოვრებელი ფართების, ასევე კომერციული, ბიზნესცენტრებისა და სხვა ობიექტების დიზაინზე.

— რა რჩევებს მისცემდით მშობლებს, რომლებსაც სურთ, თავიანთი პატარებისთვის ლამაზი, გემოვნებიანი და კომფორტული კუთხე მოაწყონ?

— პირველ რიგში, ისეთი მასალების შეძენას ვურჩევ, რაც ეკოლოგიურად სუფთაა, მალე არ ფუჭდება და შემდგომში გამოსაცვლელადაც იოლი იქნება. ასეთი პრობლემა მშობლებისთვის ძირითადად, შპალერია, რადგან ბავშვები ზედ ხატავენ, ხევენ და ა.შ. არსებობს ისეთი შპალერი, რომელთა გაკვრაც ადვილია და მოხსნაც, რადგან უკანა მხარე წებოვანი აქვს და კედელზე ეკრობა. ზოგჯერ ოთახში კედლები ერთ ტონშია, მაგრამ ერთ-ერთ მათგანზე შეიძლება პეპლების, ბურთების ან სხვა სტიკერების მიკვრა, რაც ბავშვებს ძალიან მოსწონთ. სხვათა შორის, ეს ავეჯზეც შეიძლება გაკეთდეს. მშობლები ხშირად გვთხოვენ, ისეთი რამ შევურჩიოთ, გამოცვლა მალე რომ არ დასჭირდეს. ბავშვი იზრდება, 2-3 წელიწადში შეიძლება, გემოვნება სრულიად შეეცვალოს. ამიტომ ბავშვის ოთახის რემონტი ძვირი არ უნდა დაჯდეს.

— რა ტონებში აფორმებთ ხოლმე ბიჭის და გოგონას ოთახს?

— გოგონების ოთახს ვარდისფერი, სალათისფერი, იისფერი უხდება. ლამაზი გამოდის, როცა ერთ კედელზე პანოა გაკეთებული (რაიმე სურათი ჭერიდან — იატაკამდე). მაგალითად, პანოზე შეიძლება იყოს სცენა მულტფილმიდან ან რომელიმე პერსონაჟი და ა.შ. რაც შეეხება ჭერს, თაბაშირმუყაო ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია. ბავშვის ოთახში რაც მეტი ფერია გამოყენებული, უფრო ხალისიანია, მაგრამ ამაზე მშობლების დაყოლიება გვიჭირს ხოლმე. ბიჭების ოთახში წითელი ფერიც კი გამოგვიყენებია. მართალია, ცოტა „აგრესიული“ ფერია და საძინებელში იშვიათად იყენებენ, მაგრამ მცირე დოზით შეიძლება. გოგონებსაც და ბიჭებსაც პლაკატები ძალიან ხიბლავთ ხოლმე იმის მიხედვით, რა სფერო იზიდავთ. სიცარიელე შეიძლება, დეკორის მაგივრად, პოსტერმა შეავსოს.

— რა სახის განათებაა უკეთესი?

— სამეცადინო კუთხესთან და საწოლთან ახლოს, სადაც შეიძლება წიგნი წაიკითხოს, აუცილებლად კარგი განათება უნდა იყოს. მაღაზიებში საკმაოდ ლამაზი საბავშვო ბრები და ჭაღები იყიდება — განათებას ჩამრთველიდანვე შეგიძლი-

ათ უცვალოთ ინტენსივობა და ფერი. საინტერესო რამაა, 1 ნათურას შეუძლია 4-5 სხვადასხვა ფრად აინთოს, რაც ბავშვებს ძალიან ახალისებს. მისი დაყენება ისეც შეგიძლიათ, რომ ფერი ავტომატურად შეიცვალოს ან რომელიმე ერთ კონკრეტულ ფერზე შეაჩეროთ. ბევრმა არ იცის ასეთი განათების არსებობის შესახებ. მათ აუზებსა და ეზოებშიც აყენებენ. ბიჭების ოთახში ფეხბურთის ბურთის ფორმის ტორშერის დაყენებაც შეიძლება. ერთგან თვითმფრინავის ფორმის, დიდი ჭაღიც დავაყენეთ.

— ბავშვის ოთახში რა მასალის იატაკის დაგებას ურჩევდით?

— იატაკი პირველ რიგში, თბილი უნდა იყოს. პარკეტი ჯობია, თუმცა კარგი ხარისხის ლამინატიც შეიძლება. ბამბუკის, სამფენოვან ხის პარკეტსაც აგებენ. მშობლებს ოთახში იატაკქვეშა გათბობის გაყვანას ვურჩევდი. მისი ფასი ჭერის სიმაღლიდან და ოთახის მოცულობიდან გამომდინარეობს და საშუალოდ, 1 კვ. მეტრი 18-25 დოლარი ჯდება.

— რამდენად პოპულარულია რბილი იატაკი და ნოხები?

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკოლოგიურად სუფთა იქნება და მტვრის ბუდედ არ გადაიქცევა. ისეთი მასალისგან დამზადებული ნოხებიც არსებობს, რომლებიც მტვრის პრობლემას ხსნის, თუმცა ეს ცოტა ძვირი სიამოვნებაა. სხვათა შორის, ერთ-ერთ მაღაზიაში ახალი დანადგარი ვნახე, რომელიც ოთახში მონტაჟდება და ჰაერს მტვრის, ცხოველების ბეწვისა და ბაქტერიებისგან წმენდს. ვფიქრობ, საინტერესოა.

— კარ-ფანჯრის დიზაინზე რას გვეტყვით?

— კარ-ფანჯარა ისეთი უნდა იყოს, რომ ოთახი რაც შეიძლება ნათელი გამოჩნდეს. კარგი საკეტი უნდა ჰქონდეს, რომ ბავშვმა არ გააღოს. მეტალოპლასტმასი კარგია, მაგრამ ხის მასალას ვურჩევდი. არსებობს ასევე, ამ ორი მასალის ნაზავი — შიგნიდან ხეა, გარედან კი მეტალოპლასტმასი, რაც ძალიან მომწონს.

— ფარდებისა და ჟალუზების შესახებ რას გვეტყვით?

— ფარდებისა და ჟალუზების არჩევანი ძალიან დიდია. არსებობს ისეთი ქსოვილები, რომლებიც არ იწვის და არ ჭუჭყიანდება. ასეთებს რესტორნებშიც იყენებენ. ჟალუზების არჩევანიც დიდია. ორნამენტებიანიცაა, ზოგი გოფრეს სტილისაა, ზოგი — წრიული. ტექსტურაც განსხვავებულია.

— დაახლოებით რამხელა ფართობი უნდა გამოიყოს ბავშვის ოთახისთვის, რომ საძინებელი, სამეცადინო და სათამაშო კუთხეები თავისუფლად დაეტიოს?

— 25-30 კვმ მაინც... თუმცა, 15 კვმ ფართობში 3 ბავშვისთვისაც კი გაგვიკეთებია საძინებელი, მაგრამ ძალიან კომპაქტურად. საწოლები 2 სართულად იყო, მათ ქვემოთ კი — პატარა კარადები. სათავსოებიც და საწერი მაგიდის ნაწილიც ქვედა სართულზე იყო განთავსებული, საწოლებზე კი კიბით ადიოდნენ. თუ ოჯახს საშუალება აქვს, ვურჩევდი, 1 ოთახი მთლიანად სათამაშოდ გამოუყონ ბავშვებს. ბავშვის ოთახში განსაკუთრებულ ყურადღებას ავეჯზე გავამახვილებდი. უფრო მეტად — სამეცადინო კუთხეზე, რომელიც მიმზიდველი და კომფორტული უნდა იყოს, რომ ბავშვმა ხალისით იმეცადინოს. სასურველია, მაგიდა ტევადი თაროებით გაკეთდეს. გოგონებს ოთახში დიდი კარადები და სარკე უნდათ ხოლმე. დღესდღეობით, ბევრი საინტერესო რამის გაკეთებაა შესაძლებელი. მაგალითად, ერთმა ბავშვმა „ფერარის“ ფორმის საწოლი მოისურვა, რისი გამოჭრაც ძალიან იოლია. მოკლედ, მშობლებმა არ უნდა დაინანონ თანხა და თავიანთ შვილებს ისეთი ინტერიერი მოუწყონ, რაც მათ კონკრეტულ ასაკში მოსწონთ. ■

კუნძული-ვილები



* ტეგუსიგალპადან (ჰონდურასი — სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში) 70 კმ-ში ბეის კუნძული ერთმა მილიონერმა შეიძინა და ცოტა ხნის წინ კლდოვან კუნძულზე 6-საძინებლიანი ვილა აიშენა.

* როდ-აილენდის ციცქნა ატმის კუნძულზე სამსართულიანი სახლი დგას. 26-ოთახიანი აგარაკი 3,6 მლნ დოლარად იყიდება.

* ათასი კუნძულის არქიპელაგიდან რამდენიმეზე 1-ოთახიანი სახლებია აშენებული.

* ნიკარაგუაში, ტბა კოკიბოლკას შუაგულში, კუნძულზე, მდიდრული აგარაკი იწონებს თავს. ■

აღმოჩენები

55 წლის ინგლისელმა, ოქროს მაძიებელმა არქეოლოგმა, სტაფორდშირში უძვირფასეს განძს მიაგნო. ოქროს სამკაულები, მონეტები, მეომრის ატრიბუტები (ხმალი, მუზარადი) ჩვ.წ.აღ-მდე 675-დან 725 წლამდე პერიოდშია დამზადებული.

ამერიკაში 2,5 ათასი წლის წინ მცხოვრები უძველესი ტომები სტომატოლოგიაში იყვნენ დახელოვნებულნი. ამას არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი თავის ქალა მოწმობს, რომელსაც კბილებში ძვირფასი თვლები აქვს ჩასმული.

პერუში აღმოჩენილი „სამკაულების მეფის“ სამარხი 1,5 ათასი წლისაა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ განძის შესწავლის შემდეგ აზიური ტომის — მოხეს ცივილიზაციის საიდუმლოს ამოხსნიან.

ჯეიმსტაუნში (ვირჯინიის შტატი, აშშ) ჭის გათხრის დროს აღმოაჩინეს ფიქალის ფირფიტები, რომლებზეც ადამიანები 400 წლის წინ ხატავდნენ. ■

მეკობრეები

ზღვის ყაჩაღებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ. ყველაზე გავრცელებული — მეკობრეა. ნაკლებად ცნობილია ბუკანიერები. თავდაპირველად, ისინი კარიბის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, ნადირობდნენ, ხორცს ხის ტოტებზე დებდნენ და წვავდნენ. კერძს „ბარბიკოს“ უწოდებდნენ (ბარბექიუც აქედან წარმოიშვა). ყველაზე ცნობილი ბუკანიერი ჰენრი მორგანი იყო. მან მეკობრეობით უზარმაზარი ქონება დააგროვა, ბრიტანეთში დასახლდა და რაინდის ტიტულიც მიიღო. თუ ფლიბუსტიერები (სახელი დამახინჯებული დანიური სიტყვების — „ვრიჯ“ — „თავისუფალი“ და „ბუიტ“ — „ნადავლი“ — წარმოიშვა) და კორსარები თვითნებურად მოქმედებდნენ, XVII საუკუნიდან მთავრობამ კაპერებს ნება დართო, მტრის გემები და იმ ნეიტრალური ქვეყნების ხომალდები დაეპყროთ, რომლებიც მოწინააღმდეგეებს ამარაგებდნენ. კაპერობა 1856 წელს, საფრანგეთის საერთაშორისო კონგრესზე ოფიციალურად აკრძალეს. კაპერებს შორის ყველაზე ცნობილი — ფრენსის დრეიკი იყო. იგი ესპანელებთან ბრძოლის დროს ინგლისის ფლოტში მეორე სარდალი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მეკობრეები თავზეხელაღებული ყაჩაღები იყვნენ, საკუთარ კანონებს ისინიც იცავდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მეკობრეებს სასტიკად სჯიდნენ. კაპიტნად ყველაზე გამორჩეულ მეზღვაურს ირჩევდნენ, მაგრამ თუ ეკიპაჟს ხელმძღვანელი არ მოეწონებოდა, მას ან თევზების ლუკმად აქცევდნენ, ან უკაცრიელ კუნძულზე დატოვებდნენ. გემზე, კაპიტნის შემდეგ „მეორე კაცი“ კვარტირმაისტერი (მას ინტენდანტსაც ეძახდნენ) იყო. იგი შინაურ საქმეებს (საკვები, ნადავლის გაყოფა, მორიგეობა) აგვარებდა.

მკაცრი კანონები მეზღვაურებზეც მოქმედებდა: დაუმორჩილებლობისა და სხვისი ნადავლის მითვისებისთვის სასიკვდილოდ იმეტებდნენ — ადგილზე ხვრეტდნენ ან უკაცრიელ კუნძულზე (როგორც წესი, კლდოვან კუნძულზე) ტოვებდნენ. გემზე ჩხუბის წამოწყებისთვის ან სროლისთვის დამნაშავეს 39-ჯერ ურტყამდნენ შოლტს. მითითებების ცუდად ან საერთოდ შეუსრულებლობისთვის, ნადავლს ართმევდნენ. ქალიშვილის გაუპატიურებისთვის სიკვდილით სჯიდნენ.

მეკობრეების დროშა — „მხიარული როჯერი“ ხშირად, შავი ფერის იყო. ამ დროშის წარმოშობის რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, შავი ქსოვილი ფრი-

ალებდა გემზე, რომელსაც მიცვალებულები და ჭლექიანები გადაჰყავდა, მაგრამ გამორიცხული არ იყო, მეკობრეებსაც ასეთი დროშით ესარგებლათ. შავ ფონზე ნახატი — თავის ქალა, ძვლები და ხმლები — მოგვიანებით გაჩნდა (ზოგიერთზე ჩონჩხს ქვიშის საათი, გული ან ლახვარი უჭირავს). „მხიარული როჯერი“ საბრძოლო დროშად მიიჩნეოდა და მეკობრეები მას მხოლოდ ბრძოლის წინ აღმართავდნენ.

დაქირავებული კორსარები ნაციონალურ დროშასთან ერთად, გემზე წითელი ფერის ალამსაც აღმართავდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, ეკიპაჟის ყველა წევრს მოკლავდნენ. მეკობრეები პატივისცემით ეპყრობოდნენ ქირურგს, ხუროსა (იგი ხშირად ქირურგის როლსაც ასრულებდა) და მეზარბაზნეს. თუ დაპყრობილ გემზე ასეთი პროფესიის ადამიანი აღმოჩნდებოდა, მას მოსყიდვით ან დაშინებით, საკუთარ გემზე გადაიყვანდნენ. ზოგიერთ ხომალდზე ასეთი წესიც მოქმედებდა: ვინც აბორდაჟზე წავიდოდა, წილის გარდა, საუკეთესო იარაღის აღება შეეძლო. მეკობრეებს დაზღვევაც ჰქონდათ: კაპიტანმა ჰენრი მორგანმა, რომელმაც ზღვაში ორივე ფეხი დაკარგა, 1.500 ესპანური ტალერი მიიღო (15 მონის ფასი). თუ ზღვაოსანი ორივე ხელს დაკარგავდა, მას 1800 მონეტას ან 18 მონას გადასცემდნენ, ბრძოლის დროს თვალის ან თითის დაკარგვის შემთხვევაში კი — 100 მონეტას ან ერთ მონას.

მეკობრეების ცხოვრება საკმაოდ რთული იყო. ხომალდზე სიბინძურე და უსუფთაობა სუფევდა. გემი სავსე იყო ვირთხებით, რწყილებით, ზოგჯერ კი შხამიანი ობობებითა და მორიელებით. მეზღვაურის დღიური ულუფა 200 გრამ მშრალ ხორცს, 700 გრამ ორცხობილასა და 1 ლიტრ წყალს შეადგენდა. მაგიდას ყოველთვის სველ ქსოვილს აფარებდნენ, მოძრაობის დროს თეფშები რომ შეეკავებინა. მეკობრეთა სასმელს — რომს მზარეული წყალში ურევდა, რათა სასმლისთვის დეზინფექცია ჩაეტარებინა ან უსიამოვნო გემო გაექარწყლებინა.

მიუხედავად იმ მოსაზრებისა, რომ მანდილოსანს გემზე უბედურება მოჰქონდა, ისტორიაში მეკობრე ქალებიც არსებობდნენ. პირველი — ჟანა დე ბელვილი იყო. მისი მეუღლე საფრანგეთის მეფემ, ფილიპ V-ემ მოაკვლევინა. ქალი ინგლისში გაემგზავრა, მეფე ედუარდის კეთილგანწყობილება მოიპოვა და სამი გემის ეკიპაჟიც ჩაიბარა. ერთს ქალი თავად მეთაურობდა, ორს — მისი ვაჟები. ჟანა ძირითადად, ფრანგულ სავაჭრო ხომალდებს ესხმოდა თავს, მაგრამ რამდენჯერმე სამხედრო გემიც ჩაძირა. ამბობენ, რომ ერთ-ერთი ბრძოლის დროს ქალს შვილი დაეღუპა, რის შემდეგაც, მეკობრეობაზე ხელი აიღო და გათხოვდა.

ჰენრი მორგანი

ლედი კილიგრუ ცნობილი მეკობრის, ფილიპ ვოლვერსტენის შვილი იყო. იგი მამასთან ერთად ყაჩაღობდა. მოგვიანებით გუბერნატორის ცოლი გახდა, მაგრამ მეკობრეობა არ მიუტოვებია. საინტერესო ის არის, რომ ქმარმა ცოლის ორმაგი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ არაფერი იცოდა. მეფის ბრძანებით, გუბერნატორი მეკობრეების შემწეობაში დაადანაშაულეს და სიკვდილით დასაჯეს. ლედი კილიგრუ კი შეიწყალეს და ჩამოხრჩობის ნაცვლად, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. გრეინ ომელიც მეკობრე იყო. ინგლისის დედოფალმა ორჯერ შესთავაზა მეფის სამსახური, მაგრამ ქალი სიკვდილამდე მეკობრედ დარჩა. ყველაზე საინტერესო თავგადასავალი ანა ბონსა და მერი რიდს ჰქონდათ. ანა ადვოკატ უილიამ კორმაკის შვილი იყო. ავანტიურისტი გოგონა მეზღვაურ ჯეიმს ბონს მისთხოვდა, მაგრამ ცოტა ხანში მეკობრე ჯეკი შეუყვარდა. კაცის სამოსში გამოწყობილი ანა ახალი ქმრის გემზე გადავიდა და სხვა მეკობრეებთან ერთად იბრძოდა. არავინ იცოდა, რომ ანდრეასი სინამდვილეში ანა იყო. ცოტა ხანში გემზე კიდევ ერთი მეზღვაური ქალი — მერი აიყვანეს. საიდუმლო მალევე გამჟღავნდა, მაგრამ ქალები მამაკაცებზე არანაკლებ იბრძოდნენ და ამიტომაც გემზე დატოვეს. გარკვეული ხნის შემდეგ მთელი ეკიპაჟი ინგლისის სამეფო მეზღვაურებმა დაიპყრეს. ყველა მეკობრეს, ანასა და მერის გარდა, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მანდილოსნები ფეხმძიმედ იყვნენ. ორივემ ციხეში იმშობიარა. ანა ბოლი მშობიარობის შემდეგ ციხიდან გაიქცა, მერი რიდი კი ციებ-ცხელებისგან გარდაიცვალა. ■

ფრენსის დრეიკი

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

სასქესო ორგანოების სოკოვანი დაავადება

საშოში მილიონობით მიკროორგანიზმი ბინადრობს. მათი ნაწილი სასარგებლოა, ნაწილი (პათოგენური ან პირობით პათოგენური) — არა, თუმცა ვერც მავნე თვისებებს ამჟღავნებენ, რადგან სასარგებლო მიკრობების მიერ შექმნილი მჟავა გარემო უშლის ხელს. გარკვეული მიზეზების გამო შეიძლება, სასარგებლო მიკროორგანიზმების დათრგუნვა მოხდეს, რასაც საშოში პათოლოგიური მიკრობების, მათ შორის, სოკოების გამრავლება და სოკოვანი დაავადების განვითარება მოჰყვება.

სასქესო ორგანოების სოკოვან დაავადებას კანდიდოზი (კანდიდომიკოზი) ეწოდება და ყველაზე ხშირად, სოკო კანდიდა ალბიკანსი (Candida Albicans) იწვევს.

კანდიდა ალბიკანსი ბუნებაში ფართოდაა გავრცელებული. მისი აღმოჩენა ხილზე, ბოსტნეულზე, რძის პროდუქტებში, ნაბან წყალშია შესაძლებელი, ასევე მცირე რაოდენობით გვხვდება კანზე, პირის ღრუს, სასუნთქი გზების, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, შარდ-სასქესო ორგანოების ლორწოვან გარსსა და კლინიკურად ჯანმრთელი ადამიანის ფეკალურ მასაში. კანდიდას 80-მდე სახეობაა ცნობილი, თუმცა ადამიანის დასნეულება მათგან მხოლოდ 10-ს შეუძლია და დაავადების განვითარება იმუნიტეტის მდგომარეობაზე ბევრადაა დამოკიდებული.

სოკოვანი დაავადების განვითარებისთვის გარკვეული პირობებია საჭირო. მაგალითად, საფუარა სოკოს, დაავადების გამოსაწვევად, განსაკუთრებული პირობები სჭირდება — გარემო, სადაც იგი ბინადრობს, არ უნდა იყოს მჟავე, ხოლო ორგანიზმის თავდაცვითი ფუნქცია დაქვეითებული უნდა იყოს.

სოკოს გაძლიერებულ გამრავლებას ხელს უწყობს:

* ანტიბიოტიკოთერაპია;

* კორტიკოსტეროიდებით, ციტოსტატიკებით, იმუნოდეპრესანტებითა და სხივური თერაპიით მკურნალობა;

* იმუნიტეტის დაქვეითება (შიდსი, ქრონიკული ანთებითი დაავადებები — ჰიპოთირეოზი, ტუბერკულოზი, ავთვისებიანი სიმსივნეები, ფსიქიკური დაავადებები);

* ნივთიერებათა ცვლის მოშლა (შაქრიანი დიაბეტი);

* არასწორი კვება (ნახშირწყლების ჭარბი მიღება და ვიტამინების ნაკლებობა);

* ჰორმონული ცვლილებები (ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების არასწორი გამოყენება, ორსულობა, კლიმაქსური პერიოდი);

* ვიწრო, სინთეტიკური საცვლების ტარება (არ ატარებს ჰაერს, რითაც სოკოს გამრავლებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის);

* ხანგრძლივი სტრესი.

სასქესო ორგანოების სოკოვანი დაავადებები მხოლოდ სქესობრივი გზით არ ვრცელდება.

შარდ-სასქესო ორგანოების კანდიდოზი დაავადებულთან ან ინფექციის მატარებელთან სქესობრივი კონტაქტით მაშინ გადადის, როდესაც იმუნური სისტემა დათრგუნვილია.

შესაძლოა, დასნებოვნება სქესობრივი კონტაქტის გარეშეც მოხდეს. კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილი, ხელშემწყობი ფაქტორების არსებობისას, ისინიც ავადდებიან, ვინც სქესობრივ ცხოვრებას არ ეწევიან. იგივე ითქმის ბავშვებზე. უფრო მეტიც — ინფიცირება შესაძლებელია მუცლად ყოფნის პერიოდშიც კი, რაც ნაადრევი მშობიარობის საშიშროებას ქმნის.

რა აწუხებს დაავადებულს

სასქესო ორგანოების კანდიდოზი ჯანმრთელობას მნიშვნელოვან ზიანს არ აყენებს, მაგრამ უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევს და ნორმალურ სქესობრივ ცხოვრებას ხელს უშლის. იშვიათად, კანდიდოზი შეიძლება, ქრონიკულ ფორმაში გადაიზარდოს და პათოლოგიურ პროცესში ახლომდებარე ორგანოები — შარდის ბუშტი და ნაწლავები ჩაითრიოს.

მამაკაცებში შარდ-სასქესო კანდიდოზი აშკარა სიმპტომებით იშვიათად ვლინდება. კლინიკური სურათით იგი გონორეას ჰგავს, მაგრამ მასავით მწვავედ იშვიათად მიმდინარეობს. ავადმყოფი ბოქვენის მიდამოში სიმძიმის შეგრძნებას უჩივის. ხშირია ტკივილი შარდვის დროს და გახშირებული შარდვა; შარდი მუქია, შესაძლოა, მასში სისხლიც იყოს.

ქალებში განასხვავებენ გარე სასქესო ორგანოების (ვულვის), საშოს, საშვილოსნოს ყელის, საშვილოსნოსა და საშვილოსნოს დანამატების კანდიდომიკოზს.

ქალის გარეთა სასქესო ორგანოების (ვულვის) კანდიდოზისთვის დამახასიათებელია ვულვის კანისა და საშოს კარიბჭის ლორწოვანი გარსის ჰიპერემია (შეწითლება). ვულვის კანზე ჯერ მცირე ზომის ბუშტუკები, შემდეგ კი ალაგ-ალაგ, წარმოიქმნება ეროზიები, რომლებიც ერთმანეთს უერთდება და ქერქით იფარება, რასაც ქავილი და წვა სდევს თან.

საშოს კანდიდოზი უფრო ხშირად გვხვდება. მას ახასიათებს: საშოს წვა, ქავილი, ტკივილი, თეთრად შლა — ხაჭოსებრი, უსუნო; მძიმე შემთხვევებში — მწვანე გამონადენით.

საშვილოსნოს ყელის კანდიდომიკოზისთვის საშვილოსნოს ყელის არხის ლორწოვანი გარსის შეწითლება და შეშუპებაა დამახასიათებელი. ხშირად ვითარდება საშვილოსნოს ყელის ეროზია, თეთრად შლა. სქესობრივი აქტის დროს თავს იჩენს ძლიერი ტკივილი. ქრონიკულ სტადიაში დაავადების ეს ნიშნები თითქმის არ არის გამოხატული.

საშვილოსნოსა და საშვილოსნოს დანამატების კანდიდომიკოზი იშვიათია და პირველ შემთხვევაში საშვილოსნოს ანთების, მეორეში კი — საშვილოსნოს დანამატების ანთების სახით ვლინდება.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ შარდ-სასქესო ორგანოების კანდიდოზი არც ქალებში და არც მამაკაცებში უშვილობას არ იწვევს.

როგორ ხდება დიაგნოსტირება

ქალებში დიაგნოზის დასმა ავადმყოფის ჩივილებს და სარკეებით გინეკოლოგიურ გასინჯვას ეფუძნება; მამაკაცებში — უროლოგიურ გასინჯვას. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში მიკროსკოპული და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები აუცილებელია. საშოს კედლების დათვალიერებისას შეწითლებას, ლორწოვანი გარსის შეშუპებას, თეთრ, ხაჭოსებრ ნადებს ამჩნევენ. ნადების მოცილებისას ეროზიული უბნები ჩნდება. გამომწვევს დაზიანებული უბნებიდან აღებულ ნაცხში, ენდომეტრიუმის ნაფხეკში, საშვილოსნოს ღრუს გამონაყოფში; მამაკაცებში — ურეთრიდან აღებულ ნაცხში აღმოაჩენენ.

მკურნალობა

ნებაზე მიშვებული დაავადება ხანგრძლივდება და გართულებებს იწვევს. თუ ის ფაქტორები, რომლებიც კანდიდოზის განვითარებას უწყობს ხელს, არ აღმოიფხვრა, დაავადებამ შესაძლოა, მორეციდივე ხასიათი მიიღოს. აუცილებელია, ორივე სქესობრივმა პარტნიორმა ერთდროულად იმკურნალოს, სხვაგვარად, განკურნებული პაციენტი პარტნიორისგან ხელმეორედ დაინფიცირდება.

რაც უფრო ადრე დაიწყება მკურნალობა, მით უკეთესი იქნება შედეგი.

მკურნალობა ექიმის მეთვალყურეობით უნდა მიმდინარეობდეს. თვითმკურნალობის დროს არასწორად შერჩეულმა პრეპარატებმა შესაძლოა, მდგომარეობა დროებით გააუმჯობესოს, მაგრამ დაავადება არ აღმოფხვრას. მკურნალობის მეთოდის არჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს დაზიანების ფართობი და ფორმა, სოკოს გავრცელების ხარისხი, თანმხლები დაავადებების არსებობა, ავადმყოფის ასაკი.

ხშირად, სასქესო ორგანოების ქავილისა და ხაჭოს მაგვარი გამონადენის არსებობის შემთხვევაში, ქალები თავადვე სვამენ დიაგნოზს და სოკოს საწინააღმდეგო საშუალებებით თავადვე იტარებენ მკურნალობას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სოკოს საწინააღმდეგო გარეგანი პრეპარატები დაავადების საწყის სტადიებშია ეფექტიანი. შემდეგ მკურნალობა კომპლექსურად უნდა ჩატარდეს — სოკოზე შიგნიდანაც უნდა ვიმოქმედოთ. სოკოს საწინააღმდეგო შინაგანი პრეპარატებით ეფექტური და უსაფრთხო მკურნალობისთვის რამდენიმე წესის დაცვაა მიზანშეწონილი:

მკურნალობისას სასურველია, სხვა მედიკამენტების მიღებისგან თავი შევიკავოთ.

მედიკამენტები სოკოს სრულ გაქრობამდე უნდა მივიღოთ.

სოკოს საწინააღმდეგო მკურნალობის პარალელურად, სოკოს გამრავლების ხელშემწყობი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ღონისძიებები უნდა განხორციელდეს. კერძოდ, საჭიროა:

* შეიცვალოს ანტიბიოტიკი;
* შეწყდეს ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატების მიღება;
* მოწესრიგდეს ნივთიერებათა ცვლა;
* ამაღლდეს იმუნიტეტი;
* დაინიშნოს ვიტამინები;
* აღდგეს საშოს ნორმალური მჟავიანობა;
* ჩატარდეს ნაწლავების დისბაქტერიოზის მკურნალობა.

ზოგჯერ ინიშნება პრობიოტიკებიც — სასარგებლო ბაქტერიების ცოცხალი კულტურის შემცველი პრეპარატები, რომლებიც პათოგენური მიკლოფლორისა და სოკოების გამრავლებას უშლის ხელს.

საყურადღებოა!

მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ აუცილებელია გამოკვლევის ხელახლა ჩატარება, რადგან სიმპტომების გაქრობა ყოველთვის დაავადების დამარცხებაზე არ მიუთითებს. პირველი საკონტროლო გასინჯვა 2 კვირის შემდეგ უნდა ჩატარდეს, მომდევნოები — თვეში ერთხელ. მკურნალობის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ საკონტროლო ანალიზი ტარდება. ნაცხში სოკოს აღმოჩენისას საჭიროა განმეორებითი მკურნალობა. რეციდივის შემთხვევაში, დაავადების სრულ ალაგმვამდე, განმეორებითი მკურნალობის ჩატარება (ორივე პარტნიორის) აუცილებელია.

ორსული და სასქესო ორგანოების სოკოვანი დაავადება

ორსულთა მკურნალობა ორსულობის II ნახევრიდან იწყება. ამ დროს ყველა პრეპარატის მიღება არ შეიძლება. კერძოდ, ორსულობისას კლოტრიმაზოლის შემცველი კრემებისა და ტაბლეტების გამოყენება აკრძალულია.

რჩევები

მკურნალობის დროს და მის შემდეგ ყველაფერს დეზინფექცია უნდა ჩაუტარდეს: აბანოსა და საშხაპე ინვენტარს, პაციენტის პირად ნივთებს, ტანსაცმელს, თეთრეულს. ამ ყველაფრის დეზინფიცირება საპნისა და სოდის 2%-იან ნარევში, 15-20-წუთიანი დუღილით შეიძლება, შემდეგ კი ცხელი უთოთი დაუთოება. აბაზანა უნდა დამუშავდეს შემდეგი ნარევით: თანაბარი რაოდენობით აიღეთ სარეცხი ფხვნილი და ქლორიანი კირი ან ქლორამინი (შეგიძლიათ გამოიყენოთ აგრეთვე 5%-იანი ქლორამინის ხსნარი, 5%-იანი ქლორიანი კირი ან 3%-იანი ლიზოლი), მოუსვით მთელ აბაზანას, 30 წუთი გააჩერეთ და ჩარეცხეთ.

ერიდეთ მოჭერილ ტანსაცმელს, ატარეთ ბამბის თეთრეული. ნეილონი და მოტმასნილი სამოსი ვენტილაციას აძნელებს და ტენიან და ცხელ გარემოს ქმნის, რაც პათოლოგიური მიკროფლორის გამრავლებას უწყობს ხელს.

ნუ გამოიყენებთ პარფიუმერიულ საპონს, ინტიმურ აეროზოლებსა და დეზოდორატორებს.

ნუ ჩაიტარებთ უმიზეზოდ საშოს გამორეცხვას, რადგან ამ დროს საშოდან სასარგებლო ბაქტერიები გამოირეცხება.

მკაცრად დაიცავით პირადი და სქესობრივი ჰიგიენა:

* ანოგენიტალური (შარდ-სასქესო ორგანოებისა და ანუსის) მიდამო უნდა იყოს სუფთა და მშრალი;
* მენსტრუაციის დროს ხშირად გამოიცვალეთ საფენები (ღღეღამეში ექვს-რვაჯერ მაინც, ტამპონები — უფრო ხშირად);
* დეფეკაციის შემდეგ სწორად, წესის დაცვით (წინიდან უკან მიმართული მოძრაობით) გაიწმინდეთ.

ნუ იბანავებთ დაბინძურებულ წყალსაცავში. ■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.

ადამიანი

ნოდარ ნათაძის გმირობა და რუსული აგენტურა

ანუ რისთვის „ასუქებენ“ გუბაზ სანიკიძეს



„ჩემთვის საქართველოს ღალატია დაუშვებელი“

სპეციალობით ლინგვისტი ქართველოლოგია, მოწოდებით — მებრძოლი, მეგობრების აზრით, პატიოსანი პოლიტიკოსი. თავად ნოდარ ნათაძე მიიჩნევს, რომ უბრალოდ, თანამედროვე, განათლებული ადამიანია. იცის რუსული, გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენები. კითხულობს ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურას. უყვარს პოეზია, განსაკუთრებით — ილიას, ვაჟას, აკაკის, ბაირონის, შექსპირის შემოქმედება. ოჯახი სიყვარულით, 40 წლის ასაკში შექმნა და ჰყავს ორი ვაჟი. ამბობს, რომ ტიპური ქართველი მეუღლე და მამაა. ირწმუნება, — სიცოცხლე მიყვარს, მაგრამ სიკვდილის არ მეშინიაო. მეგობრები ჰყავს, მაგრამ მარტოობაც შეუძლია, ქეიფი და დროს ტარება სიამოვნებს, მაგრამ თუ საჭირო იქნება, არც ასკეტურ ცხოვრებაზე იტყვის უარს. სხვათა შორის, არც იმას უარყოფს, რომ საკუთარი ცხოვრების სტილი არ მოსწონს, — ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, სულ სხვანაირად ვიცხოვრებდიო, — მითხრა.

ნათუნა ბახტურიძე

— ბატონო ნოდარ, რატომ არ შეგიძლიათ იცხოვროთ ისე, როგორც თქვენ გინდათ?

— ამის საშუალებას მოვალეობა არ მაძლევს. მე დავიბადე ქვეყანაში, რომელიც „ბოროტების იმპერიას“ ჰყავდა დაპყრობილი და ჩემი მოვალეობა არა განცხრომით ცხოვრება, არამედ ბრძოლა იყო! გაცილებით მეტი საქმე მაქვს, ვიდრე დრო და ენერგია. ჩემს ნებაზე ცხოვრების საშუალება რომ მქონდეს, ქალაქის გარეუბანში, ტყის პირას ვიცხოვრებდი, მეყოლებოდა ცხენი და ვიქნებოდი ბედნიერი.

— ბედნიერებისთვის ეს საკმარისი იქნებოდა?

— დიახ!

— ალბათ, ნადირობაც გიყვართ.

— სიკვდილისთვის სამშობლოს მოღალატე ადამიანს უფრო გავიმეტებ, ვიდრე ცხოველს. ვხუმრობ, სიმართლე არ გეგონოთ, მართლა მკვლელი კი არა ვარ, მაგრამ ქართველ კაცს სამშობლოს ღალატი ნამდვილად არ ეპატიება!

— სამშობლოს ღალატი სხვა ერის წარმომადგენელს ეპატიება?

— მე ქართველი ვარ და ჩემთვის საქართველოს ღალატია დაუშვებელი და უპატიებელი... აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს არაერთი, მათ შორის — მსოფლიოში არარსებული ტიპის გმირებიც ჰყავს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ რაც ბიძინა ჩოლოყაშვილმა ან შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა გააკეთეს, ამის ანალოგი სხვა ქვეყანაშიც გაუკეთებიათ, მაგრამ ის, რაც დემეტრე თავდადებულმა გააკეთა, უპრეცედენტოა, ასეთი გმირობა მსოფლიოს ისტორიაში არც ერთ მეფეს არ ჩაუდენია.

— როგორ ფიქრობთ, დღევანდელ საქართველოს თუ ჰყავს გმირები?

— აბა, აფხაზეთსა და ცხინვალში რუსებს ვინ ებრძოდა? უამრავი უსახელო გმირი გვყავს... თუმცა, იმ ომში ნაძირალებიც იყვნენ, ვერც ამას გამოვრიცხავთ.

— თქვენი თანამებრძოლები ამბობენ, რომ აფხაზეთში გმირობა ჩაიდინეთ...

— არ გვინდა ამაზე ლაპარაკი...

— მაშინ, თქვენი გმირობის ამბავს მე მოვყვები და თუ ეს სიმართლეა, დამიდასტურეთ.

— არა მგონია, ამის აღნიშვნა ღირდეს და რა ვიცი...

— მე მაინც მოვყვები: რამდენიმე მებრძოლს ის ქუჩა უნდა გადაგეკვეთათ, რომლის მიმართულებითაც აფხაზები ისროდნენ. თქვენ შორის ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე ის აღმოჩნდებოდა, ვინც წინ გაგიძღვებოდათ. ბიჭები მოატყუეთ, — ჯავშანჟილეტი მაცვიაო და წინ წახვედით...

— მერე რა მოხდა?! ჯავშანჟილეტი სულაც არ არის იმის გარანტია, რომ ტყვია ვერაფერს დაგაკლებს. სხვათა შორის, ძალიან მოუხერხებელი რამაა.

— ომში რატომ წახვედით, თქვენ ხომ ამაში არც ასაკი გიწყობდათ ხელს და არც შესაბამისი გამოცდილება გქონდათ?

— ომი ჩემს ქვეყანაში იყო და ვალდებული გახლდით, ასე მოვქცეულიყავი. ეს კეთილი ნება კი არა, ვალდებულებაა! ვინც

აფხაზეთისა და ცხინვალის ომში არ იბრძოდა, იმას უფლება არა აქვს, პოლიტიკოსი ერქვას და ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობდეს.

— სხვა პოლიტიკოსებისგან ყოველთვის განსხვავდებოდით მოკრძალებული ცხოვრების წესითა და უბრალო ჩაცმის სტილით. რა იყო ამის მიზეზი?

— აბა, განცხრომაში როგორ ან როდის ვიცხოვრებდი? რაც თავი მახსოვს, ჩემი ქვეყანა ან დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, ან ტერიტორიების შენარჩუნებისთვის. ჰოდა, სულით მეძავი უნდა იყო, ასეთ დროს პირად კეთილდღეობაზე რომ ფიქრობდე.

— რომანტიკული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ...

— არავითარი რომანტიკული და წინა საუკუნეში ჩარჩენილი მე არა ვარ; ჩვეულებრივი, თანამედროვე ადამიანი გახლავართ.

— არც მიფიქრია, რომ შესაძლოა, წინა საუკუნეში ყოფილიყავით ჩარჩენილი.

— მაინც არ ვარ რომანტიკული.

— კარგი. პირადი საუბრისას მითხარით, რომ ოჯახი სიყვარულით შექმენით. შეგიძლიათ გაიხსენოთ ის პერიოდი, როდესაც ქალბატონი ნანა გაიცანით?

— ჩვეულებრივად გავიცანი, განსაკუთრებული ამბავი არ ყოფილა.

— ის თქვენი თანამოაზრე იყო?

— შეიძლება, ცოლს აპატიო, რომ შენი თანამოაზრე არ იყოს? ისე, ის პროფესიით კიბერნეტიკის სპეციალისტია და პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებს.

— დისიდენტურ მოძრაობაში რა ასაკიდან ჩაერთეთ?

— არ მიყვარს სიტყვა „დისიდენტი“, რადგან არაფრისმთქმელია და „განსხვავებული აზრის მქონეს“, „არათანახმას“ ნიშნავს. საბჭოთა კავშირში რაც ხდებოდა და რაც არსებობდა, იმის „არათანახმა“ ყველა ნორმალური ადამიანი, ყოველ შემთხვევაში — ზნეობრივად სრულფასოვანი არარუსი მაინც იყო.

— ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში როდის ჩაერთეთ?

— დაბადებისთანავე! ბოლოს და ბოლოს, მე ხომ მტრისგან დაჩაგრულ, დაპყრობილ ქვეყანაში დავიბადე.

— როდის იგრძენით, რომ დაჩაგრული იყავით?

— ძალიან ადრეულ ასაკში, როგორც კი ჩემი ეზოს ზღურბლს გადავაბიჯე.

— თქვენი მშობლების პოზიცია როგორი იყო?

— როგორიც ყველა საღად მოაზროვნე და ღირსეული, თავმოყვარე ქართველის.

— იმის გამო, რომ საღად მოაზროვნე, თავმოყვარე ქართველი იყავით, საბჭოთა ხელისუფლებას თუ დაუსჯიხართ?

— კი, 9 მარტის მიტინგის შემდეგ რამდენიმე დღით, დაპატიმრებული ვიყავი.

— 1956 წლის 9 მარტს გულისხმობთ?

— დიახ. მაშინ ახალგაზრდები ქუჩაში იმიტომ გამოვედით, რომ ხრუშჩოვმა ქართველ ერს შეურაცხყოფა მიაყენა — სტალინის ლანძღვისას ქართველებიც შემოელანძღა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ საკითხის მშვიდობიან მოგვარებას სისხლის ღვრა არჩია და მომიტინგეების წინააღმდეგ „წითელი არმიის“ ნაწილები, სამხედრო ტექნიკა გამოიყვანა. რუსთაველის გამზირსა და მტკვრის სანაპიროზე ათობით ახალგაზრდა დახოცეს, ასობით დაჭრეს და დაასახიჩრეს; დაღუპულთა ოჯახებს მიცვალებულების დამარხვის უფლება არ მისცეს. მე ეს დღე ჩემს ერთ-ერთ წიგნში აღვწერე, რომელსაც „სისხლიანი პარასკევი“ ვუწოდე.

— ხშირად ამბობენ, რომ ეროვნული მოძრაობისთვის მოულოდნელი იყო გამარჯვება, რომელსაც 1990 წელს, არჩევნებში მიაღწიეს და საერთოდაც, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა სხვა გარეშე ფაქტორებით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე „ეროვნულების“ ბრძოლითო. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით კი, საბჭოთა კავშირის დაშლა თავად რუსეთის ინტერესებში შედიოდა. თქვენ რამდენად ეთანხმებით ამ მოსაზრებებს?

— საბჭოთა კავშირის ანუ „ქვეყნების საპყრობილის“ დანგრევაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების, მათ შორის — ქართულის წვლილიცაა და ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად შემიძლია, ამერიკელი ავტორების, ბეშლოსისა და ტელბოდის ბესტსელერად ქცეული წიგნი — „უმაღლეს დონეებზე“ — მოვიყვანო. წიგნში მოთხრობილია 1988-1991 წლების ამერიკულ-საბჭოთა ურთიერთობების კულუარული ისტორია. იქ კარგად ჩანს, რომ გორბაჩოვი და მისი გუნდი, შევარდნაძის ჩათვლით, სიტყვაშეუბრუნებლად თმობენ აღმოსავლეთ გერმანიას (გაერთიანებული გერმანიის ნატოში შესვლაზე თანხმობას აცხადებენ), აღმოსავლეთ ევროპას და საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის რადიკალურ დაქვეითებას „პერესტროიკის“ ფორმით, მაგრამ კბილებით იბრძვიან საბჭოთა კავშირის შესანარჩუნებლად. ბუში მის დაშლას ერთი მოტივით უფრთხის: იგი შიშობს, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხელში (შესაძლოა ის რუსი ავანტიურისტი გენერლების ხელშიც კი მოხვდეს) ბირთვული იარაღი უკონტროლო იქნება. სხვათა შორის, წიგნში არაფერი წერია ფარულ მოტივზე ანუ ევროპაში შიშის სინდრომის შენარჩუნებაზე. ბესტსელერში აღნიშნულია ისიც, რომ ბუში ჯერ კიდევ 1991 წლის ზაფხულში ურჩევს უკრაინის პარლამენტს, ხელი აიღოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაზე, რაც აღშფოთებას იწვევს როგორც უკრაინაში, ასევე აშშ-ის საზოგადოებაშიც. ბუშს არ სურს თავისი იმიჯის შელახვა და საზოგადოების აზრს ამიტომაც ითვალისწინებს. ის თავისთან იწვევს ამერიკის უკრაინულ დიასპორას და ჰპირდება, რომ თუ უკრაინელი ხალხი რეფერენდუმში დამოუკიდებლობას მისცემს ხმას, ამერიკა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობას ისე ცნობს, რომ გორბაჩოვის აღიარებას არ დაელოდება. ეს უკრაინელების წახალისებაც იყო და გორბაჩოვისთვის საბჭოთა კავშირის დაშლის გადაწყვეტილების შეტყობინებაც. მართლაც, უკრაინამ 1991 წელს ჩატარებულ რეფერენდუმში დამოუკიდებლობას მისცა ხმა. ამ ფაქტიდან ძალიან მალე, ბელოვეჟში ერთმანეთს ხვდებიან რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლას აცხადებენ.

— ეი. თქვენი აზრით, საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას შევარდნაძეც ცდილობდა?

— კი, ის ყოველთვის კრემლის ლაქია და აგენტი იყო.

— როგორ ფიქრობთ, ზვიად გამსახურდიამ რატომ ვერ გამონახა საერთო ენა ბუშთან?

— ვინ თქვა, რომ ვერ გამონახა? „ძირს ბუში“ — ეს „კარვის ქალების“ ლოზუნგი იყო და არა ზვიად გამსახურდიასი.

— მაშინ ბუშის ეს განცხადება: „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“, რით იყო გამოწვეული?

— ამ განცხადებას ზვიადმა სავსებით ადეკვატურად უპასუხა: „დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან, ცოცხლები ხან დინების მიმართულებით ცურავენ, ხან — საწინააღმდეგოდ“. ჩემი ვარაუდით, ბუშმა გამსახურდიას მისამართით ასეთი რამ იმიტომ თქვა, რომ მის შესახებ მცდარ ინფორმაციებს აწვდიდნენ. ზვიად გამსახურდიას ძალიან ბევრ ბინძურ ჭორს უგონებდნენ. მაგალითად, ერთხელ გაავრცელეს ხმა, თითქოს, ზვიადმა თქვა, —

რუსეთის აგენტები, რომლებიც გამსახურდიას მომხრებსა და მოწინააღმდეგეებშიც უხვად იყვნენ, კარგად მუშაობდნენ

საქართველო მხოლოდ ქართველების ქვეყანაა. ეს სრული სიცრუე იყო!

— აბა, რატომ დაიწყო ზვიადის მმართველობის დროს არაქართველების დევნა?

— ეს ყველაფერი ტყუილია, არავის დევნა არ დაწყებულა! მერწმუნეთ, ასეთ ჭორებს მაშინ ის ხალხი თხზავდა, ვისაც ჩვენი ქვეყნისთვის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩამოცილება უნდოდა. ამ ცრუბრალდებაზე ახლაც იგივე ხალხი ლაპარაკობს და მათ შორისაა სააკაშვილიც...

— „კაგებეს“ თქვენი გადაბირება არასდროს უცდია?

— კი, როგორ არა, სცადეს. მეთერთმეტე კლასში ვიყავი, როცა სკოლაში ვიღაც რუსი ლეიტენანტი მოვიდა. მან მე და ჩემი კლასელი, რომელმაც ჩემი არ იყოს, ინგლისური კარგად იცოდა, სხვა ოთახში გაგვიყვანა და „კაგებესთან“ თანამშრომლობა შემოგვთავაზა, სანაცვლოდ კი ოჯახის საკვებით უზრუნველყოფას (მაშინ შიმშილობა იყო) და საზღვარგარეთ გაშვებას შეგვპირდა. როცა უარი ვუთხარით, მკითხა, — რომელ წელს ხარ დაბადებულიო? ვუპასუხე: 1929-წელს-მეთქი. — მე 28-იანი მეგონეთო და წავიდა. მოგვიანებით, როდესაც უკვე ასპირანტი ვიყავი, „კაგებეს“ შენობაში დამიბარეს: ჯერ ოთახში დამსვეს, ჩემი თავი ვიღაცას უჩვენეს, მერე კი მკითხეს, — უცხო ენები თუ იციო? ვუპასუხე: ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა-მეთქი და გამომიშვეს. ამის მერე საბოლოოდ დამანებეს თავი.

— ბატონო ნოდარ, ზვიად გამსახურდიას გამართლებას ცდილობთ, თუმცა ერთ დროს, სხვა თანამოაზრეებთან და თანამებრძოლებთან ერთად, თქვენც მის წინააღმდეგ დადექით. რა იყო ამის მიზეზი?

— მე მისთვის არც მიღალატია და არც გამიწირავს, უბრალოდ, კონკრეტული შეცდომების გამო ვაკრიტიკებდი. მე ვიყავი სამხედრო დაჯგუფების, „იმედის“ წევრი. როდესაც გამოცხადდა, რომ ტელევიზიაში გვარდია მთელი შემადგენლობით უნდა შესულიყო, მათ ჩვენც შევყევით. 24 საათი ტელევიზიასთან ვტრიალებდი და ვცდილობდი, დაძაბული სიტუაცია როგორმე გამენეიტრალებინა. ერთ საღამოს, როდესაც ტელევიზიასთან ორი ათასამდე კაცი იდგა, კიტოვანი მოვარდა და ხალხს მიმართა, — გამსახურდიამ 60 ქართველი ბიჭი დახოცა. წამოდით, ვაზღვევინოთო. გაცოფებულ ხალხს შევთავაზე, — მოდი, ჯერ სიმართლე გავარკვიოთ-მეთქი. დამიჯერეს. მაშინვე გავგზავნეთ კაცი ინფორმაციის დასაზუსტებლად და აღმოჩნდა, რომ კიტოვანის ნათქვამი სიცრუე იყო. მოგვიანებით გავიგე, რომ ამ ინციდენტიდან ერთი დღის შემდეგ ჩემს უბანში მანქანით ვიღაც დარბოდა და ხალხს რუპორით მოუწოდებდა: ნოდარ ნათაძე ვარ, გარეთ გამოდით, ჩვენი ბიჭები დახოცესო. მერე დათო ხომასურიძემ („იმედის“ მეთაურმა) მიამბო, — ტელევიზიის შიგნითაც შემოიტანეს 60 ბიჭის „დახოცვის“ ამბავი, ჩვენები უკვე ჯავშანჟილეტებს იცვამდნენ და მე შევაჩერეო. მეორე დღეს ხალხს მისი სახელითაც მოუწოდებდნენ, გამოდითო.

— ნანობთ, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ დადექით?

— მე ახლაც ვფიქრობ, რომ გამსახურდიას სამართლიანად ვაკრიტიკებდი, თუმცა ძალიან ბევრ რამეს ვნანობ. უფალს ჩემთვის მეტი გონიერება და სიტუაციის განჭვრეტის უნარი რომ მოეცა, საქართველოს ბევრ უბედურებას ავარიდებდი.

— თქვენსა და ზვიადს შორის პირველი უთანხმოება რამ გამოიწვია?

— იმან, რომ რუსეთის შინაგან ჯარს ცხინვალში სიტუაციის მართვის უფლება კანონით მისცა.

— ფიქრობთ, რომ სხვა გამოსავალი ჰქონდა?

— წინააღმდეგობის გაწევა შეიძლებოდა, მაგრამ ზვიადს ეგონა, რომ რუსეთი ჩვენი მხრიდან კეთილმოსურნე, უთავმოყვარეო ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში შეგვიწყალებდა და სეპარატისტებს აღარ გაუმართავდა ხელს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რუსეთის აგენტები, რომლებიც გამსახურდიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებშიც უხვად იყვნენ, კარგად მუშაობდნენ.

ტელევიზიასთან ვტრიალებდი და ვცდილობდი, დაძაბული სიტუაცია როგორმე გამენეიტრალებინა

— ისევე, როგორც შევარდნაძეს, ქვეყნის დღევანდელ ხელისუფალსაც რუსეთის აგენტად მიიჩნევთ და როგორც ვიცი, არც ოპოზიციონერებს უყურებთ კარგი თვალით. ვინმეს თუ ენდობით?

— ზუსტადაც, ბევრს არ ვენდობი. გუბაზ სანიკიძეც რუსეთის აგენტია. მის წინააღმდეგ საარქივო მასალები არა მაქვს, მაგრამ ასეთი დასკვნა მისი სატელევიზიო გამოსვლებიდან და საგაზეთო სტატიებიდან გამომდინარე გავაკეთე. სხვათა შორის, მე ისიც კარგად მახსოვს, რა გააკეთა ქუთაისში, ჯერ კიდევ 90-იან წლებში.

— მაინც, რა გააკეთა?

— ყველანაირად ცდილობდა, ეროვნული ძალების გაერთიანებისთვის შეეშალა ხელი. ახლა მას აქუბარდიას (რომელიც ასევე, რუსეთის აგენტია) ხელით, რაღაც დიდი საქმისთვის „ასუქებენ“.

— აქუბარდია რისთვისლა სჭირდება რუსეთს?

— პროპაგანდისთვის. ძალიან კარგად მახსოვს, შევარდნაძეს რომ ეუბნებოდა, — ბატონო ედუარდ, გააჟღერეთ ეს კონფედერაციის იდეაო... კონფედერაციის იდეა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შემუშავებული გენერალური გეგმაა. ეს გეგმა პრიმაკოვმა „შეუცურა“ გაეროს, გაერომ — ბოდენს, ბოდენმა კი ქართველ „რესპუბლიკელებს“.

— ახლა არ მითხრათ, „რესპუბლიკელებიც“ აგენტები არიანო.

— მაგათი აგენტობის ამბავი არ ვიცი, მსგავსი არაფერი მითქვამს, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ნაძირალები არიან და ანტიქართული დოკუმენტებით საქართველოს საფრთხეს უქმნიან.

— კონფედერაციის იდეაში რა საფრთხეს ხედავთ?

— კონფედერაცია ისეთი კავშირია, რომელში შემავალი სახელმწიფოებიც საკუთარ სუვერენიტეტს სრული სახით ინარჩუნებენ, საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად რჩებიან, მაგრამ ერთმა მათგანმაც რომ თქვას, კონფედერაციაში ყოფნა აღარ მინდაო, კავშირი მაშინვე დაიშლება.

— იმედი გაქვთ, რომ სხვა გეგმით საქართველო ტერიტორიული პრობლემის მოგვარებას შეძლებს?

— იმედი კი არა მაქვს, ზუსტად ვიცი, რომ მოაგვარებს! რუსეთს მსოფლიოსთან დაპირისპირების ძალა აღარ შესწევს.

— რატომ გგონიათ, რომ საქართველოს გამო მსოფლიო რუსეთს დაუპირისპირდება?

— მსოფლიომ ცალსახად უკვე განაცხადა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, რომ საქართველოს სუვერენიტეტს პატივს სცემს. გარწმუნებთ, დასავლეთი კავკასიასა და შავ ზღვას რუსეთს არასდროს დაუთმობს. მოსკოვი ხვდება, რომ ჩიხშია და იცის, ადრე თუ გვიან, საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიების დაბრუნება მაინც მოუწევს, ჰოდა, ცდილობს, შემოგდებული თუ შემოპარებული გეგმებით რაღაცას მაინც გამორჩეს.

— პოლიტიკისგან დასვენებას თუ აპირებთ?

— ჯერ არა, კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

— წარმატებებს გისურვებთ!

■

ფერეიდნელი ახალგაზრდების გულისტკივილი

„ჩვენ ვართ შვილები, რომლებიც დედას ეძებენ...“

ნიკოლოზ ონიკაშვილი (მორთეზა ასლანი), შოთა თავაძე (მეჰდი თავაზოჰი), არსენ ონიკაშვილი (ჰასან ალი რაჰიმი) ის ფერეიდნელი ქართველები არიან, რომლებიც პრობლემების მიუხედავად, წინაპრების სამშობლოში — საქართველოში ყოფნას ამჯობინებენ. ბიჭები თბილისის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტები არიან. სულ 4 წელია, რაც საქართველოში ცხოვრობენ, მაგრამ წინაპრების სამშობლო ბავშვობიდანვე უყვართ. XVII საუკუნის კახურ დიალექტზე მოსაუბრე ბიჭებმა თანამედროვე ქართულ ენას, ქართულ ხალხურ ცეკვა-სიმღერას ნელ-ნელა აუღეს ალღო და ასოციაციისაგან — „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ — ჯილდოც მიიღეს.

ეთო ყორღანაშვილი

არსენ ონიკაშვილი:

— ვხატავ, ლექსებს ვწერ... ქართული ენა, საქართველო ბავშვობიდანვე მიყვარს. ვცდილობ, თანამედროვე ქართული ვისწავლო. დაახლოებით 19 წლის ვიყავი, როცა ახალგაზრდები შევიკრიბეთ და არასამთავრობო ორგანიზაცია — „ირანში მცხოვრები ქართველების ორგანიზაცია“ — ჩამოვაყალიბეთ, ქართულ ანბანს, კალენდრებს, სიტყვებს (რომლებიც ფერეიდანში დავიწყებულია) ვბეჭდავდით; მერე საქართველოში გამომგზავრება გადავწყვიტეთ. გვინდოდა, ქართველ საზოგადოებასთან შეხება გვქონოდა. ჯერ ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ჩამოვიდა, შემდეგ ბიჭებმა დაგვირეკეს — აქ სწავლა შესაძლებელიაო და ჩვენც ჩამოვედით... მანამდე ფერეიდანში მუსიკალური ჯგუფიც ჩამოვაყალიბეთ: ვცდილობდით, ქართული სიმღერები გვესწავლა.

— ფერეიდანში არსებული ორგანიზაციების საქმიანობაში ხალხი აქტიურადაა ჩართული, არა?

— ნაწილი გულგრილია, მაგრამ უმეტესობას სისხლში აქვს გამჯდარი, რომ ქართველია. იქ მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს, მაგრამ მათგან ძირძველ ენაზე მხოლოდ 70 ათასი ოჯახი ლაპარაკობს... როცა ირანელს მათ ენაზე ველაპარაკებით, ის ხვდება, რომ სპარსელები არა ვართ, რადგან ჩვენს მეტყველებაში ქართული ენის გავლენა იგრძნობა. სხვათა შორის, ისინი დიდ პატივს გვცემენ.

— ფერეიდანში ქართული ტრადიციები თუ შემორჩა? მაგალითად, ქართულ კერძებს თუ ამზადებენ?

— მხოლოდ ქართული ენა შემორჩა... ჩოხა პირველად სურათებში ვნახე. იქ საქართველოსაგან განსხვავებული გარემოა. ადრე სამშენებლო მასალად ალიზსა და ქვას ვიყენებდით, ახლა კი ცემენტის, ბეტონის სახლები ააშენეს — ეს დრომ მოითხოვა. ძველ სახლებში რაღაც ქართული მაინც „იდო“: დარბაზები არსებობდა, რომელსაც „თავსახლს“ ვეძახდით, შუაში კი დედაბოძი იყო. დარბაზის ნახვა მოვასწარი — ჩემს პაპას და ბებიას ჰქონდათ. მახსოვს, შვილიშვილები თონის გარშემო ვიკრიბებოდით, ბებია პურს აცხობდა, პაპა კი საქართველოს შესახებ გვიყვებოდა. გვეუბნებოდა, — ჩვენი წინაპრები ფერეიდანში შაჰ-აბასმა ჩაასახლა. საქართველო ლამაზია და იქ ლამაზი ხალხი ცხოვრობსო. მოკლედ, ახალგაზრდებს ჩვენი ძირძველი სამშობლო რომ გვიყვარს, ეს წინაპრების დამსახურებაა.

— ახლა რას საქმიანობ?

— ვსწავლობ და როგორც თქვენ ამბობთ, ვცდილობ, „გავქაჩო“ (იცინის).

— საქართველოში სად ცხოვრობ?

— საპატრიარქოს მიერ გამოყოფილ, ფერეიდნელების საერთო საცხოვრებელში. ეს დროებითი ბინაა. ნორმალური სამსახური მჭირდება, რათა ამ ცხოვრებაში ადგილი დავიმკვიდრო, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი ვიშოვე. მერწმუნე, ფერეიდანში ბევრი მდიდარი ადამიანი ცხოვრობს... მათ შეუძლიათ, ჩამოვიდნენ, საწარმოები ააშენონ, მაგრამ საქართველოს კარგად არ იცნობენ და თავს ამიტომაც იკავებენ...

— როგორც ვიცი, სამუშაო გაქვს...

— რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ვმუშაობ. მართალია, სახარბიელო ხელფასი არ მაქვს, მაგრამ ჯიბის ფულად მყოფნის. სხვათა შორის, მუშაობის დაწყებაში საპატრიარქომ შემიწყო ხელი.

— რამდენი დედმამიშვილი გყავს?

— 2 და და 3 ძმა მყავს. მშობლებს უხარიათ, რომ საქართველოში ვარ; ისინი პატრიოტები არიან, სამშობლო უყვართ... რაც შეეხება ირანს, იქაურობას პატივს ვცემთ. ჩვენი გვარები „შვილით“ და „ძეთი“ არ მთავრდება, მაგრამ ვიცი, რომ ჩემი წინაპრები ონიკაშვილები არიან. ფერეიდნელი ქართველების გვარების 80%-ის ძირი ქართულია. მაგალითად: ხუციშვილი ხუციანია, მიქელაძე — მიქელანი და ა.შ.

შოთა თავაძე, *28 წლის:*

— ქართულ ენაში არსებული ზოგი ასო-ბგერა სპარსულ ანბანში არ გვხვდება. სპარსულად „ძეს“, „შვილს“ ვერ დაწერ ან დაწერ, მაგრამ მას სხვაგვარი ჟღერადობა ექნება. ჩვენი ნამდვილი გვარები გადმოცემით ყველამ ვიცით და ამ ინფორმაციას ჩვენს შვილებსაც გადავცემთ. ვიდრე სკოლაში წავიდოდი, სპარსული კარგად არ ვიცოდი, არც ჩემმა მშობლებმა იცოდნენ, რადგან ოჯახში ქართულად ვლაპარაკობდით. მახსოვს, სკოლაში პირველად მისულმა ვერაფერი გავიგე და სპარსულის სწავლა დავიწყე. ჩვენს ადგილას, ყველას გაუჩნდებოდა კითხვა: თუ ქართველი ვარ, ირანში რა მინდაო? ჰოდა, ამით მეც დავინტერესდი. ფერეიდანში მცხოვრები ქართველი აქტიური ახალგაზრდები გავიცანი და საქართველოს შესახებ რაღაცებს ერთად ვსწავლობდით, აქ ჩამოსვლას საკმაოდ დიდხანს ვგეგმავდით. ჩვენ მიგვხვდით, რომ საქართველო ფერეიდანს ყურადღებას არ აქცევს, არადა, ვართ ის შვილები, რომლებიც დაკარგულ დედას ეძებენ. ქართული მენტალიტეტით ცხოვრება მხოლოდ საქართველოში შეიძლება, სხვაგან სხვა კულტურით უნდა იცხოვრო. მესმის, რომ

არ ვიცი, მაგრამ ქალაქ ბარში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები იტალიელები ქართველებს ნამდვილად არ ჰგვანან. ისინიც სხვა ევროპელებივით, ცივი ხასიათით გამოირჩევიან, დედმამიშვილებთანაც კი ოფიციალური ურთიერთობა აქვთ. სხვათა შორის, არც გარეგნობით ჰგვანან ქართველებს, ლამაზები სულაც არ არიან...

რამდენიმე თვის წინ საქართველოში ვიყავი. ჰოდა, მარგო რომ დარჩა, ისე ინერვიულა, წონაში დაიკლო

— იტალიელი მამაკაცები როგორი თაყვანისმცემლები არიან?

— ცდილობენ, ქალის კეთილგანწყობილება მოიპოვონ, მაგრამ თავს არ გაბეზრებენ (ცხადია, გამონაკლისებიც არსებობენ). მე მომწონს თავისუფალი აზროვნების მამაკაცები, გარეგნობა კი ბევრს არაფერს ნიშნავს.

— თავისუფალ აზროვნებაში რას გულისხმობ?

— იტალიელები ქალს არაფერში ზღუდავენ, ეჭვიანები არ არიან. აქ არც ვნების გამო ქორწინდებიან და არც ასაკის მატების გამო. ჩემი „მოსწავლეების“ მშობლები ათწლიანი თანაცხოვრების შემდეგ დაქორწინდნენ.

— იქ ძირითადად, რა ასაკში ქორწინდებიან?

— ქორწინებისთვის სასურველ ასაკად 30 წელს მიიჩნევენ, მაგრამ სექსუალური პარტნიორი ჯერ კიდევ 14 წლის ასაკიდან ჰყავთ. სხვათა შორის, არასრულწლოვანი რომც დაფეხმძიმდეს, მშობელი ამის გამო არ გაკიცხავს, არც ბავშვს მოაშორებინებს და არც ბავშვის მამაზე დაქორწინებას აიძულებს.

— განქორწინების ფაქტი რამდენად ხშირია?

— ძალიან იშვიათია. იტალიელი ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეცდომებს იოლად აპატიებს.

— ღალატსაც?

— არა, რას ამბობთ, ღალატს საქართველოში უფრო აპატიებენ, ვიდრე — იტალიაში. ქართველი ქალისგან ხშირად მსმენია, — კაცი ქალებში გაივლის, აბა, რა იქნება?! მთავარია, მე არ გავიგოო. ეს ევროპელებისთვის სრულიად გაუგებარი რამაა და ამიტომაც ხუმრობენ ჩვენზე: ყველა ქართველ მამაკაცს ჰყავს საყვარელი, მაგრამ ყველა ქართველი ქალი პატიოსანიაო. ამ საკითხში ქართველები გულწრფელები რომ არ ვართ, ეს ბევრმა იცის.

— ქართველების ხასიათს იტალიაში ასე კარგად იცნობენ?

— ვერ ვიტყვი, რომ მთელი იტალია ქართველების ხასიათის შესწავლითაა დაკავებული, მაგრამ ვინც საქართველოშია ნამყოფი ან იტალიაში მცხოვრებ ქართველებს იცნობს, მას ჩვენზე გარკვეული წარმოდგენა ექმნება. სხვათა შორის, იტალიაში ცოლ-ქმარს საოჯახო საქმეებიც გადანაწილებული აქვს. საქართველოში ძალიან ბევრი ისეთი ოჯახია, სადაც ფულს ქალი შოულობს, მამაკაცი კი მთელი დღე ეზოშია და ნარდის, დომინოს ან კარტის თამაშით ერთობა. ქართველი მამაკაცების დიდ ნაწილს არც ფულის შოვნა შეუძლია და ისიც ეთაკილება, რომ შვილებს მიხედოს ან სახლში იტრიალოს. მოკლედ, საბოლოო ჯამში, არა მარტო ქალის, არამედ კაცის გასაკეთებელ საქმესაც ცოლი აკეთებს, ეს კი უსამართლობაა!..

— ეი. იტალიელებს ქართველებზე არც ისე კარგი წარმოდგენა აქვთ...

— არც ასეა საქმე. სხვა ერის წარმომადგენელ ემიგრანტებზე მეტად, ჩვენ გვაფასებენ. მიიჩნევენ, რომ განათლებულები, ცივილიზებულები ვართ და სხვათა შორის, ასეც არის — ბევრი ქართველი ემიგრანტი ადგილობრივ იტალიელზე განათლებულია. ერთხელ, როდესაც ჩემს იტალიელ მეგობარს იტალიურ მხატვრობაზე ვესაუბრე, გაოცდა, — ეს ყველაფერი შენ საიდან იცი? — როგორ თუ საიდან ვიცი, თქვენ ხომ მსოფლიოში აღიარებული მხატვრობა გაქვთ-მეთქი. — კი, მაგრამ შენ ხომ ენის სპეციალისტი ხარ და ამ სფეროშიც რომ ერკვევი, ამან გამაკვირვაო. იტალიელებს ისიც უკვირთ, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უცხო ქვეყანაში, დღიური სამუშაოს საძიებლად რომ მივდივართ.

— იტალიელებს რუსებში აღარ ვერევით?

— ქართველი რუსში შეიძლება, მხოლოდ ძალიან გაუნათლებელ იტალიელს აერიოს. ისე, სტალინი ბევრს რუსი ეგონა და როცა ვთქვი, — ქართველი იყო-მეთქი, მითხრეს: ჯობდა არ გეთქვა, მაგით ნუ იამაყებო.

— სტალინით ამაყობდი?

— არა, უბრალოდ ვთქვი, რომ ქართველი იყო.

— იტალიელებს რუსების მიმართ როგორი დამოკიდებულება აქვთ?

— მგონი, მთელ იტალიაში რუსები მხოლოდ ბერლუსკონის უყვარს. მინდა გითხრათ, რომ ქართველები „იტალიელ“ რუსებსაც უყვართ და რუსულ ეკლესიაში ქართული ხატებიც კი დაასვენეს... ხანდახან საქართველოდან მოძღვარი ჩამოდის და რუსულ ეკლესიაში წირვას ქართულად ატარებს, ზოგჯერ კი რუსი მღვდლის მიერ ჩატარებული წირვისას ქართველები გალობენ.

— აგვისტოს ომის დროს მათი პოზიცია როგორი იყო?

— გაგიკვირდებათ და, ქართველებთან ერთად, ქუჩაში რუსებიც გამოვიდნენ, ტრანსპარანტებით — „სტოპ რაშა!“

— შენს იტალიელ მეგობრებს საქართველოში ჩამოსვლის სურვილი არა აქვთ?

— მათ ჩვენს მთებსა და მდინარეებზე იმდენი ველაპარაკე, რომ ერთი სული აქვთ, როდის ჩამოვლენ.

— მთები და მდინარეები იტალიელებსაც ხომ აქვთ...

— კი, მაგრამ მათი მთები ღარიბია. ჯერ მარტო ჩვენი წყალი რად ღირს, იტალიაში კი დაუმუშავებელ, გაუფილტრავ წყალს ვერ დალევ, საშინელი გემო აქვს. ქართველებმა ბუნებას იტალიელებივით რომ მოვუაროთ, ნამდვილი სამოთხე გვექნება. აქ ტყეების გაჩეხაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ყველგან საცარი სისუფთავეა.

— თუ ყველგან სისუფთავეა, ნაგვის გატანის მოთხოვნით ნეაპოლში აქციები რატომ მოაწყვეს?

— ეს უკვე სხვა პრობლემაა: ნეაპოლში ნაგავი იმიტომ დაგროვდა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალაქიდან ნაგვის გატანისთვის საჭირო თანხა არ გამოყო. თორემ მერწმუნეთ, იტალიელი კაცი ქუჩაში ან ტყეში ნაგავს არ დაყრის.

— რიგით იტალიელებს პოლიტიკა რამდენად აინტერესებთ?

— საერთოდ არ აინტერესებთ. მათთვის მთავარია, პრობლემა პირადად არ შეექმნათ. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ აქ შოუბიზნესის წარმომადგენლები და პოლიტიკოსები ერთმანეთს არც კი იცნობენ. იქ ახალგაზრდა, 40 წელს ქვემოთ ასაკის პოლიტიკოსს ვერ ნახავთ.

— თამუნა, საქართველოში დაბრუნებას ნამდვილად არ აპირებ?

— ახლა ამის თქმა მიჭირს... საქართველოში რომ დავბრუნდე, რა გავაკეთო?.. ■

„ჯეოსტარელი“ ანა მდივნიშვილის მუსიკალური და ჟურნალისტური გეგმები

„თავს მოდელად არც მივიჩნევ“

„ჯეოსტარის“ ყოფილი კონკურსანტი — ანა მდივნიშვილი პროექტის დატოვების შემდეგ ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა: სკოლაში სწავლობს, მომავალი სასწავლო წლის ბოლოსათვის, 10 გამოცდის ჩასაბარებლად ფსიქოლოგიურად ემზადება... თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ატარებს. ზოგჯერ მათ პიცითა და ნამცხვრით უმასპინძლდება — ნიჭიერ და ლამაზ გოგონას სამზარეულოში ტრიალიც ეხერხება. წინათ ბალეტის შესწავლასაც ცდილობდა, მაგრამ რადგან ძალიან ცელქი ბავშვი გახლდათ, ამ საქმეს თავი დაანება. საუბრისას, ბავშვობის დროინდელი კურიოზი გაიხსენა: ერთხელ თურმე მონდომებით ცდილობდა საბრალო კატისათვის კუდის დაწვრილებას: სურდა, კატა დენის ჩამრთველში „შეეერთებინა“ — კატას რომ „ჩავრთავ“, თვალები გაუნათდება, „ტომი და ჯერიში“ ასეაო! საბედნიეროდ, ცელქ და ცნობისმოყვარე გოგონას დედამ დროულად მიუსწრო... სხვათა შორის, ანას დედა ოჯახში ერთადერთია — ვისაც სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული, ოჯახის დანარჩენი წევრები მუსიკას მისდევენ...

ეთო ყორღანაშვილი

— პროექტის დატოვების შემდეგ, ცხოვრება ჩვეული რეჟიმით განვაგრძე. „ჯეოსტარში“ ყოფნისას, რეპეტიციების, გადაღებების გამო, სკოლაში გაკვეთილების გაცდენა მიხდებოდა. მოგეხსენებათ, გაკვეთილების გაცდენასთან დაკავშირებით ახლა სკოლებში „დიდი ამბებია“... „ჯეოსტარში“ ყოფნისას მთელი სკოლა მგულშემატკივრობდა — შეძლებისდაგვარად, ხელს მიწყობდა... ახლა ვცდილობ, საფუძვლიანად მივხედო სწავლას. პროექტის დატოვების გამო გული დამწყდა, რადგან მინდოდა, „ჯეოსტარში“ დიდხანს ვყოფილიყავი და საკუთარი თავი წარმომეჩინა. 5 კონცერტის განმავლობაში, ჩემი შესაძლებლობები ნამდვილად ვერ წარმოვაჩინე. მინდოდა, უფრო მეტი გამოცდილება მიმეღო და სცენას უფრო კარგად შევჩვეოდი. ასევე, „ჯეოსტარელებთან“ ერთად დიდხანს ყოფნაც მსურდა, რადგან ყველა კონკურსანტი ძალიან მიყვარს! რაც მთავარია, სცენაზე პირველი ნაბიჯები გადავდგი. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საწყენია, რომ პროექტი დავტოვე, მაგრამ არა უშავს...

— როცა პროექტში მონაწილეობა გადაწყვიტე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული იყავი? ე.წ. „პრიკოლებში“ მოხვედრის შიში ხომ არ გქონდა?

— საკუთარი თავი დავაჯერე იმაში, რომ პროექტში აუცილებლად მოვხვდებოდი. როცა მიზანი დასახული გაქვს, აუცილებლად მიაღწევ! შესარჩევი ტური საკმაოდ დაძაბული იყო, დავიღალეთ, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ მახსენდება, რადგან ჩემთვის კარგად დამთავრდა: საბოლოოდ, ამ დიდ პროექტში მოვხვდი. ძალიან კმაყოფილი ვარ.

— ალბათ, შენს წარმატებაზე შენმა გარეგნობამაც იმოქმედა. როცა ამას აღნიშნავენ, ხომ არ ღიზიანდები?

— საერთოდ, კარგი გარეგნობა ადამიანს წარმატების მიღწევაში ეხმარება. ჩემს თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ჩემს წარმატებაზე ალბათ გარეგნობამაც იმოქმედა. რა თქმა უნდა, საკუთარი თავის წარმოჩენა სიმღერით მსურდა: კონკურსისთვის დამოუკიდებლად მოვემზადე და კასტინგზე გამოუცდელი მივედი. ძალიან მსიამოვნებს, რომ ხალხი ჩემს სიმღერასაც აქცევს ყურადღებას და გარეგნობასაც.

— რაიმე მუსიკალური განათლება გაქვს?

— მუსიკალური სკოლა დავამთავრე (4 წელი ფორტეპიანოზე ვსწავლობდი, 2 წელი — ვოკალურზე). კონცერტზე წინათ არასოდეს გავსულვარ. მუსიკალურ სკოლაში სწავლის დასრულების შემდეგ, მასწავლებელთანაც არ მივლია. „ჯეოსტარში“ ჩემი მონაწილეობით ახლობლები გაკვირვებული იყვნენ — არც იცოდ-

ნენ, რომ ვმღეროდი.

— კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით, შენი გადაწყვეტილების შესახებ ოჯახის წევრებმაც არ იცოდნენ?

— ვამბობდი ხოლმე, რომ „ჯეოსტარში“ მონაწილეობა მინდოდა, მაგრამ წინათ ასაკი ხელს არ მიწყობდა, წელს კასტინგზე წავედი და მერე დედას დავურეკე: მოდი, კასტინგზე ვარ-მეთქი.

— საერთოდ, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ხშირად იღებ?

— არა, ჯერ იმ ასაკში არა ვარ, რომ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მივიღო. ოჯახის წევრებს ხშირად ვეკითხები რჩევას.

— შენ გარდა, ოჯახის წევრებიდან ვინმე მღერის?

— ჩემს უფროს დას (18 წლისაა) მუსიკალური ათწლედი აქვს დამთავრებული. კონსერვატორიაში ჩაბარებას აპირებდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. ბებია მუსიკის პედაგოგია — კონსერვატორია აქვს დამთავრებული. მამა, ბაბუები, დეიდა — ყველანი მუსიკალურები არიან! ჩემმა პატარა დაიკომ „ჯეოსტარზე“ ჩემი ნამღერი ყველა სიმღერა ზეპირად იცის — სარკესთან დგება, მიკროფონის ნაცვლად, ხელში მობილურ ტელეფონს იღებს და მღერის, ცეკვავს... მგონი, ყველას გვაჯობებს (*იცინის*).

— როგორც ვიცი, მოდელიც ხარ, არა?

— 10 წლის ასაკიდან სააგენტო „ნატალიში“ დავდივარ. ეს უბრალოდ, ჩემი ჰობია. ხანდახან ჩვენებაზე გავდივარ. თავს მოდელად არც მივიჩნევ.

— მოდელობა, როგორც პროფესია, არ მოგწონს?

— გართობის მიზნით, მშვენიერია, მაგრამ მე სერიოზული პროფესია მაქვს არჩეული, რითაც მთელი ცხოვრება დავკავდები.

— შეგიძლია გაგვანდო?

— კი. ტელეჟურნალისტობა მინდა. ყველა მეუბნება, რომ მონაცემები მაქვს. თან, ბევრი ლაპარაკი მიყვარს. მგონი, ეს საქმე გამომივა.

— პრანჭია თუ ხარ?

— კი, თუმცა ჯერჯერობით თავის მოვლა განსაკუთრებულად არ მჭირდება. თუ სალონში წასვლის დრო არ მაქვს, ვარცხნილობას თავად ვიკეთებ.

— შენი ჩაცმის სტილზე რას გვეტყვი?

— ცხოვრების სტილის გამო, ჩაცმის სპორტულ სტილს ვანიჭებ უპირატესობას. კლასიკური ჩაცმულობაც მომწონს.

— სერიოზულ ჩვენებაში მონაწილეობა არასოდეს მიგიღია?

— შარშან ბაკურ ბაკურაძის ჩვენებაში ვმონაწილეობდი. მაშინ „Fashion TV“-იც ჩამოვიდა, ჩვენებას უცხოელი ჟურნალისტები, ფოტოგრაფები ესწრებოდნენ. მეორე დღეს დაბადების დღე მქონდა...

— ანა, თაყვანისმცემლები არ გაწუხებენ?

— როგორც ყველა გოგოს, თაყვანისმცემლები მეც მყავს, თან — საკმაო რაოდენობით. ისინი შემაწუხებლები არ არიან — ჭკვიანად იქცევიან (*იცინის*).

— შენი ყურადღების მიპყრობას როგორ ცდილობენ?

— საჩუქრებით. საჩუქრები ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ ამით ჩემს გულს დიდად ვერ მოიგებენ: თუ ადამიანი არ მოგწონს, საჩუქრებს რა აზრი აქვს?!

— როგორი ბიჭები მოგწონს?

— რა თქმა უნდა, გარეგნობას ყურადღებს ვაქცევ: შავგვრემანი ბიჭები უფრო მომწონს. ბიჭი ცანცარა არ უნდა იყოს და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეს. ყურადღებიანი, ინტელექტუალური, სიმპათიური ბიჭები მომწონს, რომლებსაც ქალთან ურთიერთობა არ ეშლებათ.



— სიმღერასთან დაკავშირებით, რა გეგმები გაქვს?

— ალბათ შემოთავაზებები მექნება... სიმღერის გაგრძელება ნამდვილად მინდა, რადგან ძალიან მიყვარს. მგონი, ჯერ ყველაფერი წინ მაქვს — 16 წლის ვარ...

■

ამჯერად, თქვენივე თხოვნით, გთავაზობთ ქართველი შემსრულებლების სიმღერების ტექსტს.

მონატრება
(დუეტი „ჯორჯია“)

სევდა ისევ ჩუმად მოდის,
ცრემლით ტირის ცა,
ვეღარ უძლებს გული ლოდინს
და ჩაფერფლილ წამს.
გულის კარი დაგრჩა ღიად,
დღეს ფიქრებით თოვს,
უკვე მოგონება გქვია,
შენ წასულხარ შორს.
დრო უეცრად გასულია,
ყველაფერი წასულია
და შენ ვეღარ შემოაღებ კარს.
დრომ გაჩუქა ერთი წუთი,
შენ ჭაღარას გადაურჩი,
მე ასეთი უკვდავების მწამს.
ღიმილი ქარდაქარ არიგე,
ოცნება ზეცაში წაიღე,
ამ ტკივილს ქვეყანა გაიგებს.
იცოდე, ამ სიტყვებს ცრემლებად
დაგიბნევ,
ზეცაში ღიმილით გხვდებიან,
სიცოცხლე იმედის ფერია...
მშვიდობით, აქ აღარ გელიან,
შენს გზებზე ვინც ივლის,
ეს ჩვენი გედია.
ვიცი, მოხვალ ჩვენთვის იად,
გააჩერებ დროს,
ეს ტკივილი ქარს მიაქვს და
აპრილშიც თოვს.
ჩვენს სულს ისევ ტკივილი აქვს,
ჩვენს სულს ისევ მოერია
და ცრემლები დაიფანტა შორს.
ჩუმი სევდა არ გვაკლია,
მიწა თბილი საბანია,
საქართველო დაგვილოცე, გთხოვ.

შავ ღვინოში
(მგზავრები)

შავ ღვინოში ალუბლები ბანაობენ,
ეგ ტუჩები დასალევად მენანება,
ბილიკებად ჩამოყრილი შენი თმები,
გზას მიბნევს და
ეგ სიბრმავე მენატრება...
ფანჯრის რაფას დაეკიდა
შემოდგომა,
გარეთ წვიმამ ნისლის ქოლგა დაიხურა,
ეგ ამბორი, როგორც მთვარის
ნაფეხური,
მაჩუქა და კარი ჩუმად გაიხურა.

მოზარდების სურვილები

შენ და მე
(ფრანი)

ლამაზი ფერები, მე გეფერები,
ნაზი ბგერები, შენც მეფერები,
მზე რომ ჩავა და ჩვენ რომ გვღალატობს,
მთვარე ამოვა, ის არ გვღალატობს.
ხანდახან ერთად როგორ ვთამაშობთ,
ხანდახან ცხარედაც როგორ ვკამათობთ,
ხანდახან სხვებსაც როგორ ვაგიჟებთ,
როცა მოვდივარ, გრძნობ ჩემს ნაბიჯებს შენ...
შენთვის, ო, რამდენჯერ მითქვამს,
რამდენჯერაც გინდა მითქვამს აკორდი,
შენთვის, ო, რამდენჯერ მითქვამს,
რამდენჯერაც გინდა, მითქვამს აკორდი.
შენ და მე,
შენ თუ გაგაჩინა მზემ.
რა გულიანად, რა გულიანად, რა გულიანად
ვმღერით ხანდახან.
შენ და მე,
შენ თუ გაგაჩინა მზემ...
რა გულიანად, რა გულიანად, რა გულიანად
ვმღერით ხანდახან...
როცა მოვდივარ, გრძნობ ჩემს ნაბიჯებს შენ.

მე მაინც მოვალ
(ანრი ჯოხაძე)

ცრემლი მომერევა, მე შენთან მოვალ,
როცა დავმშვიდდები, მე მაინც მოვალ,
გული მეტკინება, მე შენთან მოვალ,
დარდი მომერევა, მე შენთან მოვალ.
ცეცხლი მომედება, მე შენთან მოვალ,
დავიფერფლები და კვლავ შენთან მოვალ,
ვერ შეგვაშინებს გრიგალი, თოვა,
სიმღერად მოვალ და სინათლედ მოვალ.
სულ რომ წახვიდე, სულ რომ დამშორდე,
ჩამქრალ სანთლებად, ჩამქრალ ოცნებად,
მოვალ სიზმრებად, მოვალ სიმღერად, მოვალ...
სხვა რომ შეიყვარო, მე მაინც მოვალ,
დღეს სულ რომ გამწირო, მე მაინც მოვალ,
ცა რომ გაიხსნას, მე მაინც მოვალ,
ზღვა რომ განრისხდეს, მე მაინც მოვალ.
სულ რომ წახვიდე, სულ რომ დამშორდე,
ჩამქრალ სანთლებად, ჩამქრალ ოცნებად,
მოვალ სიზმრებად, მოვალ სიმღერად, მოვალ...
გზები რომ შემიკრან, მე მაინც მოვალ,
ფრთები რომ შემაჭრან, მე მაინც მოვალ.

სიყვარული (ბედინა)

ისე, რაც მართალია, ერთხელ იბადები, მეორედ კვდები,
ერთხელ გიყვარდება, მეორედ ქრები,
მესამედ ეძებ და გული გიკვდება,
ძნელია უსიყვარულოდ ცხოვრება...
მენატრები, გელოდები, სიზმრებში გეუბნები,
რომ იცოდე, მე დღეს შენ მეტს არავის ველოდები.
არ გაქრება სიზმარი, არ გაქრება ფიქრები,
დარჩება ჩემს გულში და შენ ჩემი იქნები.
აქ ცხოვრებას მე დღეს ისევ ავიტან,
ჩემ გვერდზე თუ შენ იქნები, რაღაცას გავიტან,
გავაკეთებ ბევრს დღეს და გაჩუქებ ერთს,
ნამდვილ სიყვარულს და საოცრებებს.
შენს თავს ვერ დავუთმობ მე სხვას,
შეიძლება ეს სიტყვები მე შენთვის ბევრჯერ მითქვამს,
შენ დღეს ვერ ჩასწვდები ჩემს აზრს,
უშენობა მაწუხებს და მონატრება მკლავს.
სხვას, ნუ დაუჯერებ სხვას,
უაზრო ლაპარაკით შეგიცვლიან აზრს,
ფიქრებს ნუ გაანდობ სხვას,
მე მჯერა გამიგებ და შენი მწამს.
შეხედავ მომავალს, შეხედავ წარსულს,
იფიქრე ჩემზე და მიხვდები რა გსურს,
გაჰყევი ჩემს ბილიკებს, იარე ჩემ წინ,
მე შენ მიყვარხარ, აზრს ნუ შემიცვლი.
შეიძლება ბედმა მე მწარედ დამცინოს
და შენს სიყვარულში ბოლომდე გამწიროს.
იტირებს ცა, ვიტირებ მეც,
უფრო შეგიყვარებ, ვერ შევცვლი ბევრს.
ვხედავ, მე ავდივარ დიდების მწვერვალზე,
ჩემ გვერდით გოგონა დგას, ლამაზი ყველაზე,
თვალებში ვუყურებ, ის კი ვერ მამჩნევს,
მინდა ვესაუბრო რაიმე თემაზე, შევეხო თმაზე,
ის კი ვერ მამჩნევს...
აზრები მეფანტება, ოდეს შენს თავზე,
ასეთი თვალები, ასეთი სილამაზე,
არ ვიცი, როგორ გაჩნდა, ვინ შექმნა ქვეყანაზე.
სასწაულს უკვე არ ველი, გესმის?
შენ ხარ უკვე ჩემი მფარველი ღმერთი.
ვერ ვხვდები, რა მოხდება, არ მჯერა ბედის,
სანთლებს ავანთებ და ვილოცებ შენთვის
იმიტომ, რომ ცხოვრებაში მე მწამს ღმერთის,
მე მინდა, რომ ყველაფერი გავაკეთო შენთვის,
შემომხედე თვალებში და მომენდე, გესმის?..
იმიტომ, რომ შენ მინდა იყო ჩემთვის,
შეგეხები თმაზე და მოგეფერები თავზე,
მე ჩაგეხუტები და გეტყვი, არ იფიქრო სხვაზე.
მე მესმის შენი სუნთქვა, მე მესმის შენი ხმა
და მესმის შენი ფიქრები და გულისცემა კვლავ.
მინდა გახსოვდეს შენ ჩემი სიტყვები
და რომ ყოველი გზით შენთან ვიქნები,
შენთან ვიქნები და არ გავიქცევი.
მე მგონი უაზრო სიტყვებით ვიღლები,
მე მგონი ცრემლებად გადავიქცევი,
გჯეროდეს ჩემი, რომ შენთან ვიქნები
და ჩემი სიტყვები, მე შენ გპირდები,
რომ მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით.
ცხოვრების ჟამი, სიტყვების წამი,
იცოდე შენთან მე არა მაქვს ვალი.
ვიქნები მკვდარი თუ არ მექნება თავი,
რომ შენ არ იყო ჩემი დასაცავი
და თუ გინდა, კარგო, რომ წავიდე მარტო,
მე მთელი ცხოვრება უნდა დავიტანჯო.
არასდროს გაქრება ეს ჩემი ფიქრები,
დარჩება ჩემს გულში და შენ ჩემი იქნები,
გესმის?!.

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



ალერსი

როგორ მინდა, მინდა, მი...
ბაგე მარწყვი, მარწყვი, მა...
გაგონება შენი ხმის,
შენი ნალვლიანი ხმა.

ისევ ძველი, ძველი, ძვე...
ისევ თბილი, თბილი, თბი...
მჯრთალი ოქტომბერის თვე,
და სიმღერა, შენ რომ თქვი.

ისევ ზევით, ზევით, ზე...
ისევ დიდი, დიდი, დი...
ლურჯი, ლურჯი, ლურჯი მზე,
მჯერდიდან რომ სისხლი დის...

მაგრამ თინა, თინა, თინ...
შენ მშორდები... თანდათან...
ჩემზე უჯეთ აბა ვინ,
ვინ უმღერებს დაღლილ ტანს?

თუმცა, ჯმარა, ჯმარა, ჯმა...
მე ჯვლავ მინდა, მინდა, მი...
გავიგონო შენი ხმა
და ტჯივილი შენი ხმის...

ტარიელ ჭანტურია

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

თ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-46

თლაშო (საუბ.) — არყის სასმელი პატარა ჭიქა.

თოლიგე! — საალერსო სიტყვა — ჩემო თვალისჩინო! (ასე მიმართავდა ცოლი ქმარს ან ქმარი ცოლს — სამეგრელოში).

თომი — მთის ბალახი; მარცვლოვანთა ოჯახისა.

თორნი (ძვ.) — სხეულის დასაფარავი ჯავშანი.

თოფი — მთლიანი ქსოვილი, ბრტყლად დახვეული; ქსოვილის ზომის მსხვილი ერთეული.

თოფა — კენჭაობის ერთ-ერთი ილეთი.

თოფრა — პატარა ტომარა.

თოფხანა თურქ. სპ. (ძვ.) — იგივეა, რაც არსენალი.

თოქალთო სპ. — ცხენის ზურგზე უნაგირის ქვეშ (საოფლეზე) დასაფენი ქეჩა.

თოქმა თურქ. (საუბ.) — მკვრივი, მსხვილი, ტლანქი.

თოქმაჩი თურქ. (ძვ.) — ურიოს მცემელი სამჭედლოში.

თოქმა! — შეძახილი ვირის შესაჩერებლად.

თორანი — სათამაშო კოჭის ერთ-ერთი, შედარებით სწორი მხარე, ალჩუს მოპირდაპირე.

თორარიკი — 1. მოხდენილად გოგმანით სიარული (ცხენისა); 2. ამგვარად მოსიარულე (ცხენი) — იორღა.

თორლი — ცხვარი ექვსი თვის ასაკიდან ერთ წლამდე.

თორუმი სპ. (ძვ.) — შთამომავლობა, ჯიში, ჯილაგი.

თრაშვა (სპ.) — ხეხვით წახნაგების გაკეთება (ძვირფასი ქვებისათვის).

გაგრძელება შემდეგ ნომერში

იოსებ გრიშაშვილი

„საქართველო ბეჭედია, ბაჯაღლო, და თბილისი შიგ ჩასმული ბადაღში“.

ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი წარმომადგენელი — იოსებ გრიშაშვილი (მამულაიშვილი) დაიბადა 1889 წელს თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში — ხარფუხში, კალატოზის ოჯახში. პოეტის პაპა, გურული გლეხი — დათია მამულაიშვილი ბატონს გამოჰქცევია და თბილისში მებაღედ დამდგარა. თბილისშივე დაქორწინებულა. შესძენია ცხრა შვილი. იოსების მამა — გრიგოლი, მშობლების მესამე შვილი ყოფილა. პოეტის ფსევდონიმი (გრიშაშვილი) მამის სახელიდანაა ნაწარმოები.

„მაგრამ თუ ატყდა ომი ფიცხელი, შემოანგრიეს მზა ჯებირები, კალმის მაგივრად ხმალს ვტაცებ ხელსა, პოეტებს აქაც გავეჯიბრები!“

„თუ ჩაგივლია სირაჩხანისკენ, დაჰკვირვებიხარ ამ ქუჩებს კარგად. გაგაოცებდა რუმბების სისქე და ჭიანურზე დაკრული ჩარგა“.

გრიშაშვილი და გალაკტიონი

იოსების მამას მალე თავი დაუნებებია კალატოზობისათვის და მიკიტნობა დაუწყია. პატარა სოსო წამოიზარდა თუ არა, მამამ თავისთან ღვინის სარდაფში წაიყვანა. წერა-კითხვა მას დედამ შეასწავლა. იოსები 1904 წლიდან უკვე ლექსებს წერდა. წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ, იგი ქართულ გიმნაზიაში მიუბარებიათ, რომელიც მამის გარდაცვალების გამო ვეღარ დაუმთავრებია. მას ბავშვობიდანვე უყვარდა წიგნები. გრიშაშვილი ყმაწვილობაშივე გაიტაცა ქართულმა თეატრმა და დააარსა „სცენისმოყვარეთა დასი“. თვითონვე იყო დასის ხელმძღვანელი, მსახიობი, ავტორი პიესებისა. ერთხელ სპექტაკლზე სუფლიორი არ გამოცხადდა და იოსები შემცვლელად მიიყვანეს. ამის შემდეგ ვალერიან გუნიას თეატრში სცენაზე უსიტყვო როლებში გამოჰყავდათ, რომ ცოტაოდენი ხელფასი მიეცათ. გრიშაშვილის შემოქმედება სიყვარულის, ბედნიერების, კეთილშობილებისა და თავდადებულობის წყაროდ იქცა, რის გამოც ხალხმა შეიყვარა მისი პოეზია და მის ლექსებზე ბევრი სიმღერაც ააჟღერა. გრიშაშვილს თბილისის ტრუბადურსაც უწოდებდნენ. მან არაერთი ლექსი მიუძღვნა საყვარელ ქალაქს. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი საბავშვო ლექსებიც. პოეტი ნაყოფიერად ეწეოდა კვლევით და მთარგმნელობით საქმიანობას. მისი სხარტი გამონათქვამებითა და ექსპრომტად მიძღვნილი ლექსებით აღფრთოვანებულები იყვნენ თანამედროვენი. როგორც პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, მიღებული ჰქონდა პოეტ-აკადემიკოსის წოდება, არაერთი ჯილდო. იოსებ გრიშაშვილი გარდაიცვალა 1965 წლის 30 აგვისტოს, დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ხოლო ორთაჭალაში, ალგეთის №1-ში მდებარეობს გრიშაშვილის სახლ-მუზეუმი. ■

რომანი, რომელიც საგანძურის ნაწილად რჩება...

ლეო ქიაჩელის რომანი „გვადი ბიგვა“, რომელსაც „ქართული პროზის საგანძურის“ 39-ე ტომად („ჰაკი აძბასთან“ ერთად) ვთავაზობთ, იმთავითვე პოპულარობით სარგებლობდა მკითხველებში. ამასთანავე, მას წლების განმავლობაში, როგორც ე.წ. სოცრეალიზმის ნიმუშს, ისე წარმოგვიდგენდნენ. საბჭოთა ეპოქა წარსულს ჩაჰბარდა, ამ ნაწარმოების არსი კი კრიტიკოსთა შორის დავა-კამათის საგნად იქცა: ზოგიერთი კვლევაც იმ აზრს ემხრობა, რომ „გვადი ბიგვა“ ხოტბას ასხამს სოციალისტური სოფლის ყოფას. რომანი სასკოლო სახელმძღვანელოებიდანაც ამოიღეს...

ბევრ კითხვაზე, რომელიც ამ პრობლემასთან დაკავშირებით, დღესაც აქტუალური რჩება, არგუმენტირებული პასუხი გასცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რეზო ყარალაშვილმა. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ვრცელი წერილი, რომელიც ამ თემას მიუძღვნა, მან ასე დაასათაურა — „რა ვუყოთ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას?“

„საგანძურში“ ნაწარმოების შეტანით, ჩვენ თავისებურად გავეცით ამ კითხვას პასუხი, ახლა კი აღნიშნული წერილის შემოკლებულ ვარიანტს გთავაზობთ.

„რა ვუყოთ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას?“

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ღია კარის დღეზე ერთ-ერთმა აბიტურიენტმა ბატონ ნოდარ ტაბიძეს, ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომისიის თავმჯდომარეს, ასეთი შინაარსის ბარათი გამოუგზავნა: „რა ვუყოთ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას?“

აბიტურიენტის შეკითხვა შემთხვევითი არაა, ვინაიდან ამ ბოლო დროს ქართულ პრესაში მომრავლდა წერილები, რომელთა ავტორებიც, ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის გადასინჯვის პათოსით ატანილი სპეციალისტები და არასპეციალისტები, ეჭვქვეშ აყენებენ „გვადი ბიგვას“ მხატვრულ ღირებულებას“...

ვინაიდან სრულიად აშკარაა, რომ ყოველი მოპაექრე რომანზე მსჯელობს არა ნაწარმოების ტექსტის მიხედვით, არამედ ბრმად მისდევს იმ უნიათო და ტრაფარეტულ სასკოლო კრიტიკას, რომლის თანახმადაც, „გვადი ბიგვაში“ ნაჩვენებია „თუ როგორ იმსხვრევიან და იღუპებიან კაპიტალისტური წარსულის უკანასკნელი ნარჩენები და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ძლევამოსილად მკვიდრდება ურთიერთობის ახალი, სოციალისტური ფორმა“. „რომანის გმირები“, ამ სასკოლო განმარტების თანახმად, „არიან სოციალისტური სოფლის ადამიანები, ხოლო მათი მოქმედების ასპარეზი — გარდაქმნილი და განახლებული სოფელი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც გაცვეთილი სასკოლო გაგებით, ასევე თანამედროვე კრიტიკოსების თვალსაზრისით, საქმე გვაქვს აპოლოგეტიკური ხასიათის ნაწარმოებთან, რომელიც ხოტბას ასხამს „ნაუცბადევ და გაუაზრებელ სოციალურ რეფორმებს“.

ვიდრე რომანის იდეასა და მის მთავარ გმირზე ვისაუბრებდეთ, ვნახოთ, თუ როგორია სინამდვილეში ის „გარდაქმნილი და განახლებული“ სოფელი, სადაც იშლება ნაწარმოების მოქმედება.

ამთავითვე ვიტყვი, რომ ლეო ქიაჩელს აზრადაც არ ჰქონია ოცდაათიან წლებში სოფლად მომხდარი გარდაქმნების ხოტბა და განდიდება, რასაც მას ასე ერთხმად მიაწერენ კრიტიკოსები. პირიქით, მისი დამოკიდებულება „ურთიერთობის ახალი ფორმებისადმი“ ერთიანად კრიტიკულია, თუმცა ეს კრიტიკა უმეტესწილად მწერლისთვის ჩვეულ იუმორსა და ირონიასთანაა შეჯერებული.

მაგრამ ჯობს, მივყვეთ ფაქტებს.

პირველი, რაც თვალში ეცემა ყოველ პირუთვნელ მკითხველს, არის ის, რომ ორკეთის „კერძომესაკუთრული სულისკვეთებისგან გათავისუფლებული“ და „გარდაქმნილი“ გლეხობის მთელი შრომითი ენთუზიაზმი მიმართულია არა საერთო-სახალხო დოვლათის შექმნისა ან რაიმე სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზნებისკენ (მხოლოდ მოქმედების უკანა პლანზე ჩანან აქ პლანტაციებში მომუშავე კოლმეურნე ქალები), არამედ საკუთარი ოდების მშენებლობისკენ. ამასთანავე ნიშანდობლივია, რომ ამ ოდების მშენებლობაც მხოლოდ იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ხალხის მტრისა და ნააზნაურალის არჩილ ფორიას მამას, ამ ადგილებში ოდესღაც სახერხი ქარხანა გაუშენებია. თავად გლეხები კი, ყოველ შემთხვევაში, რომანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არც სახერხ ქარხნებს აშენებენ, არც ფერმებსა და არც რაიმე სხვა სასარგებლო სასოფლო-სამეურნეო ნაგებობებს (სამაგიეროდ, უხვადაა გამოსახული საქარხნო მილები და თავამდე დატვირთული მანქანები ელიკო-მხატვრის მიერ გამზადებულ საზეიმო პლაკატზე). ახლის შექმნაზე მეტად, მათ, როგორც ჩანს, მიტინგების გამართვა, გრანდიოზული გეგმების დასახვა და, საქმე საქმეზე თუ მიდგა, წართმევა და სხვისი ნაამაგრის მითვისება ემარჯვებათ (გავიხსენოთ თუნდაც გოჩა სალანდიას ფურ-კამეჩის თვითნებურად უღელში შებმა ტყის სამუშაოებზე). სწორედ ამიტომაა, რომ გვადი ბიგვა არჩილ ფორიასთან საუბარში ორკეთელებს „წამრთმევებს“ უწოდებს.

ახალ, სოციალისტურ ურთიერთობათა ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანთვისება თითქოს სოციალური სამართლიანობის პრინციპის თანამიმდევრული განხორციელება და ცხოვრების ხალხის კოლექტიური ნებისადმი დაქვემდებარება უნდა ყოფილიყო. მაგრამ რომანში არც ერთი ჩანს და არც — მეორე. ხალხის ნება კოლექტივის თავმჯდომარის — გერას ერთპიროვნული მმართველობითაა შეცვლილი, ხოლო სოციალური სამართლიანობა იმავე გერას პირადი სურვილითა და გადაწყვეტილებით. ხომ დღესავით ნათელია, რომ უქნარა

და მატყუარა გვადის, სოციალური სამართლიანობის პრინციპს თუ მივდიეთ, არც ახალი სახლი დაუმსახურებია თავისი შრომითა და გარჯით და არც სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შემმოწმებელი კომისიის წევრად „არჩევა“, მაგრამ გერა მას მშენებლობის სიაშიც შეიტანს და კომისიის წევრადაც აირჩევს ისე, რომ არც არავის დაეკითხება აზრს. გვადიმაც მშვენივრად უწყის, თუ ვის უნდა უმადლოდეს „დაწინაურებას“ და ამიტომ თავისი უტყუარი შეხედულება აქვს თანასოფლელებზე — „ხალხი, ვთქვათ, ქვევრია ცარიელი, — რასაც ჩასძახებ, ამოგძახებს“, — ფიქრობს იგი.

მიუხედავად ორკეთელი გლეხობის ასეთი ცალსახა შეფასებისა, კრიტიკოსებმა მაინც მოიძიეს ადგილი, სადაც, მათი აზრით, კოლექტივის ძალა და უპირატესობაა წარმოჩენილი. ასეთ ადგილად მოაქვთ ონისესა და მისი ბრიგადის წევრების გოჩა სალანდიასთან შეტაკების სცენა, მეტადრე კი ონისეს სიტყვები კამეჩთან მოჭიდავე ხარის შესახებ, რომლებიც ამ კრიტიკოსებს კოლექტიური ცნობიერების გამოხატულებად მიაჩნიათ.

მაგრამ მათ რატომღაც შეუმჩნეველი რჩებათ ამ სიტყვების კონტექსტი (ონისეს ცალსახად მტყუანი პოზიცია გოჩასთან კონფლიქტში, როცა იგი კოლექტივის სახელით კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისა და ძალადობის გამართლებას ცდილობს) და მთხრობელის აშკარად ირონიული დამოკიდებულება ონისეს პერსონაჟისადმი, ხოლო თუ ეს პერსონაჟი საკოლმეურნეო მასას განასახიერებს, ე.ი. ამ მასისადმიც. ეს ირონიული დამოკიდებულება თავს იჩენს მთხრობელის მრავალრიცხოვან რემარკებში, რომლებიც თვალდათვალ კომიკური ფერებით წარმოაჩენენ ონისეს მოქმედებას და მის მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვასაც.

ოცდაათიანი წლების სოფელში დამკვიდრებული ყოფა-ცხოვრების ახალი ნორმების მიმართ ლეო ქიაჩელის ირონიული და იუმორისტული დამოკიდებულების საილუსტრაციოდ, მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს. ხომ ყველას გვახსოვს, თუ ამ უკანასკნელ ხანამდე რაოდენ ვიყავით მონუსხული წმინდა რაოდენობრივი მაჩვენებლებით, გრანდიოზული გეგმებითა და რეკორდებით. რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოდევნებამ ლამისაა სულ გამორიყა საზოგადოების ცნობიერებიდან სხვა ადამიანური ღირებულებანი — პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გულწრფელობა, სამართლიანობა — და პიროვნების, საზოგადოებრივ საქმეში მისი წვლილის შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად იქცა. შეჯიბრების აჟიოტაჟსა და რაოდენობრივით თავბრუდახვევას

ლეო ქიაჩელს ერთხელ თურმე თავისი გმირის შესახებ უთქვამს, დიდად უცნაური, ღვთის პირიდან გადავარდნილი კაცია გვადი ბიგვა, მაგრამ დიდად მოსიყვარულე მამაა და ამიტომ მიყვარს ეგ შეჩვენებულიო

არც ორკეთელი გლეხობა გადაურჩა (სანარიელებთან შეჯიბრებას რომ თავი დავანებოთ, აქ პატარა ბარდღუნიაც კი მეზობელ გიოსთანაა სოცშეჯიბრებაში ჩაბმული, თუ ვისი მანდარინი მოიწევს უფრო ადრე), რაც ლეო ქიაჩელის სრულიად ცალსახა ირონიულ დამოკიდებულებას იწვევს. ამ ირონიული დამოკიდებულების ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა თუნდაც არჩილ ფორიას მიერ დაწერილი სატრფიალო ლექსი, სადაც ის ასეთი სიტყვებით მიმართვას სამკითხველოს გამგეს, ელიკოს:

მმაჩში გიწვევ, ამხანაგო,
შვიდი შვილის პროგრამითა,
რეკორდები დავამყაროთ,
ვიმუშაოთ დღით, ღამითაც.

შეიძლება შემომედაონ, აქაოდა ლექსი რომანის უარყოფით პერსონაჟს ეკუთვნის და მასში გამოხატულ აზრს ლეო ქიაჩელს ვერა და ვერ მივაწერთო. მაგრამ, მეორე მხრივ განა ცოტაა ლიტერატურაში იმის მაგალითი (გავიხსენოთ თუნდაც მეფისტოფელი გოეთეს „ფაუსტში“), როცა ავტორი თავის აზრს სწორედ უარყოფით გმირს ათქმევინებს ხოლმე (სხვათა შორის, ფორიას სიტყვებში სხვაც ბევრი დაიძებნება, რომლებსაც უთუოდ ხელს მოაწერდა მწერალი ქიაჩელი). ესეც რომ არა, განა იგივე ირონიული დამოკიდებულება არ მჟღავნდება მარიამის სიტყვებშიც, როცა იგი გვადის მიმართავს, თავი არ შეირცხვინო, ისეთი ქალი შეირჩიე, რომ შენზე მეტი შრომადღე არ აღმოაჩნდესო?

მეტად ნიშანდობლივია, რომ გეგმით და რაოდენობრივი შეგნებით აღჭურვილი ორკეთელი გლეხობა მისთვის ჩვეულ მომხმარებლურ დამოკიდებულებას იჩენს ბუნებისადმიც. მკითხველი ხდება იმის მოწმე, თუ როგორ უმოწყალოდ აჩანაგებენ კოლმეურნეები ტყეს, რომელიც, მთხრობელის თქმით, „მდებარეობითა და სილამაზით... ორკეთის თვალად ჩაითვლებოდა“. ეს ტყე მათ, ერთი მხრივ საკუთარი ოდების მშენებლობისთვის სჭირდებათ, ხოლო, მეორე მხრივ, წლითი წლამდე მზარდი გეგმები და ვალდებულებები მათგან, როგორც ჩანს, დამატებითი ფართობის გამოთავისუფლებას მოითხოვს ბაღებისა და პლანტაციებისთვის. ამიტომაც სპობენ ტყეს და თვითნებური კორექტივები შეაქვთ ბუნებაში.

გარემოსადმი მომხმარებლური და თვითნებური დამოკიდებულება თავისთავად იწვევს ადამიანის ბუნებისა და, რამდენადაც თვით ადამიანია ბუნების ნაწილი, შესაბამისად, საკუთარი არსისგან გაუცხოებას. სწორედ ასეთი გაუცხოებული და ფორმალიზებული ადამიანია — „გვადი ბიგვას“ პერსონაჟთა უმრავლესობა. ზოგადსაკაცობრიო მრწამსი, საუკუნეებით ჩამოყალიბებული ზნეობა და ქცევის ნორმები მათში „კლასობრივი შეგნებითაა“ შეცვლილი. ამიტომ არა აქვთ მათ სიღრმე, მოკლებული არიან ინდივიდუალობას, ამიტომ ტოვებენ მკითხველზე ერთ თარგზე გამოჭრილი, უფერული და შაბლონური ფიგურების შთაბეჭდილებას, რომელთა ყოველი ნაბიჯი და საქციელი მათი სოციალური განკუთვნილობით წინასწარ არის განსაზღვრული.

ახლა რაც შეეხება რომანის იდეას. რატომღაც მიჩნეულია, რომ „გვადი ბიგვას“ ძირითადი და განმსაზღვრელი იდეაა ახალი ადამიანის ჩამოყალიბება ანუ იმის ჩვენება, თუ როგორ გარდაიქმნა სოციალისტური ყოფა-ცხოვრების ზეგავლენით ცუღლუტი და უსაქმური ადამიანი საზოგადოების სასარგებლო წევრად. თანაც არ უფიქრდებიან, თუ როგორ შეიძლება, სამი დღე-ღამის განმავლობაში ადამიანის ფსიქიკაში ისეთი ძირეული ცვლილებები მომხ-

დარიყო, როგორსაც გვადი ბიგვას მიაწერენ ხოლმე, ხოლო თუ უფიქრდებიან, სრულიად უსუსური არგუმენტები მოაქვთ, თითქოს ეს გარდაქმნა გვადიში გაციღებით ადრე დაწყებულიყო და რომანში მხოლოდ გარდატეხის მომენტია ნაჩვენები.

მოდი, თავი დავანებოთ უნაყოფო სპეკულაციებს და ვაღიაროთ, რომ გვადი ბიგვა ისეთივე მთლიანი, შეკრული და დასრულებული ხასიათია, როგორიც, თუნდაც, ჰაკი აძბა და ტარიელ გოლუა; რომ რომანის პირველი გვერდიდან დასასრულამდე იგი ერთგულია თავისი ბუნებისა, რომელიც მყარი და უცვლელია. ნუ შეგვეშინდება, რომ ამ აღიარებით რომანის იდეა თვალსა და ხელს შუა შემოგვეცლება, ვინაიდან ნაწარმოებს სულ სხვა მიზანდასახულობა აქვს, ვიდრე მას ჩვეულებრივ მიაწერენ ხოლმე.

ლეო ქიაჩელის რომანში დიდი ზნეობრივი პრობლემაა ჩადებული. მასში წარმოჩენილი კონფლიქტი ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ამ ურთიერთობებით განპირობებულ ცხოვრების ოფიციალურ-სახელმწიფოებრივ ნორმებსა და საუკუნეების მიერ განმტკიცებულ, არქაულსა და თითქმის მითოლოგიურ ზნეობრივ შეხედულებებს შორის, ნაწარმოების გმირის გვადი ბიგვას სულიერი ტრაგედიის მიზეზი ხდება.

კაცმა რომ თქვას, „გვადი ბიგვაში“ სხვა ისეთი არაფერი პრობლემა არაა დასმული, რაც მკითხველისთვის „ტარიელ გოლუადან“, „ალმასგირ კიბულანიდან“, „ჰაკი აძბადან“ და მწერლის სხვა ნაწარმოებებიდან არ იყოს ცნობილი. ეს არის იმ ძირეულ ღირებულებათა, ძველთაძველ კავშირთა, ხალხის კოლექტიური სულის წიაღში ჩამოყალიბებული ზნეობრივი მრწამსის ძალის წარმოჩენა, რომელიც ღრმადაა ადამიანის სულში ჩაბუდებული და უფრო მძლავრია, ვიდრე ადამიანის ფსიქიკის რაგინდ ზედნაშენური წარმონაქმნები და სოციალურ-ისტორიული ფორმაციების ცვლილებებით განპირობებული დროებითი ეთიკური წარმოდგენები. ამ არქაულ ფსიქიკურ შინაარსთა მოსპობა შეუძლებელია, რამეთუ სწორედ ისინი შეადგენენ ადამიანის არსს, დვრიტად უდევს მის ბუნებას, განაპირობებს მის სიმყარეს საუკუნეთა მანძილზე. კაცი შეიძლება აშიმშილო, შეიძლება წაართვა ჭერი, მოაკლო ჩაცმა-დახურვა და შეუზღუდო მოქალაქეობრივი უფლებები, მაგრამ ვერა და ვერ შეეცილები ენას, შვილებისა და მშობლების სიყვარულს, ზნეობას, ვინაიდან ამათი წართმევა იმ მასაზრდოებელი ძარღვის მოჭრას ედრებოდა, რომელიც მას სამყაროსთან აკავშირებს და რომელიც კვებავს მის არსობას. ამიტომაა, რომ ამ არქაულ შინაარსთა მოსპობისა და ამოძირკვის ყოველ მცდელობას კაცის ბუნება შინაგან ძალთა სტიქიური ამოფრქვევით პასუხობს.

ლეო ქიაჩელს ერთხელ თურმე თავისი გმირის შესახებ უთქვამს, დიდად უცნაური, ღვთის პირიდან გადავარდნილი კაცია გვადი ბიგვა, მაგრამ დიდად მოსიყვარულე მამაა და ამიტომ მიყვარს ეგ შეჩვენებულიო.

ვინც ლეო ქიაჩელს იცნობდა, ან ვისაც თუნდაც ყურადღება მიუქცევია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მამაშვილობის თემა მისი შემოქმედებისთვის, იმას არ გააკვირვებს მწერლის ეს სიტყვები. საქმე ისაა, რომ „გვადი ბიგვას“ ავტორი მეტად მგრძნობიარე იყო სულის არაცნობიერი წიაღიდან მომდინარე ძახილის მიმართ და სრულად აღიარებდა სულის მითური შრეების ძალმოსილებას საკუთარ თავზე. ხოლო მამის შვილისადმი სიყვარული მას მიაჩნდა ერთ-ერთ იმ კავშირად, იმ უძველეს ფუნდამენტურ გრძნობად, რომელიც ადამიანური ბუნების სუბსტანციას განეკუთვნება და, რომლის გარეშეც ადამიანი აღარაა ადამიანი. ამრიგად, მშობლის შვილისადმი სიყვარული, მამისა და შვილის სულიერი კავშირის სიმტკიცე, მწერლის თვალსაზრისით, ერთ-ერთი უპირველესი მახასიათებელი იყო კაცური ბუნებისა. სწორედ ამიტომაა, რომ გვადი ბიგვას ხასიათის არც ერთ თვისებას არ აღწერს იგი ასე გულდასმითა და მონდომებით, როგორც შვილებისადმი სიყვარულსა და მათზე ზრუნვას. ეს თვისება იყო, გვადის სრულიად გამორჩეული ადგილი რომანის გმირთა შორის რომ განაპირობა.

ღირებულებათა სულ სხვა სისტემას ემყარებოდა კლასობრივი თვალთახედვა. იგი უგულებელყოფდა შვილებსა და მშობლებს შორის არსებული კავშირის ურღვევობას და საბჭოთა ადამიანს მისაბაძ მაგალითად პავლიკ მოროზოვს უსახავდა, რომელმაც, როგორც ცნობილია, თოთხმეტი წლის ასაკში ამხილა კულაკი მამის მტრული საქმიანობა. ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა ბიოლოგიურ კავშირს, არა ხალხის ადათ-წესებით განმტკიცებულ ურთიერთობის ფორმებს, არამედ კლასობრივ ინტერესებს, მშობლებისა თუ შვილების შეგნებასა და მათ სოციალურ პოზიციას არსებული საზოგადოებრივი ფორმაციის შიგნით.

როგორც ვიცით, ქარხნის ეზოში შეტაკებისას გვადი ბიგვას შემოაკვდება არჩილ ფორია. ამ მკვლელობას კრიტიკოსები ჩვეულებრივ საგმირო საქმედ წარმოადგენენ და გვადის საქციელს მკითხველებს მისაბაძ მაგალითად უსახავენ. აი, რას ვკითხულობთ რომანის ფინალთან დაკავშირებით სასკოლო სახელმძღვანელოში: „გვადიმ გაანადგურა მტერი, გადაარჩინა კოლმეურნეობის ქონება. საგმირო საქმე ჩაიდინა. გვადის მოეჩვენა, რომ მთელი სოფელი გარს შემოერტყა მას, როგორც საერთო საქმისთვის თავგანწირულ მებრძოლს“.

სრულიად განსხვავებულად რეაგირებს ჩადენილ მკვლელობაზე თვით რომანის გმირი.

გვადიმ კაცი მოკლა და ამით ის საუკუნო წესი დაარღვია, რომელსაც ეფუძნებოდა მისი ბუნება. მან საკუთარი ხელით მოარღვია თავისი არსობის ქვაკუთხედი, განუდგა თავის თავსაცა და იმ არქაულ კანონსაც, რომელიც ოდითგანვე კრძალავდა ადამიანის შვილის მოკვლას. ამით მან უღალატა მისსავე სულის წიაღში ჩადებულ იმ მარადიულ საწყისს, იმ ზნეობას, რომელსაც ხალხის კოლექტიური სული მითური დროებიდან მომდინარე ინახავს, ვითარცა წმიდათაწმიდა განძს და სათუთად გადასცემს თაობიდან თაობას, როგორც კაცური მოდგმის უკვდავების გარანტიას. სწორედ ამიტომაა გვადის შეძრწუნება ესოდენ დიდი, მისი სასოწარკვეთა ესოდენ განუზომელი, მისი სულის გვემა უსაზღვრო.

შეიძლება შემომედაონ, რომ გვადი ბიგვა ისტორიული განვითარების ლოგიკამ მიიყვანა მკვლელობამდე და ამას არც უარვყოფ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ეს „ისტორიული განვითარების ლოგიკა“ წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის სულში ჩაქსოვილ ზნეობრივ მრწამსთან, რაც გვადი ბიგვას სულიერი ტრაგედიის მიზეზი ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვაში“ დასმულია არა სოციალური პრობლემა, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული, არამედ ზნეობრივი.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, მაშინ, ღია კარის დღეზე, ბატონ ნოდარ ტაბიძეს პასუხი არ გაუცია აბიტურიენტის შეკითხვაზე. ჩემთვის რომ ეკითხათ, რა ვუყოთ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვასო“, სულ მოკლედ ვუპასუხებდი — ყურადღებით უნდა წავიკითხოთ ნაწარმოები, მაშინ იქ ბევრ ისეთ რამეს აღმოვაჩენთ, რაზეც კრიტიკოსები დღემდე დუმან.

რეზო ყარალაშვილი

როგორ შექმნეს ძმებმა რაიტებმა რევოლუციური
საფრენი აპარატი!
საჰაერო ბრძოლები და
ლეგენდარული ავიატორები!
გაიგეთ უფრო მეტი !
29 ნოემბრიდან – 6 დეკემბრამდე
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!
სამგანზომილებიანი (3D) გამოსახულებები
შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად
„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!
წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდეთ „ელვა.ჯი“-ს
ტელ: 38-26-73\38 26 74
კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ!
მფრინავები
ტომი №10
ეს სამყარო
* - მალე
№1
№2
№3
№4
№5
№6
№7
№8
№9
სერია „ეს სამყაროა“-ს წიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8 და №9 იყიდება წიგნის მაღაზიებში!

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-46

რუსუდან ბერიძე

ამის შემდეგ არეშიძე კაბინეტის ბოლომდე მივიდა და ფრთხილად ასწია იატაკის საფენი, რომლის ქვეშაც სარდაფში ჩასასვლელი აღმოჩნდა.

— მომყევით! — პირველი ჩაუყვა კიბეს მეცნიერი.

ლაშა და ნათია მას მორჩილად მიჰყვნენ. საკმაოდ ფართო სარდაფი მთლიანად ათასნაირი დანადგარ-მოწყობილობით იყო გადავსებული.

— აი, ეს არის ჩემი პროექტი, — მიუბრუნდა არეშიძე ლაშას.

— არ მითხრათ ახლა, რომ აქ პლუტონიუმს აწარმოებთ.

— რა საჭიროა მისი წარმოება? — გაუკვირდა მეცნიერს. — მსოფლიოში იმდენი პლუტონიუმია დაგროვილი, რომ დედამიწის ასჯერ ამოყირავებასაც კი სულ თავისუფლად ეყოფა.

— განა თქვენ ახალი თაობის რაკეტების შექმნაზე არ მუშაობდით?

— რა სისულელეა. ჩემი ძრავა შემდგომი აღმოჩენებისკენ გადადგმული ერთი პატარა ნაბიჯი თუ გახლავთ და მეტი არაფერი. ეს მხოლოდ შუალედური ეტაპია.

— როგორ?.. — გაოცება ვეღარ დამალა ლაშამ. — მსოფლიო დონის აღმოჩენას მხოლოდ შუალედურ ეტაპს ეძახით?

არეშიძემ ჟურნალისტს ამრეზით შეხედა:

— ლაფაურო, თქვენ ხომ ჭკვიანი ადამიანი ხართ და ამიტომ კარგად უნდა იცოდეთ, რომ მეცნიერებაში, ისევე, როგორც ცხოვრებაში, ყველაფერი შეფარდებითია. მაგალითად, თუ ორ ადამიანს ერთსა და იმავე ასანთის კოლოფს აჩვენებთ და ჰკითხავთ, — ეს რა არისო? ერთი გიპასუხებთ, რომ ეს სწორკუთხა პატარა კოლოფია, რომელშიც ცეცხლის დასანთები სპეციალური ღერები აწყვია. მეორისთვის კი იგივე კოლოფი კაცობრიობის ის უდიდესი აღმოჩენა იქნება, რომელმაც დენთისა და სხვა ასაფეთქებელი საშუალებების გამოგონებამდე მიგვიყვანა. ასანთის შექმნას პრაქტიკულად, მსოფლიო გადანაწილება მოჰყვა და მისმა მფლობელებმა დანარჩენებზე უდიდესი ძალაუფლებაც მოიპოვეს. თუმცა მე ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თუ ერთისთვის რაღაც მოვლენა მხოლოდ ამოუხსნელი პრობლემაა, მეორისთვის ის შეიძლება, ცხადზე უცხადესიც კი იყოს.

— რა გულისხმობთ?

— მე დიდი დრო დავუთმე რეაქტიული წევის წარმომშობი ქიმიური პროცესების შესწავლას. პატივისცემით ვეკიდებოდი და ვეკიდები არაერთი ცნობილი მეცნიერის ნამუშევარს. ისინი საკმაოდ ახლოს მივიდნენ აღმოჩენამდე, მაგრამ, სამწუხაროდ, მთავარსა და არსებითს მაინც ვერ ჩასწვდნენ. აი, მე კი, ცხადია, მათი გამოცდილების საფუძველზე, ცოტა სხვა მიმართულებით წავედი და ამოცანაც მაშინვე გადაიჭრა. ეს ყველაფერი სამუცნობიანი განტოლებასავითაა — ძრავას კვანძების, ახალი ზემსუბუქი და ზემდგრადი მასალების, საწვავის ქიმიური შემადგენლობის შექმნა-შემუშავება და დანერგვა. თუმცა თუ პირველ ორს საკმაოდ ადვილად გავართვი თავი, მესამის შემთხვევაში გვარიანი ოფლის ღვრა დამჭირდა. მაგრამ ბოლოს მაინც გამიმართლა და თითქმის სრულიად შემთხვევით წავაწყდი ერთი ჩეხი ქიმიკოსის აღმოჩენას, რომლის საფუძველზეც ექსპერიმენტების შემდეგ, მის მიერ გამოგონილი ასაფეთქებელი ნივთიერება სარაკეტო საწვავად ვაქციე. ერთი სიტყვით, ძალიან რომ აღარ გადაგღალოთ, ასაფეთქებელი ნივთიერებისგან ჩემი ძრავასთვის საჭირო საწვავი მივიღე.

— და რით განსხვავდება თქვენი ძრავა სხვებისგან? — ამჯერად არეშიძემ ლაშას უკვე როგორც სრულიად არანორმალურს, ისე შეხედა:

— როგორ თუ რით? იმით, რომ მცირე მოცულობის პირობებშიც კი მას არნახული გამწევი ძალა აქვს. თან, ძალიან ეკონომიურიცაა. სულ რაღაც ამანათის ყუთისხელა ძრავას საკმაოდ მნიშვნელოვან სიმაღლეზე ტონობით ტვირთის აწევა შეუძლია.

— და თუ ეს ყველაფერი მართლაც ასეა, მაშინ რისი მიღწევაღა გინდათ? და კიდევ, ისიც ხომ თავიდანვე უნდა გცოდნოდათ, რომ თქვენს აღმოჩენას უთუოდ სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენებდნენ. მაშ, რატომღა მუშაობდით მასზე?

არეშიძემ შუბლი უკმაყოფილოდ შეიკრა:

— ის კი არასდროს მოგსვლიათ თავში აზრად, რომ ამ აღმოჩენის სამშვიდობო მიზნებისთვის გამოყენებაც სულ თავისუფლად შეიძლება? ეს ძრავა ხომ თავისი ბუნებით უნიკალურია, თან, ძალზე ადვილი სამართავიცაა. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ. ავიაციაში ასეთი ძრავების დახმარებით, ისეთი უსაფრთხოების სისტემის შექმნა შეიძლება, რომ თვითმფრინავები საერთოდ აღარ ჩამოცვივდებიან. თვით ძრავას სრული გაჩერების შემთხვევაშიც კი, თვითმფრინავი ჰაერში უბრალოდ ილივლივებს და მიწაზე ნელ-ნელა დაეშვება.

— ძალიან საინტერესოა, თუმცა ყველაფერი როდი გავიგე.

— მაშინ, მეტი თვალსაჩინოებისთვის, კიდევ გაჩვენებთ რაღაცას, ოღონდ ამისთვის ისევ ჩემს კაბინეტში უნდა დავბრუნდეთ.

არეშიძე კიბეს აუყვა და ნათია და ლაშაც მას მიჰყვნენ. კაბინეტში ასვლის შემდეგ, მეცნიერი კედელთან მდგარ კარადას მიუახლოვდა, კარი გამოაღო და ზურგჩანთა გამოიღო. გარეგნულად ის ჩვეულებრივი სალაშქრო ზურგჩანთებისგან მხოლოდ იმით თუ განსხვავდებოდა, რომ რაღაც უცნაური მოვერცხლისფრო მასალისგან იყო დამზადებული. მეცნიერმა ზურგჩანთა მხრებზე კარგად მოირგო და ყველა ღვედიც გულმოდგინედ შეიკრა. შემდეგ ერთ-ერთ ღვედზე დაკერებული წითელი ნაჭერი გადასწია და რამდენიმე მომცრო შავი ღილაკი გამოაჩინა. ლაშა და ნათია ყველა ამ მანიპულაციას დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ.

— აბა, როგორაა საქმე? მზად ხართ წარმოდგენისთვის? — ეშმაკურად გაეღიმა მეცნიერს და ერთ-ერთ ღილაკს თითი დააჭირა.

ჰაერი მაშინვე მკვეთრმა ხმაურმა გააპო, არეშიძე კი იატაკს მოსწყდა და მაღლა აიწია. ნანახით გაოგნებული ლაშა და ნათია საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ.

— გამოდის, რომ მფრინავი კასრები ჰალუცინაცია არ ყოფილა? — ძლივს ამოღერღა შემდეგ ლაფაურმა.

— რა თქმა უნდა, არა, — თვალები გიჟური ცეცხლით აენთო მეცნიერს.

— ლაბორატორიის აფეთქება რაღაში დაგჭირდათ?

— სხვა გზა არ მქონდა, — ისევ იატაკზე დაეშვა არეშიძე, — ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს, მოულოდნელად, გამოქვაბულში ვიღაც კაცი შემოეხეტა და ამ ყველაფრის უნებლიე მოწმეც გახდა. რადგან ექსპერიმენტის შეჩერება დაგვიანებული იყო, მეც ავდექი და მისი ყველანაირი კვალი გავანადგურე.

— ის თვითმფრინავიც თქვენი სამეცნიერო ექსპერიმენტის შედეგად ხომ არ ჩამოვარდა? — გაახსენდა უცბად ლაშას.

— თვითმფრინავი? — უმალ პირქუში გამომეტყველება მიიღო მეცნიერმა. — ის მე არ ჩამომიგდია, თუმცა ძალზე საეჭვო ვითარებაში კი ჩამოვარდა.

— და თქვენც არანაკლებ საეჭვოდ გადაურჩით სიკვდილს.

— ნამდვილად ასე იყო. იმ დღეს თბილისში მშობლები მელოდნენ. მათთვის ჩემი გამოგონება უნდა მეჩვენებინა, მაგრამ...

— მაგრამ თვითმფრინავი ჩამოვარდა, — დაასწრო ლაშამ, — ანდა ვიღაცამ შეგნებულად ჩამოაგდო, თუმცა ოფიციალურ ვერსიას თუ დავუჯერებთ, ის ერთ-ერთ ფრთაში გაჩენილი მიკრობზარის გამო მწყობრიდან გამოვიდა.

— ეგ ვინღა გითხრათ? — დაინტერესდა არეშიძე.

— ერთ-ერთ მაშველს ველაპარაკე.

— ის თუ გითხრათ, თავად ის ბზარი რამ გააჩინა?

— არა, არ უთქვამს.

— მაშინ არაფერიც არ სცოდნია იმ შენს მაშველს, თუმცა ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: თვითმფრინავი ნამდვილად ჩამოვარდა, თუმცა მანამდე აფეთქდა. როგორც კი მფრინავებმა დაზიანება აღმოაჩინეს, მაშინვე მიხვდნენ, რაც მოხდებოდა. ამიტომ დასახლებულ ადგილს რომ არ დასცემოდნენ, კურსი სასწრაფოდ შეცვალეს და მთებისკენ აიღეს გეზი.

— დავუშვათ, რომ მართლაც ასე იყო ყველაფერი. მაშინ თქვენ როგორღა გადარჩით ცოცხალი?

— თვითმფრინავიდან აფეთქებამდე გადმოვხტი და ამაში ჩემი ზურგჩანთა დამეხმარა.

— ასეც ვიცოდი, — საკუთარი მიხვედრილობის გამო სიამაყე იგრძნო ლაფაურმა. — ახლა უკვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

— ჯერ არა, — ეშმაკურად გაეღიმა მეცნიერს.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ კატასტროფის ადგილზე მისვლაც ყველას მივასწარი და სწორედ იქ დამებადა კიდევ ერთი გენიალური აზრი. გადავწყვიტე, შექმნილი სიტუაციით მესარგებლა და ჩემი დაღუპვის შესახებ ლეგენდა თვითონვე შემექმნა. ამიტომ ჩემი პასპორტი იქვე დავაგდე, თავად კი უკანმოუხედავად მოვკურცხლე.

— შესაშური მიგნებაა, თუმცა ამ ლეგენდამ ბოლომდე მაინც ვერ იმუშავა.

— ბოლომდე ლეგენდამ კი არა, შეიძლება, ჩემმა ძრავამაც ვერ იმუშაოს, — სევდიანად გაეღიმა მეცნიერს. — მაგრამ ამან მე დროის მოგების ნამდვილად კარგი საშუალება მომცა.

— კიდევ ერთი კითხვა მაქვს.

— ბრძანეთ!

— ნებისმიერი დიდი პროექტი თუ სამეცნიერო კვლევა კოლოსალური თანხა ჯდება. პირადად თქვენს პროექტს ვინ აფინანსებს? თუ არსებობს ასეთი ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი?

— რა თქმა უნდა, — კვლავ ეშმაკურად მოჭუტა თვალები არეშიძემ. — ეს ადამიანი მე თვითონ ვარ.

— თქვენ? როგორ? — გაუკვირდა ლაფაურს.

— ძალიან მარტივად, — მაშინვე კომპიუტერს მიუჯდა მეცნიერი და ლაზერული დისკი მოიმარჯვა, — წეღან უკვე გითხარით, რომ ერთ დროს კომპიუტერული პროგრამების შექმნით ვიყავი გატაცებული. ერთ-ერთი მათგანი ამ დისკზეა.

კომპიუტერის ეკრანზე დედამიწის სფეროს დაქსელილი რუკა გამოჩნდა.

— აქ მსოფლიოს ყველა ბანკია აღნიშნული, — აუხსნა ლაშას არეშიძემ. — ასე რომ, ფულის მოხსნაც ნებისმიერი ქვეყნის — ამერიკის, დანიის, გერმანიის და თუნდაც შვეიცარიის ბანკებიდანაც კია შესაძლებელი.

— იმის თქმა გინდათ, რომ ბანკებს უბრალოდ ძარცვავთ? — თვალები გაუფართოვდა ლაფაურს.

— კარგი რა... — ხელი უცნაურად აუქნია მას მეცნიერმა. — რის ძარცვა, რა ძარცვა? ეს ხომ მდიდრების მიერ მითვისებული ღარიბების ფულია. თანაც, ჩემი პროგრამის დახმარებით ყოველი კონკრეტული ანგარიშიდან იმდენად პატარა თანხას ვხსნი, რომ პატრონები ხშირად ვერც კი ამჩნევენ. ბანკებში ეს ქსელში მომხდარ პატარა შეფერხებად მოჩანს. კლიენტი კი იმის გამო, რომ მის მრავალმილიონიან ანგარიშს რამდენიმე დოლარი მოაკლდა, განგაშს არასდროს ტეხს.

— მაგრამ, საბოლოო ჯამში, ალბათ, არცთუ მცირე თანხას უყრით თავს.

— დიახ, საწუწუნო ნამდვილად არაფერი მაქვს.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს თანხა თქვენს ხელში როგორღა ხვდება?

— მომეცით თქვენი პირადობის მოწმობა და გაჩვენებთ.

საბოლოოდ დაინტრიგებულმა ლაშამ მეცნიერს პირადობის მოწმობა გაუწოდა.

— მაშ ასე, — ისევ კომპიუტერისკენ შებრუნდა არეშიძე, — მოვნიშნავთ პროგრამაში ვთქვათ, ხუთ მილიონს...

— დოლარს?

— რა თქმა უნდა, — გაეღიმა არეშიძეს, — ვუერთდებით შვეიცარიული ბანკების ქსელს და ვრთავთ „სტარტს“.

ლაფაური და ნათია გაოგნებულები უყურებდნენ, არეშიძე მათ თვალწინ, შვეიცარიულ ბანკებს სრულიად ურცხვად როგორ ძარცვავდა. რამდენიმე წამის შემდეგ, ეკრანზე წარწერა გამოჩნდა: „თქვენ მიერ მითითებული თანხა შეგროვილია. რომელ ანგარიშზე ისურვებთ მის გადარიცხვას?“

— ამ წუთიდან შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ ფული უკვე ჯიბეში გიდევთ, — მშვიდად განაგრძო მეცნიერმა ახალგაზრდების „განათლება“, — თუმცა ერთი პატარა ფორმალობა მაინც რჩება.

— რა ფორმალობა? — ამდენი ხნის დუმილის შემდეგ, ნათიამაც გადაწყვიტა კითხვის დასმა.

— კვალი უნდა დავფაროთ. ამისთვის კი ისევ ინტერნეტის მეშვეობით ვხსნით ფირმას რომელიმე ოფშორულ ზონაში. კვიპროსზე გაწყობთ? — მიუბრუნდა არეშიძე ლაფაურს.

— გვაწყობს, — ისევ ნათიამ იჩქარა სიტყვის ჩართვა.

— თქვენისთანა მშვენიერი ქალბატონის ნათქვამს აბა ვინ გადავა? — გაეღიმა მეცნიერს. — დამისახელეთ ნებისმიერი სიტყვა.

— სიტყვა? — ახლა კი ცოტა დაიბნა ნათია.

— „ორიონი“, — წამოეშველა მას ლაშა.

— კი, ბატონო, იყოს „ორიონი“, — სწრაფად გადაურბინა კლავიატურას არეშიძემ და ლაშას პასპორტის მონაცემები შეიყვანა, — სწორედ ამ ახალგახსნილი ფირმის ანგარიშზე გადავიყვანთ მთელ ამ ფულსაც. ეს, ეგრეთ წოდებული, წარმომდგენის ანგარიში იქნება. ამის შემდეგ ფულს ანგარიშიდან

მოვხსნით, ფირმას კი დავხურავთ. ეს არის და ეს...

— გამოდის, რომ ამ წუთში უკვე მე გავძარცვე ბანკი? — გულუბრყვილოდ იკითხა ლაშამ.

— რა იყო? — თვალები ეშმაკურად მოწკურა არეშიძემ. — სინდისის ქენჯნამ ხომ არ შეგაწუხათ? პირიქით, უნდა იამაყოთ, რომ ეს ფული ახალი და კიდევ უფრო გრანდიოზული სამეცნიერო პროექტების განხორციელებას მოხმარდება, თუმცა ძალიან რომ არ იყვიროს, მისი პატარ-პატარა ნაწილებად მოხსნა მომიწევს.

— კი, მაგრამ საერთოდაც როგორ მოახერხებთ ამ ფულის მიღებას, თქვენ ხომ ლაფაური არ ხართ?

— მე კარგა ხანია, აღარც არეშიძე ვარ, — ჩაიქირქილა მეცნიერმა, — მაგრამ ჯერ ფულის აღება არ გამჭირვებია. თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი ახლანდელი პასპორტით გადაადგილება უკვე გართულდა და არცთუ მთლად უსაფრთხოა. ამიტომაც თქვენით ვისარგებლებ, — მან შემდეგ ლაშას პასპორტი ჯიბეში უცერემონიოდ ჩაიცურა, — ჩვენ თითქმის ერთი სიმაღლისანი ვართ და გარეგნობითაც ვგავართ ერთმანეთს. დანარჩენს კი გრიმი მომიგვარებს.

— ბანკები რომ არ გეძარცვათ, განა სახელმწიფო არ მოგცემდათ ფულს ასეთი გრანდიოზული პროექტის განსახორციელებლად?

— რომელი სახელმწიფო, საქართველო? — მოწყალედ გაეღიმა მეცნიერს. — სად აქვს მას ასეთი ფული?

— სტრატეგიულ პარტნიორებს, მაგალითად, ამერიკას სთხოვდა დახმარებას.

— შეიძლება, ასეც მომხდარიყო, მაგრამ ამაზე თვეები და შეიძლება, წლებიც კი დახარჯულიყო... ხომ იცით, ჩვენთან მსგავს გადაწყვეტილებებს როგორც იღებენ. მე მოცდა არ შემიძლია. ადამიანის სიცოცხლე ხომ ხანმოკლეა და მეც უნდა ვიჩქარო, რადგან ბევრი რამე მაქვს მოსასწრები. ასე რომ, ვერ მივცემ საკუთარ თავს ვიღაცაზე დამოკიდებულების უფლებას.

— და სწორედ ამიტომაც ემალებით ყველას, ხომ?

მეცნიერი ამ კითხვამ ცოტა შეაფიქრიანა.

— სიმართლის გაგება გსურთ? — ჰკითხა მან შემდეგ ლაფაურს.

— რა თქმა უნდა.

— კარგი, გეტყვით... მართალი ხართ. ამიტომ ვიმალებოდი. თუმცა იმასაც კარგად ვხვდებოდი, რომ ადრე თუ გვიან, მაინც მიპოვიდნენ. თქვენ ხომ შეძელით ამის გაკეთება და მალე ალბათ, აღარც სხვას გაუჭირდება. და რადგანაც დღეს თუ არა, ხვალ ჩემ შესახებ მაინც ყველასთვის ყველაფერი ცნობილი გახდება, რატომ არ შეიძლება, თქვენ იყოთ ის ადამიანი, ვინც ამას პირველი გაიგებს? ამდენად, ისარგებლეთ მომენტით და მისმინეთ.

— თუ ასეა, ამ ყველაფრის ფირზე გადაღების უფლებასაც ხომ არ მომცემდით? — მართლაც სასწრაფოდ ისარგებლა მომენტით ლაფაურმა.

— რატომაც არა! — ხელი არხეინად აიქნია მეცნიერმა. — გადაიღეთ.

გახარებულმა ლაშამ მაშინვე კამერა მოარბენინა და ნათიას გადასცა:

— მე კითხვებს დავუსვამ, შენ ყველაფერი გადაიღე. გასაგებია?

— გასაგებია.

— იცოდე, არაფერი გამოტოვო.

— ნუ გეშინია, არ გამოვტოვებ, — ხმაში წყენა დაეტყო ნათიას.

არეშიძე ქალ-ვაჟის ფაციფუცს ისე გულგრილად ადევნებდა თვალს, თითქოს ამ ყველაფერს მასთან საერთოდ არ ჰქონოდა კავშირი. თუმცა როგორც კი სამზადისი დასრულდა, თხრობა მაშინვე განაგრძო:

— მთელი ჩემი ცხოვრება მეცნიერებას მივუძღვენი. რაც თავი მახსოვს, მხოლოდ ამით ვიყავი დაკავებული. თუმცა ამქვეყნად ყველაზე მეტად მაინც ის ფაქტი მაოგნებდა, რომ ადამიანების უმეტესობას არ შეუძლია და არც სურს ფიქრი. მეტიც, ბევრს უბრალოდ ტვინის განძრევაც კი ეზარება. ამიტომაც მთელი მათი ამოქმედებული გონებრივი პოტენციალი ხუთ პროცენტს არასდროს აღემატება. ეს კი თვით ჩვეულებრივი ორთქლმავლის მარგი ქმედების კოეფიციენტზე დაბალი მაჩვენებელია. და ეს ხუთად ხუთი პროცენტიც მხოლოდ საჭმლისა და საკუთარი ჭერის მოპოვებისკენაა მიმართული. თავისი სიცოცხლის დიდ ნაწილს ადამიანი მხოლოდ იმაზე ხარჯავს, რომ რაც შეიძლება, კომფორტული ყოფა მოიწყოს. და რაც მეტად ინდომებს, მით უფრო გემრიელ საჭმელს ჭამს და უფრო სუფთა ლოგინშიც სძინავს...

— მესმის თქვენი წუხილი, მაგრამ კარგად ცხოვრების სურვილი ხომ პროგრესის წარმმართველიცაა?

— რა სისულელეა! პროგრესს მხოლოდ შეუცნობლის შეცნობის უდიდესი სურვილი წარმართავს. ამისთვის ადამიანებს კოცონზეც კი წვავდნენ. პროგრესს მთელი დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ ერთი პროცენტი თუ აძლევს ბიძგს. დანარჩენები კი მათი მიღწევების ნაყოფით სარგებლობენ.

— ასეც უნდა იყოს. აბა, ყველა მეცნიერი ხომ ვერ იქნება. მერე ვინღა ხატოს, აშენოს, ასწავლოს და ასე შემდეგ?

— ამას არც მე უარვყოფ. ამქვეყნად საკმაოდ ბევრი ნიჭიერი შემოქმედია, მაგრამ ადამიანების უმეტესობა მაინც მხოლოდ მომხმარებელია. ისინი გემის ფსკერზე მიკრულ იმ ნიჟარებს ჰგვანან, მასთან ერთად რომ მიუყვებიან დინებას. თავიდან ეს ნიჟარები მხოლოდ ბალასტია, რომელიც გემის სვლას სულ ოდნავ თუ ანელებს. მაგრამ საკმარისია, გემმა ის დროზე, უახლოეს პორტშივე არ მოიშოროს, რომ შემდეგ უკვე ნიჟარები ხდებიან სიტუაციის გამგებლები. ისინი გემს მთლიანად, კიჩოდან წვერომდე დაფარავენ და ისიც მძიმე და მოუქნელი გახდება. ასეთ გემს კი მთლად დაღუპვა თუ არა, უძრაობა მაინც ემუქრება. ასეა ცხოვრებაშიც. ჩვენ ჩვენი ჩინოვნიკების სახით უზომო ბალასტი გვყავს და ჩვენი „გემიც“ ანუ სახელმწიფო მათ გამო სულ უფრო მოუქნელი და დასაღუპავად განწირული ხდება.

— ამიტომაც გადაწყვიტეთ მარტო „ცურვა“?

— სამწუხაროდ, დღეს ეს ერთადერთი გამოსავალია. თანაც, უტვინო ზედამხედველებსაც ვერაფრით ვეგუები. სად შემიძლია ვიღაცის იმედად ყოფნა და გროშების ხვეწნა-მუდარით მოპოვება, როცა ჩემი მიზნების მისაღწევად, მილიონებიც კი არ მყოფნის.

— მაგრამ მსოფლიოც ხომ ისეა მოწყობილი, რომ ვიღაც ვიღაცას უნდა ემორჩილებოდეს. აბა, ვისაც რა მოესურვება, მხოლოდ ის რომ აკეთოს, ხომ ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა.

— კი, ბატონო, მეც მზად ვარ, დავემორჩილო, ოღონდ მხოლოდ იმას, ვინც ჩემზე ჭკვიანი და ნიჭიერია. მაგრამ მაჩვენეთ დედამიწის ზურგზე თუნდაც ერთი ადგილი, სადაც მართლა ასე ხდება. ვერ მაჩვენებთ, რადგან თანამედროვე მსოფლიოს ძირითადად ავანტიურისტები და არამზადები მართავენ. ამ ვაიადამიანებს მხოლოდ იმის ნიჭი თუ აქვთ, რომ რაც შეიძლება, დამაჯერებლად იცრუონ, უბრალო ადამიანები უკეთესი ცხოვრების იმედით აავსონ და შემდეგ უსინდისოდ მოატყუონ. ასეთი ურცხვი მმართველების ხელში პოლიტიკაც ბიზნესად იქცა, ძალიან შემოსავლიან, მაგრამ ძალიან ბინძურ ბიზნესადაც.

— ეტყობა, პოლიტიკოსები დიდად არ გიყვართ.

— პოლიტიკოსები კი არა, პოლიტიკაში ძალით შევარდნილი ადამიანები არ მიყვარს. პოლიტიკაში უკანა კარიდან შევარდნა არ შეიძლება. მასში, ყველას თვალწინ, ღირსეულად უნდა შეხვიდე. და ეს რომ შეძლო, თავადაც ღირსეული ადამიანი უნდა იყო და არა უკანასკნელი ნაძირალა.

— გეთანხმებით, მაგრამ მოდი, ისევ თქვენს აღმოჩენას დავუბრუნდეთ. ასე გულმოდგინედ მაინც რატომ უმალავთ კაცობრიობას მის ახალ მონაპოვარს?

— ესეც დრომ მოიტანა, რადგან ყველა ბოლო მსოფლიო აღმოჩენა კაცობრიობამ მხოლოდ მისსავე საზიანოდ თუ გამოიყენა. რომ დასცლოდათ, ალბათ, ჩემს გამოგონებასაც მხოლოდ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გაძლიერებისთვის თუ გამოიყენებდნენ. აბა, ერთი წამით წარმოიდგინეთ თანამედროვე იდიოტების პატარა ჯგუფი, რომელიც დიდზე დიდი სიამოვნებით დაიწყებდა ახალი ბომბების ქნევასა და მხიარულ ჭყვიტინს, — ისევ მთელ მსოფლიოს ვაშინებთო.

მეცნიერის ამ პასუხის შემდეგ უკვე ლაფაური ჩაფიქრდა მცირე ხნით და მხოლოდ ამის შემდეგ ჰკითხა:

— მაინც რატომ ხართ ჩემთან ასე გულახდილი?

— დავიჯერო, ვერ ხვდებით?

— ვერა.

— იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ აქედან ვეღარსად წახვალთ.

— ვერ გავიგე?!

— მე თქვენ აქ არ მომიწვევიხართ, თვითონ მოხვედით, ხომ ასეა? და, ამიტომაც, აქვე მოგიწევთ დარჩენა და, თანაც, განუსაზღვრელი დროითაც...

— მაინც რას გვიპირებთ?

— ჯერ არ ვიცი. უფრო სწორად, ჯერ არ გადამიწყვეტია...

ახალგამოღვიძებული ლაშა ერთხანს ირგვლივ გამეფებული უცნაური სიჩუმით ტკბებოდა, რომელიც სრული ვაკუუმის და, შესაბამისად, სრული სიმშვიდის შეგრძნებასაც უჩენდა. თუმცა შემდეგ ცოტა შეფიქრიანდა: გამოქვაბულში ხომ მის გარდა კიდევ ორი ადამიანი — ნათია და არეშიძეც იმყოფებოდნენ. არადა, მათი იქ ყოფნის არავითარი ნიშანწყალი არ იგრძნობოდა. „ვითომ ისევ სძინავთ? — გაიფიქრა მან და ჩაცმა დაიწყო. — არეშიძისა არ ვიცი, მაგრამ ნათია ნამდვილი ტოროლაა და დავიჯერო, მაინცდამაინც ამ უცხო და უცნაურ ადგილზე დაეცა ძილქუში?“

ლაფაურმა სწრაფად ჩაიცვა, დარბაზში გავიდა და იმ საძინებლის კარზე დააკაკუნა, სადაც ნათია ეგულებოდა. კაკუნს არავინ გამოხმაურებია. ამის შემდეგ კარს ოდნავ მიაწვა და ისიც მაშინვე შეიღო. ნათია ოთახში არ დახვდა. ლაფაურს გულმა რეჩხი უყო და ახლა იმ კაბინეტის კარი შეაღო, სადაც არეშიძეს უნდა სძინებოდა, თუმცა ისევ დაბნეული შედგა: კაბინეტიც ცარიელი იყო. ლაშამ ირგვლივ მიმოიხედა და მხოლოდ ახლაღა შეამჩნია ოთხად მოკეცილი ფურცელი, რომელიც საწერ მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილზე იდო. ლაფაურმა ფურცელი სწრაფად გაშალა. ის არეშიძის წერილი აღმოჩნდა: „თქვენი გაღვიძება არ მინდოდა, — წერდა მეცნიერი, — ამიტომ გამოუმშვიდობებლად მივდივარ. რამდენიმე გადაუდებელი პრობლემა მაქვს მოსაგვარებელი და, თან, თქვენი ახალგახსნილი ანგარიშიდან ფულიც უნდა მოვხსნა. ასე, ერთ კვირაში დავბრუნდები. მანამდე აქაურობა მთლიანად თქვენს განკარგულებაშია. ოღონდ ძალიან გთხოვთ, რამე სისულელე არ ჩაიდინოთ.

P.S. ყოველი შემთხვევისთვის, ცდუნებამ რომ არ გძლიოთ, იმასაც გეტყვით, რომ ნავები საგულდაგულოდ გადავმალე.

პატივისცემით, ვახტანგ არეშიძე“.

ლაშა წერილს წაკითხვის შემდეგაც კარგა ხანს უაზროდ ჩაშტერებოდა. „მაშინ ნათია სადღაა? — ვერ მიმხვდარიყო იგი. — ვითომ არეშიძემ ისიც თან წაიყვანა? მაგრამ რისთვის? თუ ნავები გადამალა, ნათია ხომ აქედან გაღწევას მაინც ვერ მოახერხებდა? გამოდის, რომ გოგონა თავად გაჰყვა მას.“ ამ დასკვნით გაოგნებული ლაფაური ისევ ნათიას საძინებელში გავარდა და ცოფიანივით შეუდგა რაღაცის ძებნას. თუმცა ვინმეს რომ ეკითხა, მაინც რას ეძებო, პასუხს ვერაფრით გასცემდა. საწოლის გვერდით მდგარ პატარა ტუმბოში ლაფაურმა საგულდაგულოდ შენახული ქალის ხელჩანთა აღმოაჩინა. ეს სწორედ ის ხელჩანთა იყო, რომელსაც ნათია არასდროს იშორებდა და ყველგან თან დაატარებდა. ლაშამ ხელჩანთა გახსნა და მთელი მისი შიგთავსი საწოლზე გადმოყარა. ხელჩანთაში ქალის კოსმეტიკისა და მანიკიურის ნაკრების გარდა, ორი პირადობის მოწმობა და ვიდეოკასეტაც აღმოჩნდა. ლაფაურმა კასეტა გვერდზე გადადო და მოწმობები რიგრიგობით გადაშალა. პირველი ნათია გიორგაძეს ეკუთვნოდა, მეორე კი — ანა ჩიქოვანს. საბუთში ჩაკრული ფოტოსურათები ერთმანეთს ჰგავდა, მაგრამ მაინც ორივე სხვადასხვა ადამიანს ეკუთვნოდა. ლაფაური გაოგნდა: გამოდიოდა, რომ გოგონა, რომელსაც ის ნათიას სახელით იცნობდა, სინამდვილეში ანა ჩიქოვანი იყო, რადგან სწორედ ამ გვარ-სახელის მქონე ადამიანის მოწმობაში იყო ჩაკრული ნათიას ნამდვილი ფოტო. ლაშა ჯერ ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ უმალავდა გოგონა თავის ვინაობას ან რატომ სარგებლობდა სხვისი გვარ-სახელით. „მაინც ვინ არის და საიდან მოვიდა? — ჩაფიქრდა იგი. — გამოდის, რომ მის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცი.“

ნანახით გაოგნებული ლაფაური საწოლზე ჩამოჯდა და უახლოეს წარსულში მომხდარი მოვლენების გულმოდგინე გაანალიზება დაიწყო: „ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ნათია, სინამდვილეში კი ანა შემთხვევით მანქანის ქვეშ ჩამივარდა. თუმცა იქნებ, ეს შემთხვევით სულაც არ მომხდარა და ყველაფერი საგანგებოდ იყო მოწყობილი? როგორც უნდა ყოფილიყო, გოგონამ დამარწმუნა, რომ საფრთხე ემუქრებოდა და მეც ის მცირე ხნით ჩემთან შევიფარე. სწორედ ეს იყო ჩემი პირველი შეცდომაც. ამის შემდეგ თავს მესხმიან და ჩემს მოკვლას ცდილობენ. ერთადერთი ადამიანი, ვინც იცოდა თუ სად ვაპირებდი იმ საღამოს წასვლას, ნათია იყო. თუმცა შემდეგი თავდასხმისას თავადვე მიხსნა სიკვდილისგან. ან იქნებ, ესეც მხოლოდ ინსცენირება იყო და სხვა არაფერი? ნათიამ ხომ მაშინაც დამარწმუნა, უკან შემთხვევით მოვბრუნდი, რადგან ჩემს სახლში მკვლელები დამხვდნენო. თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ გამოდის, რომ ახალი ტელეარხის პრეზენტაციის დროს მისი გატაცებაც ინსცენირებული იყო. მაგრამ რატომ? რისთვის? იქნებ, ჩემი ნდობის მოპოვებისა და, შესაბამისად, ყურადღების მოსადუნებლად? სავსებით შესაძლებელია. ამის შემდეგ ნათია ყველა ჩემი საქმის კურსში იყო და გვერდიდან წამითაც კი აღარ მცილდებოდა. მთელი ამ ხნის მანძილზე კი ჩემი ძირითადი საქმე ვახტანგ არეშიძის მოძებნა იყო. გამოდის, რომ ნათიას საბოლოო მიზანიც მე კი არა, სწორედ არეშიძე ყოფილა. მე კი მხოლოდ მისი და მისი პატრონების მიზნებისა და ჩანაფიქრის კარგი შემსრულებელი ვიყავი. აი, თურმე, საიდან მოდიოდა ის უცნაური სატელეფონო ზარიც, ვიღაც უცნობი მეცნიერის საძებნელად წასვლისკენ ჯიუტად რომ მომიწოდებდა? მათ უნდოდათ, რომ არეშიძე მომეძებნა და მეც ყველაფერი „ხუთიანზე“ შევასრულე“.

ლაშა საკუთარმა მიხვედრილობამ თავადვე შეზარა: „რადგანაც ნათიას ყველა ჩემი გადაადგილებისა და კავშირის შესახებ მოეხსენებოდა, მას სრულიად მშვიდად შეეძლო, მთელი ამ ინფორმაციის საჭირო დროს საჭირო ადგილზე გადაცემა. სწორედ ამიტომაც დაიღუპა არეშიძის ყველა ის ნაცნობ-მეგობარი, ვისაც კი პირადად შევხვდი და ვესაუბრე“. საწოლის კიდეზე ჩამომჯდარ ლაშას მუხლების კანკალის შეჩერების ძალა აღარ ჰქონდა: „და თუ ამ გოგონამ როგორღაც მეცნიერთან ერთად აქაურობის დატოვება მოახერხა, მაშინ არეშიძეს სერიოზული საფრთხე ემუქრება, რადგან არიან ადამიანები, ვინც მისი გამოგონების ხელში ჩასაგდებად, უკან არაფერზე დაიხევენ. მაგრამ მაშინ ცოტა უცნაურია, მე რატომღა არ მომკლა? არეშიძის შემდეგ ხომ მე ერთადერთი ცოცხალი მოწმეღა ვიქნები. ეტყობა, ახლა მისთვის მთავარი არეშიძის ხელში ჩაგდება იყო, ჩემს მოსაკლავად კი აქ ვინმე სხვას გამოგზავნის. აუ, მაინც რა იდიოტი ვარ“... — თავი ხელებში ჩარგო ლაფაურმა. სწორედ ამ დროს საძინებლის კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე უცნაურად სახეგაცისკროვნებული ნათია გამოჩნდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რომანტიკა თუ დანაშაული?!

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-46

ნიკა წავიდა, მაგრამ მე მაინც ველოდებოდი. ვიფიქრე, სახლამდე მიაცილებს და მობრუნდება-მეთქი... დამღალა ლოდინმა. გული შურით და ბოღმით ამევსო. შურით იმიტომ, რომ მე დამტოვა და სოფოსთან ერთად წავიდა, ბოღმით კი იმიტომ, რომ არ ეყო გამბედაობა, საყვარლისთვის სიმართლე ეთქვა და მორჩილი კრავივით გაჰყვა უკან.

ამასობაში სამი საათი გავიდა, მაგრამ იმედს არ ვკარგავდი, რომ მობრუნდებოდა და ღამით ჩემთან დარჩებოდა. ეს მოლოდინი ერთდროულად სასიამოვნოც იყო და მტკივნეულიც, გაჯერებული შიშითაც და ვნებითაც, სიხარულითაც და სინანულითაც. ის ჩემთან მოდიოდა, ჩემს სანახავად, ჩემს მოსაფერებლად, აქ კი სხვა დახვდა... ის სხვა, რომელიც მურმანის ეკალივით გაიჩხირა ჩვენ შორის. ნიკა კი უძლური იყო, უჭირდა წერტილის დასმა. ალბათ ცუდად დაშორება არ უნდოდა და იმიტომ... ალბათ „კარგ ბიჭად“ სურდა დარჩენა და იმიტომ... ან სულაც უყვარდა და იმიტომ? ამ ასაკის ქალები ხომ მისი სისუსტე იყო?

„რა ვქნა, რა ვქნაააა?! — ვყვიროდი ჩემთვის ფიქრებში, — ვიეჭვიანო თუ არ ვიეჭვიანო? ვაპატიო თუ არ ვაპატიო?“ თითქოს გაორება დამემართა. ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდა მეეჭვიანა? ან რატომ არ უნდა მეეჭვიანა? რატომ უნდა მეპატიებინა? ან რატომ არ უნდა მეპატიებინა? იქნებ ჩამემარხა გულში უარყოფითი ემოციები და არ შემემჩნია, რაც ხდებოდა? ჰო, ალბათ ასე სჯობდა. მე ხომ სიგიჟემდე მინდოდა, იდეალური ქალის როლი მეთამაშა და მას დაენახა ეს. თუმცა ამის გაკეთება არ იყო ადვილი, ამისთვის საკუთარ თავზე სერიოზულად უნდა მემუშავა.

რატომ არ შეიძლება, ადამიანმა ხელოვნურად შექმნას ბედნიერება? ხომ ყველაფრის წამალს იგონებენ, რა იქნება, ესეც გამოიგონონ? მე ხომ არ ვცადო? მაგრამ როგორ? როგორ და... აი, მაგალითად, ავიღოთ ადამიანი, რომელიც განიცდის სტრესს ან საშუალო სირთულის უსიამოვნებას. ამ დროს ორგანიზმში გამოიყოფა ჰორმონი, რომელსაც ადრენალინი ეწოდება. ეს ყველამ იცის. ადრენალინი შეიცავს ამინოპეპტიდებს, ცილებს და კიდევ უამრავ „ებს“, ამაზე ნუღარ დავწვრილმანდებით. ახლა ავიღოთ ადამიანი, რომელიც განიცდის ბედნიერებას. ამ დროს მის ორგანიზმშიც ხომ გამოიყოფა ჰორმონი? მაგრამ როგორი? რა სახის? ეს არავინ იცის. ჰოდა, წავიექსპერიმენტებ, იქნებ მივაკვლიო ამ ჰორმონს, გამოვიგონო მისი ფორმულა. თუკი ამას მივაღწევ, ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნება ქვეყანაზე. მერე უკვე შესაძლებელი გახდება ამ ჰორმონის ქიმიური გზით გამრავლება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბედნიერება წამალი გახდება და ყველა აფთიაქში გაიყიდება, აბების, ამპულების, კაფსულების სახით, თანაც იაფად, დაახლოებით, ლარ-ნახევარი ან ორი ლარი ეღირება. რა მაგარია?! „თუ შეიძლება, მომეცით ერთი აბი ბედნიერება!“ ან — „ხუთი კაფსულა ბედნიერება გამომიწერეთ, გენაცვალე!“ მშვენიერია, მაგრამ დასახელება რომ არ მომწონს? ბედნიერებას ნაზი ქალური სახელი უნდა ერქვას, მაგალითად... ლოლიტა... ოჰო! ეს უკვე, ოჰო! ნიჭიერო! — გულში შევაქე ჩემში მიძინებული „გენიოსი“ და სევდიანად გამეღიმა.

ორი საათი რომ დაიწყო, ნიკას ნაჩუქარი პიჟამა ჩავიცვი და ლოგინში შევწექი, უკვე ყველანაირი იმედი გადამეწურა. ვერაფრით მოვისვენე, შამფურზე აცმული დედალივით ვტრიალებდი საწოლში. გარეთ ელავდა, შიგადაშიგ სადღაც დაიქუხებდა კიდეც. ვერ გეტყვით, რა დრო გავიდა, ბევრი თუ ცოტა, რომ მოულოდნელად მესიჯის ზარმა შემაკრთო. გულმა ერთი ისეთი იფეთქა, თითქოს შუაზე გაიგლიჯაო... თავი წამოვყავი და ტუმბოზე ხელი მოვაფათურე, რათა მობილური ტელეფონი მეპოვა. შეტყობინების „ყვითელმა კონვერტმა“ სული ამიფორიაქა. ამ დროს სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა ის?

„ნუ დარდობ, მე შენზე ვფიქრობ და საშინლად მინდიხარ... დაიძინე“, — მწერდა.

„არ მეძინება“, — სუნთქვაშეგუბებულმა სასწრაფოდ „ვაფრინე“ შეტყობინება.

„მაშინ გამიღე კარი, თორემ გავითოშე, მცივა!“ — წამში მომივიდა პასუხი, თითქოს წინასწარ იცოდა, რასაც მივწერდი.

წამოვხტი, მაგრამ რა წამოვხტი! შეშლილივით გავქანდი შემოსასვლელში, სიხარულისგან გაბრუებული, ფეხშიშველი, პიჟამისამარა.

აცახცახებული ხელებით გადავატრიალე გასაღები... დაღლილი, მისავათებული სახე ჰქონდა.

— უკვე ვიწექი, — ვთქვი, რადგან ვიცოდი, ასეთ დროს რაღაც უნდა მეთქვა.

— ვიცი, — ყრუდ მიპასუხა და ბარბაცით შემოვიდა, — იმედია, სცენებს არ მომიწყობ, — გამაფრთხილებელი ფრაზა მყის ფარივით აიფარა.

— იმედია, — დაზავება ვარჩიე ისტერიკას, „სტაჟიანი“ ცოლივით გულგრილად ავუარე გვერდი და საძინებელში გავედი.

მოვასწარი და, სანამ შემოვიდოდა, ფართხაფურთხით ჩავიცვი ჯინსის შარვალი და ჟაკეტი.

— რატომ კანკალებ ასე, გცივა? — მზრუნველად მკითხა და ძალიან ახლოს მოვიდა.

უარესად შემაკანკალა. ჩემი კბილების კაწკაწი მგონი, მასაც ესმოდა.

— ჰო, — ერთი სიტყვით შემოვიფარგლე, რადგან ლაპარაკი არ შემეძლო, ენა დამბმოდა. ეს უფრო ნერვიულობის კანკალი იყო, ვიდრე სიცივის.

— იცი, ახლა რა მინდა? — ის ოდნავ მეხებოდა, თან არც მეხებოდა. ველარ გავუძელი ამ მდგომარეობას და საწოლზე დავეხეთქე, მუხლებში ძალაწართმეული.

— არ ვიცი, — წავიჩურჩულე.

— ერთი ყავა და ორი ქალი.

„ჩემთან ერთად სოფოც მოგინდა? მე არ ვარ საკმარისი, არა?“

— ყავა მაქვს, მაგრამ ქალი სად გიშოვო ამ შუაღამეს? თანაც ორი ერთად, — მოჩვენებითი სიმშვიდით ავყევი ხუმრობაში, არ მინდოდა, ახლა სოფოზე დამეწყო ლაპარაკი.

— შენ აქ არ ხარ? — იგი ადგილ-

იდან არ იძვროდა, ჩვენ შორის არსებულ მანძილს არც ადიდებდა და არც ამცირებდა.

— მაგრამ მე ერთი ვარ.

— სამაგიეროდ, ორს უდრიხარ... სამსაც კი, თუ ოთხს არა.

— გმადლობ... მშვენიერი სტიმულია ჩემი გულის მოსაგებად, — მაინც ვერ მოვითმინე და „ვიწუპაკე“, — მიბრძანე, რით დავიწყო, ყავით თუ ქალით?

— ჯერ ყავა, შემდეგ ქალ-ები, — გამარჯვებულის ტონით მომიგო და საძინებლიდან გავიდა, — ოღონდ მანამდე იქნებ მაჭამო, მგელივით მშია.

უკან მივყევი. სამზარეულოში გავიდა და მაცივარში შეიხედა.

— გაქვს რამე? საავადმყოფოდან მოვდივარ, ძალიან მშია, ძალიან მცივა და ძალიან მინდა შენთან, — პასუხს არ დალოდებია, ისევ უკან გაბრუნდა და ახლა გზიდან მომაძახა:

— როგორც კი შევჭამ, შენთან ერთად სააბაზანოში შევალ, ვიბანავებთ, ვიცელქებთ, მერე კი საწოლში მოგესიყვარულები ნორმალურად.

მის ფანტაზიებს და სურვილებს საზღვარი არ ჰქონდა. არც მის სასიყვარულო „სცენარებს“ ჰქონდა დასასრული... და არც იმაში მეპარებოდა ეჭვი, რომ მისთვის ეს ყველაფერი „აპრობირებული მეთოდი“ იყო.

„შავმა“ ეჭვმა დამრია ხელი, როცა წყლის ჭავლის ქვეშ, ჩემ მაგივრად სოფო წარმოვიდგინე, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩვეულებრივ საწოლზე, მანქანის სავარძელსა თუ სხვა ნებისმიერ ადგილზე, სადაც კი „ნორმალურად მოსიყვარულება“ შეიძლებოდა.

კვლავ გამოჩნდა... ტრუსის ამარა. ვეღარც გავიაზრე, ასე უცებ როდის მოასწრო გახდა ან სად დაყარა ტანსაცმელი.

ჰამბურგერები გავამზადე და ტოსტერში ჩავალაგე.

— მითხარი, რატომ დამნიშნე მენეჯერად? — გადავიფიქრე იდეალური ქალის როლის თამაში და ვიგრძენი, როგორ გამცვივდა თვალებიდან ნაპერწკლები.

— მენეჯერად? — დაბნეულმა გაიმეორა, — ხომ აგიხსენი ერთხელ, რაღაზე მეკითხები? რა იყო, მოხდა რამე? ვინმემ რამე გითხრა? არ დამიმალო!

— ჰო, მითხრა!

— ვინ და რა? — ყბები ძლიერად მოკუმა, შორიახლოს გაჩერდა და დაჟინებით მომაჩერდა.

— იმიტომ მაჩუქე თანამდებობა, რომ შენ მიმართ პრეტენზიები არ გამჩენოდა? მიყიდე? ასე უფრო მორჩილი საყვარელი ვიქნები? — ვატყობდი, ისტერიკა მეწყებოდა.

— ვინ გითხრა-მეთქი! — უეცრად ისეთი დაიქუხა, გული გამისკდა.

შიშნარევი მზერით შევხედე, რამე არ დამაფშვნას თავზე-მეთქი.

— თედომ, — ამოვილუღლუღე ნირწამხდარმა.

ადამიანის ფერი არ ედო, ნესტოებდაბერილი კორიდაზე ნაბრძოლი ხარივით ქშინავდა.

— თედომ? — ამის გაგონებაზე თვალები შუბლზე აუვიდა, თუმცა კი აშკარად შეურბილდა ტონი.

მისი გამომეტყველებიდან მივხვდი, რომ ცილი დავწამე, რომ მას ჩემი „მოსყიდვა“ გულშიც არ გაუვლია. უბრალოდ, მისი საქმისთვის საჭირო პოტენციალი დაინახა ჩემში და იმიტომაც დამაწინაურა. მე კი... შტერი, სულელი და გამოთაყვანებული, სხვის ხმას ავყევი...



ერთხანს მდუმარედ იდგა, გამომცდელად მიყურებდა. მეც ვუყურებდი და მის შუბლზე გაჩენილ ღარებს, ნაოჭებს თუ ხაზებს ვითვლიდი — ერთი, ორი, სამი...

— სამი შვილი გეყოლება, — უმშვიდესად ვთქვი და გაწელილად გავუღიმე, ამით სიტუაციის განმუხტვას შევეცადე.

— რა თქვი? — ვერ მიხვდა.

— აი, წარბებს რომ ასწევ და შუბლზე ხაზები დაგაჩნდება, იმის მიხედვით შეიძლება გამოითვალო, რამდენი შვილი გეყოლება, — შემრიგებლური ტონით ავუხსენი.

— თედომ საიდან გაიგო ჩვენი ამბავი? — თითქოს არაფერი მეთქვას წამის წინ, თავის „ბრალდებას“ დაუბრუნდა.

— ასე მითხრა, როგორც კი შენი კანდიდატურა მიხსენა, ეგრევე მივხვდიო... ამ მეთოდით დაურიგა თანამდებობები თავის ქალებსო.

— და შენც დაიჯერე, არა? — ღრმად ამოიხვნეშა და კიდევ უფრო მოკუმა ყბები. ამწუთას თედო ახლოს რომ ყოფილიყო, ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა ალბათ.

— არ უნდა დამეჯერებინა? შენ არ დაიჯერებდი?

— მომისმინე, ლო!.. — ისე უცახცახებდა ხელები, სკამი ძლივს გამოსწია, რომ დამჯდარიყო... აქედან დავასკვენი, რომ ალბათ ფეხებიც უკანკალებდა და, საერთოდ, ძალიან ცუდად გახდა, თორემ არ დაჯდებოდა.

— შენ გინდა, ჩვენ ერთად ვიყოთ? — თითები ერთმანეთში გადახლართა და წარბებს ქვემოდან გამომხედა.

— და მერე რა?

— მიპასუხე! ან ჰო, ან — არა!

— ჰო...

— მაშინ დაიმახსოვრე! ვერ ვიტან მეწვრილმანე, ცნობისმოყვარე და ეჭვიან ქალებს. არ მიყვარს, როცა არ მენდობიან და ზედმეტ კითხვებს მისვამენ, გასაგებია? მე ბევრი ლაფსუსი მქონია პირად ცხოვრებაში, ბევრჯერ მატკინეს ქალებმა გული, განსაკუთრებით შენმა ტოლებმა. ახლა ყველაფრის გამოსწორებას ვცდილობ, ამოყირავებული სიტუაციების თავიდან დალაგებას... და უნდა მაცალო, კი არ უნდა შემომიტიო, გესმის?

თავი დავუქნიე, რადგან კრინტი ვერ დავძარი. მოწოლილ ცრემლს მხოლოდ ამ გზით თუ შევაკავებდი.

ალბათ საშინელი სანახავი ვიყავი, რადგან სახეზე შეეტყო, რომ შევეცოდე.

— და კიდევ, იცი, როგორ ქალებს ვერ ვიტან? — საყვარლად გაიღიმა, — ცხვირმოჭრილ ქალებს ვერ ვიტან, კანდაჭიმულს, ტუჩებგადმობრუნებულს და თვალებდაწვრილებულს.

— ნაოჭიანი, გრძელცხვირა და უტუჩო გირჩევნია? ეგეთი კუდიანი ჯადოქარია, — მის ღიმილს ღიმილი „მივახალე“.

— ჰო, ეგეთი ცუდი გემოვნება მაქვს, — ჩაიცინა და ჰამბურგერი გემრიელად ჩაკბიჩა, — ძლივს არ მოვედი ჭამის ხასიათზე?

— რაღაც მეეჭვება, — ტუჩები წინ გამოვწიე, თითქოს საკოცნელად ვემზადებოდი, — შენი „ვერ ვიტან“ სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს.

— სოფოს გულისხმობ?

— თუნდაც...

— იცი, რატომ მიზიდავენ ამ ასაკის ქალები? ისინი გამოცდილები არიან, ბევრად გულწრფელები. ერთადერთი, რასაც მალავენ, ასაკია. გარდა ამისა, არც შვილის გაჩენით მემუქრებიან და არც ცოლობას მთხოვენ.

— და არც ზედმეტ კითხვებს სვამენ, — დავამატე.

— მართალი ხარ, არც ზედმეტ კითხვებს სვამენ. დანარჩენი ფეხებზე მკიდია, ამ შემთხვევაში „კოსმეტიკურ რემონტს“ არ ვაქცევ ყურადღებას. უფროსი ასაკის ქალები სხვა რამით არიან უფრო საინტერესონი.

— მაშინ მე შენთვის შეუფერებელი კანდიდატურა ვყოფილვარ.

— შე-ენ? რატომ, ამ ყველაფერს მიპირებ თუ?

გავწითლდი. ეს საერთოდ არ მიგულისხმია, მან კი ჩემი ნათქვამი თავისებურად გაიგო.

— არა, ასეთი რამეები არაფერში მჭირდება, პროვოცირებით შენარჩუნებული ურთიერთობა აღარ არის ურთიერთობა... უბრალოდ, ასაკით ვერ ვაკმაყოფილებ შენს გემოვნებას.

— მაგას ახლა გავარკვევ, შენთან ერთად რომ ვიბანავებ შხაპის ქვეშ! — გამხიარულდა და ჯერ ცხიმიანი თითები გაიწმინდა, მერე — ტუჩები.

— საინტერესოა, რამდენი ქალი გყოლია სულ, ათასი? — მაინც ვერ ვისვენებდი.

— არა-ააა! ცოტა ნაკლები, — ჩემი ეკლიანი შეკითხვა ხუმრობაში გაატარა.

— ცოტა ნაკლები რამდენია, ათასის ნახევარი?

— კიდევ უფრო ნაკლები.

— ათასის ნახევრის ნახევარი? — არ ვეშვებოდი.

— ათასის ნახევრის ნახევრის ნახევარი... ალბათ, — მარცხენა ხელის თითები ერთიმეორის მიყოლებით მოკაკვა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის დახმარებით და თვალები ეშმაკურად მოხუჭა, — ოღონდ აბაზანაში არასდროს, არც ერთ ქალთან არ მიბანავია. ა-რას-დროს! ამაში პირველი იქნები. ეს ცოტაა?

— ო! ეს დიდი პატივია ჩემთვის, — სარკასტულად შევნიშნე.

— მაგასაც ვნახავთ, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა, თვალმოუშორებლად მომიახლოვდა, ჟაკეტს ხელი აქეთ-იქიდან ჩაავლო და, ღილების გახსნა არც უცდია, თავს ზემოდან გადამიტარა და ისე გამხადა. როცა ჯინსის ელვის შეხსნას შეუდგა, პატარა „შეფერხება“ მოუვიდა — უხეში ქსოვილი ელვის კბილანებში გაიჭედა და... კარგა ხანს წარუმატებლად ცდილობდა შესაკრავის შეხსნას. მე ხმას არ ვიღებდი, ნიშნის მოგებით ვიღიმოდი მხოლოდ.

— ოოოხ! ამის დედაც! — ბოლოს გაბრაზებულმა ერთი გემრიელად შეიკურთხა, ხელი დამავლო, სასტუმრო ოთახში მხარზე გუდასავით გადაკიდებული გამიყვანა, დივანზე დამაგდო და ჯინსი ელვის შეუხსნელად გამხადა.

— ძალიან არასექსუალურად გამომივიდა, — ტუჩაბზუებულმა მითხრა, ხელი მაჯაში ჩამავლო და პატარა ბავშვივით წამაცუნცულა სააბაზანოსკენ...

დილით უთენია გამეღვიძა. ნიკას დავხედე. ბავშვივით მშვიდად და უდრტვინველად ეძინა. რომ იტყვიან, გამოვეპარე საწოლიდან. სანადიროდ გამოსული მხეცივით ფრთხილად და უხმაუროდ ვმოქმედებდი, თითის წვერებზე აწეულმა ერთხანს ვიბორიალე ოთახში და მერე სამზარეულოში გავედი საუზმის მოსამზადებლად. მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი ღამე მქონდა, დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება არ მშორდებოდა. უსიამოვნო საუბარმა უსიამოვნო განწყობა დამიტოვა, ამომწურავი პასუხი ვერ მივიღე იმაზე, რაც მაწუხებდა. მაღიზიანებდა, ნიკა რომ არაფერს მეუბნებოდა სოფოზე: რა მოხდა, როცა გააცილა, რაზე ილაპარაკეს, რას უპირებდა ან მას, ან მე, ან როგორ წარმოედგინა ჩვენი ხვალინდელი დღე... და საერთოდ, მაცოფებდა, არაფრის ახსნას რომ არ ცდილობდა.

„ბლინების“ გამოსაცხობად კვერცხის ათქვეფას შევუდექი. სანამ ადგებოდა, მინდოდა, ცხელი და გემრიელი საუზმე დამეხვედრებინა, თან გულში ვიმეორებდი იმ ფრაზებს, რომელიც საგანგებოდ მისთვის მოვამზადე, რათა ერთხელ და სამუდამოდ გამერკვია ჩვენი ურთიერთობა.

— უუუ! რა გემრიელი სუნი ტრიალებს ამ ჯადოსნურ ოთახშიიი! — ზმორებით შემოვიდა, ზურგიდან დამიდგა, მკლავები მომხვია და ყელზე მაკოცა.

— დილა მშვიდობისა, კონკია!

— დილა ნებისა, შეფ!

— როგორ გეძინათ წუხელ, პრინცესა?

— მე კარგად, ზოგ-ზოგიერთისგან განსხვავებით, — ეგრევე „ჩავავლე“ მის შეკითხვას.

— უკაცრავად, რაღაც ვერ გავიგე, ვინ ზოგ-ზოგიერთი? მგონი, მეც მშვენივრად ვხვრინავდი?!

— შენზე არ ვამბობ, სხვა ვიგულისხმე, — ენას ვერ ვაჩერებდი, ჩემს თავს ვერაფერს ვუხერხებდი.

— სახელდობრ, ვი-ინ? — ვერ მიხვდა ან არ მიხვდა.

— ის... ჩემამდე ქალი, — ჩემი ნათქვამი თითქოს ჯერ კედელს მოხვდა, მერე კი მთელი ძალით ნიკას მკერდზე მიეჯახა, მარცხენა მხარეს, ზედ გულთან.

ცივად შემიშვა ხელი და ყრუდ თქვა.

— ამაზე წუხელ უკვე ვისაუბრეთ. ეს ერთი... და მეორეც... რამდენიმე საათის წინ შენ საერთოდ არ გახსოვდა იმ ქალის არსებობა. ასე რომ, შენი მელოდრამული პოზა სრულიად უადგილოა, მინდა გითხრა.

— რატომღაც, მეგონა, რაღაც-რაღაცებს ჯერ კიდევ წუხელ ამიხსნიდი, — მოვტრიალდი და თვალებში შევაჩერდი.

— წუხელ ამის სურვილი რომ არ გაგჩენია? რაღაც არ მახსოვს, გაგხსენებოდა... — ამოიხვნეშა ნიკამ. — უთენია დილა კი, ჩემი აზრით, არასასიამოვნო დროა სერიოზული ახსნა-განმარტებებისთვის.

ორივენი ჯიუტად მივჩერებოდით ერთმანეთს, წამწამებსაც კი არ ვახამხამებდით. სიბრაზისგან წამოვჭარხლდი.

— კარგი... მაშინ გამოძებნე „სასიამოვნო დრო“ და მერე განვაახლოთ საუბარი, — მკვახედ მოვუჭერი და სუფრის გაშლას გაცხარებით შევუდექი.

— დარწმუნებული ხარ, რომ ერთმანეთისთვის რამის ახსნა გვჭირდება? — დამეკითხა.

სწრაფად შევტრიალდი, თითქოს ერთი სული მქონდა, ჩაიდანს როდის შემოვდგამდი ქურაზე.

— როცა გელაპარაკები, უნდა მისმინო, — უხეშად მითხრა და თავი წინ წამოსწია, რომ ჩემი თვალები დაენახა.

— გისმენ, ყრუ არ ვარ, — იმავე ტონით ვუპასუხე.

— და უნდა მიყურო, — დაამატა.

— ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ, — აგდებულად წამოვიძახე და ჯიქურ გავუსწორე თვალი.

მოულოდნელად მის სახეზე უცნაურმა და სრულიად გაუგებარმა გამომეტყველებამ გაიელვა და იმწამსვე გაქრა. ბოლოს მშვიდად აიჩეჩა მხრები.

— გასაგებია.

თითქოს გულზე მძიმე ლოდი დამადეს, რაღაცამ მარწუხებივით მომიჭირა.

„ახლა რომ წავიდეს... წავიდეს და აღარასდროს მოვიდეს... რას ვაკეთებ, რას!“

— მე, უბრალოდ, მინდა, ვიცოდე, რა როლს ვთამაშობ შენს ცხოვრებაში... რას წარმოვადგენ იმ სამყაროში, სადაც შენ ცხოვრობ, — შევარბილე ტონი და ჩაი დავუსხი.

— ანუ გაინტერესებს, რომელი გმირი ხარ? მთავარი თუ მეორეხარისხოვანი? ცოლად შეგირთავ თუ არა? — ისე სარკასტულად გაისმა მისი ნათქვამი, ლამის გული შემიღონდა.

— არა, ეგ არ მითქვამს... ვიცი, რომ ამაზე ლაპარაკი ნაადრევი იქნება.

— ახლა არ მითხრა, რომ შენი გრძნობებიც ნაადრევია, თორემ გავგიჟდები იცოდე! მაგას მაინც არ დაგიჯერებ! — „ბლინი“ გადაიღო, შაქარი მოაყარა და ჭამას შეუდგა.

— არც ეგ მითქვამს... — უფრო და უფრო დახშულად ისმოდა ჩემი ხმა.

— ლო, არ მეტყვი, რა გინდა? რატომ ვერ ისვენებ? რა გაწუხებს?

„გაურკვევლობა!“

— წვიმს, — ესღა ვთქვი, როცა დავინახე, როგორ წკაპუნობდნენ წვიმის წვეთები ფანჯრის რაფაზე და ზრდილობის გულისთვის ერთი ბლინი მეც შევჭამე.

— ჰო, მაგარი მთვრალი ამინდია... ნახე, რა ირიბად დასცხო...

— ეს იმ ქალების ცრემლებია, შენ გამო რომ დაღვარეს, — წავუენამწარე.

— ნამდვილი ავსიტყვა კონკია ხარ, ბოროტი, ღვარძლიანი! ასე თუ გააგრძელებ... — აღარ დაამთავრა.

— რა, ასე თუ გავაგრძელებ? — მზერით გავბურღე.

— მეტს აღარ გაკოცებ, — ნიშნის მოგებით მითხრა და თითი დამიქნია.

— აი, დარდი, — არ დავუთმე და დავეჭყანე, — სხვა მაკოცებს.

— როგორ? აბა, კიდევ გაიმეორე! — „ბლინი“ აიღო და გაღიმებულმა ხელში მოიმარჯვა, ვითომ უნდა ესროლა.

— ვიხუმრე, ჰო, — დავნებდი.

— მე შენ არასდროს მიგატოვებ, — შეცვლილი ხმით მითხრა ცოტაოდენი პაუზის შემდეგ, — და უნდა დამიჯერო.

პასუხი არ გავეცი.

— გჯერა? — ჩამეძია.

— ჰო.

— ასე არა, ისე მითხარი, რომ მეც დაგიჯერო.

— მჯერა, ნიკა, — ხმა გავინაზე.

— ძალიან თეატრალურია, უფრო ბუნებრივად არ შეგიძლია?

— არა, — ჯიუტად გავაქნიე თავი. ვბრაზობდი, სოფოზე რომ ვერაფერი დავაცდენინე.

— რა გჭირს, არ მეტყვი?

— არაფერი, — უკმეხად ვთქვი და მაგიდის ალაგებას შევუდექი.

— დროზე მითხარი, სამსახურში მაგვიანდება.

— მეც, სხვათა შორის.

— მაშინ დაუჩქარე, თორემ მომკლა ცნობისმოყვარეობამ.

— არაფერი-მეთქი, ხომ გითხარი.

— მე კი მეგონა, შევრიგდით.

— შენთან არ მიჩხუბია.

— გააჩნია, ჩხუბში რას გულისხმობ. შენ რაღაც გაწუხებს და არ მეუბნები... უნდა მითხრა.

— ეს მხოლოდ წვრილ-წვრილი პრობლემებია.

— წვრილ-წვრილი პრობლემებიც დიდი პრობლემებია.

— ალბათ.

— მორჩი მაგ ჭურჭლის რეცხვას, რა, — მობეზრებული ადამიანის ტონით მითხრა, ჩემ გვერდით დადგა და წყალი გადამიკეტა, — მოტრიალდი.

მივტრიალდი. ჩემი სახე ხელებში მოიქცია და თვალებში დიდხანს მიყურა.

— იმდენად ცვალებადი ხარ, ვერაფერს ვიგებ. ვერ ვხვდები, სად ცხოვრობს შენი გმირი, რომელ სამყაროში დაფრინავს, რას ფიქრობს და, საერთოდ, როგორია...

— ჩემი გმირი შეყვარებულია, — ნაღვლიანად გაიჟღერა ჩემმა ხმამ, — შეყვარებულები კი დაახლოებით ერთნაირები არიან ყველგან და ყველა დროში.



სიამოვნებით აევსო სახე. ტუჩებზე ოდნავ შემეხო და კვლავ დამაშტერდა.

— შემომხედე! მთელი ატომური ნაერთი გაქვს თვალებში. აი აქ მწვანეა, აქ ცისფერი, შუაში ნაცრისფერი ურევია, გარშემო თაფლისფერი გასდევს, გუგა კი შავია. ოუჰ! თურმე რა „თვალჭრელოვანი“ კონკია შემრჩენია ხელთ! მომატყუეს, ხედავ? — ჩემს გამხიარულებას შეეცადა.

ტუჩები არ დამემორჩილა და ძალად გამაღიმა.

— ცხოვრებაში პირველად ვარ შეყვარებული, — ჩუმად ვთქვი, კვლავ შემიპყრო სევდამ, კვლავ ლოდივით მძიმე რაღაც დამაწვა გულზე.

— მართლა? რაღაც არ მჯერა. ვისზე, იქნებ მეც მითხრა? — ჩემი ტკივილის შემსუბუქებას ცდილობდა, მაგრამ ამჯერად აღარ გამოუვიდა, რადგან ყურს აღარ ვუგდებდი და ჩემთვის ვაგრძელებდი.

— იცი? შეიძლება, არსებობს უფრო გულწრფელი პირველი სიყვარული და უფრო დასამახსოვრებელი პირველი მამაკაცი, მაგრამ სხვანაირი და სხვა პირველი არასდროს მქონია. ყველაფერს, რაც ამის მერე იქნება, მეორე დაერქმევა.

— ცოტა მაცალე და ყველაფერი გამოსწორდება, ლო, გეფიცები, — შეფიქრიანებულმა თმაში შემიცურა ხელი, — არ მიყვარს ზედმეტი ლაპარაკი. ჩემს სათქმელს საქმით დაგანახვებ.

— საქმე ლაპარაკის ნაცვლად! — სიმწრით გავიცინე.

— აბა, თუ იცი, რა არის საქმე ლაპარაკის ნაცვლად?

— ჩვენი უმრავლესობის პოლიტდევიზი, — სხარტად ვუპასუხე, წარჩინებული მოსწავლესავით.

— არა, ეს სექსია, — ნიშნის მოგებით მიპასუხა და ჩემი შემცბარი სახე რომ დაინახა, გადაიხარხარა.

— ცუდო! — მკერდზე დავუშინე მუშტები.

— კარგი, წავედი, წინ ბევრი დრო გვაქვს, მერე ვილაპარაკოთ. თათბირზე შევხვდებით, ოღონდ, როგორც თანამშრომლები, ხომ? პირობა პირობაა, იცოდე!

— ვიცი, — უმწეოდ ჩამოვყარე მხრები და ცხვირის წვერი მივუშვირე საკოცნელად.

— და კიდევ... ახლა ცალ-ცალკე წავალთ სამსახურში, ვითომ ერთმანეთი არც გვინახავს. ხომ არ გაგიტყდება? საქმისთვის ასე ჯობს, — მრავლისმეტყველი მზერა მესროლა.

— ასე ჯობს, — მექანიკურად დავმორჩილდი.

კიდევ ერთი თავბრუდამხვევი კოცნა მიწილადა თავისი სასიყვარულო „სცენარიდან“ და წავიდა...

ჩვენი შეხვედრები გაგრძელდა... შედარებით უმტკივნეულოდ... დასამახსოვრებლად ვნებიანად, თუმცა... შესამჩნევად იშვიათად. ხან კვირაში ერთხელ, ხანაც ორ კვირაში ერთხელ თუ შემომივლიდა. მერე კვლავ გარბოდა. მისი ასეთი ვიზიტები სულაც არ მანიჭებდა სიამოვნებას. გამუდმებით სადღაც მიეჩქარებოდა, ყოველთვის გადაუდებელი საქმე და გადაუჭრელი პრობლემები ელოდა. ის თავისი საქმით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე — ჩემით. ეს მაგიჟებდა. მაინც ვითმენდი... რატომ? იქნებ იმიტომ, რომ როგორც დედაჩემი იტყოდა, „ტანგოს საცეკვაოდ პარტნიორია საჭირო?“... თუ მხოლოდ იმიტომ, რომ გონის დაკარგვამდე მიყვარდა?.. ალბათ ამიტომ ვითმენდი, ვითმენდი და... ველოდებოდი... ველოდებოდი, როდის გადაბრუნდებოდა ურემი და გამოჩნდებოდა გზა... გზა, რომელიც ახალ გზას დამანახვებდა.

ურემიც მალე გადაბრუნდა... სწორედ იმ დღეს, როცა ჩემმა გარე ბიძაშვილმა, ჩემმა საყვარელმა ნიკუშამ დედამისის დაბადების დღეზე დამპატიჟა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„არსენას ბიჭი“

მარი ჯაფარიძე

„ჩემთან ჩამოსვლა დაგაგვიანდათ, კარგად ხომ კი ხართ, ჩემო ბებია? ერთხელ მოდით და მომინახულეთ, მე თქვენი ნახვა მომნატრებია. ხომ ყველაფერი განმეორდება, ბუნებას ასე უნებებია, იქნება მაშინ მე შემიბრალოთ, თქვენ რომ გახდებით ბაბუ-ბებია“. ჩემი ნინა ბებოს ამ ლექსით, კიდევ ერთხელ სულთათანას ვეტყვი მის სულს და გავიხსენებ იმ ტკბილად მოსაგონარ ხანას, როცა ბებია „ბაღნობაში მტიებდა მისდღემჩი“. აქვე ვიტყვი, რომ გამაოგნებლად გულდამწყვეტმა ამბავმა შეგვძრა: დიდი ქართველი მამულიშვილი, გია არსენიშვილი გარდაიცვალა და შევეცდები, კიდევ ერთხელ დაგანახვოთ მისი უკეთილშობილესი ბუნება.

ქალაქში ხუმრობა-გამოცანა იყო გავრცელებული: ვინმეს სთხოვდი, სწრაფად დაესახელებინა ნებისმიერი რუსი პოეტი და ნებისმიერი ხილი. ათიდან რვა შემთხვევაში პასუხი იყო „პუშკინი“ და „ვაშლი“, რასაც იშვიათად ცვლიდა „ლერმონტოვი“ და „მსხალი“. მთელი უბანი გამოვკითხე, კარგად ვიხალისე და აჟიტირებული სახლში ბებიას შევუჩნდი:



— ბები, მითხარი ჩქარა ნებისმიერი რუსი პოეტი.

შემომხედა თბილი მზერით.

— რა გინდა, ნენა, გლახად ვარ რაცხა და მერე მკითხე...

რა შვილი, თუ შვილიშვილი მოვეშვებოდი?!

— რაია, ბებო, გენანება? მითხარი ნებისმიერი პოეტი...

ეს არ მომეშვებაო და რომ მოვეცილებინე, მომიგდო:

— ეგნატე ნინოშვილი, ნენა.

— არა, ბებო, რუსი, რუსი უნდა მითხრა, — არ ვნებდები მე.

აქ ბებიას დიდხანს აღარ უფიქრია.

— მაქსიმ გორკი, ნენა.

სიცილი ძლივს შევიკავე და გამოკითხვა გავაგრძელე:

— ხილი, ბებო, ხილი მითხარი და დაგანებებ თავს.

ეჭვის თვალით შემომხედა, ხომ არ მატყუებსო. მერე უტკბილესად გამიღიმა და ნეტარებით ჩაილაპარაკა:

— ლეღვი მიყვარს ნამეტანი...

და ჩემს სიცილზე თვითონაც ახითხითდა, თან „წამომაყვედრა“, ჩვენი ეზოს ლეღვის მურაბას შენც კარგად მირთმევო. მერე გვერდით მომიჯდა, თმა მომიჩეჩა და რუდუნებით შემეკითხა, როის მიხვალ მასწავლებელთანო (იმ ხანებში უნივერსიტეტში ვაბარებდი ერთი საგნით და უეჭველი, უმაღლესი შეფასება მჭირდებოდა) და დაამატა:

— ვინცხა არსენას ბიჭს ახსენებდნენ, ახლა რობერტი სტურუას სიძეაო. მაი რობერტი არა, მარა მამამისი რობერტი, ცხონებულმა ბაბუაშენმა სახლში მეიყვანა და კარგად ვაქეიფეთ. ჰოდა, აი არსენა ვინაა, არ ვიცი, მარა მაგის ბიჭი ყოფილა კომისიის თავმჯდომარე წელს. ბიძაშენიც დავატრიალე, იქნებ მამაშენმაც ქე ქნას რამე, — „წაუსიდედრა“ მაინც, — და იმ კომისიის თავმჯდომარემ უნდა განახოს. იგი მაინც გვითხრას, თუ გიდვანა მაგ გოგრაში რაცხა.

მოკლედ, „არსენას ბიჭი“ ბატონი გია არსენიშვილი აღმოჩნდა და ბებიას აქტიურობით სულ მალე დაბარებული აღმოვჩნდი ბატონ გიასთან. უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში მე და მამაჩემი მივედით. წარმოსადეგი, სიმპათიური მამაკაცი დერეფანში დაგვხვდა, მე აუდიტორიისკენ მიმითითა, ხოლო მამაჩემს სთხოვა, ქვემოთ დამლოდებოდა. რაღა დაგიმალოთ და ველოდი, რომ ამ შეხვედრის შემდეგ დაახლოებით მაინც მეცოდინებოდა, რაზე უნდა გამემახვილებინა ყურადღება და ყველა აბიტურიენტისთვის სანუკვარი ინფორმაციის მიღების იმედით, აუდიტორიაში შევაბიჯე. შევაბიჯე და გავშრი. აუდიტორიის მერხებიდან ოციოდე წყვილი თვალი მიმზერდა და ჩემს დაბნეულობას აშკარად დასცინოდა. გული იმით გავიმაგრე, რომ ისინიც ჩემს დღეში იქნებოდნენ, რამდენიმე წუთის წინ. აუდიტორიაში მეტი აღარავინ შემოგვმატებია. ბატონი გია შემოვიდა და ირონიაშეპარული, საყვედურნარევი ტონით მოგვმართა: ახლა, აქ დღეს პირველად და უკანასკნელად შეგკრიბეთ იმ ხალხის შვილები, ძმისშვილები, დისშვილები, მაზლიშვილები თუ შვილიშვილები (ეს ბოლო არ მესიამოვნა), რომლებმაც თავიც მომაძულეს, ნათესაობაც, სამეგობროც და საერთოდ, ცხოვრება მომაბეზრეს. გადაეცით მაგ თქვენს პროტეჟეებს, რომ აღარ შემაწუხონ. ხომ მხოლოდ ის აინტერესებთ, მიიღებთ თუ არა

ნიშანს მათემატიკაში? მიიღებთ მაგაზე პასუხს! ახლა დაფაზე დავწერ რამდენიმე საკითხს, თქვენ დაიწყებთ ამოხსნას. ჩამოვივლი და გეტყვით, უნდა შემოიტანოთ საბუთები თუ არა.

კარგად მახსოვს, პირველი მაგალითი sinx=π/3. ბატონმა გიამ მალევე გამოაცხადა. ვისაც გიწერიათ x=π/3:sin, ნულარ გააგრძელებთ, ნურც ისინი, ვინც სტანდარტულად ხსნიან ტრიგონომეტრიულ განტოლებასო. რადგან მაგალითი მარტივი ჩანდა, თავს ვიკავებდი რაიმე ჩანაწერისგან. თავზე დამადგა ბატონი გია, რატომ არ ხსნიო? — რაღაც მაეჭვებს-მეთქი. გაიცინა, მარქსიც სულ ეჭვებში იყოო. თეორია თუ კარგად იცი, უცებ მიხვდებიო, დაამატა და ჩამოვლა განაგრძო. ათიოდე წუთში დანარჩენი საკითხების ამოხსნა როგორ გვქონდა დაწყებული, ისიც გადაგვიმოწმა და გამოგვიცხადა, ნაწილს გამოცდაზე შევხვდები, ნაწილი კი მომავალი წლისთვის მოემზადებაო. აუდიტორიიდან შეფიქრიანებული გამოვედი და მანქანაში რომ ჩავჯექი, მერეღა მივხვდი პირველი განტოლების ამონახსნს... თვე-ნახევარში უკვე გამოცდაზე ვიჯექი. საგამოცდო საკითხები რომ ამოვხსენი, რვეული დავხურე. იმდენად გამოფიტული და გადაღლილი ვიყავი, გადამოწმების თავი არ მქონდა. ზანტად წამოვდექი და გასასვლელისკენ დავიძარი.

— აი, კიდევ ერთი, — მომესმა ნაცნობი ხმა, — ისე ზლაზვნით მიდის, ეტყობა, არ უნდა, მაგრამ დარჩენასაც აზრი არ აქვს ალბათ — და დაფანჩული, ხშირი წარბებიდან ღიმილიანი მზერა მომაპყრო, არ ინერვიულოო. შემდეგ ნაწერი გამომართვა, თვალი გადაავლო... გიმუშავია, მარა სხვა საგნებში მზად ხარო? უარის ნიშნად თავი გავაქნიე. აბა, მარტო მათემატიკის იმედად ხარო? თავის ქიცინით დავუდასტურე და უცბად, ბავშვივით გაიხარა, — მივხვდი, მივხვდი, ალბათ ერთი საგნით აბარებო. საგამოცდო ნაწერი ხელახლა გადაშალა, უფრო ყურადღებით გადაათვალიერა. მერე ფურცლები გვერდზე გადადო, წამოდგა და ხელი მაგრად ჩამომართვა, — მომილოცავს, უნივერსიტეტის სტუდენტი ხარო. მერე იყო პირველი სემესტრის სესია და როცა მათემატიკის ლექტორს ჩემთვის პირველი სამიანი უნდა დაეწერა, ბატონმა გიამ შემთხვევით კარი შემოაღო. ბილეთით ხელში რომ დამინახა, გამიღიმა, მერე ლექტორს უთხრა, ნახე, როგორ გიპასუხებს, გაგიხარდებაო. შედეგად, ორკვირიანი, თავაუღებელი მეცადინეობა მერგო, რომ ჩემს ლექტორს გახარებოდა და ფრიადით დავესაჩუქრებინე. ულიბკა“.

ჩათლაშკა, „პრატაკოლში“ შეტანით

„თელავში ღამეა, პოლიციის საპატრულო მანქანით ქალაქში გამოდიან მიხო და მიტო. მოკლედ, ატარებენ მაგარ „შმონს“, ყველას აჩერებენ, იჭერენ ერთ ქალიშვილს და ძალით ტენიან მანქანში. მიხო ეკითხება:

— ვინ ხარ და რას საქმიანობ?

— მარო შავგვრემანაშვილი ვარ, მოდელი.

— ე, მოდელი რა ჯანდაბაა? — ეკითხება მიხო.

— ეგ ისაა, ახალ-ახალ ტანსაცმელს რომ ვიცვამ, პოდიუმზე გამოვდივარ, ხალხს მოდის სიახლეებს ვუჩვენებ და მათ ეს ძალიან მოსწონთ, — პასუხობს მარო.

— გასაგებია, მიტოუ, „პრატაკოლში“ ჩაუწერე, საქმიანობა — ჩათლაშკა, — ეუბნება მიხო.

რამდენიმე წუთის შემდეგ იჭერენ მეორე ქალიშვილს. მასაც მანქანაში ტენიან და მიხო ეკითხება:

— ვინ ხარ და რას საქმიანობ? — თებრო ქვევრიშვილი, ნატურა ვარ. — ე ნატურა რაღა ჯანდაბაა? — კითხულობს მიხო პოლიციელი.

— ეგ ისაა, რომ მე გამოჩენილი მხატვრების წინაშე ვიხდი და ისინი ჩემს სხეულს ხატავენ.

— მიტოუ, „პრატაკოლში“ ჩაუწერე საქმიანობა — ჩათლაშკა, — ეუბნება მიხო.

გადის რამდენიმე წუთი, იჭერენ მესამე ქალიშვილს, მასაც ტენიან მანქანაში და მიხო პოლიციელი ეკითხება:

— ვინ ხარ და რას საქმიანობ?

— ნუნუ ვარ, ჭუჭულაშვილი, „პრასტიტუტკა“, ქაა...

— ე „პრასტიტუტკა“ რაღა ჯანდაბაა? — კითხულობს გაოცებული მიხო.

— ესა, მიხო უფროსო, ისაა, რომ მთელი ღამე ვდგავარ ლამპიონის ბოძთან და თუ ვინმემ მანქანა გამიჩერა, მივყვები სამუშაოდ. გაიგე? — გასაგებია, მიტოუ, „პრატაკოლში“ ჩაუწერე საქმიანობა — „ელექტრიკი“, — ეუბნება მიხო.

ჰოდა, იმ დროს, ცირკთან „ელექტრიკების“ ბუმი რომ იყო და გამვლელ-გამომვლელისთვის მომხიბვლელ ღიმილს არ იშურებდნენ, მათ წინ ავტომანქანა გაჩერდა და მამაკაცმა ყველაზე ნაზი და სხვებთან შედარებით მიმზიდველი „ელექტრიკი“ მიიხმო. „ელექტრიკმა“ დანარჩენ „ელექტრიკებს“ კმაყოფილი სახით გადახედა და უმალვე მანქანაში ჩაჯდა. მამაკაცმა მაშინვე ვაჭრობა დაუწყო, თან ფულით სავსე „ბარდაჩოკი“ აჩვენა. „ელექტრიკმა“ გაიფიქრა, ამდენი ფული აქვს და რას მევაჭრებაო? უეცრად, ერთმა მაცდურმა აზრმა გაუელვა თავში. მამაკაცს მიუბრუნდა და უთხრა: კარგი, იყოს შენ მიერ შემოთავაზებული 50 დოლარი, ოღონდ, კარგ რესტორანში მავახშმეო. მამაკაცი სიხარულით დათანხმდა. 1 ბოთლი შამპანურიც გამოცალეს. „ელექტრიკმა“ მაგიდიდან მანქანის გასაღების აწაპვნა მოახერხა და საპირფარეშოში გასვლა მოინდომა. რამდენიმე წუთში მანქანასთან გაჩნდა, მშვიდად გამოაღო კარი და ასევე მშვიდად ჩააწყო დოლარების „პაჩკები“ ხელჩანთაში. ამ დღის შემდეგ „ელექტრიკობას“ თავი დაანება და ადამიანური ცხოვრება დაიწყო. თავისი ბიზნესი წამოიწყო. დრო რომ გავიდა, აღმოჩნდა, რომ „ყოფილი ელექტრიკის“ ყოფილი კლიენტი მისი მიმწოდებელი ყოფილა. „ელექტრიკმა“ მაშინვე იცნო მამაკაცი. მან კი ვერ იცნო. თუმცა, რას იცნობდა? სად „ელექტრიკი“ და სად — თანამედროვე, დახვეწილი ტანისამოსი და მაკიაჟი... აი, მამაკაცის დანახვისას კი შეაწუხა სინდისმა „ელექტრიკი“ და მისგან ორჯერ ძვირად ჩაიბარა საქონელი. ასე იქცეოდა მანამ, სანამ მოპარული თანხა არ დაუბრუნა. ნუ, ვიცოდი, „ელექტრიკები“ გულკეთილები რომ იყვნენ, მაგრამ არ ვიცოდი, ასეთი კეთილსინდისიერებიც თუ იქნებოდნენ. ლაკვასტი“.

ბებოს მოყოლილი ამბები

გამარჯობა, ძვირფასო მკითხველებო. როგორ ბრძანდებით? ახლა რა ხდება... „გზავნილების“ ახალი ფორმატის წყალობით, მგონი ამბების ხარისხმა მოიმატა. თქვენ ასე არ ფიქრობთ? აბა, კარგად დააკვირდით და მეც მომახსენეთ თქვენი აზრი... ჰო, მართლა, საგარეჯოში ვართ დაპატიჟებული, ყველა ერთად. ვინც მოდის, ხელი ასწიოს და „ვარ“ დაიძახოს. ეს რა შუაშია? „იმ შუაშია“, ბატონო ჩემო, რომ ერთი იქაური, ახალგაზრდა (იქნებ არცაა ახალგაზრდა, ვინ იცის?) მამაკაცია გადაკიდებული, გინდა თუ არა, საგარეჯოში ჩამოდი, იგეთი შეხვედრა უნდა მოგიწყო, ბურჟუაზია ბელად რო არა ღირსებიაო. ჰოდა, გული რომ გამიწყალა და ლამის დამითანხმა, ვუთხარი, აბა, მარტო როგორ ჩამოვალ-მეთქი? კარგი, მაშვინ იმ შენს ჟურნალში გამააცხადე და ვინც წამოა, წამოიდეიო. ჰოდა, „მეემზადეთ“ და წავედით! მანამდე კი თქვენს მესიჯებს გაეცანით, რომელიც ამ კვირაში გამომიგზავნეთ.

სისხლიანი სიყვარული

„ბებო ძალიან ერთგული და ოჯახისთვის თავდადებული ქალი გახლდათ. მეუღლე ომმა წაართვა და მას შემდეგ მის ხსოვნას „ემეუღლებოდა“. ყველაზე ძვირფასი და „განძეული“ ჩვენს ოჯახში ერთი პატარა მუყაოს ყუთი იყო, რომელსაც ბებოს გარდა არავინ ხსნიდა. ამბობდა, შიგ მეუღლის სულიაო. მართლა ცრემლით ხსნიდა და გვეუბნებოდა, მე რომ მოვკვდები, მერე გახსენითო. თითქოს უხაროდა სიკვდილის მოახლოება, ჩემს ლეოს ვნახავო. მართლაც, როცა ამ ქვეყანას ემშვიდობებოდა, ბოლო წუთებში ღიმილი ეფინა სახეზე იმის ნიშნად, რომ ლეოს ნახავდა. გარდაცვალების შემდეგ გავხსენი ეს ყუთი და შიგ წითლად შეფერილ, დალაქულ ფურცელზე დაწერილი წერილი ვნახე. „ძვირფასო ნადია, მე კარგად და ჯანმრთელად ვარ. ომია, მაგრამ შენი სიყვარულითა და შვილებით მაინც ბედნიერი ვარ. მერე წითელი ლაქები ფარავდა ნაწერს და კარგად აღარ ეტყობოდა. შემდეგ წერდა: „მე ომი ფაშისტებთან კი არა, შენს მონატრებასთან უფრო მაქვს“. მერე ისევ არ ჩანდა ნაწერი და მივხვდი, პაპა დაჭრილი წერდა და გამახსენდა, ბებო ამბობდა ხოლმე, იმ ყუთში ჩემი სისხლიანი სიყვარულიაო. თავიდან ვერ ვხვდებოდი და ახლა ნათელი იყო, რასაც გულისხმობდა. ის წერილი დღესაც ინახება რუდუნებით“.

მოლაპარაკე „ჩვილი“

„გამარჯობა, მარი. პირველად გწერთ. ამ წლების განმავლობაში მგონი, თქვენი ყველა გზავნილი მაქვს წაკითხული. ძალიან მომწონს ეს რუბრიკა, რადგან ადამიანი ცუდ ხასიათზეც რომ იყოს, აქ წაკითხული ზოგი ამბავი ძალიან გაამხიარულებს. მე ბებოს მოყოლილ ამბებზე გწერთ. ძალიან ვნერვიულობ (გონში არა ვარ, რატომ). ერთხელ ბებომ მომიყვა, რომ თურმე ბავშვობაში მამაჩემი ძალიან უცნაური ყოფილა. მისი უცნაურობა ის იყო, რომ თითქმის 7 წლამდე ძალიან უყვარდა აკვანში წოლა. რა თქმა უნდა, შიგნით აღარ ეტეოდა და ფეხებს ბოლოში, სპეციალურად მდგარ სკამზე აწყობდა ხოლმე. ერთხელაც, მამაჩემს ტკბილი ძილით სძინავს ამ „ლეგენდარულ“ აკვანში, როდესაც ოთახის კარი მეზობელმა გააღო და ბებოს დაუძახა, სახლში ხარო? მამამ თურმე არც აცია, არც აცხელა, აკვნიდან თავი გადმოყო და დაიძახა, სახლში მარტო მე ვარ, რა მოხდა, ცოტა ხანს რომ დამაძინოთ, ქვეყანა დაიქცევაო? ამის გამგონე ჩვენი მეზობელი სწრაფად გაიქცა სახლიდან. ეგონა, რომ მამას უმცროსმა ძმამ, რომელიც პატარა იყო და შესაბამისად, ვერც ლაპარაკობდა, ენა აიდგა. მგონი, მას შემდეგ ის ადამიანი იქ აღარ მისულა. ნინიკელა“.

იმედგაცრუებული პატარძალი

„ჯერ იყო და, როცა მერი 16 წლის, ნორჩი გოგო იყო და „ჩიტი უფრინავდა გულში“, მშობლებმა აიკლეს, 20 წლამდე არ გათხოვდე, მის მოდგმას უნდა ემონოო, ასეო, ისეო და მერიც თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ქორწინების შემდეგ სიცოცხლე არ არსებობს. მერე, 20 წლის ასაკში მეგობრებმა „შეუჩიჩხინეს“ მერის, ჩვენ თუ გავთხოვდით, რა ხეირიო და ასე მიუკაკუნა მერიმ 30 წელს. მერე უკვე თავადაც აღარ ჰქონდა გათხოვების სურვილი, გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზების გამო. სამაგიეროდ, მერის მამა ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ოღონდ შინაბერად დარჩენილი შვილი როგორმე გაეთხოვებინა და ერთ მის უხეირო, ბავშვობის ძმაკაცს სთხოვა დახმარება. იმანაც პატივი სცა და მერის ისეთი ბიჭი გააცნო, „კარამდე რომ ვერ ენდობი“. რა თქმა უნდა, ამ ამბიდან არაფერი გამოვიდა. მერე 30 წელსაც რომ გადაცდა და საახლობლო „აღარ თხოვდების“ ძახილითაც დაიღალა, გათხოვებაზე ფიქრი დაუჯდა ჭკუაში. ვიდრე მერი მოელოდა, იმაზე ადრე გამოჩნდა ერთი ბერბიჭა. გურამს თავისი გაჭირვება ჰქონდა და რაღამც ამ სიბერის პირას ბედმა გაუღიმა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა და ცოლობა სთხოვა. მერისაც არ დასჭირვებია იმის თქმა, მოსაფიქრებლად დრო მომეციო და ასე და ამგვარად გათხოვდა ქალი. მერი აღფრთოვანებული დარჩა თავისი ახალი სახლით, ძვირფასი ქსოვილის ფარდა ამშვენებდა სარკმელს. ორ-ორი წყვილი „დივან-კრესლო“. ძველებური, კარგად შენახული მაგიდა, სკამებითურთ. პირველი ღამე ნეტარებაში გაატარა მერიმ. ალერსს მოკლებული, ქმართან ნებივრობდა და თან იმაზე ფიქრობდა, რომ ახალ სახლში ყველაფერი ჰქონდა, რაზეც ქალები ოცნებობენ. მაგრამ, ნურას უკაცრავად, მეორე დღეს უცხო ადამიანები „დაესხნენ“ თავს და სათითაოდ გაიტანეს ჯერ „დივან-კრესლო“, მერე — მაგიდა, სკამებითურთ და ბოლოს, სარკმელზე დაკიდებული, ვარდისფერი ფარდაც თან გააყოლეს. ასე დარჩა მერი „გაღიმებული“. ეს ამბავი ბებომ რომ მომიყვა, ეჭვი შემეპარასავით, მაგრამ ამ ზაფხულს მერისთან ვიყავი და თავადაც დამიდასტურა. ლუნა“.

გრძელი ენა

„სიდედრზე მაშინ მოგწერთ, როცა ცოლს მოვიყვან ან სავალალო შემთხვევაში, როცა გავთხოვდები. მანამდე კი მოგიყვებით, რატომ შემარქვეს მჟავე. ასე, 3-4 წლის ვიქნებოდი, როცა ჩემი „პიროვნული სიამაყე“ შარვლის „ზმეიკაში“ გამეჭედა. მე რომ ვერაფერი მოვახერხე, საშველად ყვირილ-ტირილი მოვრთე. შევძარი მთელი კორპუსი. მოცვივდნენ მეზობლები და არიან ორომტრიალში. ცოტა ხანში ჩემი მშველელიც გამოჩნდა — (მამიდაჩემი) და როგორც იქნა, გამათავისუფლეს. მამიდაჩემს მთელი სერიოზულობით ვკითხე: ნარგიზ, შენ საიდან იცოდი მაგის „ზმეიკიდან“ გამოღება? ალბათ შენს თანამშრომლებსაც ეხმარები, ხომ? ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ჩემი სახლი ხარხარისგან აზანზარდა. დღემდე დამცინიან მამიდაჩემის თანამშრომლები. მერე ეს ამბავი მეგობრებს მოვუყევი და ასე დამრჩა სახელი „მჟავე“, მჟავე ხუმრობის გამო. გრძელი ენა მაქვს. მჟავიტო, ფრომ ბათუსი“.

ურჩი

„პატარაობისას თავს გადახდენილი ერთ-ერთი ამბავი გამახსენდა. ხეებზე ძრომიალი ჩემი ჰობი იყო. ოღონდ, ისეთ ხეებზე დავძვრებოდი, რომელთა ნაყოფიც მიყვარდა და რომელსაც ტოტები ჰორიზონტალურ მდგომარე-

ობაში ჰქონდა. ძალიან მიყვარდა ასეთ ტოტებზე თავდაყირა დაკიდება და ნაყოფის მირთმევა. ერთხელ, ჩემი მეზობლის მსხლის ხეს ვესტუმრე. რა ჩემი ბრალი იყო, რომ ეს ხე ჩემს ჭიშკართან იდგა? ჰოდა, მოვკალათდი ჩვეულ მდგომარეობაში, რამდენიმე მსხალს ბოლო მოვუღე და ჭიშკრის ხმაც გავიგონე. თურმე, მამაჩემი დაბრუნებულა ტყიდან. ვცადე, ჩუმად ვყოფილიყავი და არ მეხმაურა, მაგრამ უეცრად ხელიდან მსხალი გამივარდა და მამიკომაც შემნიშნა. სიგარეტი მოიმარაგა და მსხლის ძირში ჩამოჯდა. მელოდებოდა, „ველურობისთვის“ უნდა ვეცემე. ვიმე, ხალხო, იცით, როგორ დავიღალე ხეზე ჯდომით? ხელ-ფეხი დამიბუჟდა, მაგრამ ამის გამო არ ჩამოვსულვარ. უბრალოდ, ძალიან მომწყურდა და იძულებული გავხდი, „ჩამოვქვეითებულიყავი“. არადა, როგორ არ ვიყავი ცემის მუღამზე?! ჩამოვედი, დავუდექი მამაჩემს წინ და ვუყურებ თვალებში. მან ხელი ჩაიქნია და ტყისკენ მიმანიშნა, წადი, მე ხელები დამიბანიაო, რადგან იცოდა, მაინც ვერ გამომასწორებდა. ქაჯების დედოფალი“.

სამაგიერო

„სალამი მარი, შენი წყალობით ვიპოვე შინაგანი სიამე. თან საამურად რთულიც ყოფილა ნაბრძოლის გადმოცემა იმ შეგრძნებით, რომ მრავალი ადამიანი წაიკითხავს... რა მაგის პასუხია და მეგობართან ამოვედი რედაქციაში, თქვენს მეზობლად. სასხვათაშორისოდ პროვოკატორი მოვიკითხე და არც იფიქრო, ან გვარი გითხრა, ან დაგანახვოო, ყველა იმედი გადამიწურა ჩემმა მეგობარმა (თუ მაინცდამაინც ჩამეძიები, შენ გამგვანებ, მე, პირადადო). შენზე მითხრა, სახეზე არ ვიცნობო. მარ, ჩემ შესახებ, აქ რომ გწერთ, ოჯახშიც არ იციან და დავტოვოთ ეს ულიბკა როგორც არის. თუ შეძლებს, გადმოიტანს თავის ფიქრებს ფურცელზე კი არა და, მონიტორზე... გასაგებია, რომ „ხელნაწერები არ იწვის“, მაგრამ ახლა როგორ იტყოდა ბულგაკოვი, „ხელნაბეჭდები არ იშლებაო“? მოკლედ, მადლობელი ვარ, მარი. ეს პრივატმომართვაა და ბოდიში, ასეთი აბდაუბდისთვის. ისე, „მკვდრის აჩრდილთან ვინ იცინის, მკვდრის აჩრდილთან ვინ იხუმრებს“, მაგრამ ბებიებთან დაკავშირებით კი გადამხდა რამდენიმე ამბავი... ახლახან ჩემს ძმაკაცს, ლაშას გარდაეცვალა ლეილა ბებო — უბრწყინვალესი ადამიანი, მაგრამ საქმე რა არის, იცით? სამაგიერო ვერ გადავუხადე ლაშას... მე რომ გარდამეცვალა ბებია, სანამ ბიჭები მოვიდოდნენ, დავაწკრიალებინე და იდეალურად მოვაწესრიგებინე ქალებს ოთახი. ბებია შუა ოთახში დავასვენეთ და სანამ საცხედრეს მოიტანდნენ, თავქვეშ წიგნები დავულაგე (აუ, გავუტიე მგონი). სამძიმარზე მოსულმა მეგობრებმა კაი დედამთილებივით შეამოწმეს სისუფთავის ნორმები, ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვეს და დანაღვლიანებულნი გავიდნენ. მხოლოდ ლაშა შეყოვნდა მიცვალებულის სასთუმალთან, დაიხარა, ქათქათა ზეწრის პირი გაასწორა და რაღაცით კმაყოფილი გავიდა ოთახიდან. კარგა ხანს საეჭვოდ იყვნენ გასუსულები ბიჭები. სამძიმარზე მომსვლელთა რიცხვი რომ გაიზარდა, ლაშა ჩემ სიახლოვეს დადგა და რომელიღაც ნათესავთან, ერთი შეხედვით უწყინარი საუბარი გააბა. ძირითადად, ლიტერატურაზე ისაუბრეს და მოულოდნელად, ლაშა მოტრიალდა და უმანკო სახით შენიშნა: ბებიაშენსაც ალბათ ძალიან უყვარდა ლიტერატურა და წიგნებიო. მივხვდი, რომ რაღაც დოჩანაშვილისეული ავანტიურა მზადდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ლაშამ იმავე ტონით გააგრძელა: ალბათ სიკვდილის წინ „მობი დიკს“ კითხულობდა და იმიტომაც ამოუდე თავქვეშ ეგ წიგნიო. სიცილ-ხარხარი მთელ ჩემს ტანში „დარბოდა“ და გამოსავალს ეძებდა და იპოვა კიდეც, როცა ლაშამ თავისი ტირადა ასე დაამთავრა: შენს ბებიას აუცილებლად ექნებოდა ჩანიშნული, სადაც შეწყვიტა კითხვა და ფსალმუნები ხანდახან ჩაანაცვლე, იმ მონიშნული ადგილებიდანო... მარ, დამათენდა თავზე შენთან საუბარში... მიუტევე ულიბკას“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„გამარჯობა, მე პირველად და უკანასკნელად გწერთ და იმედია, დამიბეჭდავთ. 16 წლის ვარ და 2 წელია, ძმაკაცის შეყვარებული მიყვარს. ვიცი, არც ისაა ჩემ მიმართ გულგრილი, მაგრამ ვერ ვუმხელ ჯერ, რადგან არ მინდა, ძმაკაცს ვაწყენინო და რაც მთავარია, უარის მილების მეშინია. გთხოვთ, მირჩიოთ რამე, არ ვიცი, რა ვქნა. მინდა, მთელი ხმით ვიყვირო: ნინო, მიყვარხარ! მაგრამ ვერ ვბედავ. სპილო“.

„გზავნილების“ ერთგული მკითხველი ვარ და მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ. ერთი ადამიანი შემიყვარდა. აღმოჩნდა, რომ მასაც ძალიან ვუყვარდი. დაბნეული ვიყავი, ვუთხარი, მე მხოლოდ მეგობრად მიმაჩნიხარ-მეთქი. თუმცა, ვატყუებდი. ამის მიუხედავად, მაინც ერთად ვიყავით, ერთმანეთით ვხარობდით, მერე კი ყველაფერი შეიცვალა. მე ჩემი სურვილით დავშორდი, რადგან ქალაჩუნა აღმოჩნდა. ყველაფერს ჩემს დაქალებს უყვებოდა, ეჭორავებოდა, მერე კი ბოდიშებს იხდიდა, მაგრამ აღარ შევურიგდი. ბოლოს, თავის დაფასება დაიწყო, რა მაქვს შესახვეწი. გავიდა დრო. ის ახლა თბილისშია და სწავლობს. მე კი, ყველაფრის მიუხედავად, ნიკა მაინც ვერ დავივიწყე. ანასტასია“.

„საქმე ისაა, რომ გოგო მიყვარს, უკვე 8-9 წელია. 3 წელია, რაც აქტიური ურთიერთობა გვაქვს. ღვთის წყალობით, ჩემი ოჯახი მატერიალურად ძლიერია. მეც კერძო ბიზნესი მაქვს და ვანებივრებ ხოლმე, შეძლებისდაგვარად, საჩუქრებით. ხან სერენადებს ვუმღერი ფანჯარასთან, ხან ძვირად ღირებულ საჩუქრებს ვუძღვნი. თითქოს ერთი შეხედვით, კარგად ვართ ერთმანეთთან, არც ის არის გულგრილი, მაგრამ ცოლად გამოყოლაზე და სიტუაციის გასერიოზულებაზე წავა თუ არა საუბარი, უკან იხევს. არადა, ვიცი, მართლა არ თამაშობს ჩემით. თვითონაც საკმაოდ შეძლებულია. აღარ ვიცი, რა ვქნა, მართლა დამეგლიჯა ნერვები და რამდენჯერმე დავშორდი კიდეც. ვცდილობ, ეკლესიური ვიყო და მოტაცება და გაპარვა არ მინდა. უშენოდ ვერ ვძლებო, მეუბნება და მართლაც ასეა, მაგრამ დრო მინდაო. კიდევ რა დრო უნდა, ვერ ვხვდები. იქნებ ვინმემ რაიმე აზრიანი რჩევა მომცეთ? მინდა კარგი, ლამაზი ქორწილი გვქონდეს და ყველაფერი ლამაზად იყოს, მაგრამ არ მეძლევა ამის საშუალება. ამას ყველაფერს ვუხსნი მასაც, მაგრამ რა ვიცი, მაინც უარს მეუბნება. მარი, არ ვიცი, რატომ გწერ, მაგრამ მართლა დავიღალე რა, ბევრი ლაპარაკი რომ არ დავიწყო, მოკლედ გეტყვით. არც პატარა ბიჭი ვარ და არც იმხელა, რამე დაგვიანებული იყოს ჩემს ასაკში“.

■

ყურადღება! **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „სიყვარულისთვის გაღებული მსხვერპლი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

„მეგობრების შესაძენად ინტერნეტი გამოიყენე“

„მარტოობა დისკომფორტს არ მიქმნის...“

„გზის“ №45-ში დაიბეჭდა ა.შ-ს მესიჯი, რომელიც გვწერდა, — არ მეგონა, თუ თქვენთან დაკავშირება დამჭირდებოდა, მაგრამ თურმე, ვცდებოდიო. „14 წლის ვარ და ერთი მეგობარიც არ მყავს, რათა ჩემი გულისნადები გავუზიარო. ამასთან, დედისერთა გახლავართ. ჩემი მშობლები გვიან შეუღლდნენ და ასე ვთქვათ, მოხუცები არიან. ჰოდა, დედა ვერ მიგებს. ყოველთვის მქონდა ოცნება, მშობელს ჩემთვის გაეგო, მაგრამ...“ დაბოლოს, ა.შ-მ ჩვენს მკითხველს სთხოვა, — მირჩიეთ, როგორ მოვიძიო მეგობრებიო?..

ლიკა ქაჯაია

აურა:

„ჩემო კარგო, დაგეხმარები. შემიძლია, მეგობრობის ხელი გამოგიწოდო და თუ სურვილი გაგიჩნდება, ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი. მჯერა, მალე ბევრ მეგობარს შეიძენ“.

მაკეკი:

„როგორც ამბობ, — დედას ვერ უგებ, მეგობარი არ გყავს. ჰოდა, იქნებ შენშია პრობლემა? მეგობარს ძებნა არ სჭირდება, ჩემო კარგო, 20 წლისამ სრულიად შემთხვევით ვიპოვე ასეთი ადამიანი. მჯერა, შენც შეხვდები ისეთ პიროვნებას, ვინც ნამდვილ მეგობრობას გაგიწევს“.

კუსა:

„რადგან არც ერთი მეგობარი არ გყავს, ალბათ, შენშია პრობლემა... იყავი მხიარული, თანატოლებს სადმე წასვლა ან რაღაც ეგეთები შესთავაზე. მერწმუნე, თუ ხალხს აგრძნობინებ, რომ მათთან მეგობრობა გინდა, შენთან ურთიერთობის სურვილი აუცილებლად გაუჩნდებათ. წარმატებები! P.S. ამ ჟურნალის აქტიური მკითხველი ვარ. ძლივს მოვიცალე და მოგწერეთ. მოკითხვა რუისპირს და მისტერს“.

გადარეული:

„აბა, რა გითხრა? ცოდო ხარ. ვერ წარმომიდგენია, ადამიანმა მეგობრის გარეშე როგორ უნდა იცხოვროს. თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე ნომერზე: 8(98) 39.34.11 და ვიმეგობროთ. P.S. მგზავნელებო, ვისაც ჩემი გაცნობის სურვილი გაქვთ, თქვენთან ვარ“.

თიკუნა:

„მეც 14 წლის ვარ და მეგობრებთან პრობლემებიც ბევრჯერ მქონია, მაგრამ მათ გარეშე ნამდვილად არ დავრჩენილვარ. შემიძლია, შენთანაც ვიმეგობრო. დამეკონტაქტე“.

რუისპირი:

„თუ სხვა რამეშიც ისეთი გემოვნებიანი ხარ, როგორიც ნიკის არჩევაში, მაშინ არ მიკვირს, რატომ გრძნობ თავს მარტო. ამ ყველაფერს მეორე უკიდურესობა — მოხუცი მშობლების ყოლით გამოწვეული კომპლექსიც ემატება. დროა, შეიცვალო! მოდი, ასე მოიქეცი, სასწრაფოდ გადადი ახალ სკოლაში, მშობლებს დაელაპარაკე და შეეცადე, მათ აუხსნა, რომ შენთვის, შენი განვითარებისთვის ეს აუცილებელია. სასწრაფოდ შეიცვალე იმიჯიც: ვარცხნილობა, ჩაცმის სტილი, ლაპარაკის მანერა! სამაჯურები აისხი, ყური 2-3 ადგილას გაიხვრიტე, შარვალი დახიე, ტუჩზე ბზინავი საცხი წაისვი და რაც ყველაზე მთავარია — გაიღიმე! გაიღიმე ახალი კლასელის უაზრო ხუმრობაზე, კომპლიმენტი უთხარი ნაცნობს, ახლობელს, მასწავლებელს; ხანდახან „შატალოს“ ინიციატორიც გახდი, მასწავლებლებს ნერვები მოუშალე და ნახავ, რამდენი მეგობარი გეყოლება. არც ეცადო, ვინმე სადმე მიპატიჟებით მოიშინაურო, თავი არ მოიტყუო!.. P.S. იმიჯში ცოტა გემოვნებიანი ცვლილებები შეიტანე, მთლად კოლექტივის კამეჩს არ დაემსგავსო“.

ვარინჩო-1:

„უმეგობროდ ყოფნა ძალიან ცუდია და მართლა მესმის შენი. მე 15 წლის ვარ. იმედია, ერთმანეთს გავუგებთ. თუ ჩემთან მეგობრობა მოგინდება, ამ ნომერზე: 8(58) 26.04.62. მომწერე“.

აკო:

„სიამოვნებით დაგიმეგობრდები! მართალია, არ მიცნობ, მაგრამ იცოდე, კარგი მეგობრობა ვიცი. დამიკავშირდი ნომერზე: 8(98) 32.85.89“.

იკუშკები:

„ჩემო კარგო ადამიანო, მეგობრების შესაძენად მზა რეცეპტი არ არსებობს. მეგობრობა, სიყვარულის მსგავსად, გულიდან მოდის. ახლა ისეთი ასაკი გაქვს, რომ ყველაფერი რთულად გეჩვენება. მეც დედისერთა ვარ, მაგრამ მარტოობა დისკომფორტს არ მიქმნის. ამბობენ, — ინტერნეტით და მობილურით ნაპოვნი მეგობრები იდეალურები არიანო. სიმართლე გითხრა, არ ვიცი, ეს ამბავი სიმართლეს შეესაბამება თუ არა, მაგრამ იქნებ სცადო და მეგობრები ამ გზით მაინც შეიძინო. წარმატებები!“

NEW GIRL:

„ძალიან უცნაურად მეჩვენება ის ფაქტი, რომ 14 წლის გოგოს მეგობარი არ გყავს. ალბათ, პრობლემა შენშია. მეგობრების გარეშე გავაფრენ“.

ტყის მეფე:

„კომპლექსები მოიხსენი და ცხოვრებას საღი თვალით შეხედე. არა მგონია, ძალიან ბებერი დედა გყავდეს. ასე რომ, ეცადე, დაელაპარაკო და ალბათ, ერთმანეთს გაუგებთ კიდეც. მეგობრები რომ არ გყავს, ამის გამო ნუ ნერვიულობ. არაა აუცილებელი, 14 წლის გოგოს 25 დაქალი გყავდეს. სწავლას მიხედე, ნამდვილ მეგობრებს კი მერეც შეიძენ“.

ბუსუ:

„სამწუხაროდ, მეგობრობა ყველას არ შეუძლია. ხელს ნუ ჩაიქნევ, ყველაფერი კარგად იქნება. თუ რამით შევძლებ დახმარებას, შენ გვერდით მიგულე“.

ნინუცა:

„გამარჯობა. მეგობრის მოძებნა მართლაც, რთულია. მე მაგალითად, გვიან მივხვდი, ნამდვილი მეგობარი ვინ იყო და ვინ — არა, ამისთვის ბევრი დრო დამჭირდა. ეცადე, ადამიანებს შენი ხასიათიდან გამომდინარე დაუახლოვდე. P.S. დღეს ჩემი საუკეთესო მეგობარი ჩემივე ნათლულია. წარმატებები!“

ატარეძსია:

„ჩემო კარგო, ვერც განუგეშებ და ვერც რჩევას მოგცემ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ან სად უნდა მოიძიო მეგობრები. პირადად მე, 21 წელია, ერთგულ ადამიანს ვეძებ და ვერ მიპოვია. თავად ცხოვრებამ უნდა შეგახვედროს ნამდვილ მეგობარს — თუ გაგიმართლა, რა თქმა უნდა! ერთი ბრძენი კაცის სიტყვებს მოვიშველიებ: წარმოიდგინეთ, რამდენად იშვიათი რამაა ნამდვილი სიყვარული, ნამდვილი მე-

გობრობა კი გაცილებით იშვიათად გვხვდებაო. ასე რომ, იმედი გქონდეს, — იმ იღბლიან ადამიანთა სიაში შენც იქნები, ვისაც ნამდვილი მეგობრობის ბედნიერება არგუნა განგებამ“.

ლუნა:

„არც კი ვიცი, რა გითხრა, რადგან უმეგობროდ ცხოვრება საშინელებაა. ნუთუ, ერთ კლასელთან მაინც არ მეგობრობ? დედისერთა გოგონები ცოტა თავისებურები არიან და შეიძლება, ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ სხვებს ვერ უგებ. უფრო გულღია უნდა იყო, გარშემო მყოფების მიმართ სითბო გამოიჩინე და სხვებიც თბილად მოგეპყრობიან. მეგობრის არჩევისას დიდი სიფრთხილე გმართებს, ყველას ნუ მიენდობი. ისეთი ამხანაგის ყოლას, რომელიც ზურგს უკან გაგჭორავს, სჯობს, სულ არ გყავდეს. ღირსეულ ადამიანთან დამეგობრებას გისურვებ! გკოცნი!“

მჟავე:

„შენი წერილი ძალიან პრიმიტიულია. რატომღაც, შენნაირ ადამიანებთან ხშირი ურთიერთობა მაქვს და ვაღიარებ, განსაკუთრებული აზროვნება გაქვთ. ასე რომ, რჩევის ნაცვლად შემიძლია, მეგობრობა შემოგთავაზო. იცოდე, თავი არ „დაიგრუზო“. მერწმუნე, პრობლემები ბევრს გვაქვს, თანაც — „გარაზდა“ უარესი“.

მიმი:

„14 წლის ასაკში ნამდვილი მეგობარი არც მე მყავდა, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. ასე რომ, ცხოვრება წინ გაქვს, არ ინერვიულო“.

ანი:

„ჩემო კარგო, ვერ ვხვდები, მეგობრებს რატომ ვერ პოულობ. თუ ვინმესთვის გულისნადების გაზიარება მოგინდება, შემეხმიანე ნომერზე: 8(58) 13.12.64“.

მიკა:

„თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე და ერთ-ერთი იმათგანი ვიქნები, ვინც მაგ პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარება. ნურაფერს განიცდი. მთავარია, მოინდომო და ყველაფერი გამოვა... მომწერე“.

ლოვჩიკა:

„უფ, ძალიან მეცოდება ადამიანი, რომელსაც მეგობარი არ ჰყავს. მეცოდება იმიტომ, რომ დარდს, რომელიც აწუხებს და რომელიც ღრღნის, გულში ინახავს. სიმართლე გითხრა, ნამდვილი მეგობრის პოვნა ძალიან ძნელია... კი, მაგრამ კლასელები ხომ გყავს? თან, ალბათ დედას ძალიან სტკენ გულს იმის გამო, რომ მოხუცს ეძახი. შეუძლებელია, შენ გარშემო არ იყოს ადამიანი, რომელთან მეგობრობასაც ვერ შეძლებ... მაგრამ მგონი, პრობლემა შენშია — სხვებთან შენივე ხასიათის გამო ვერ მეგობრობ. თუ გინდა, სამყარო შეიცვალოს, თავადვე უნდა შეეცადო და საკუთარ თავში რაღაცები შეცვალო. P.S. ეგოისტი ნუ იქნები და ყველაფერი მოგვარდება“.

დათუკა:

„ამ ნომერზე: 8(98) 13.44.16. მომწერე და ჩათვალე, რომ ერთი გულითადი მეგობარი უკვე გყავს“.

პეჩიტა:

„ჩემო კარგო, არა მგონია, მეგობრობაზე ვინმემ უარი გითხრას. კარგად დაფიქრდი, იქნებ მიზეზი შენშია... ადამიანებს მიენდე, ნუ იქნები გულჩათხრობილი. P.S. პირადად მე, ამან კარგი ვერაფერი მომიტანა“.

უცნობი:

„მთელი ცხოვრება წინ გაქვს. მეგობრების შესაძენად შეგიძლია, ინტერნეტი გამოიყენო. აბა, ჰე, წარმატებები!“

ვახუნცუნა:

„თუ ბიჭთან ურთიერთობის საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, შემიძლია, ძალიან დიდი მეგობრობა შემოგთავაზო და მხარში შეძლებისდაგვარად ამოგიდგე. 8(98) 17.69.97 — ამ ნომერზე შემეხმიანე“.

ქუთაისელი:

„მთავარია, იმედი არ დაკარგო და აუცილებლად გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელიც მეგობრობას გაგიწევს“.

დიკა-დუკა:

„მეგობარი რა ძნელი მოსაძებნია? საამისოდ უამრავი საშუალება არსებობს: „ოდნო“, „სკაიპი“... ნუ, თუ ინტერნეტით არ გინდა, მაშინ კლასელ გოგონებს დაუახლოვდი (ცნობისათვის, მე ახლაც ვდაქალობ კლასელებთან); თუ მათაც ვერ უგებ, არც ამაზე იდარდო — მოვა დრო, როცა კარგ მეგობარს შეიძენ. მერწმუნე, უვარგისს და ბევრს ერთი, ნამდვილის ყოლა სჯობია. დედასაც უნდა გაუგო. მერწმუნე, შვილისთვის ყველა მშობელს კარგი უნდა. წარმატებები!“

დიანა, 16 წლის:

„გამარჯობა. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი რუბრიკის ერთგული მკითხველი ვარ, პირველად გწერთ. მეც იგივე პრობლემა მაწუხებს, რაც თქვენს 14 წლის რესპონდენტს. მინდა, მასთან ვიმეგობრო, მისი გასაჭირი გავიზიარო... ჩემო კარგო, თუ ჩემთან მეგობრობას მოისურვებ, მოხარული ვიქნები“.

უცნობი:

„დედაზე ასე როგორ ლაპარაკობ? შესაძლოა, ის მოხუცია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შენსავით უმეგობროდ არ უცხოვრია. თუ შეეცდები, სხვებს გაუგო, შენც გაგიგებენ და შეგიყვარებენ“. ■

„ყველაზე და ყველაფერზე ვეჭვიანობ...“

სალო:

„გამარჯობა. მინდა, დახმარება გთხოვოთ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძალიან ცუდად ვარ, თავს მარტო ვგრძნობ, ყველაზე და ყველაფერზე ვეჭვიანობ; ჩემი აზრით, არავის ვუყვარვარ. ჰოდა, ზოგჯერ მინდა, ამ ცხოვრებიდან გავქრე, ამქვეყნად საერთოდ არ ვარსებობდე, რადგან მიმაჩნია, რომ ყველას ვაწუხებ, ყველა ჩემზე ლაპარაკობს და ჩემკენ იშვერს ხელს. არ ვიცი, საკუთარ თავს როგორ ვუშველო. იქნებ, თქვენ მირჩიოთ რამე“.

„არ ვაკოცე და... დამშორდა“

დანდურა:

„გამარჯობა, ლიკა. არ ვიცი, ამ მესიჯს დამიბეჭდავთ თუ არა, მაგრამ მაინც, იმ იმედით გწერთ, რომ დამეხმარებით. მყავდა შეყვარებული. ჩვენ თითქმის ერთი წელი, ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, ერთმანეთს ვუგებდით და ვენდობოდით, მაგრამ ერთ დღეს მთხოვა, მისთვის მეკოცნა, — ერთხელ მაკოცე და თუნდაც, უკანასკნელადო. ვუთხარი: არ მინდა, ჩვენი ურთიერთობა გარყვნილებაში გადაიზარდოს; მინდა, პირველად ჩემმა ქმარმა მაკოცოს, შენ კი ჯერჯერობით, მხოლოდ შეყვარებული ხარ და არ შემიძლია-მეთქი. ამის შემდეგ ვგრძნობდი, რომ ჩემ მიმართ გულგრილი გახდა, იმ დოზით აღარ მაქცევდა ყურადღებას, როგორც მანამდე; რატომღაც, საჩხუბარი და საკამათო არ ელეოდა. ჰოდა, ერთხელ რაღაც სისულელის გამო სერიოზულად ვიჩხუბეთ და დავშორდით. მერე თავისი სურათები დავუბრუნე და ვთხოვე, — ჩემი ფოტოები და ჩანახატები მომიტანე-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა: ის სურათები და ჩანახატები მე მეკუთვნის, ჩემთან იქნებაო (ვერ ვხვდები, ეს ყველაფერი რად უნდა?)... მას შემდეგ 6 თვე გავიდა და ამ დროის მანძილზე ერთხელაც არ შემხმიანებია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 2 კვირის წინ დაბადების დღე მომილოცა. P.S. ლიკ, გთხოვ, დამიბეჭდე. იქნებ, მგზავნელებმა მაინც მითხრან, რატომ მომექცა ასე საშინლად ან დაბადების დღე რატომღა მომილოცა? ეს რას უნდა ნიშნავდეს, ნეტავ? რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას, ღმერთმა დაგლოცოთ“.

P.S. მაშ ასე, თუ სალოსა და დანდურას წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ ექიმი, მხიარული, ბინით, მანქანით, აგარაკით. დამირეკოს თბილისელმა, უზრუნველყოფილმა, ინტელიგენტმა მამაკაცმა, 37 წლის ზემოთ.

2. გთხოვთ, დამაკავშიროთ მე-16 ნომერს, „გზა“ №44-დან.

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-დან 48 წლამდე ასაკის, სერიოზულ პიროვნებას. ვარ 40 წლის, 172 სმ. სიმაღლის, საკმაოდ სიმპათიური, სამუშაოთი და მანქანით. ბათუმი. უზრუნველყოფილი.

4. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №44, მე-9 მესიჯის ავტორის ნომერი.

5. ტრადიციული, ქართული ოჯახის შექმნის მსურველი, 38 წელს გადაცილებული მამაკაცი თუ კიდევ შემორჩით, დაუკავშირდით უმშვენიერეს ქალბატონს. იქნებ სწორედ ისაა, ვისაც ეძებდით?

6. ვეხმაურები „გზა“ №43, მე-8 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ტელეფონის ნომერი. წინასწარ გიხდით მადლობას.

7. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ ყველაფრით უზრუნველყოფილ, სიმპათიურ, ყურადღებიან მამაკაცს. ვარ 37 წლის, სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონი.

8. გავიცნობ მხოლოდ ლამაზი მომავლისა და ოჯახის შექმნისათვის. ვარ 28 წლის, განქორწინებული, იმერელი გოგო. შემეხმიანოს ჩემი შესაფერისი.

9. გამარჯობა! მინდა გავიცნო სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი, 20-დან 25 წლამდე. ვარ ლამაზი, უბრალო ადამიანი.

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-45 წლის, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ განათლებული, ეკლესიური, სასიამოვნო გარეგნობის. არასერიოზულები ნუ გამომეხმაურებით.

11. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №45, 21-ე მესიჯის ავტორის პირადი ნომერი.

12. გთხოვთ, გაიმეოროთ ბაჭიას სმს კიდევ და განცხადებას დაურთოთ, რომ გართობის მიზნით ნუ დამიკავშირდებიან. გმადლობთ. პატივისცემით, ლიკა.

კაცები

13. ვარ 35 წლის, განათლებული, სიმპათიური და მოსიყვარულე მამაკაცი. ვისაც ერთხელ არ გაგიმართლათ, სცადეთ მეორედ, მომწერეთ, იქნებ ახლა მაინც გვეშველოს რამე.

14. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №46, მე-7 მესიჯის ავტორის საკონტაქტო ნომერი.

15. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №46, 1-ლი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

16. მოგესალმებით ყველას, გთხოვთ მომცეთ 45-ე ნომერში გამოქვეყნებული, მე-4 მესიჯის ავტორის ნომერი. წინასწარ მადლობა.

17. ვისაც უნდა კარგი და სიმპათიური ბიჭი გამომეხმაუროს. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

18. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33-37 წლის ქალბატონს, საღად მოაზროვნეს, მეოჯახეს, სულით მდიდარს! გამოგზავნეთ ფოტო, მმსით. ვარ 40 წლის, ვცხოვრობ მარტო. მომწერეთ 8-სთ-ის შემდეგ. გია.

19. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან ქალს. სერგო.

20. ვარ 45 წლის. გავიცნობ სერიოზულ ქალბატონს, ჯერ მესიჯებით.

21. გამარჯობა, პირველად ვგზავნი თქვენთან სმს-ს. ვარ სიმპათიური ბიჭი. სერიოზული ურთიერთობისთვის მინდა გავიცნო კარგი გოგო.

22. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №46-ში გამოქვეყნებული, რიგით 1-ლი გოგონას ნომერი. გმადლობ. მერაბი.

23. გთხოვთ, მომწეროთ 46-ე ჟურნალის, მე-5 განცხადების ავტორის ტელეფონის ნომერი.

24. ვეხმაურები „გზა“ №43, მე-2 მესიჯის ავტორს. ვარ უცოლო, 29 წლის. გთხოვთ, მომწეროთ ნომერი.

25. გთხოვთ, მომცეთ 43-ე ნომერში, მე-2 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. წინასწარ გიხდით მადლობას. ნიკა.

26. ვეხმაურები „გზა“ №45, 1-ლი მესიჯის ავტორს. ვარ 45 წლის, უმაღლესი განათლებით, ცოლს გაშორებული. გთხოვთ მისცეთ ჩემი ტელეფონის ნომერი. გელოდებით.

27. გული მაქვს გაბზარული. ვეძებ სიყვარულს. თავს ვგრძნობ მიტოვებულად. ვარ პოეტი. მაქვს მზარდი შემოსავალი. ვეძებ ქალიშვილ (ვფიქრობ, იშვიათია) საცოლეს. ერეკლე დეისაძე.

28. გამარჯობა მარი, გთხოვ, პირველი მესიჯის ავტორის ნომერი მომეცი.

29. ვეხმიანები ვნებიან კრისტის. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი. რა იცი, რა გულით უნდა გოგოს დახმარება.

30. 46-ე ნომერში გამოქვეყნებული, 1-ლი სმს-ის ავტორს: მეც ასეთ მდგომარეობაში ვარ. მომწერე.

ვეძებ

31. მე ნინო ვარ, ვეძებ ბიძაშვილებს, ზაურ ხეცურიანის შვილებს, რომლებიც გურიაში ცხოვრობენ. და-ძმაა, სავარაუდოდ, 38-43 წლისანი. თუ გეცნოთ, შემეხმიანეთ, გელოდებით.

32. ელისო რომანის ასულ დავაძეს ვთხოვ, გამომეხმაუროს და დამირეკოს. ან მისი მშობლები, რომანი და ეთერი შემეხმიანონ. ათენიდან, დიდი სიყვარულით, ნათლია, ციალა მაკარიძე.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

სხვადასხვა

• მარი, გთხოვ, დამიბეჭდე. კაცმა ლომი მოარჯულა, დაამსგავსა კატას ვეფხვი, ნიანგს ბურთი ათამაშა, დათვს მოაჯდა, ვითა ცხენი, სხვა რამდენი სასწაული მოახდინა კაცმა ბევრი, მაგრამ მგელი ვერ მოთოკა, მგელი მაინც დარჩა მგელი. ამ ცხოვრებამ ჩვენც რამდენჯერ გვტანჯა ავი კაცის ხელით, ეს ცხოვრება მგელობაა და ჩვენც მიტომ გავხდით მგლები. ეძღვნება ჩემს ძმას და მასთან ერთად ვინც ზის, მათ. ბიჭებო, „სვაბოდას“ გისურვებთ. თხლაშუნა, ეს მე ვარ, ჯაჯიკო.

• ამდენი იდიოტური მესიჯის წერას, არ ჯობია, რამე ადამიანურზე და ღირებულზე წეროთ? ილინ, მე თუ ის მოკრძალებული სურვილები ავისრულე, მერე ნახე ფრთების გაშლა. მიკა.

• მე ისტორიის პედაგოგი ვარ და ახლა ათენში ვიმყოფები. როგორ გამახარა „გზის“ 44-ე ნომერში ლაკვასტის მესიჯმა. გაიხარე, ასე კარგად რომ იცნობ შენს ქვეყანას და არ ჰგავხარ ბინძური ენის მგზავნელებს. მარინა წ.

• ნაპერწკალ, დიდი მადლობა, მიპატიჟებისთვის, მაგრამ ჩემი თავის ამბავი რომ ვიცი, უცხო ტერიტორიების ათვისება ცუდად მაქვს დაცდილი. გაიხარე! რუისპირი.

• მე ველოდები მას, თბილს, მომტანს იმედის, მინდა მალე ვნახო ის, ფანჯრიდან ჩემი ოთახის. ჩურჩულებს, შრიალებს, ბნელა, ფოთლები ემატება გზებს, მინდა გაანათოს მალე, მე ველოდები მზეს. ანიკა. გამარჯობა, მარ, ალბათ იტყვი, რა შუაშია ეს ლექსი „გზავნილებთან“ ან ამ კვირის თემასთანო, მაგრამ ისიც ვიცი, მიჩვეული ხარ გზაბნეული მგზავნელების გზავნილებს. ჰოდა, მეც მათ შორის, ყველაზე გზაბნეულმა, ჩემი ფიქრების რამდენიმე სიტყვით გადმოცემა ვცადე. ანიკა.

• მარი, დიდი მადლობა, რომ მესიჯი დამიბეჭდე. მადლობა მინდა ვუთხრა მემეს, ღამაზი სიტყვებისთვის. გაიხარე, ჩემო კარგო, მეც ემიგრანტი ვარ, იმერელი გოგო.

• გოჭი, მიყვარხარ, მენატრები და მჭირდები. თუ შენზეა ყველაფერი დამოკიდებული, დაგვიბრუნდი რა, ჩემთვის ყველაფერი ხარ, ბარტყი... თქვი უარი სხვა დანარჩენზე.

• ძალიან მომწონს „გზავნილები“, ისტორიის ლაბირინთები და ქველმოქმედება! ძალიან გამიხარდება, თუ დამიბეჭდავთ. P.S. ხომ არ იცით, მოკრიცას რა ჰქვია ქართულად?

• 030, როგორ ხარ, სიხარულო? ვინერვიულე, რომ არ დარეკე. რა აღარ ვიფიქრე ბაჩი, ზაზა რომ შემოვიდა, ცოტა დავწყნარდი. დათომაც დარეკა. შენ არ რეკავ. გავგიჟდი სიხარულო, უკვე აღარ მინდა ამდენი ნერვიულობა. მართლა დავიღალე. რა უთხარი ასეთი ზაზას, ზედმეტად დაფიქრებული და თავაზიანი რომ ჩამოვიდა? ბაჩი, როგორ მომენატრე, იცი? შენც მოგენატრე, ვიცი, სიხარულო. მამა მყავდა ექიმთან წაყვანილი, ვერ არის კარგად. სახე აქვს საკმაოდ შეშუპებული. ზის ერთ ადგილზე გაუნძრევლად, დალაპარაკებაც ეზარება. რომ დამინახავს, იმ წუთას შენს ამბავს მკითხავს. დედა მგონი ჩემზე მეტად გჯავრობს. ქოთნის ყვავილმა ბევრი ირბინა, მაგრამ უშედეგოდ. შენელებული სვანია, გამაგიჟა. ბაჩი, დათი დამყავს რუსულზე, დათოს დედასთან. არ ვემდური, კარგი ბიჭია, არ მაწვალებს. ცდილობს, არ მაწყენინოს. მძიმე არ ასწიოო, არ ინერვიულოო და ასე მარიგებს, დედას. პატარა კაცი გარეთ ველარც ასწრებს გასვლას, სულ ერთად ვართ, მეფერება საოცრად. თაკო მუშაობს. სხვა რა მოგიყვე? ვართ ასე უშენოდ. ეეჰ, მე რა ვქნა უშენოდ, სიხარულო? რამდენი რამ მინდა გითხრა ბაჩი, არა უშავს, გავუძლებ, უფალი არ გაგვწირავს. გაკოცე ძალიან ბევრი. გაუფრთხილდი თავს, მჭირდები ბაჩი, მე კარგად ვარ, სიხარულო. არ გეწყინოს, ასე ცოტა რომ მოგწერე. შენ ყველაზე კარგად იცი, მე როგორც ვარ. უშენოდ ყოფნა რა არის ჩემთვის. ბაჩი, ზოგჯერ ისე მენატრები, სიკვდილიც კი მინდა.

• ღორმუცელავ, იმ დღეს რომ გნახე, მივხვდი, რომ შენ სულიერად უფრო ძლიერი ხარ, ვიდრე მე. ძალიან ვარ გადაღლილი. შორენამ მითხრა, უნდა გნახოო, საბუთებზეც მითხრა. ერთგულად ვმუშაობ, ნეტავ შეგეძლოს იმისი გაგება, მე რას ვგრძნობ, როცა იქ მოვდივარ. ტკივილი მიახლდება და სიცოცხლე აღარ მინდა. დედას რაც შეუძლია, მეხმარება, შენს ამბავსაც ძალიან განიცდის, სხვა ახალი არაფერია, ჩემო კარგო, მე როგორც ყოველთვის, მენატრები. ახლა, როცა ამას გწერ, ისე ვარ, რომ სიცოცხლეც კი არ მინდა... როგორც შევძლებ, მოვაგვარებ, შენ იცი ჩემი სამუშაო გრაფიკი, არ მინდა სამსახური დავკარგო, შემპირდნენ, უფრო მაღალხელფასიანზე გადაგიყვანთო.

• დე, გული გამისკდა, რომ ვერ გნახე. ზუსტად 12 საათზე მოვედით ჩვენ. ნელიკო და დათოც იყვნენ, ოთო, ბეგი, ბესო, გიგი და ჩვენ გარეთ ვიდექით. ინგას დავურეკე და კახას ეტყვის. გკოცნი ბევრს.

• მოგესალმებით ყველას... აი, უკვე რამდენი ხანია, ვკითხულობ „გზას“ და მარი, შენს ყველა რუბრიკას. რუისპირი ძალიან მაგარი ადამიანია ნეგრო.

• საღამო ხანად, დოლიძის ქუჩით, შემოგხვდები და მოგართმევ სალამს; თავს მომიჩეჩავ პაწია მუჭით, ხელს ჩაიქნევ და დაჰყვები ქალაქს. მაკვარანცხო, გელი, ჩუდო ჩელოვეკ.

• ულიბკა, ღმერთმა არ მოგაკლოს ღიმილი, როგორიც მე მაჩუქე დღეს. იბედნიერე და იმრავლე, რათა თესო ის ულევი სითბო და სიყვარული, რასაც უანგაროდ ასხივებ. პარიჟანკა.

• დათ, ნეტავ თუ კითხულობ, რასაც გწერ? გამაგებინე, მამაოს დაბარე. თაკუნამ გამოცდები კარგად ჩააბარა. საგზაო ნიშნებსაც სწავლობს, შენი ხათრით. :)) მენატრები. ვეცდები, რომ გნახო როგორმე. რაღაც გზა ხომ არსებობს, არა? პირადად უნდა დაგელაპარაკო. ასე მგონია, საუკუნე გავიდა. შენი იმედი მაქვს, ყოჩაღად იყავი! დათ, ძაან გთხოვ, გამაგრდი. ჩათვალე, რომ ესეც დიდი გამოცდის ნაწილია და ყველაფერი კარგად იქნება. ყველა შენ გვერდით ვართ. ძაან მიყვარხარ.

• თავი კიშლევსკის ფილმის გმირი მგონია, ოღონდ იმ ფილმის, რომელიც ჯერ არ გადაუღია. არ მეგონა, ცხოვრებაში აბსურდის თეატრში თუ მომიწევდა მონაწილეობა.

• ჩემო პატარა მეგობარო, ქაჯების დედოფალო, მე 30-ს გადავაბიჯე, შენ? რა გქვია, ახტაჯანავ? და კიდევ, დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ქ-ნ. ნანი დუმბაძეს. მიყვარხართ ყველა. ნიტა.

• ყივჩაღს ძმამ ველოსიპედის ტარება ასწავლა! ისიც დაჯლიგინებს, ჭკუაზე არაა. :) ძილის წინ მითხრა, მამა რა კარგი ბიჭია, ველოსიპედი რომ მაჩუქაო. ღამის პირველი საათია. ყივჩაღი რომ იძინებს, მერე გწერ ხოლმე, თორემ ის არ მაცლის არაფერს. ნეტავ, თუ გღვიძავს? ძაან მენატრები. ძლიერად იყავი, გკოცნი.

• მააარ მაგარი ცუდად ვააარ :(.

• ახალი ვარ და რომ რამე იყოს, მიმიღებთ? ჩუპი.

• ბავშვებოოო, მეგობრობა მინდა თქვენთან, ბევრი კარგი ადამიანია როგორც ჩანს, ჩათში. :) პროვოკატორი თინეიჯერი.

• ძალიან მინდა თქვენთან მეგობრობა და თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შემეხმიანეთ. ახალი ვარ და მიმიღეთ თქვენს გუნდში. :) თუ არ დამიბეჭდავთ, ე.ი. უარი მითხარით. არადა, მართლა გულით მინდა, მეც თქვენსავით მგზავნელი გავხდე. გიუუა1.

• სალამი ყველას. მე ახალი ვარ. იმედია, მიმიღებთ. ვარ სპორტსმენი (საქართველოს ჩემპიონი, ბაიდარკაში) გოგო. მინდა თქვენი გაცნობა და თქვენთან მეგობრობა. ჰოკერა.

• ზაფხულის იმ ცხელ საღამოს ჰაერში სიცხის ორთქლი რომ ადიოდა, ზღვის პირზე გოგონა იჯდა, სათითაოდ იღებდა კენჭებს და წყალში ყრიდა. გვერდით ლუდის ბოთლი ეგდგა და ნელა წრუპავდა. მისი გული ისეთი გატეხილი იყო, როგორც ძირს დანარცხებული შუშის ნამსხვრევები, რომელიც აქეთ-იქით ისე გაიფანტა, რაც უნდა ეცადათ, ვერ შეძლებდნენ შეგროვებას. ნეტავ იწვიმოს... ნეტავ ცამაც ისე იტიროს, როგორც მე ვტირი... თითქოს ამას ელოდაო, ლურჯ ცაზე შავი ღრუბელი ჩამოწვა. წვიმდა, წვიმდა და თანაც როგორ?! გოგოს კი უხაროდა. ბუნებაც ხომ მასავით იყო, მოიარა მთელი ქალაქი, უნდოდა, მოზღვავებული ენერგია დაეხარჯა... მერე? მერე იყო მუსიკა, ხალხი და ამ ხალხში არეული ის ერთი, სველი გოგო. ასე არასდროს უცეკვია, თითქოს არავინ იყო, მხოლოდ გოგო და მუსიკა... შორს მოციმციმე შუქი და ამ შუქთან მდგარი ბიჭი, რომელიც მისთვის გულებს ხატავდა. კვდებოდა ნატკენ გულში ჩარჩენილი სიყვარული და მის ადგილს ახალი, წრფელი გრძნობა იკავებდა. მერე? მერე იყო მომავლის შიში, გულისტკენის შიში. გოგო წავიდა... ბიჭი? ბიჭმა მხოლოდ 4 სიტყვა დააწია — შენ ჩემი გული გატეხე... SCARLET.

• ამდენი კარალიოკი, ამდენი ქვევრი, ამდენი ვირი არსად მინახავს. არც ამდენი ჯოოო გამიგონია. კახეთში ვარ, ერთ მიყრუებულ სოფელში და ისე მომეწონა აქაურობა, რომ მტოვებენ. ფიფქია.

• მზეს მე ვეძახი ბედნიერებას, ბედნიერებას — სითბოს, სიკეთეს. მთვარე რატომღაც მელანქოლია, თვალებდახრილი

ვერ გაიღიმებს. განა სუყველას ასე ჰგონია? მე მას სიბნელის იმედად ვხედავ, გზას გაგინათებს, კვალში დადგება და არაფერი დაგიშავდება. როცა შეგიპყრობს შენ რომანტიკა, შესვი აგავის ჭიქა ტეკილა. მთვარეს ახედე მერე გულდასმით და სწორი დასკვნა შენ ბოლოს დასვი. მართლა გგონია ის მელანქოლი? და მზესთან ფიქრობ ის არის ნოლი? შენ ცდები კარგო, გეშლება ახლა, მთვარე არ არის ნაკლები მზესთან. მზეს მე ვეძახი ბედნიერებას, მთვარეს — წყვდიადის გამნათებელსა. ტირიფი73.

• ქ-ნო ნანი დუმბაძე, თქვენმა სმს-მა სული ამიფორიაქა, იშვიათი თავმდაბლობით და ყველას მიმართ სიკეთითა და სიყვარულით გამოირჩევით. მიყვარხართ! ქაჯების დედოფალი.

• მარიშკااااა, რატომ არ დამიბეჭდე ჩემი ბავშვობისდროინდელი თავსგადახდენილი, კურიოზისმაგვარი? მერე ხომ დაბეჭდავ? გკოცნიიიით. ქაჯების დედოფალი

• ნაომი ხარ თუ ოცდაშვიდსართულიანი წყევლა, ახლა კარგად მომისმინე: შენთვის არაფრის მოწერას აღარ ვაპირებდი და აწი, ტორნადოსა და ცუნამის თავიდან აცილება რომ შეეძლოს ჩემს შენს მიმართ მოწერილ სმს-ს, მაინც აღარ მოგანიჭებ ჩემი მესიჯის წაკითხვით გამოწვეულ სიამოვნებას! ეჭვი მაქვს, გული ჩემ გამო კი არა, ვიღაც-ვიღაცების აღგზნებადობის დაკმაყოფილების შედეგად გამოწვეული, შემდეგი პერიოდის გამო გერევა, მაგრამ როგორც კი ვიხსენებ, როგორი სექსუალურად დაუკმაყოფილებელი და ამ პრობლემის გამო ულვაშდაწკეპილი იდიოტიც ხარ, ჩემი ნაფიქრის სისულელეში თავადვე ვრწმუნდები. ახლა კი, თუ გინდ გული აირიე, თუ გინდ აივნიდან გადმოხტი, მე დაბლა დავდგები და... P.S. ყველას ბოდიში, მაგრამ მუტანტი მე მიწოდეს და არა — თქვენ. :) P.P.S. ნაომი, მორჩი საჯდომით კაკლის მტვრევას, ჩაქუჩი არსებობს მაგისთვის. რუისპირი (YELLOW).

• თეთრო, დუდა, მეგგან, უფროსო დაიკო ქუთაისიდან და ჩემო დიდო ძამიკო ოლეგარიო, გაიხარეთ თქვენ, ჩემი გახარებისთვის! როდესაც „გზას“ ვკითხულობ და რომელიმე თქვენგანის თბილ სიტყვებს ვისმენ, გული სიხარულით მევსება ხოლმე და ვერ აღგიწერთ, როგორ მიხარია! ჩაგებღაუჭეთ და ჩაგსანსლეთ! თქვენი, ყვითელთმიანი მუტანტი რუისპირი (YELLOW). მგზავნელებო და სრულიად ქართველებო, ყველას (დაგვიანებით, მაგრამ მაინც) გილოცავთ, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს! უფლის წყალობას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ, თითოეულ თქვენგანს! უფალს თითოეული ჩვენგანის, თითოეული ქართველის ბედნიერებას და გაღიმებულ სახეებს ვთხოვ! გამძლეობას გისურვებთ! რუისპირი (YELLOW).

• ქაჯების დედოფალო: გაიხარე, მეც ძალიან გამიხარდა შენი ხმის გაგონება. მე უფრო მიყვარხარ. :) კლეოპატრა, მეც მოგიკითხავ, პოეზიის დედოფალავ, მიყვარხარ გულში... ლაკვასტი.

• დუდა, უღრმესი მადლობა, კარგო ადამიანო. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს. რუისპირს მოვიკითხავ. ჩვენ შორიდან ვიცნობთ ერთმანეთს. :) ლაკვასტი.

• ქალბატონო ნანი, მაპატიეთ, რომ ვეღარ გეხმიანებით. არადა, დაგპირდით, დაგირეკავდით. ამ დანაპირებს აუცილებლად ავასრულებ. ძალიან მიყვარხართ და გეხუტებით. ლაკვასტი.

• ულიბკას: მოგიკითხავთ უდიდესი პატივისცემით, მადლობა, ჩემ მიმართ ყურადღებას რომ იჩენთ. ძალიან მომწონს თქვენი აზრიანი ნაწერები. უფლის შემწეობით იარსებეთ. ლაკვასტი.

• ფლამიიიი, სად დამეკარგეეეე? მიყვარხარ, მომენატრე. ლაკვასტი.

• ოოლ, გაიხარეეე. მაგრად, მაგრად, მაგრად, მაგრად მიყვარხაااااარ. კამ-კამა.

• რა გინდათ რუისპირთან? არაჩვეულებრივი, ზრდილობიანი და საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდაა. მე მომწონს. რუი, ჩემი კამ-კამა გული გენაცვალოს შენ. კამ-კამა.

• თქვენი ნებართვით, ვაგრძელებ ორი ბედკრული, ზღვაზე წასული და წყალს დანატრებული მგზავნელის ამბავთა ციკლს: თქვენი მონამორჩილნი, რუისპირი და ელენე, ვისხედით, ბათუმის აყროლებულ ზღვას გარიდებულები, სარფის „პრიალა“ წყლის სანაპიროზე და ველოდებოდით, როდის „მოვიდოდა“ ზღვა ჩვენთან! როგორც ელემ აღნიშნა, ტალღა მხოლოდ ფეხის თითების დასველებით შემოიფარგლებოდა და მერე უკან ბრუნდებოდა. როგორც იქნა, დაიძრა, ჩვენს ენაზე რომ ვთქვა, „ხოშიანი“ ტალღა ჩვენკენ და... ილინი, მეხუთე სასოწარკვეთილი დიასახლისივით წამოხტა, ხელები წითელი ჯვრის ლოგოსავით გადააჯვარედინა და ინდური ფილმის გამხმოვანებლის ხმით შეჰყვირა: ცოტა ნელა რა, გეხვეწები! :) აი, მაგ დროს კი მე დამემართა დასამართავი. არ ვიცი, ძლიერი ტალღის დარტყმის შედეგად გამოწვეული ტკივილის გაქარწყლება გვინდოდა თუ მუცლის ამოხეთქვა, მაგრამ ფაქტია, არასდროს დამავიწყდება 99%-ანი გაშიშვლებით მოძრავი ელენე, თურქეთის საზღვართან. :) არასდროს დამავიწყდება „სინის“ გამო გაღებული მთელი ჩვენი ავლადიდება და ხალხით გადაჭედილი პლაჟის გავლა დაჭრილი საზამთროთი სავსე „პოდნოსებით“, შეძახილით: აბა, კარგი, ცივი საზამთრო, განვადეებით! :) არასდროს დამავიწყდება, ავტობუსის კარის თავში დარტყმის შედეგად გამოწვეული ხმაური და ილინის გამალებული კამათი ადგილობრივ მცხოვრებთან, მაღაზიის აბრის სიგრძის თაობაზე. :) არც ის უორიგინალურესი, უგემრიელესი ინგრედიენტებისგან დამზადებული „ზაგარნი“ დამავიწყდება არასოდეს! :) P.S. თქვენ დამცინეთ და უკვე გავამზადე „კრუშკა“, თავისი „კიპიტელნიკითურთ“. P.P.S. ავტობუსის თავში ტყვლეპას კი არასდროს კი არა, ვერასდროს დავივიწყებ. რუისპირი (YELLOW).

• მის რეალ, გამიხარდა შენი დაბრუნება. მაგარი ადამიანი ხარ და მაგრად მიყვარხარ. ფიფქია.

• ყრუდ ქვითინებენ წმინდა სანთლები, ყრუდ ქვითინებენ და ჩემსავით უხმოდ ტირიან, შემომყურებენ ნაღვლიანი ცრემლიანი თვალები, თუ რა ძნელია მარტოობა, მათაც იციან. კოლოთო.

• სულ ცინცხალი ამბავია, დღეს გადამხდა: წყლის ასავსებად ვიყავი წყაროზე. ჩემს ამბავში ვარ და ვიღაც ბიჭი მომიახლოვდა, აქ რამე თუ ჩამოივლისო (ბრატო)? დაელოდე და „მარშრუტკა“ ჩამოივლის-მეთქი... მერე ძაღლზე მკითხა, თუ იკბინებაო? რო რამე, უკვე გიკბენდა-მეთქი... ეტყობა, ჩემი მამაკაცური მიუკარებლობა მოეწონა და წასვლის წინ მკითხა, შემთხვევით მარტო ხომ არ ხარ სახლშიო? იმდენად არ ველოდი, რომ თავიდან მაგრად დავიბენი, მერე კი ალფავიტზე ვაგინე. ბებიაჩემს რომ მოვუყევი ეს ამბავი, გაბრაზებულმა მითხრა, ყველაფერი სააკაშვილის ბრალია, აბა სტალინის დროს ვინ გაგიბედავდა ეკითხა, სახლში მარტო ხარ თუ ჯარი გყავსო? სულ შემაძულეს სოფელში ასვლა. მჟავიტო.

• მარორიტა, როგორ ხარ? მგზავნელებო, თქვენ? ფლამინგოს, ლაკვასტს, SWEET GIRL-სა და გადარეულს თბილი სალამი ჩემგან. გადარეული გავიცანი, ნუ, არა უშავს. :) ქაჯების დედოფალი.

• მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა, გატეხა და დაახვია, რუისპირო, შენი თავი ვინმემ ხომ არ ამახია? ეს ისე, ლაითად, რა. კამ-კამა.

• მადლობა გამოხმაურებისთვის, ამას ველოდი კიდეც. არა იმიტომ, რომ მე ვარ ძალიან ნიჭიერი და კარგად დავწერე. ეს ამბავი თავისთავად ჰპოვებდა ბევრში გამოძახილს. მინდა მჯეროდეს, რომ მომავალში ყველაფერი მეტნაკლებად კარგად იქნება, მაგრამ ამ ეტაპზე ძალიან მიჭირს. არასდროს ვიყავი მატყუარა, მაგრამ ახლა ელემენტარული, პატარა სიცრუეც კი სამუდამოდ შემძულდა და მისი მთქმელებიც. ყველა ის ადამიანი, ვისაც შეუძლია სიმართლე მითხრას, იმალება, მე კი ამის გარეშე მოსვენება დავკარგე. ალბათ უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, მაგრამ რაც დრო გადის, გადმოცემით და სხვადასხვა გარემოების მიხედვით, მისი ცოლის მოყვანის ვერსია ჯერჯერობით აბსურდად რჩება. ისიც ვიცი, რომ არ ჰგავს იმ ბიჭს, რომელმაც ძველი სიყვარული დაიბრუნა და სადაცაა, გაბედნიერდება. რაც შეეხება სოფის ნათქვამს, მე აქამდეც ქრონიკული უნდობლობით გამოვირჩეოდი ყველას მიმართ, თან უმიზეზოდ, ბევრი არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, ახლა მეტი სასოწარკვეთილებაა და თან დავრწმუნდი, რომ იმაზე მეტი ჭკუა და უტყუარი ინტუიცია მქონია, ვიდრე მეგონა. რაც შეეხება მე-2 მესიჯის ავტორს, დიდი მადლობა კეთილი სურვილებისთვის, მაგრამ ამ ეტაპზე არავისზე ფიქრი არ შემიძლია. მიუხედავად იმისა, რომ გარშემო მყოფთა თვალში ყოველთვის მისაბაძი, ჭკვიანი გოგოს შთაბეჭდილებას ვტოვებ, რომელსაც ყველა რჩევას ეკითხება და მეც სულ გონებით მიღებულ გადაწყვეტილებებს ვცემდი პატივს, ვხვდები, რომ გრძნობის გარეშე, მხოლოდ მოვალეობისა და აუცილებლობის გამო ოჯახს ვერ შევქმნი. მიუხედავად იმისა, რომ არასდროს ყოფილა ჩემს ირგვლივ ზოგადად სიყვარულის დეფიციტი, მაინც სულ მეტი მინდოდა. როცა ძალიან გიყვარს, მაშინაც კი გიჭირს მისთვის ბევრი რამის დათმობა და პატიება, უსიყვარულოდ კი — მით უმეტეს. ნები-

სმიერ შემთხვევაში, ამ ადამიანთან ურთიერთობამ შემცვალა, ადრე ჯიუტსა და თავნებას კომპრომისზე წასვლა მასწავლა, მიმახვედრა, რომ იდეალურები არ არსებობენ. ადამიანი უნდა მიიღო ისეთი, როგორიც არის და არ ეცადო დაჟინებით მის გადაკეთებას, რადგან მწარე იმედგაცრუების დიდი შანსია. თუ რამეს ვერ ეგუები, უნდა გაეცალო. სხვა გზა არაა. მოკლედ, მე ახლა უბრალოდ სრული სიმართლე მწყურია, რომელიც ისე გამიძვირდა, რომ... „ადამიანობა და სინდისი არ მომცემს იმის უფლებას, რომ მოგატყუო, შენთან სიმართლით ვერაფერს გავხდი და ტყუილით რას მივაღწევ, თუ ასე მოვიქცევი, მაშინ კველაზე უსინდისო ადამიანი ვიქნები მთელ მსოფლიოში. გთხოვ, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ და გული არ ვატკინოთ“. აი, ამონარიდები მისი მესიჯებიდან. ბოლოს კი გურამ ფანჯიკიძის ფრაზით დავამთავრებ: „ნუთუ შეიძლება, ბოროტება ასეთი ლამაზი იყოს?“ იმედია, თავი არ მოგაბეზრეთ. მარი, წინასწარ გმადლობთ. პატივისცემით, „გათამაშებული ტრაგედიის“ ავტორი.

• ქაჯების დედოფალი გავიცანი კარგი ადამიანია. გადარეული. კიდევ გავიცანი სკარლეტი. მგზავნელებო, ყველანი კარგები ხართ. აბეწვ ჭიქას, ვიტყვი ისევ ლამაზ სიტყვას, ადგეს ვინც სვამს, სიყვარულზე სიტყვა ითქვას. გადარეული.

• ყველა კითხვას აქვს პასუხი. მთავარია, კითხვა დასვა სწორად. გასაგებია? გადარეული.

• ხშირად რომ მხედავთ ასე დარდიმანდს და ყველაფრისგან მოცლილს, იცოდეთ ყველამ, ჩემი დარდი მაქვს... და ჩემი ჟამი ლოცვის... როგორ ხართ, მარი და მგზავნელებო? იხარეთ. 9717.

• გამარჯობა მარი. გული მტკივა. ხშირად ვუყურებ ჩემთვის ძვირფას ადამიანს თვალებში, მაგრამ მთელი სამყაროსი მეშინია, მე მისი სიყვარულის უფლება არასოდეს მქონდა. მ.გ.

• ძალიან მიყვარს „გზა“. ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ მეც მაქვს ერთი სურვილი. ერთი და იგივე ხალხმა გარეკანზე თუ სტატიებში უკვე დამღალა (ან დაგვღალა). გთხოვთ, გაითვალისწინოთ. პატივს ვცემ ყველას, მაგრამ არ შეიძლება ასეც. რაც არ მეორდება და ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ, ეს „პროვოკატორია“ და ძველო მგზავნელებო, დაბრუნდით, რა იქნება. მიკა.

• გამარჯობა მარი, როგორ ხარ? ცოტა ძნელი დასაჯერებელია, თან შენგან, რომ წერ, არ ვიცი, ულიბკა ვინ არისო. შენ ხომ ყველა ძველ მგზავნელს პირველივე მესიჯიდან ცნობ? გრუზინკა.

• შალვა ბაციკაძეს: ძვირფასი ლექსი მომწერე, ჩვენო კეთილო შალვაო, შენი ნიჭით რომ მანცვიფრებ, ამას არ უნდა მალვაო. მადლობა ყურადღებისთვის, გული სავსეს გაქვს დარდითა, ნეტავ შემეძლოს, შენ სოფელს, რუსს წავართმევდი ძალითა. ძმაო გამაგრდი, გამრჯელსა, რამდენ რამ დაგითესია, იმედს გთავაზობ, მოთმენას, ყველაზე უკეთესია! ბატონო შალვა, წერეთ ლექსები დარდს გაგიქარწყლებთ, ხომ იცით, სიტყვა ადამიანის სულისა და გულის მელოდიაა. ჯანმრთელობას გისურვებთ. ნანი დუმბაძე.

• ჩვენი საყვარელი ჟურნალი „გზა“ ყველაზე მაღალტირაჟიანი ჟურნალია, საქართველოში. ამიტომ, მკითხველს ვთავაზობ ანდაზებით გაშაირებას. ანდაზა ხალხის სიბრძნის გამომხატველია, რომელიც ქართული მეტყველების ლაზათსა და სიმდიდრეს შეადგენს. ვინ იცის, ვის, სად, როდის, ჩემი მოწოდებული ანდაზა გამოადგეს. 1. ეგრე არა ჰქნა ხუცესო, საქმე არა ჰქმნა უწესო, თორემ ეგ შენი ნაქნარი, შენს შვილიშვილებს უწევსო! 2. ეგ მეც ვიცი, რომ ერთი — კაი კაცის სახელი დარჩება ქვეყანაზე და მეორეც, ავისაო! 3. რას იზამ, ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა — კაკალიც არაო! 4. ეს იმიტომ, რომ წუთისოფელი მექუდეა, ზოგს მოხდის, ზოგს ხურავსო! 5. ამიტომ ერთი ეგონა კირკიტას, კრიტიკაცა და ინტრიგაც! 6. იმიტომ რომ ყველა გლახას დიდი გული აქვსო! 7. ასეა, შენი ჭირიმე, ხეს ნაყოფით იცნობენ, კაცს — ჭკუითაო! 8. ამაზე იტყვიან, კაცს კაცობა უნდა ჰქონდეს, თორემ ულვაში კატასაც აქვსო! 9. ამიტომ გირჩევ, ძალიან მაღლა ნუ აიწევ, მაღლა ცა არისო! 10. რადგან დაგჭედენ და მერე იძახე, არა ვარ აქლემიო! 11. მეც გაფრთხილებ, ჭკუა ხანში კი არა, თავშიაო! 12. მე კი გირჩევ, თუ ჩემი თავი გინდაო, იყავ ყოველთვის წმინდაო! 13. რა სიწმინდეზე ლაპარაკობ? სასამართლოში ქათამზე რომ ჩიოდე, ინდაური ხელში უნდა გეჭიროსო! 14. რა საჭიროა ქრთამი, ვისი ენაც ჭარტალია, მისი ყველა მართალია! 15. მაგრამ შენ მაინც ახლოს მყოფი მეგობარი გერჩიოს, შორს მყოფ ძმასაო! 16. რას ბრძანებ, ახლოს ვარ, წვერსა მგლეჯავ, გაგშორდები, რა იქნები! 17. ყველა თავის თავს დააკლებს, სხვისი ორმოს მთხრელმა თავისი ზომა ორმო მოთხარაო! 18. რაღა გაფრთხილება გინდა, რა ტოტზეც ზიხარ, იმ ტოტს ჭრას ნუ დაუწყებო! 19. არა ბატონო, იმისთანა შიში დაიქცეს, მეწისქვილეს რომ ვერ უთხრა, მსხვილად ფქვავს, წვრილად დაფქვასო! 20. მაგრამ შენ მაინც კარგი ჰქენი, ქვა დადევი, გაივლი და წინ დაგხვდებაᲐ! 21. რას ლაპარაკობ ადამიანო, კაცმა კაცს ვენახი აჩუქა, იმან კი ყურძენიც არ აჭამაო?! 22. იმ საცოდავს ისე მოსვლია, თვალი რამ გამოგთხარა და ჩემმა სიკეთემაო! 23. უმადურებს რა გამოლევს, ერთი კაცი სხვაგან დაითრო და თავის მარანს ეხვეოდა, შენი ჭირიმე, შენ დამათვრეო! 24. მკვეხარებიც ბლომად გვყავს, კოდალავ, შენ სულ ეგრე აკაკუნებ, მაგრამ შენი გაკეთებული ხარატულები მაინც ვერა ვნახეო! 25. გაუმაძღრები? მღვდელს ჰკითხეს: ქალი გირჩევნია, ქადა, ქათამი თუ ღვინოო? ქალმა ქადა და ქათამი მარანში მომიტანოსო! 26. თევზმა თქვა, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო! 27. მინდა დავძინო, ის ხუმრობა შევარცხვინე, რომელიც სანახევროდ მართალი არ იქნებაო! ნანი დუმბაძე.

• ემიგრანტო, უდიდესი სიყვარულით მოგიკითხავ, ჩემო კარგო, სითბოთი და სიყვარულით სავსევ. მოუთმენლად ველი შენს დაბრუნებას სამშობლოში. ნანი დუმბაძე.

• მგზავნელებო, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე, ვინც ინგლისური იცით. ჩემი სუსტი წერტილი ისაა, რომ სკოლაში გერმანულს გვასწავლიდნენ, იმ დროს გერმანულის მასწავლებლები ჭირდა და ჩვენმა მასწავლებელმა იმდენი იცოდა, რაც ჩვენ. ასე რომ, მხოლოდ „ანა უნდ მარტა ბადენ“ — „ანა და მარტა ბანაობდნენ“ ვიცოდით. ესაა ჩემი უცხო ენის განათლება. კურიოზი ისაა, რომ „ხუთოსნებს“ ყველას გერმანულში ხუთები გვეწერა. რუსული კი, გიყვარდეს. ისეთი კარგი მასწავლებელი მყავდა, გიმნაზიადამთავრებული, უკეთესი ალბათ არ არსებობს — ეკატერინა ნიკალაევნა ეპიტაშვილი. აცხონოს ღმერთმა. ჩემი ინსტიტუტიდან მადლობა გამოუგზავნეს, პერსონალურად. დღესაც მეამაყება ეს ფაქტი. გთხოვთ, მესიჯი რუსული შრიფტით მომწეროთ. ინგლისურს ვერ ვკითხულობ. იმასაც კი ვერ ვიტან, ზოგიერთი მგზავნელი ჟურნალში ინგლისური ნიკით რომაა. ქართულ ენაზე მდიდარი ენა არ არსებობს, ზოგჯერ ძალიან მომწონს თქვენი მესიჯი, მაგრამ კომენტარს არ ვაკეთებ იმის გამო, რომ ნიკი ინგლისური გაქვთ. აბა, თუ შეგიძლიათ, მითარგმნოთ, რომელ ენაზეც გინდათ ისე, რომ ორი ან სამი სიტყვა არ მოიშველიოთ, ეს სიტყვაა გენაცვალე. ჟურნალში ვერ ვიტან ინგლისურენოვან ნიკებს. ჩვენს ენას რა შეედრება? გიყვარდეთ ჩვენი ენა ქართული. ნანი დუმბაძე.

• სევდიანო ქალო, ბოდიშს გიხდი, პასუხი რომ დაგიგვიანე. ძალიან მახარებს შენთან დამეგობრება. გკოცნი, ნანი დუმბაძე.

• მე დავკარგე მუზები, ოთახში მყავს ბუზები! ჩიტმა დამასკინტლა ქუდზე, ხასიათზე დავდექი ცუდზე, სამაგიეროდ გადავაგდე „მაჩალკა“ და ვიყიდე საკაიფო „კაჩალკა“! თუ მოგბეზრდათ ყავა, სჯობს დალიოთ ლავა, კუჭში კარგად გავა! მე არ ვითხოვ ტაშებს, მადლობები კარგბაყვება ნაშებს! არ მომწონს ანგარიში ნიჩია, მეზობელმა მირჩია, არ მეჭამა ჩიჩია, ნეტავ ეგ ხორცია თუ გირჩია? დაიმახსოვრეთ: ადამიანი ძუნწი, იმსახურებს „უოპაში“ აარტყა ყურძნის ყუნწი! ბევრმა დაკარგა სიცოცხლე, სპორტში რალი, გეფიცებით, მართლა ვნახე პლეხანოვზე ულვაშებიანი ქალი. თუ შემოგელეწათ ოთახის ჭაღი და შემოგესიათ მძიმე ფიქრების დაღი, გასამხიარულებლად გადაუწვით უჟმურ მეზობელს ბაღი ან დაუჯღაპნეთ კედლები და ომის ვეტერანს დაუმალეთ მედლები! გოგო შემომივიდა ინგლისურზე ქერა, უმალვე შევწყვიტე წერა, გავამძაფრე სმენა, მომინდა მისი ტუჩის კბენა, გამიჩნდა უდიდესი სურვილი, დამეკმაყოფილებინა მისი ლოყის ლოკვის წყურვილი! P.S. პუტინმა რომ შეგვიტია და ბევრი გმირის სული იმ ქვეყნების გიდებს რომ ატანა, მას დასიზმრებოდეს ჩანგლიანი სატანა! :) მამრის ღირსება სასტავია ეგ და მისი ხროვა, პანჩურს ამოვარტყამდი, ვითარცა მყრალი ნაგვის გროვას! ისე, ნეტავ რა ჩემი საქმეა პოლიტიკაზე ყბედობა? დეკემბრის 27-ში მაგრად უნდა გავერთო, რადგან დღესასწაულს ჰქვია.....? P.P.S. ღლაპობისას ენამოჩლექით ბაბუაწვერას (ან ბებიაწვერას) ვეკითხებოდი: დარჩი ჩემთან, ასე მალე რატომ მიქრი? იცით, მახალისებს ამ უაზრობების მოგონებაზე ფიქრი! ცუდ ხასიათს ყოველთვის სიცილით ვკლავ, თუ არ დამეზარა, მოგწერთ ალბათ კვლავ! მისტერ.

• ვეხმაურები „გზის“ 45-ე ნომერში დაბეჭდილი სტატიის, — „გათამაშებული ტრაგედია“, ავტორს. ჩემო კარგო, მე არ ვიცი ვინ ხარ, მაგრამ დამიჯერე, შენი ახლა ისე მესმის, როგორც შენს არც ერთ საუკეთესო მეგობარს. შენმა ნაწერმა სულით ხორცამდე შემძრა. მე „გზის“ მუდმივი მკითხველი ვარ, უამრავ ტკივილს, სიხარულს თუ დარდს ვიზიარებდი აქ დაბეჭდილს, მაგრამ არასოდეს გამჩენია სურვილი მომეწერა. ახლა კი ვამსხვრევ ამ დუმილს და წერას ვამჯობინებ. მეც დაახლოებით იგივე ამბავი გადამხდა თავს, მხოლოდ მისგან განსხვავებით, ჩვენ ერთმანეთი 5 წელი სიგიჟემდე გვიყვარდა. არ ვიცი, რომელი ღამაზი წუთი, წამი თუ დღე გავიხსენო ჩემს ცხოვრებაში, ერთად გატარებული. გარკვეული გარემოებების გამო ჩვენ ერთმანეთს დავშორდით მრავალჯერ, თუმცა ამჯერად სამუდამოდ. ახლაც მახსოვს მისი ბოლო ჩახუტება, ტკივილით, სიხარულით, სიყვარულით თუ სინანულით სავსე. მაშინ ვერ გავარკვიე ეს რა იყო, მაგრამ მან ჩემს დაბადების დღეზე ცოლი შეირთო. არ შემიძლია გადმოგცე ის ტკივილიანი წუთები და ცრემლებში გატარებული რამდენიმე თვე. ერთია, როცა ამბობენ, ღამე მითევია მის გამოო, მაგრამ სულ სხვაა ნამდვილად გათენებული ღამეების სიმწარე. საშინელი დასასრული სჯობს, უსასრულო საშინელებასო და მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ საბოლოოდ დამესვა წერტილი ყველაფრისთვის და საკუთარი თვალით მენახა ეს დაუჯერებელი სინამდვილე. მე მის ქორწილში ამოუცნობი გრძნობითა და ფიქრებით დაჯილდოვებული სტუმარი ვიყავი, რამდენიმე წუთით. სწორედ მაშინ ვიწვნიე იმ სიტყვების შინაარსი „როგორ აუხდა ჩემი 5 წლის ოცნება სხვას“, დაუმსახურებლად. მას მერე ჩემი ცხოვრება დუმს. თავდაყირა დამიყენა მთელი ცხოვრება, დავკარგე ადამიანების მიმართ ნდობა, გავბოროტდი და საკუთარ მეგობრებსაც კი ჩამოვშორდი, რადგან არ მინდოდა, ჩემი შინაგანი ტკივილი ვინმესთვის გადამდები ყოფილიყო. ჩემში ყველაფერი ადამიანური მოკვდა. მას შემდეგ მივყვები ცხოვრების დინებას და არ ვიცი, საით გამრიყავს. ხელი ავიღე მომავალზე, ოჯახზე, შვილებზე. თუ არა ის, მაშინ ვინ, სხვა? ეს კითხვა დღემდე თავს მახსენებს. ის დღეს ჩემით არის ავად, მირეკავს, ცდილობს მნახოს, მაგრამ არ გრძნობს თავს დამნაშავედ. დღეს გვერდით მყავს მამაკაცი, რომელიც არის საუკეთესო თვისებებით ღვთისგან დაჯილდოვებული, სუფთა, კეთილი და სათნო, არაჩვეულებრივი მეგობარი და ყოველღამე ღმერთს ვთხოვ პატიებას, რომ არ შემიძლია მისი შეყვარება. თუმცა ის იმავეს განიცდის ჩემ მიმართ, რასაც მე განვიცდიდი ერთ დროს და მიმაჩნია, რომ არ მაქვს უფლება, მივატოვო, გული ვატკინო. ცხოვრებაში დგება თურმე მომენტი, როცა საკუთარი თავის გარდა სხვაზეც უნდა იფიქრო. მინდა გითხრა, რომ დრო ყველაფრის მკურნალია ამქვეყნად. მაპატიე, თუ აგაღელვა ჩემმა მონაწერმა, მაგრამ არ შემეძლო, არ მომეწერა. მაპატიე... ღმერთს ებარებოდეთ.

• მოგესალმები, მარი, მგზავნელებო და მკითხველებო, ემოციურად დატვირთული კვირა მაქვს. ჯერ იყო და ეთო გავიცანი, ტელეფონით და ძალიან მესიამოვნა. შემდეგ ქალი ცდუნება, კუტრინა, მოვიკითხავ დიდი სიყვარულით, დღეს კი ქალბატონი ნანი დუმბაძე, კეთილშობილი ადამიანი, იმხელა სიხარულს განვიცდი, საუბრის დროს, ვინ იცის, არეულადაც კი ვესაუბრე. საუბრის დროს ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ვიყავი. ისეთი უშუალოა, მოგიკითხავთ, ქალბატონო ნანი, ღვთიურ ძალასა და გამძლეობას გისურვებთ. ასევე მოვიკითხავ ჩემს ფლამინგოს, კლეოპატრას, ედელვაისს, გრუზინკას, ლინას, გადარეულს, 9717-ს, ტირიფი73-ს, ჯაყისმანელს, გიუპოეტას და ყველა მგზავნელს. თუ ვინმე გამომრჩით, მაპატიეთ. სიყვარულით, ლაკვასტი.

• ნაომი, ისე დარწმუნებით ეძახი მისტერს დორბლიანს, ეჭვი მაქვს, ხანდახან წინსაფრად გადაიქცევი ხოლმე. შენ თუ ნაომი ხარ, მე კლაუდია ვყოფილვარ, შიფერი. ჰა-ჰა-ჰა... რუისპირი.

• სიდიადე შურს ბადებს, შური სიძულვილს იწვევს, სიძულვილი კი სიცრუეს შობს. ალბუს პერსივალ ვულფრიკ ბრაიან დამბლდორის ამ სიტყვებმა დიდი ემოციები გამოიწვია ჩემში. კამ-კამა.

• სიფათი ნაბახუსევზე... რა გინდა, უკეთესს ვერც ინატრებ, საჩუქარიც მაქვს შენთვის, მართალია, არ დამპატიჟე, მაგრამ ფიქრისგან მომივიდა მოწვევა. ჰოდა, მეც ხელცარიელი ვერ მოვედი და საჩუქრად ზიზღი მოგიტანე. გჩუქნი არა იმიტომ, რომ რამეს ვნანობ, არა! უბრალოდ, შენი შესაფერისი სხვა ვერაფერი შევარჩიე. ხომ იცი, საჩუქარი რაც უნდა იაფიანი იყოს, მაინც უნდა გაუფრთხილე. ჩემი საჩუქარი კი იმდენად ფასობს, რამდენადაც ჩაწვდები. თუმცა, მეეჭვება, შენი ლოგიკა (ნუთუ გაქვს?) ერთ თეორს გასცდეს. ისეთ ადგილზე დადე, თვალი ხშირად გაგექცეს. გონებით გაიხსენო და გულმა სიმწარე იგრძნოს. ნურც გეწყინება ეს მესიჯი ჩემგან და ნურც გაგიხარდება, ეს უფრო ცხოვრების გზამკვლევად ჩათვალე. არც ის იფიქრო, რომ გამარჯვებული ხარ, რადგან ეს მე ვარ გამარჯვებული შენზე!

• ძვირფასო POLICE, შენა და, აქ წესრიგის დასამყარებლად გამოგიშვეს? შენს თავს მიხედე, შე ეგოისტო, დიდი ამბავი, პატიმრებს თუ უკავშირდებიან, ამ ჟურნალით, რა პრობლემაა? სტერეოს თუ გაგონებს აქაურობა, შენც ადექი (ან არ ადგე) და ნულარ იყიდი „გზას“. და თუ მაინც იყიდი, მაშინ პრეტენზიები დუბინკაზე ჩამოკიდე. მისტერს რომ ეუბნები, ჟურნალს ნუ ანაგვიანებო, შენი მესიჯიც არ გამოირჩევა ზრდილობიანი ტექსტით. ასე რომ... ქაჯების დედოფალი.

• ჰელო, მისტერ საზოგადოებას. ამ საზოგადოებაში ჯერჯერობით მისტერი, ქაჯების დედოფალი და ფლამინგო შედიან. მისტერას ზოგი ვითომ ეკაჩავება, არაფერი გამოსდით და აი, რაღაც, მაგარი ხარ, მისტერ, მიყვარს ეგეთები. ქაჯების დედოფალო, რა გეშველება, მე რომ არა? შე საცოდავო, მაგარი ქალუკა ხარ. ფლამინგო, შენც მაგარი ხარ. მიკი მაუსი.

• პოლიცე ხარ თუ ვიღაც, გეტყობა აზროვნებაზე, რა ჩლუნგიც ხარ. ასეთი „დედოვშინა“ რომ გაქვთ ჯარში, ვის მოუნდება წასვლა? შენს შვილს ახეხინე უნიტაზი, შე პოლიციის შემარცხვენელო. დოლარა.

• თუ ადამიანმა რაიმე დანაშაული ჩაიდინა სხვების წინაშე და ყველა ცოცხალია, ვფიქრობ, გამოსწორება შეიძლება. არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია. არასოდეს არაფერია დაგვიანებული. ანიკა.

• რაოდენ სასწაულიც უნდა, იყოს, POLICE, ახლა დაგიწყებენ, ბოლმა ხარ, შურიანი, მისტერის გშურს და მსგავსი სისულელეები, ხომ ვიცი, არა? გაიხარე, POLICE, კაცური კაცი! ჰო, კიდევ რისი თქმა მინდა, არ მევასება ნამეტნავად „პადჟიგატელი“ ადამიანები. არ მჭირდება ლანძღვაში ბალელშიკობა. ჩემს მესიჯებში თუ ლანძღვაზე მეტს ვერაფერს ხედავთ, არ მჭირდება თქვენი ლაქუცი. ნაომი.

• ჩემი მეგობარი ლამაზი გოგონა იყო, ყურადღება არასოდეს აკლდა. მის გარშემო მუდამ მაგარი ბიჭები ტრიალებდნენ. მის დაქალებს უკვირდათ, ასეთ მაგარ ბიჭებს სად ჩითავდა. ყველანაირად ცდილობდნენ, მისი გულის მოგებას, ის კი თავის სწორად არავის მიიჩნევდა. უყვარდა მათ გრძნობებზე თამაში, ყველას დასცინოდა, ეგონა, მუდამ ასეთი ლამაზი იქნებოდა, მაგრამ განა არის ქვეყნად მარადიული, რამე? ერთხელაც, ახალგაცნობილ, 15 წლით უფროს მამაკაცს გაჰყვა ცოლად და დატოვა ის ბიჭები გაღიმებული. ეგონა, ამით მათ ატკენდა გულს, მაგრამ თვითონ დარჩა დაზარალებული და გულნატკენი. იმ ბებერმა ვერ შეიშნო პატარა, ლამაზი გოგო. ამწარებდა. დიდხანს ვერ გაუძლო და გაშორდა. ახლა ზის და ნერვიულობს. ამდენი ნერვიულობისგან უწინდელი შარმი დაკარგა. მის მუდამ მოცინარ თვალებს ახლა მხოლოდ ტკივილი და სევდა ეტყობა. გოგონებო, კარგად დაფიქრდით, სანამ რამეს გადაწყვეტთ და გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებთ, რომ მერე სანანებლად არ გაგიხდეთ საქმე. კახელო.

• საღამო მშვიდობისა, მარ. რამდენი დღეა, „გზა“ მაგიდაზე მიდევს და სამსახურიდან ისეთი დაღლილი მივდივარ, რომ ეგრევე ვწვები. აი, ახლა ვკითხულობ და წყევლას შეცვლილი ნიკი მომწონს. SWEETGIRL, ნუ მოკლავ კოღოს, მასში შენი სისხლი ჩქეფსო, მომეწონა, კამ-კამ. გურულო, მეც გურული ვარ დაა.... მარ, რატომ შემოგეჩაგრე ამ ბოლო დროს? ჩემი მესიჯები სად ქრება? გკოცნით, გეხვევით, CRAZY GIRL.

• არ გრცხვენიათ, მართლა და მართლა? რა გაქვთ საჩხუბარი და გასაყოფი? რუი, რა ჭირი გეტაკა შენ? ვერ წარმოვიდგენდი, თუ ადამიანური სახე შემოგეკარგებოდა. ლინდა.

• უნიკოს მინდა მივმართო: ბოლოში ტუტუცო რომ გიწერია, ეგ ნიკად მოგიხდებოდა. სხვა საქმე როგორ არ მაქვს, მაგრამ დროს ისე ვანაწილებ, რომ კარგ ხალხსაც მივწერო და შენნაირ დაფერთხილებსაც. გაიგე, პატარავ? წადი რა, გაიარე. გამოჩნდა ვითომ მოკამათე. თავს კი არადა, ენას მიხედე. ქაჯების დედოფალი.

• ქ-ნო ნანი დუმბაძე, დაგიკმაყოფილებთ ცნობისმოყვარეობას და გეტყვით, რომ 18 წლის ვარ, თქვენ თბილი ადამიანი ხართ და პატივისცემას იმსახურებთ. სიამოვნებით ვისაუბრებდი ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე თქვენთან. ქაჯების დედოფალი.

• ეეჰ, რუისპირ, მეც მომწონდა ნაომი კემპბელი, მაგრამ რას ვიზამთ? ჰო, ისა,

წინა ნომერში ჩემი მესიჯი უნიკოდ დაიბეჭდა და უკაცრავად, აი, ის, ბიცოლაჩემი რომ დავიფიცე. მიყვარხართ ყველა (ყველაში შედის ყველა, გარდა ზოგიერთისა). გამგები გაიგებს. ხომ გაიგებთ? ჩემი ჭკვიანი მგზავნელები. ქაჯების დედოფალი.

• ვაიმე, ყველას მინდა, რომ ცალ-ცალკე მოგესიყვარულოთ, მაგრამ ამაში არც ჩემი ჯიბე მიწყობს ხელს და არც მარის ნერვები. SWEET-GIRL, იცი რა? ისეთი არაფერი, ჩასაკვნეტი ადამიანი ხარ, გეპაჩიპუჩებით ყველას. თქვენი სიყვარულით გაუმაძღარი, ქაჯების დედოფალი.

• წინა ნომრის ყიდვისთანავე გამოვაცხვე და გამოვაცხვე მესიჯები და ვაგზავნე და ვაგზავნე, ვაგზავნე და ვაგზავნე, შემდეგი ნომერი ვიყიდე თუ არა, მაშინვე ვებრდღვენი გზავნილებს. რა დაგიკარგავს, რას ეძებ? არ არის ჩემი გზავნილი. კა

ტაიმ-აუტი

პოლიტკორექტული აკრძალვები

გასული საუკუნის 60-იან წლებში, ევროპასა და ამერიკაში პოლიტ-კორექტული მიმდინარეობა შეიქმნა. მიმდინარეობის მოთხოვნა იყო ქალისა და მამაკაცის, რასებისა და სოციალური ფენების გათანაბრება. ამიტომ, ტელეშოუ აუცილებლად ქალსა და მამაკაცს უნდა წაეყვანა, ბიზნესმენის ნაცვლად გაჩნდა ტერმინი — ბიზნესპერსონა. უამრავ მოთხოვნას შორის იყო ერთი ყველაზე საინტერესო. 2004 წელს ინგლისელებმა ჯონ და ლაურა მიჯლებმა პოლიტკორექტული მიმ-დინარეობის საწინააღმდეგო ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს და ზოგიერთი მოთხოვნა წიგნადაც გამოსცეს:

✖ დანიის ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრებში მსახიობები მეკობრეებივით ვერ აიხვევენ თვალს და პიტერ პენის პერსონაჟივით ხელზე კაუჭს ვერ დაიმაგრებენ, შეურაცხყოფა რომ არ მიაყენონ — უხელო და ბრმა ადამიანებს.

✖ ზოგიერთი იეღოველი დაბადების დღეს არ აღნიშნავს. მათი განაწყენება რომ არ გამოიწვიონ, წვეულებაზე სიმღერა Happy Birthday სახალხოდ არ უნდა შესრულდეს.

✖ ინგლისის ზოგიერთ სკოლაში პედაგოგი მოსწავლეს ვერ შეაქებს სიტყვებით: „ნიჭიერი“ და „გონიერი“, რათა სხვა მოსწავლეებს არ ეწყინოთ.

✖ ვეიკფილდის (ინგლისი) ციხეში პატიმრებს გვარით აღარ მიმართავენ, არამედ — „ბატონი ჯონი“, „ბატონი უილიამი“...

✖ უილტშირის ერთ-ერთ პარკში 25 წლის წინ დამონტაჟებული საქანელები ჩამოხსნეს იმ მოსაზრებით, რომ ისინი ძალიან მაღლა იყო დამაგრებული და ტანდაბალი ადამიანები ვერ სარგებლობდნენ.

✖ ინგლისში მძღოლი დააჯარიმეს, რადგან სადგომზე გაჩერებულ მის მანქანას 1,5 სმ-ზე ჰქონდა ფანჯარა ღია. დაჯარიმების მოტივი კი შემდეგი გახლდათ: ბავშვს სალონში ანთებული ასანთი რომ ჩაეგდო და ხანძარი გაეჩინა?!

✖ სუტონის სკოლაში ბავშვების გრძნობებს ზიანი რომ არ მიაყენონ, წარწერები: „არ ირბინოთ!“ და „არ იყვიროთ!“ შეცვალეს ფრაზებით — „გთხოვთ, მშვიდად იარეთ“ და „გთხოვთ, მშვიდად ისაუბრეთ“.

✖ ბრიტანეთის ერთ-ერთი სკოლის სასადილოში, აღდგომის დღესასწაულზე აკრძალულია ჯვრის ფორმის პასკის გაყიდვა, არაქრისტიანმა ბავშვებმა თავი დაჩაგრულად რომ არ იგრძნონ. ■

ამერიკელი პრეზიდენტების ჰობი

• თომას ჯეფერსონი ვირჯინიიდან იყო. იმ პერიოდში ბილიარდი აკრძალულ თამაშად მიიჩნეოდა, მაგრამ ჯეფერსონს იგი სახლში ჰქონდა და ხშირადაც თამაშობდა. პრეზიდენტის კარიერის დასრულების შემდეგ, ვირჯინიის უნივერსიტეტი დააპროექტა. გატაცებული იყო არქეოლოგიით, ლიტერატურით, ღვინის წარმოებითა და კულინარიით.

• პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი გოლფით იყო გატაცებული. ერთხელ გოლფ-კლუბის მეპატრონეს მოედანზე ამოსული ფიჭვის მოჭრა სთხოვა. მას უარი უთხრეს და დღეს ხეს „ეიზენჰაუერის ფიჭვი“ ჰქვია.

• ჯონ კუინს ადამსი მდინარეში შიშველი ბანაობდა.

• ჯიმი კარტერს სარწეველა-სავარძელი უყვარდა. თეთრი სახლისთვის რამდენიმე თავადაც შეიძინა.

• ენდრიუ ჯონსონი სამოსს თავად იკერავდა.

• ჯორჯ ვაშინგტონს საკუთარი ლუდსახარში ჰქონდა.

• ჯორჯ ბუშ-უფროსს სპორტის ექსტრემალური სახეობები უყვარდა. ასაკოვანიც საკმაოდ ენერგიულად გამოიყურებოდა და ხშირად ხტებოდა პარაშუტით.

• ცნობილია, რომ ბილ კლინტონი საქსოფონზე უკრავდა. გარდა ამისა, კროსვორდების შედგენა-შევსებაც უყვარდა. პრეზიდენტის თავსატეხებს The New York Times-ი ბეჭდავდა. ■

ვუნდერკინდები

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი

მუსიკოსებს შორის ყველაზე ცნობილი ვუნდერკინდი — ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი იყო. 3 წლიდან საკუთარი ნაწარმოებებით კონცერტებს მართავდა. მუსიკალურ სამყაროში კიდევ რამდენიმე ვუნდერკინდი იყო, მაგალითად, შოპენი, რომელიც 8 წლიდან კონცერტებით გამოდიოდა; 17 წლის ვებერი საოპერო ორკესტრს დირიჟორობდა; შტრაუსი და ჰაიდნი მუსიკას 6 წლიდან წერდნენ.

ნაკლებად ცნობილია შავკანიანი — ტომ ბლინდი, რომელიც 5 წლის ასაკში, ფორტეპიანოზე ორი ხელით სხვადასხვა მელოდიას ასრულებდა და ამავდროულად, მესამეს ღიღინებდა.

ფრანგი მათემატიკოსი ანდრე მარი ამპერიც ვუნდერკინდი იყო. 7-8 წლისა ენციკლოპედიებს კითხულობდა. მათემატიკის გარდა, შრომები დაწერა ქიმიაში, ფსიქოლოგიაში. მათემატიკური ნიჭით იყო დაჯილდოებული კარლ ფრიდრიხ ჰაუსი. 2 წლის იყო, როცა მამის ბუღალტერიაში შეცდომებს ასწორებდა. სკოლაში მათემატიკის გაკვეთილებიდან გაათავისუფლეს, რადგან პედაგოგმა აღიარა, რომ მოსწავლემ მასზე მეტი იცოდა. მათემატიკური ნიჭი ჰქონდა ინგლისელ ჯორჯ ბიდერსაც. ოთხი წლისა ურთულეს განტოლებებს ხსნიდა. საკუთარი ნიჭი მშენებლობაში გამოიყენა. იგი ბრიტანეთში ცნობილი ინჟინერი იყო. ვუნდერკინდები ნიჭს მხოლოდ მუსიკასა და მათემატიკაში არ ავლენენ. ზოგიერთის შესაძლებლობა გარშემო მყოფებს შოკში აგდებს. გასულ საუკუნეში პოლონეთში დაიბადა ბავშვი, რომელმაც რამდენიმე დღეში ლაპარაკი დაიწყო. 1 წლისა ბიბლიას კითხულობდა, 3 წლის ასაკში ბერძნულ ენაზე დაწერილ ნაწარმოებებს თარგმნიდა.

ინგლისელი თომას მაკალეი 7 წლის იყო, როცა ისტორიულ წიგნებს წერდა. ამავე ასაკში ინდოელმა — განეშ სიტამპალამმა უნივერსიტეტში ჩააბარა. ლექტორები ამბობდნენ, რომ იგი ყველაზე ნიჭიერი სტუდენტი იყო. ცოტა ხნის წინ, ამერიკაში 282 ვუნდერკინდის ცხოვრება შეისწავლეს. დადგინდა, რომ მათ წარმატებას მიაღწიეს იმ სფეროში, რომლის ნიჭსაც ბავშვობიდანვე ამჟღავნებდნენ. ფრანგმა მეცნიერებმა 287 ცნობილი ადამიანის ბიოგრაფია შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ 230 ნიჭიერი და სხვადასხვა სფეროთი დაინტერესებული ბავშვი იყო. ამგვარად, მოსაზრება, თითქოს დიდობაში ვუნდერკინდები ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებიან და განსაკუთრებულ წარმატებას ვერ აღწევდნენ, გაქარწყლდა. ■



ცნობილი ტელეწამყვანები უცხოელმა ვიზაჟისტმა აღაფრთოვანა

ლალი ფაცია

გასულ კვირას, ხატია შამუგიამ ცნობილი ტელეჟურნალისტები — მაია ასათიანი, ნანუკა ჟორჟოლიანი, ნინო ქაჯაია, ეკა ხოფერია და ლელა ნინუა ერთ საინტერესო აქციაზე მიიწვია: ტელესახეებისთვის მაკიაჟი საქართველოში საფრანგეთიდან სპეციალურად ჩამოსულ მეიქაფ-არტისტს — ბატონ კრისტოფერს (ის ვარსკვლავების — ნატალია ვოდიანოვასა და ნიკოლ კიდმანის ვიზაჟისტი გახლავთ) უნდა გაეკეთებინა. ჟურნალისტები ხატიას სიამოვნებით დათანხმდნენ და კრისტოფერის მიმართაც დიდი ინტერესითა და ნდობით აღიჭურვნენ.

სტუმარმა თითოეულ მათგანთან მთელი საათი იმუშავა და ყველას ინდივიდუალური მაკიაჟი შეურჩია. ნინო ქაჯაია კი განსაკუთრებულად მოეწონა, აღნიშნა, — ნიკოლ კიდმანს მაგონებსო... მუშაობის პროცესში სტუმარი ყველაზე მეტად, ნანუკა ჟორჟოლიანს „შეუწუხებია“ — ის ადგილზე ცქმუტავდა და უამრავ კითხვას უსვამდა. მერე უთქვამს, — არ შეიძლება, კრისტოფერი ჩვენთან რომ დავტოვოთ? ტელევიზიაში ასეთი სუპერსპეციალისტი განსაკუთრებულად გვჭირდებაო...

ამ აქციის ჩატარების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ იმ ქართველი მომხმარებლისთვის, ვინც მაღალი ტექნოლოგიებით დამზადებულ, სახის მოვლის საშუალებებს, დეკორატიულ კოსმეტიკასა და სუნამოებს აფასებს, ისეთი ბრენდი შემოვიდა, როგორიც „შისეიდო“ გახლავთ. ეს იაპონური ბრენდი საქართველოში აქამდე ხელმისაწვდომი არ იყო. ახლა კი მისი პროდუქცია ყველა პარფიუმერიული ქსელის („ისი-პარი“, „ვულე-ვუ“, „ლუტეცია“) მაღაზიებში გაიყიდება.

ხატია შამუგია, *„ისი-პარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:*

— „შისეიდო“ პარფიუმერიული ნაწარმის პრესტიჟულ ჯგუფს განეკუთვნება. კომპანიის წარმომადგენლებმა, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდნენ, ჩვენი ბაზარი სერიოზულად შეისწავლეს.

მაღალი მოთხოვნები ჰქონდათ... ახლა კი „შისეიდოს“ „ჰედოფისიდან“ სტუმრები გვყავს — მენეჯერები, მეიქაფ-არტისტი, — რომლებიც თვალყურს ადევნებენ, თუ როგორ მიიღო ეს პროდუქცია ქართველმა მომხმარებელმა.

— რაც შეეხება აქციას, რომელიც ცნობილი ტელეჟურნალისტებისთვის მოაწყვეთ — ამაზე რას იტყვი?

— მიმაჩნია, რომ ეს აქცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ქალბატონები, რომელთაც პოპულარული ტელეშოუები მიჰყავთ, ნამდვილად იმსახურებენ იმას, რომ ასეთი პრესტიჟული ბრენდის ნაწარმი პირველებმა მოსინჯონ. კრისტოფერმა ყველას ინდივიდუალური მაკიაჟი გაუკეთა, ერთმანეთს არც ერთი არ ჰგავდა და ისინიც აღფრთოვანებულები დარჩნენ...

— როგორ ფიქრობ — „შისეიდო“ ჩვენს პარფიუმერიულ ბაზარზე ფეხს მოიკიდებს?

— იმის გამო, რომ ბრენდი უმაღლესი ხარისხის გახლავთ, ქართველი მომხმარებელი კი ხარისხს ყოველთვის აფასებდა, „შისეიდოს“ ჩვენს ბაზარზე დამკვიდრების პერსპექტივა ნამდვილად აქვს. თან, ფასები საკმაოდ ხელმისაწვდომია... ■

ფორლანი ქორწილისთვის ემზადება

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა — დიეგო ფორლანმა განაცხადა, რომ დაქორწინებას აპირებს. მისი რჩეული ცნობილი არგენტინელი მოდელი — ზაირა ნარაა. 22 წლის ლამაზმანთან ურუგვაელ ვარსკვლავს 2008 წლის დეკემბრიდან აქვს ურთიერთობა, თუმცა მათი რომანის შესახებ მსოფლიომ მხოლოდ თვეების შემდეგ შეიტყო. ქორწილის შესახებ ფორლანმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა და ისიც დასძინა, რომ მისი ცხოვრების ეს ღირსშესანიშნავი მომენტი უახლოეს მომავალში დადგება. „დაქორწინება და ძალიან, ძალიან ბევრი შვილის ყოლა გვსურს“, — ამბობს დიეგო. აღსანიშნავია, რომ ზაირა თავისზე არანაკლებ ცნობილი ლამაზმანის, ვანდას უმცროსი დაა, რომელიც იტალიური „კატანიას“ წარმომადგენლის, მაქსი ლოპესის მეუღლეა. ■

ბალოტელის ბოიფრენდმა „სულელი“ უწოდა

ცოტა ხნის წინ, ერთმანეთს „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი — მარიო ბალოტელი და იტალიელი ლამაზმანი — მელისა კასტანიოლი

დაშორდნენ. მათ ერთმანეთი „ფეისბუკის“ საშუალებით გაიცნეს. მოგვიანებით ფეხბურთელმა მას საკუთარი თვითმფრინავით მილანში ჩააკითხა. ურთიერთობის დასრულების მიზეზად კი მელისას ეჭვიანობა იქცა, რომელსაც გაუგია, რომ თავის მილანურ სახლში მარიო სხვა ქალთან ერთად განმარტოებულა. სიტუაცია იტალიაში ცნობილი ტელეწამყვანის — პიერო კიამბრეტის შოუში გაირკვა, რომელზეც წყვილის ზოგიერთ საიდუმლოებას აეხადა ფარდა. აღმოჩნდა, რომ ბალოტელი დიდი ხნის განმავლობაში თავად ეჭვიანობდა მელისაზე. „პრობლემა მარიოს ეჭვიანობაშია. ის ვერ ეგუება იმას, რომ შოუბიზნესში ყოფნა მსურს“, — დასძენს კასტანიოლი. შოუს მსვლელობისას მელისამ მარიოსაგან უარყოფითი სატელეფონო გზავნილები მიიღო, რის გამოც მაყურებელმა მის თვალებზე ცრემლები შენიშნა. შოუს წამყვანს კი მისი დამშვიდება მოუხდა. ამასთან, მელისამ თავის ყოფილ ბოიფრენდს სახალხოდ „სულელი“ უწოდა. ■



ბაჯო ნობელის პრემიის ლაურეატებმა დააჯილდოეს

იტალიური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ, რობერტო ბაჯომ ყოველწლიური ჯილდო Peace Summit Award-ი მიიღო, რომელსაც რჩეულებს ნობელის პრემიის ლაურეატების სპეციალური კომიტეტი გადასცემს. 1993 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, რომელიც ამჟამად იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ კომიტეტს თავკაცობს, აქტიური საქველმოქმედო საქმიანობის გამო დააჯილდოეს. 43 წლის ბაჯო „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში საავადმყოფოების მშენებლობას უწევს სპონსორობას, ჰაიტიზე მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებს ეხმარება, ხელს უწყობს გაეროს ჰუმანიტარულ საქმიანობას. გარდა ამისა, „იუვეს“ ყოფილმა ლიდერმა, მიანმის ოპოზიციის ლიდერის, ნობელის პრემიის ლაურეატ სან სუ ჩის გათავისუფლების საქმეშიც (უკვე 20 წელია, რაც იგი პატიმრობაშია) დიდი წვლილი შეიტანა. ადრე ანალოგიური ჯილდო გადაეცათ მომღერალ — ენი ლენოქსს, U2-ს ლიდერ ბონოს, ასევე მუსიკოსებს — პიტერ გებრიელს, ბობ გელდოფსა და კეტ სტივენსს, მსახიობებს — ჯორჯ კლუნის, დონ ჩიდლსა და რობერტო ბენინის. Peace Summit Award-ის ჯილდო ბაჯოს ნობელის პრემიის ლაურეატთა სამიტის მსვლელობისას გადაეცა, რომელიც ამჟამად იაპონიაში ჩატარდა. სამიტში მონაწილეობა მიიღეს დევნილობაში მყოფმა, ტიბეტის სულიერმა ლიდერმა — დალაი ლამამ, პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა — ლეხ ვალენსამ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილმა ლიდერმა — ფრედერიკ დე კლერკმა. ■

ბიბლიოთეკიდან მოპარული წიგნები და ავტორები, რომლებმაც გოჩა კაპანაძე აატირეს

როცა მსახიობს და რეჟისორს გოჩა კაპანაძეს დავუკავშირდი და ჩვენს რუბრიკაში სტუმრობა ვთხოვე, მიპასუხა: „ერუდიტში? საინტერესო შემოთავაზებაა, რა თქმა უნდა, უარს არ გეტყვი“... იგი ერთ-ერთი საუკეთესო რესპონდენტი აღმოჩნდა. კითხვა 4-5 წლის ასაკში დაუწყია. ამბობს, რომ ბავშვობაშიც, თინეიჯერობის და სტუდენტობის წლებშიც კარგი მკითხველი იყო. წიგნებთან დღესაც „მეგობრობს“. შესაბამისად, ეს მის პასუხებზეც აისახა.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— კითხვა ადრეული ასაკიდან რომ დაიწყეთ, ეს ვისი დამსახურებაა?

— ბებიასი, წიგნი მან შემაყვარა.

— რომელი ჟანრის ლიტერატურა გიზიდავთ?

— დოკუმენტური და ისტორიული პროზა.

— პირველი ნაწარმოები, რომელმაც თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომელია?

— 5-6 წლის ვიყავი, როცა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობების კითხვა დავიწყე. ერთ-ერთ მათგანში არის ეპიზოდი, როცა ძაღლი მწყერს დაიჭერს და ეს ეპიზოდი მწყრის მონოლოგით გრძელდება. მახსოვს, ამ მონოლოგზე იმდენი ვიტირე, ჩემი დამშვიდება დედამაც ვერ შეძლო. მერე ბებია გააფრთხილა, — ასეთი ნაწარმოებები აღარ წაიკითხო. მოგვიანებით ასეთივე განცდა მქონდა, როცა „შვლის ნუკრის ნაამბობი“ წავიკითხე.

— სენტიმენტალური ადამიანი ხართ?

— ნაკლებად. ბოლოს ცრემლები გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების კითხვის დროს მომადგა. ამის თქმის არ მრცხვენია. ჩოხელის შემოქმედებაზე დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო. მას მსოფლიო მწერლობის კორიფეების გვერდით ვაყენებ.

— წიგნი მოგიპარავთ?

— (*იცინის*) გულახდილი უნდა ვიყო?

— აუცილებლად.

— ესეც ბავშვობაში მოხდა — დოსტოევსკის — „იდიოტი“ მინდოდა წამეკითხა. სახლში რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი გვქონდა, მაგრამ მაშინ ეს ენა კარგად არ ვიცოდი, ამიტომ მშობლიურ ენაზე ნათარგმნი „იდიოტი“ ბიბლიოთეკიდან მოვიპარე. მოგვიანებით იქიდან „ფილოსოფიური ლექსიკონიც“ წამოვიღე. ოღონდ ახლა არ მომთხოვონ ეს წიგნები (*იცინის*). ისე, რომ იცოდე, ასე მხოლოდ მე არ ვიქცევი. სხვათა შორის, წიგნები ჩემთვისაც არაერთხელ მოუპარავთ. თუმცა როცა 2 ეგზემპლარი მაქვს, მეგობრებს ვჩუქნი ხოლმე.

— ის თეატრისა და კინოს რეჟისორი იყო. 1913-21 წლებში რუსეთში მოღვაწეობდა. საქართველოში 1922 წელს გახმაურებული სპექტაკლებით — „ცხვრის წყარო“ და „ურიელ აკოსტა“ — დაბრუნდა. 1928 წელს ქუთაისში თეატრალური დასი ჩამოაყალიბა. თეატრის პარალელურად მუშაობდა კინოშიც. დაასახელეთ ეს პიროვნება.

— კოტე მარჯანიშვილი.

— ყველა თვე გარდა თებერვლისა 30 ან 31 რიცხვით მთავრდება. რომელ თვეშია 28 რიცხვი?

— თებერვალში.

— მხოლოდ თებერვალში?

— გთხოვ, კითხვა გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*). ცოტა დამაბნიე, 28 რიცხვი ყველა თვეშია (*იცინის*).

— რიქშა არის...

— (*მაწყვეტინებს*) ეს ორბორბლიანი ეტლია.

— რომლის ხელნებში შებმულია...

— ადამიანი. ასეთი ეტლები ინდოეთსა და პაკისტანში მინახავს.

— ფილადელფია, სან-ფრანცისკო, ნიუ-იორკი, ლოს-ანჯელესი — აშშ-ის ამ ქალაქებიდან რომელი არ მდებარეობს ოკეანის სანაპიროზე?

— (*ფიქრობს*) ფილადელფია, არა?

— ნამდვილად ასეა. ადამიანის რომელი ჯირკვალი გამოყოფს ადრენალინს?

— ნამდვილად არ ვიცი და მაინტერესებს.

— თირკმელზედა ჯირკვალი. რომელ ქვეყანაში გარდაიცვალა ბაირონი?

— თუ არ ვცდები, საბერძნეთში.

— „განგაში“, „ხევისბერი გოჩა“, „ნინო“, „დათა თუთაშხია“ — ამ ფილმებიდან რომლისთვის არ დაუწერია მუსიკა რეზო ლაღიძეს?

— „დათა თუთაშხიასთვის“.

— სპორტული თამაშები თუ გიზიდავთ?

— რა თქმა უნდა. სპორტი და მოგზაურობა ჩემი საქმის შემდეგ, ყველაზე მეტად მიყვარს.

— რამდენი სპორტსმენით გამოდის სათამაშოდ წყალბურთის თითოეული გუნდი?

— 7 მოთამაშით.

— ვინ არის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ჩვენს ქვეყანაში?

— ანდრია ურუშაძე.

— საქართველოს ისტორიაში პირველად, რომელმა მომღერალმა მიიღო მონაწილეობა ევროვიზიის მუსიკალურ კონკურსში?

— სოფო ხალვაშმა.

— ქრისტეს 10 მცნებიდან, რომელია 1-ელი მცნება?

— „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხუანი თვინიერ ჩემსა“.

— ჩაიკოვსკის ბალეტი „გედების ტბა“ ნანახი გაქვთ?

— რა თქმა უნდა.

— გაიხსენეთ, რამდენი ბალერინა ასრულებს პატარა გედების ცეკვას?

— 4 ბალერინა.

— შილერი, მოლიერი, დანტე, გოეთე — ამ ცნობილი დრამატურგებიდან, რომელი გარდაიცვალა სცენაზე?

— (*ფიქრობს*) მოლიერი, სწორად მახსოვს?

— რა თქმა უნდა. თუ ასე გააგრძელებთ, მგონი, წლის ერუდიტიც გახდებით?

— მართლა? ძალიან სასიამოვნო იქნება.

— მსოფლიოს 7 საოცრებიდან რომელი მდებარეობ-

და თურქეთის თანამედროვე ქალაქს — ბოდრუმის ადგილზე?

— აი, შექებამ მაწყინა. ზუსტად არ მახსოვს, ვერ გიპასუხებ.

— ჰალიკარნასის მავზოლეუმი. ტრადიციულ იტალიურ პიცაში აუცილებლად უნდა იყოს ახალი პომიდვრის სოუსი, ყველი და მწვანილის ფოთლები. პიცის ამ სამ კომპონენტს არა მხოლოდ კულინარიული, არამედ სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. რა სიმბოლოზეა ლაპარაკი?

— იტალიის დროშის ფერთა გამას გულისხმობ?

— დიახ. რა ერქვა ალექსანდრე მაკედონელის დედას?

— (*ფიქრობს*) უცნაური სახელი ერქვა, ვერ ვიხსენებ.

— ოლიმპიადა. რომელ მცენარეს უწოდა ეკატერინე II-მ ასკილი მაღალი საზოგადოებიდან?

— არ ვიცი.

— ვარდს.

— (*იცინის*) რომ დავფიქრებულიყავი, გამოვიცნობდი.

— ცნობილმა ავტომრბოლელმა — შუმახერმა მონაწილეობა მიიღო შემდეგი ლოზუნგის პროპაგანდაში: „10 წამი, რომელმაც შეიძლება, გადაარჩინოს თქვენი სიცოცხლე“. რაში უნდა დაიხარჯოს ეს 10 წამი?

— პასუხის გაცემა მიჭირს.

— მიგანიშნებთ...

— (*მაწყვეტინებს*) მგონი, მივხვდი, ღვედის შეკვრაზეა ლაპარაკი, არა?

— გამოიცანით. ლექსს, რომელსაც „მეშინია“ ჰქვია, ახლა წაგიკითხავთ და თქვენ მისი ავტორი დამისახელეთ: „ეს სოფლები, ეს ლიქოკი, ეს არხოტი/ ცარიელი ეს პატარა საიგავო,/ მეშინია ეს სამოთხე, ეს წალკოტი/ სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს./ შქმერს სათიბზე არ დავობენ მეზობლები/ ძაღლი არ ჰყეფს, ძაღლი არ ჰყეფს ბარისახოს!/ ვაითუ, ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,/ ვაითუ, ვინმე მოვიდეს და დაესახლოს./ ეს სხივრი, ეს ლიქოკი, ეს არხოტი/ არ ჩააქრო, არ ჩააქრო! გაფიცებდი./ არ წააგო, არ წააგო ეს წალკოტი!/ დამიხსომე, ასი წლის წინ გეძახოდი,/ დამიხსომე, განვღვრევდი და გაღვიძებდი!“.

— მურმან ლებანიძეს ეკუთვნის.

— რა ერქვა აპოლონის ტაძრის ახლოს მდებარე ადგილს, სადაც მიმდინარეობდა არისტოტელეს გაკვეთილები?

— არ ვიცი.

— ლიცეუმი. რომელი უცხოური სიტყვა წარმოიშვა ფრანგული სიტყვისგან — „არგო“, რომელიც მოპარულ ენას ნიშნავს?

— ვერ გიპასუხებ.

— ჟარგონი. წლების მანძილზე მსოფლიოში ყველაზე პატარა მილიონერად ლოს-ანჯელესელი ჯეკი კუგანი მიიჩნეოდა. მან კუთვნილი მილიონი 6 წლის ასაკში გამოიმუშავა. 1920 წელს ფილმში „ბავშვი“ გადაიღეს. ვინ ასრულებდა მთავარ როლს?

— ჩარლი ჩაპლინი.

— დაასახელეთ ერთადერთი ძუძუმწოვარი, რომელიც დაფრინავს.

— ძუძუმწოვარი დაფრინავს?

— დიახ, ეს გამონაკლისი შემთხვევაა.

— (*ფიქრობს*) ვერ გიპასუხებ.

— ღამურა. ლუდოვიკო XIV-ის მეფობის შემდეგ ტახტი მისმა შვილთაშვილმა ჩაიბარა. რატომ?

— არ ვიცი.

— მან 72 წლის მანძილზე იმეფა (1643-1715 წლები), არც შვილი და არც შვილიშვილი ცოცხლები აღარ იყვნენ.

— მართლა? პირველად გავიგე.

— ეგვიპტეში თუ ხართ ნამყოფი?

— დიახ.

— სუვენირის სახით პირამიდის ნატეხიც ხომ არ ჩამოგიტანიათ?

— არა. მგონი, ვხვდები, რაც უნდა მკითხო.

— ბოლო პერიოდში ეგვიპტის პირამიდებს ტურისტებისგან დიდი საფრთხე დაემუქრა. ყველა ცდილობს, რომ პირამიდის ნატეხი სამახსოვროდ სახლში წაიღოს. რა მოიმოქმედა ეგვიპტის მთავრობამ ამის საწინააღმდეგოდ?

— ჰგონიათ, რომ პირამიდის ნატეხი მიაქვთ, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ვიცი, რომ იქ მანქანებით მიაქვთ ქვა-ღორღი და პირამიდებზე ყრიან.

— დიახ. ქართული ხალხური ეპოსის რომელი გმირი იყო ნადირობის ქალღმერთის — დალისა და უცნობი მონადირის შვილი?

— ამირანი.

— ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რომელია შიშის ღმერთი?

— ფობოსი, სწორად ვამბობ?

— დიახ. თავად ხომ არ გაქვთ რამე ფობია?

— არა, ფობიები ნამდვილად არ მაწუხებს.

— რომელი ქართული ფილმის გმირები არიან — „ბოლოკა“ და „ბეთჰოვენა“?

— „ღიმილის ბიჭების“. ფილმის რეჟისორი რეზო ჩხეიძეა.

— კოლექციონერები მათ ხელში ჩასაგდებად რიგებში საათობით დგანან, წერენ წერილებს და ზოგჯერ ქურდობენ კიდეც. რაზეა ლაპარაკი.

— ვერ ვხვდები, კითხვა გამიმეორე. (*გამეორების შემდეგ*)... ავტოგრაფებზე ხომ არა?

— გამოიცანით. ეს ადამიანი კათოლიკური ეკლესიის ბრძანებით, 1431 წელს კოცონზე დაწვეს. მაგრამ იმავე კათოლიკური ეკლესიის ბრძანებით, 1920 წელს წმინდანად შერაცხეს. ვინ იყო იგი?

— ფრანგი ერის თავისუფლების სიმბოლო.

— ანუ?

— ჟანა დ`არკი.

— „წელს გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი. გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თან სდევს. რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი, განურჩევლად ყველამ მასხრად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრება“. დაასახელეთ ავტორი და ნაწარმოები, რომელშიც ამ სიტყვებს ვკითხულობთ.

— ეს ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებები“ გახლავთ.

— რომელია ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის დამაკავშირებელი სრუტე?

— გიბრალტარი.

— საქორწინო ბეჭედს არათითზე ჯერ კიდევ ეგვიპტელი ფარაონები იკეთებდნენ. რატომ?

— ისინი მიიჩნევდნენ, რომ ეს თითი გულთან კავშირშია.

— „ქორწინება ბოროტებაა, მაგრამ აუცილებელი ბოროტება“ — ვინ არის ამ ცნობილი გამონათქვამის ავტორი?

— ნაპოლეონი, არა?

— ცდები, ამ სიტყვების ავტორი სტენდალია.

— ეგეც ფრანგი (*იცინის*) ნახევრად გამოვიცანი.

— დაბოლოს...

— (*მაწყვეტინებს*) რა, ამთავრებ? აზარტში შევედი და გული მწყდება. ამ რუბრიკის სტუმარი სხვა დროსაც სიამოვნებით ვიქნები.

— დაასრულეთ ცნობილი დანიელი ფიზიკოსის — ნილს ბორის გამონათქვამი: „არასდროს ილაპარაკო უფრო სწრაფად, ვიდრე...

— „... ვიდრე ფიქრობ“.

■

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რას ეძახდნენ ძველი ეგვიპტელები კატას?
2. რომელ იარაღს ეძახდნენ რუსეთში XVII საუკუნემდე „რუჟიოს“?
3. ვისი დაწერილია ლექსი, რომელზეც მიხეილ გლინკამ რომანსი — „ქართული სიმღერა“ შექმნა?
4. დაასახელეთ ეროვნებით ქართველი მომღერალი, რომელზეც რუსები ამბობენ: „ონ სოზდალ ინტონაციუ ვ რუსკოი კულტურე“.
5. დაასახელეთ ჯეკ ლონდონის მოთხრობა, რომელიც გამორჩეულად უყვარდა ლენინს.
6. დაასახელეთ ადამიანი, რომელიც გარდაცვალების წელსვე წმინდანად შერაცხეს.
7. ამერიკულ წყალქვეშა ნავებზე არსებობს ტრადიცია, თუ ნავმა მოახერხა მოწინააღმდეგის გემის ან წყალქვეშა ნავის ჩაძირვა, მაშინ უკან დაბრუნებული ეკიპაჟი პორტში შესვლისას პერისკოპზე ცოცხს ამაგრებს. რატომ?
8. რატომ მიიჩნევდნენ ძველი ბერძნები ქალაქ დელფოსს სამყაროს ცენტრად?
9. შუა საუკუნეების ინგლისში არსებობდა ადათი, რომლის მიხედვითაც ჯვრის დასაწერად ეკლესიაში მიყვანილ პატარძალს დიდი სკივრის მძიმე თავსახური ცალი ხელით უნდა აეხადა. რატომ?
10. დაასახელეთ ომი, რომელშიც საბჭოთა კავშირმა 13300 ჯარისკაცი დაკარგა.
11. დაასახელეთ სახელმწიფო, სადაც მდებარეობს კენტის საგრაფო.
12. ვინ იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი?
13. დაასახელეთ სახელმწიფო, რომლის სახელმწიფოს გერბს ამშვენებს წარწერა: „დაე, იყოს წყალი“.
14. დაასახელეთ მეცნიერი, რომელიც იტალიური ლირის 2000-იან კუპიურაზე იყო გამოსახული?

* * *

მიხომ ვერაფრით აარჩია მაროსთვის საჩუქარი და გამყიდველს ეკითხება:

— თქვენ რომ ჩემი ცოლი იყოთ, რას ამოირჩევდით?

— სხვა ქმარს.

* * *

დამტვრეული და დასახიჩრებული სვანი ექიმთან მივიდა:

— რა დაგემართა?

— ცხენიდან გადმოვვარდი.

— ასე მაგრად დაიმტვერი?

— არა, მერე ირემი დამეჯახა, მერე ლომი და ბოლოს რაკეტა...

— სად იყავი, თუ კაცი ხარ?

— სად ვიყავი და კარუსელზე ვიჯექი.

* * *

სვანი თვითმფრინავით მიემგზავრება.

აიარა ტრაპი, შევიდა თვითმფრინავში. ტრაპი მოხსნეს და თვითმფრინავი გაფრინდა.

ჩაფრინდნენ დანიშნულების ადგილზე. მიადგეს ტრაპი თვითმფრინავს და მგზავრებმა დაიწყეს საღონიდან გამოსვლა. თვითმფრინავიდან გადმოსული სვანი გაოცებული დაჰყურებს ტრაპს:

— ვაა, შენც კარგად გივლია!..

* * *

საიუველირო მაღაზიაზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა. რამდენიმე წუთში მოწმეებმა დაინახეს მაღაზიიდან გამოსული ჩინელი, რამაც ძალზე გაზარდა ეჭვმიტანილთა რიცხვი.

* * *

სვანი კონსერვატორიაში გამოცდას აბარებს.

— მე ნოტს ავიღებ და შენ გამოიცანი, — ეუბნება გამომცდელი.

— მიდი! — რიხიანად ეუბნება სვანი და ზურგით ტრიალდება.

გამომცდელი აიღებს ნოტს. სვანი შემოტრიალდება და ეუბნება.

— შენ იყავი, ვერ მომატყუებ!

* * *

კახელს შეყვარებული ეუბნება:

— რა ვქნა, მიხო, ვერ გამოგყვები, ჩემი გული სხვას ეკუთვნის.

— ეკუთვნოდეს, მე დანარჩენზეც თანახმა ვარ.

* * *

— ადე, მიხო, ხელები დაიბანე, სტუმრები უნდა მოვიდნენ.

— რომ არ მოვიდნენ?!

* * *

მიხო ექიმი თავის ექთანს ეჩხუბება:

— კარგი რა, მარო ძალო, რამდენჯერ გითხარი, მაგ შენს კულინარიულ რეცეპტებს ჩემს ბლანკებზე ნუ წერ-მეთქი. ეგე, გუშინაც ჩემს პაციენტს აფთიაქში წამლის მაგივრად ისევ ის შენი დედაატირებული ჩიხირთმა მოუმზადეს.

* * *

ექიმი:

— გასახდომ აბებს ღეჭავთ?

— დაიხ.

— რამდენს?

— სანამ კარგად არ გავძღები.

* * *

— ამიწონეთ, გეთაყვა, ორი კილო ყურძენი სიდედრისათვის. შხამქიმიკატებით ხომ არ არის შეწამლული?

— არა, მაგრამ შხამქიმიკატები მეზობელ მაღაზიაში შეგიძლიათ, შეიძინოთ.

* * *

მიხო შესჩივის გოგიას:

— ე, რა უცნაური ცოლი ჰყავს მიტუას. ამას წინათ მაგათთან მივედი, თვითონ მიტუა შინ არ დამხვდა და მისმა ცოლმა სახლში შემიყვანა. მუსიკა ჩართო, საძინებელში შემიძღვა და მეუბნება: „აიღე ყველაზე ძვირფასი, რაც გამაჩნიაო!“ მეც ავიღე ტელევიზორი და წამოვედი. იმ დღის შემდეგ ის ქალი ხმას აღარა მცემს!.. ვაა, თვითონ არ მითხრა, წაიღეო?!

* * *

ქმარი სახლში გამთენიისას დაბრუნდა. ცოლმა უსაყვედურა:

— სად იყავი ამდენ ხანს?! მთელი ღამე არ მძინებია!

— შენ გგონია, მე მეძინა?! — საჩხუბრად აიფოფრა ქმარი.

* * *

მიხო თავისი შვილის დღიურს ამოწმებს: მათემატიკა — 2, ქართული — 2, ხატვა — 2, სიმღერა — 5.

— მარო, — გასძახა მიხომ ცოლს, — მიდი, ერთი, ჰკითხე, რა ემღერება მაგ ვირიშვილს.

* * *

აეროპორტში უცხოელი სტუმარი ჩამოვიდა საკუთარი თვითმფრინავით. მის შესახვედრად უამრავი ხალხი გაემართა.

— ვინ არის ეს კაცი, ამდენი ხალხი რომ დახვდა? — იკითხა მიხომ.

— არაბია.

— ამის დედა ვატირე, თუ არ აბია, ამდენი ქალი რიღათვინ დასდევს?!.

* * *

მიხომ, რომელსაც ყოველღამე ხილს ჰპარავდნენ, გადაწყვიტა, ქურდს დასდარაჯებოდა. ერთ ღამეს დაინახა, ვიღაც ხეზეა ამძვრალი. მიეპარა, ხელი მამაკაცურ ღირსებაზე სტაცა და დაუღრიალა:

— თქვი ახლა, რომელი ხარ, თორემ ამოგხადე სული?!

— მმმმმ!

— რომელი ხარ-მეთქი, გეკითხები!

— მმმმმ!

— ხმა ამოიღე, შენი!.. — იყვირა მიხომ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელი მოუჭირა.

— მმმმუნჯი მიტუა ვარ, შშენი სსადისტი დედა რო ვატირე!..

* * *

ორი მოხუცი ქალი სკვერში ზის და საუბრობს:

— ნეტა ვინ არის ის სიმპათიური მამაკაცი, რომელიც უკვე მთელი საათია თვალს არ მაშორებს?!

— იმ ქანდაკებაზე ამბობ?

* * *

მიხო დგას შუა ქალაქში და ყვირის:

— ვაიმე, მიჭერენ!

— ვინ გიჭერს, თუ ძმა ხარ? — გაოცდა გამვლელი.

— ბათინკები მიჭერს, ბათინკები!..

— კი, მარა, რომ არ გაცვია?

— მაგიტომაც არ მაცვია... ჩანთაში მიდევს!

* * *

მასწავლებელი მოსწავლეს საყვედურობს:

— მარტო ათამდე რომ იცი თვლა, რა გინდა, მომავალში გამოხვიდე?!

— მსაჯი ვიქნები კრივში!

* * *

პაციენტი ქირურგს ეჩხუბება, რომელმაც ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთა:

— რა ამბავია, 5-6 ნაკერში რვაას ლარს რომ მახდევინებ?! ავლაბარში 100 ლარად რაფიკამ პალტო შემიკერა.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. მიაუს.
2. ყველანაირს.
3. ალექსანდრ პუშკინის.
4. ბულატ ოკუჯავა.
5. „სიცოცხლის სიყვარული“.
6. დედა ტერეზა.
7. ნიშნად იმისა, რომ მათ გაასუფთავეს ოკეანე.
8. ბერძენთა რწმენით, სამყაროს ცენტრის დასადგენად, ზევსმა ქვეყნიერების ორი ბოლოდან ორი არწივი აუშვა, რომლებიც ერთმანეთის მიმართულებით ერთნაირი სისწრაფით მიფრინავდნენ. ისინი ქალაქ დელფოსის თავზე შეხვდნენ ერთმანეთს.
9. საპატარძლოს ამ გზით უნდა დაემტკიცებინა, რომ მზად იყო გასძღოლოდა მძიმე საოჯახო საქმეებს. უშედეგო ცდის შემთხვევაში საქმროს უფლება ჰქონდა, უარი ეთქვა ქორწინებაზე.
10. ავღანეთის ომი.
11. დიდი ბრიტანეთი.
12. ნიკო მუსხელიშვილი.
13. ბოტსვანა.
14. გალილეო გალილეი.

ჩვენი ფოტო გაღვრეა

ჰოროსკოპი

25 ნოემბერი - 1 დეკემბერი

ვეძყი

შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ კოლეგები წარმატებაში ხელს გიშლიან. საკუთარ იდეებს სხვებს ნუ გაანდობთ, დამოუკიდებლად იმოქმედეთ.

ჯუძი

საყვარელი ადამიანის მხარდაჭერით უამრავ დაბრკოლებას გადალახავთ. კარგი პერიოდია ბინის შესაცვლელად. შაბათ-კვირას ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

ტყუუვი

ახალი იდეების განხორციელებისას თუ საკუთარ შესაძლებლობაში დარწმუნებული არ ხართ, ნუ გარისკავთ. ყოველდღიური საქმეებით შემოიფარგლეთ.

ჯიძგხიტი

უცხოელი კოლეგების მასპინძლობით იქნებით დაკავებული. საქმის ცოდნა და გულუხვობა კარიერულ წინსვლაში დაგეხმარებათ.

ვიმეი

კვირის დასაწყისში ახლობლების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული, მეორე ნახევარში საკუთარი გეგმების განხორციელებას შეძლებთ.

ჟანგწუვი

ახალი რომანტიკული თავგადასავალი უამრავ დადებით ემოციას შეგძენთ. გაფრთხილდით, რათა რაიმე ღირებული და მატერიალური ნივთი არ დაკარგოთ.

სანსწიძი

დაჩაგრულისა და განაწყენებულის როლში რომ არ აღმოჩნდეთ, საოჯახო საკითხები თქვენს სასიკეთოდ მოაგვარეთ. დასვენების დღეები შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ.

ბიძიბეგი

საქმეების მოსაგვარებლად წარმატებული პერიოდი დაგიდგათ. უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასიკეთოთ წარიმართება.

ბუვიგდიზანგი

საკუთარი პრობლემები დამოუკიდებლად მოაგვარეთ. დასვენების დღეები მშობლებთან ერთად გაატარეთ. ეცადეთ, მეტი მზრუნველობა გამოიჩინოთ მათ მიმართ.

ოხიხ ძეჟ

ნაცნობების დახმარებით საკუთარი საქმეების მოგვარებას შეძლებთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები თქვენს სასიკეთოდ მოგვარდება.

ბეძწუუგი

მატერიალურ კეთილდღეობას მიაღწევთ, მაგრამ ფულს სულ ნუ დახარჯავთ. საზღვარგარეთიდან საინტერესო შემოთავაზებას მიიღებთ, რაც თქვენი ბიზნესის გაფართოებას შეუწყობს ხელს.

ოდვზეტი

მეგობრებთან ურთიერთობა განწყობილებას გაგიუმჯობესებთ. მათი დახმარებით ახალი იდეების განხორციელებასაც შეძლებთ. ახლობლებს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით.

ქალის თმის ფერის საიდუმლო

ფსიქოლოგების აზრით, მანდილოსნის ბუნების გამოცნობა მისი თმის ფერითაც შეიძლება (არა აქვს მნიშვნელობა, თმა შელებილია თუ ნატურალური). ტესტი ძირითადად მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი და მათ გარშემო მყოფი ქალების „გაშიფვრაში“ ეხმარება.

ჟღალთმიანი

ჯიუტი და თავმოყვარეა. უყვარს სარკასტული გამონათქვამები. მისდევს სპორტს და საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად, ზოგჯერ მამაკაცებსაც კი ეჯიბრება. ნებისმიერ საქმიანობაში ლიდერის თვისებებს ავლენს.

თუ ჟღალთმიანს ოთხკუთხედი სახის ფორმა აქვს, საუკეთესო მძღოლი და თანამშრომელია. შრომისმოყვარეა და წარმატებას ნებისმიერ სფეროში აღწევს.

ოვალური სახის ფორმა მეოცნებე, პოეზიის მოყვარულ ქალს აქვს. შესაძლოა, ლექსებს თავადაც წერდეს. ხშირად რისკავს და დაუფიქრებლად მოქმედებს.

ჟღალთმიანებს უყვართ ცხოველები (განსაკუთრებით ცხენები და ძაღლები) და ფრინველები. ფერებიდან უპირატესობას ცისფერს, ფოროთხლისფერს, მწვანესა და შავს ანიჭებენ.

წაბლისფერთმიანი

მხიარული და ნიჭიერი ქალია. უყვარს მოგზაურობა, ლაქლაქაა და მეგობრებს ადვილად იძენს, მაგრამ საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი არ უყვარს. ყველაფერს სწრაფად ითვისებს. შრომისმოყვარე და გაწონასწორებულია. ზრუნავს ჯანმრთელობაზე, ვარჯიშობს და დიეტას იცავს.

მუქთვალება, წაბლისფერთმიან ქალს ტექნიკური საგნები და პროფესია იზიდავს, ცისფერთვალას — ჰუმანიტარული.

ქერათმიანი

კეთილი, რბილი ხასიათის, მეოცნებე, მელანქოლიური ადამიანია. სიყვარულში ერთგულია. ნებისმიერ წვრილმანზე შეუძლია იტიროს, ოსტატურად ცრუობს. მუშაობით მაინცდამაინც თავს არ იკლავს, მაგრამ თუ კარგი კოლეგა შეხვდა, მისი მიბაძვით, თავადაც კარგი თანამშრომელი იქნება. სენტიმენტალურია. ფერებიდან უპირატესობას ვარდისფერს, სალათისფერსა და ცისფერს ანიჭებს. მეოცნებეა, ხშირად ღრუბლებში დაფრინავს, მაგრამ თუ მიზანი დაისახა, ნებისმიერი ხერხით მის მიღწევას შეეცდება.

შავთმიანი

ძლიერი, სერიოზული და ჭკვიანი ქალბატონია. სამსახურში ლიდერის ან ხელმძღვანელის თანამდებობა უკავია. საუკეთესოდ ერკვევა პოლიტიკაში. ყველაზე რთულ პროექტებსაც კი დამოუკიდებლად ახორციელებს. თეთრი პირისახის, შავთმიანი ქალი კარგი დიასახლისი და მეოჯახეა. სიყვარულისთვის მსხვერპლის გაღება შეუძლია, მაგრამ ქორწინებას არ ჩქარობს. მკაცრად და გემოვნებით აცვია. უყვარს შავი, თეთრი და წითელი ფერები.





ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. მუსლიმანი; 2. სურო; 3. ნიგოზი; 4. მაფია; 5. უნაგირი; 6. სარკოფაგი; 7. სოჭი; 8. ბაზა; 9. კანბერა; 10. ასკილი; 11. აია; 12. სიო; 13. კოლორადო; 14. რაჭა; 15. იალაღი; 16. შეკელი; 17. სევილია; 18. ორსული; 19. ქინძი; 20. ევა; 21. ბოლნისი; 22. ოსტანკინო; 23. სოფა; 24. ჩაპლინი; 25. ელვა; 26. რაბატი; 27. ტირანა; 28. იაკი; 29. ანაფორა; 30. ლაბა; 31. ელადა; 32. იუნონა; 33. ღრუ; 34. სარდინია; 35. საინი; 36. საგა; 37. თელოგია; 38. მზერა; 39. ნუნა; 40. იმიტაცია.

სურათებზე: 1. მისი ელიოტი; 2. სნუპ დოგი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

ჟ. კარდინალ რიშელიეს გვარდიის ოფიცერი, რომელიც დ'არტანიანმა პარიზში ჩასვლის მეორე დღეს ორთაბრძოლაში დაჭრა; **უ**. დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელი სამეფო დინასტია; **რ**. შეკრული და გარეკანში ჩასმული საწერი ქაღალდის ფურცლები; **ნ**. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; **ა*** ქვითკირის სამარე; **ლ*** სიგრძის საზომი ერთეული საფრანგეთში, უდრის ოთხ კილომეტრს; **ი*** ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **გ*** მიწის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ზ*** ნოდარ წულეისკირის რომანი; **ა*** ღეროთი შეერთებული ორი თამასა კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდად; **ს*** სიო; **ა*** ინგლისის ძველი სახელწოდება; **უ*** ამერიკელი ფერმწერი; **კ*** საფეხურებად გადმომჩქეფარე წყალვარდნილი; **ე*** რა ერქვა ჩე გევარას; **თ*** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ე*** განსწავლული ადამიანი; **ს*** იტალიელი კომპოზიტორი, რომელიც თითქოსდა ფარულად მტრობდა მოცარტს; **ო*** რა ერქვა ხევისბერი გოჩას შვილს; **ა*** დებულება, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს. თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **რ*** საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **ჩ*** საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი; **ე*** ალბერტ აინშტაინის ეროვნება; **ვ*** იტალიელი ფეხბურთელი; **ა*** ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი, მისგან მომზადებული წვნიანი; **ნ*** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ი*** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად მიჰყიდეს ეგვიპტელებს; **ა*** ქირურგიული ოპერაცია, რომელიც ჩვენში კანონით არ ისჯება, მაგრამ სასტიკად გმობს ეკლესია.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ* გესტაპო; **ზ*** ზვარი; **ა*** ანცი; **ვ*** ვუალი; **ი*** იასონი; **ს*** სკოტი; **თ*** თოფაძე; **ვ*** ვალეტა; **ი*** ისინდი; **ს*** სესია; **ა*** აპნისი; **ო*** ონასისი; **მ*** მახათი; **კ*** კაიზერი; **ი*** იორდანე; **თ*** თხილი; **ხ*** ხრიკი; **ვ*** ვექილი; **ე*** ელბა; **ლ*** ლიე; **ი*** იობი; **ს*** სირტაკი; **თ*** თეირანი; **ვ*** ვისოცკი; **ი*** იშხანი; **ს*** სიბილა; **ა*** აკორდი; **ო*** ოლოლო.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

საცა სოფლის ნახირი, იქ ბეგრის ხბოო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

2	7	3	9	1	5	6	4	8
9	4	6	2	8	3	5	7	1
1	8	5	6	4	7	9	3	2
7	6	9	1	3	8	2	5	4
8	5	2	7	6	4	1	9	3
3	1	4	5	2	9	8	6	7
4	2	7	8	5	6	3	1	9
5	3	8	4	9	1	7	2	6
6	9	1	3	7	2	4	8	5

1	8	7	9	6	2	3	4	5
5	4	6	3	7	1	9	2	8
9	2	3	4	8	5	7	1	6
4	9	2	1	5	8	6	3	7
3	6	8	2	9	7	1	5	4
7	5	1	6	3	4	2	8	9
2	7	4	5	1	6	8	9	3
8	3	5	7	2	9	4	6	1
6	1	9	8	4	3	5	7	2

3	4	6	2	8	9	1	5	7
5	7	9	3	1	6	4	2	8
8	2	1	5	4	7	3	9	6
6	3	7	1	2	5	8	4	9
2	1	5	4	9	8	7	6	3
4	9	8	7	6	3	2	1	5
1	8	3	9	5	2	6	7	4
9	6	2	8	7	4	5	3	1
7	5	4	6	3	1	9	8	2

* მარტივი

	2				4			
		3		6		7		
		1		7		9		
	9		5					1
6			2					7
5				8	1		6	
		9		2		5		
		4		9		1		
			3				9	

** საშუალო

1					6		3	
			3					8
2			9				7	
4				9		8		
	5		2	8			9	
		6		7				4
	1				8			2
7					2			
	6		5					7

*** რთული

	7				8	1	9	
	6			2				7
4		3		7	1			5
7		6		1				4
	3			6	2		1	
2			3			5		9
8			7	9		6		1
3				8			5	
	1	9	2				7	

ფოტოკუთხეები









ლარინგო სპრეი

ანთების საწინააღმდეგო
სწრაფი და
ეფექტური ტკივილგამაყუჩებელი
იმუნოსტიმულატორი

გამოიყენება
პირის ღრუს და ყელის
ლორწოვანი გარსის ანთების დროს

შეიცავს: დინდგელის (propolisi) სპირტხსნარს
გულყვითელას ზეთს (calendula oil)
რეკომენდირებულია ბავშვებისთვის
12 წლის ასაკიდან
100% ნატურალური პროდუქტი

ფუტკრებმა იციან
თავიანთი საქმე!

www.silvanols.lv

ფარინგო სპრეი

საუკეთესო
უებარი
ნატურალური
უსაფრთხო

ყელის ტკივილისა და
პირის ღრუს ანთებისათვის

შეიცავს: (1მლ აეროზოლი)
გულყითელას ზეთს (calendula oil) 0,08მლ;
ქაცვის ზეთს. (oil. Hippopaea) 0,1მლ;
არ შეიცავს სპირტსა და გაზებს!
100% ნატურალური პროდუქტი

გამოიყენება 2 წლის ასაკიდან

www.silvanols.lv

რინოგელ სპრეი

ეფექტური ნატურალური საშუალება
სურდოს, რინიტის,
ზედა სასუნთქი გზების
ინფექციების დროს.

აქვს იმუნომასტიმულირებელი მოქმედება

1მლ შეიცავს:
Oleum Huppopheas 1,5 mg (ქაცვის ზეთი).
Tct calendulae 10 mg (გულყვითელას ნაყენი)
Tct Echina-ceae 10 mg (ექინაციის ნაყენი)
Oleum EucalyptiE2 mg (ეუკალიპტის ზეთი)
Oleum Abeietis 1,5 mg (სოჭის ზეთი)
Oleum Menthae piperitae 2 mg (პიტნის ზეთი)
100% ნატურალური პროდუქტი

გამოიყენება 3 წლის ასაკიდან!

www.silvanols.lv

ერამიკო





შეხვდით შობას ღიმილით!

გერმანული ფირმების
"Sirona"- და "Ketenbach" -
გერმანული ფირმა "Vitas" ლაბორატორია
სტომატოლოგიური ალინიკა
"ერამიკო"
გთავაზობთ

საშობაო 20 %-იან ფასდაკლებას
სტომატოლოგიურ მომსახურეობაზე
25 ნოემბრიდან
25 დეკემბრამდე

მის: ალმაშენებლის გამზ. 89/24
ტელ: 95 10 99
მობ: (995) 71 99 06 27

როდენი – წონაში დასაკლები
უნიკალური საშუალება!

მისი დროული მიღება თავიდან
აგაცილებთ წონაში მატებასაც

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ჰიოდექტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების სხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს სხიმების ბოლომდე დანვას
- აქვეითებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სიმსუქნის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- ანესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას

მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ „ნეოფარმის“ და
„ჯი პი სის“ საფუძველზე,
როგორც თბილისში, ასევე
ქუთაისსა და ბათუმში.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
99 00 14; 895308405;
893 668318; 897 117867;
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების
შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

EMBAWOOD®

კომფორტი თქვენს ცხოვრებაში

ახალი წელი
ახალი ავეჯით!

საახალწლო გასვლა

www.embawood.ge

EMBAWOOD

წარადგინეთ ამოქრილი ტალონი ვაჟა-ფშაველას №71-ში მდებარე ემბავუდის მაღაზიაში, შეიძინეთ ნებისმიერი ავეჯი და მიიღეთ საახალწლო საჩუქარი — ბალიშების კომპლექტი ექსკლუზიურად ჟურნალ „ვ'ჩის" მკითხველისთვის.
ტელ: 40-00-01

31 დეკემბრამდე

აცც ყველას მოგირჩენთ ხველას!

NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია
გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 98 27 30; 98 27 50

აცც (აცეტილცისტეინი)

- შეიცავს ვიტამინს C
- აქვს ანტიოქსიდანტური აქტივობა – აუვნებელყოფს თავისუფალ რადიკალებს
- აქვს ანტიდოტური აქტივობა – ამცირებს პარაცეტამოლის უარყოფით ზემოქმედებას ღვიძლზე

შეგაწუხათ ხველამ? მიიღეთ აცც!

აცც ლონგი 600 მგ.
მხოლოდ *ერთხელ* დღეში

მოსახერხებელი დოზირება
მაღალი ეფექტურობის გარანტი

აცც სწრაფად და ეფექტურად ასუფთავებს ბრონქებს ნახველისგან

მოზრდილები და მოზარდები 14 წლის ზემოთ:
აცც ლონგი 600 მგ შუშხუნა ტაბ. მხოლოდ ერთხელ დღეში
აცც 200 მგ (ცხელი სასმელი, შუშხუნა ტაბ.) 2-3-ჯერ დღეში
ბავშვები 6-დან 14 წლამდე:
აცც 200 მგ (ცხელი სასმელი, შუშხუნა ტაბ.) 2-ჯერ დღეში
ბავშვები 2-დან 6 წლამდე:
აცც 100 მგ შუშხუნა ტაბ. 2-3-ჯერ დღეში

HEXAL

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს